

მთარ ბაქანიძე

ნაკვებები  
უკრაინული ლიტერატურიდან

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი — 1965



ტ ა ნ ა ს  
მ ე ვ ი ე ნ კ ი









საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ყაზახების აულებში დაიბადა ლეგენდა დიდ აკინზე, რომელსაც ტარაზი ერქვა. იგი ისეთივე სამართლიანია, როგორც სასწორი, ამბობს ლეგენდა, ამიტომაც ჰქვია მას ასეთი სახელი („ტარაზი“ ყაზახურად სასწორს ნიშნავს). ტარაზი წინასწარმეტყველებს, რომ ღარიბი, უბედური ადამიანისთვისაც დადგება ნანატრი დღე და ყველა ხალხი, ყაზახი თუ რუსი, თავისუფლად და ბედნიერად იცხოვრებსო.

ეს ლეგენდა ყაზახმა ხალხმა სამშობლოდან შორეულ ქვეყანაში გადმოსახლებულ დიდ შემოქმედზე — ტარას შეეჩენკოზე შექმნა.

ტარას გრიგოლის ძე შეეჩენკომ, მშრომელი ხალხის სანუკვარი ოცნებებისა და ინტერესების გამომხატველმა შემოქმედმა, თავის ლექსთა კრებულს „კობზარი“ უწოდა. ამ პატარა დეტალშიაც კი აშკარად გამოსჭვივის პოეტის დაუცხრომელი სურვილი — მარად ხალხთან იყო, მთელი სულითა და გულით, მთელი არსებით ხალხს ემსახუროს და მას ეკუთვნოდეს. და მართლაც. პოეტის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხთან, მისი მიზნები და ინტერესები ორგანულად იყო ჩაქსოვილი მშრომელი ხალხის მიზნებთან და ინტერესებთან.

ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო დაიბადა 1814 წლის 25 თებერვალს (9 მარტს), კიევის გუბერნიის ზვენიგოროდის მაზრის სოფელ მორინცაში, უღარიბესი გლეხის ოჯახში. ტარასი გრიგოლ ივანეს ძე შევჩენკოსა და ეკატერინე ბოიკოს მეექვსე შვილი იყო. ბავშვობა მან სოფელ კირილოვკაში გაატარა, სადაც 1816 წელს გადასახლდა მთელი მისი ოჯახი.

მომავალ პოეტს უსინარულო ბავშვობა ჰქონდა. ოჯახი მრავალსულიანი იყო, დედა ხშირად ავადმყოფობდა და მეუღლეს ვერ ეშველებოდა. გრიგოლ შევჩენკო ყოველ ღონეს ხმარობდა დამშეული ბავშვებისათვის ლუკმა როგორმე დროზე მიეწოდებინა.

მძიმე იყო ყმათა ხვედრი. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რუსეთში ყმები ფაქტიურად ნახევრად მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: „გლეხობის ბატონყმური ექსპლოატაცია მეტად უხეშ, აზიურ ფორმებში“ მიმდინარეობდა. „როდესაც არათუ წარმოების საშუალებანი არ ეკუთვნოდა მწარმოებელს, არამედ თვით მწარმოებელნიც ძალიან ნაკლებად განირჩეოდნენ რომელიმე „წარმოების საშუალებისაგან“<sup>1</sup>.

შევჩენკოს ოჯახი მემამულე ენგელჰარდტის ყმა იყო. ბატონი ვ. ვ. ენგელჰარდტი, სმოლენსკის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი, თავად პოტიომკინის ძმისწული, სხვა მემამულეებისაგან სიმკაცრითა და ავი ზნით გამოირჩეოდა. თავის „საკუთრებას“—ყმებს არ აძლევდა ადამიანური ცხოვრების საშუალებას.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ტ. 1, გვ. 514.

სიმწარე იყო დასადგურებული ფერდებგამონგრეულ, წაქცევაზე მიმდგარ ქოხში.

შიმშილისაგან გამოწვეული მუცლის გვრემა — და ბალებს უკან ველზე მხიარულად მოჩხრიალე ნაკადული; თვალეზისისხლიანებული ბატონის მრისხანე გამოხედვა, მოქნეული მათრახის სიმწარე და საოცრად თბილი და უძირო უკრაინის მშობლიური ცა; რეგენი ბატონის უსულგულო მსახურები და თეთრულვაშა, ტკბილად მოუბარი მოხუცები, ღარიბი გლეხები — ასეთი იყო პატარა ტარასის პირველი შთაბეჭდილებანი. მაგრამ ისინი მომავალ პოეტს საბოლოოდ ჭერ მაინც ვერ უფუჭებდნენ გუნებას, ვერ უწამლავდნენ სპეტაკ სულს და ვერ უხშობდნენ ცნობისმოყვარეობას. უკრაინის ზღაპრულმა ბუნებამ, გადაშლილმა ველებმა და ლაყვარდოვანმა ცამ, უბრალო, მშრომელი ხალხის მზრუნველმა სიტყვამ და გახსნილმა გულმა შთაუწერგეს მომავალ პოეტს მშვენიერებისადმი ტრფიალი, ხალხური სიმღერების საბრძნისა და სილამაზის სიყვარული. „სოფელო! ო, რამდენი სასიამოვნო, მომხიბლავი გრძნობები იღვიძებენ ჩემს მოხუც გულში ამ ტკბილი სიტყვის წარმოთქმისას“, — წერდა ათეული წლის შემდეგ გადასახლებაში მყოფი პოეტი.

ბავშვის დაუდგრომელი გული ხარბად ეწაფებოდა ცხოვრების „ყვავილეთს“. უნდოდა გაეგო, როგორ არის მოწყობილი დედამიწა, რა არის მისი ქოხის, სოფლის, ყორღანების მიღმა. ერთხელ იმ „რკინის სვეტების“ სანახავადაც კი წავიდა, რომელზედაც, როგორც მას ეგონა, ცა იყო დაბჯენილი. გზადაბნეული ბიჭუნა გვიან ღამით მიიყვანეს სახლში შემთხვევით შეხვედრილმა მეურმეებმა.

ტარასისათვის ყველაზე ბედნიერი წუთები იყო, როდესაც, ურმის კოფოზე წამოსკუპებული, მამასთან ერთად საშოვარზე შორს გაემგზავრებოდა. „ქვეყნის ნახვამ“, მოხუცი გლეხების ნაამბობმა, ხალხურმა სიმღერებმა თუ

ლეგენდებმა. გადმოცემებმა ადრე გააცნეს ტარასს ცხოვრების ავკარგი. განსაკუთრებით დაამახსოვრდა მომავალ პოეტს მისი ბაბუის, ივანე ანდრიას ძე შვეციის ნაამბობი ჰაილამაკებზე. იგი, ფიქრობენ, „კოლიივშიჩინის“, 1768 წელს უკრაინაში გლენთა უდადესი აჯანყების მომსწრე და, შესაძლოა, მონაწილეც იყო. აი რას გვეუბნება ამაზე პოეტი:

მე გაჰირვება მაშინდელი მახსოვს. — ვიგონებ  
მშობლიურ ველებს, მოხუც პაპას, მამას მშობელსა.  
მამა მომიკვდა, მაგრამ პაპა კვლავ ცოცხალია  
და ხშირად ვესმენ მის საუბარს დამატკობელსა

როგორ მუსრავდნენ ელეზნიაკი და გონტა ლიახებს  
და როგორ სჯიდნენ გამტანჯველებს უკრაინისა.  
ასი წლის თვალებს სიხარულის ცეცხლი ანთებდა  
და იწყებოდა მოგონება წარსულ ლხინისა...

ო, გმადლობ, ბაბუ, რომ მიაგმე ჩემი სამშობლოს  
უბედურება, გაჰირვება, მისი დიდება!  
მე ყოველივე შვილიშვილებს ვუამბე ბოლოს  
და ყოველივე საუკუნეს დაემკვიდრება.

(„გაილამაკები“ — თარგმ. კოლაუ ნადირაძისა)

ბავშვობაში ტარასს დედის სიყვარული, დისა და ბავშური პირველი ტრფიალის, ოქსანა კოვალენკოს თბილი გრძნობები უამებდნენ ცხოვრების უკულმართობით გამოწვეულ ადრეულ ტკივილებს. მაგრამ მალე ავბედობისაგან ეს თავშესათარიც ნელ-ნელა გამოეცალა ხელიდან.

ტარასი ცხრა წლისა იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა. მისი გამზრდელი და — კატერინა გათხოვდა და სხვა სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. მამამ სახლში დედინაცვალი მოიყვანა. იმ დღიდან პატარებს გაუფშარდათ სიცოცხლე. „ვისაც თუნდ შორიდან მაინც დაუნახავს დედინაცვალი და ეგრეთ წოდებული მოყოლებუ-

ლი შვილები, — წერდა შევჩენკო, — მას, მაშასადამე, ჯოჯოხეთიც უნახავს...“ ყველაზე მეტად მაინც ტარასი ისჯებოდა ხოლმე, რადგან დედინაცვალს არ ცმონდა თავნება და ჯიუტი ბიჭი.

1824 წელს მამამ ტარასი სასწავლებლად მიაბარა, იქ ბავშვებს კითხვას ფსალმუნზე ასწავლიდნენ, შაბათობიო კი როზგებით უმასპინძლებოდნენ.

უბედურება აჩრდილივით დაყვებოდა ტარასს. 1825 წელს გარდაიცვალა შევჩენკოს მამა. სიკვდილის წინ მან ასეთი ანდერძი დატოვა — ჩემს შვილს ტარასს ჩემი მეურნეობიდან არაფერი არ სჭირდება, იგი არაჩვეულებრივი კაცი იქნება; ან ძალიან კარგი პიროვნება დადგება, ან დაილუპება. ჩემი მემკვიდრეობა მისთვის ან არაფერი იქნება, ან არაფერში დაეხმარებაო. ასე ხელცარიელი დატოვა მამამ ტარასი.

დედინაცვალს კი რვა ბავშვი შერჩა გასაზრდელად.

იმიერიდან საბოლოოდ დამთავრდა ტარასის ბავშვობა:

არ ვიცი რატომ თქვენ სთქვით, რომ არი  
ქობმახი ტყეში სამოთხე წყნარი.  
მეც ხომ იქ ძველად ვტანჯულვარ, ვწყველი...  
იქ დავაფრქვით მხურვალე ცრემლი,  
პირველი ცრემლი... და მე არ ვიცი  
თუ თვით ღმერთს დარჩა იმ ქობის გარეთ  
სხვა ბოროტება, სიამე ბილწი,  
მწვანე სამოთხეს რომ შეადარეთ.

ვნახე მონობა და ჯოჯოხეთი,  
მძიმე შრომისგან დაღრღნილი ბედი..  
და თვით ლოცვისთვის რომ არ ეცალა,  
ტანჯვით უღროოდ გამოგვეცალა  
კეთილი დედა, მოხრილი მხრებში,  
შრომამ ჩააგდო ცივ სამარეში...  
მტირალ მამასთან მოვტყეამდით ბავშვნი...  
და მამაც ჩაკვდა პანის ყმობაში,  
ველარ გაუძლო საშინელებას.

ჩვენც შევერიეთ ქვეყანას გაშლილს,  
თაგუნებივით გავძევრით ხალხში...  
როს წარმოვიდგენ, შემზარავს, შემშლის  
საშინელებით იმ ქობის ჩერო.

(„დიდო პანებო, რომ მოგესმინათ“ —  
თარგმ. დავით გაჩეჩილაძისა)

ტარასის თავზე შავმა ღრუბლებმა პირი შეიკრეს.

\* \* \*

მამის გარდაცვალების შემდეგ ტარასი ბიძამ, პეტრე ივანეს ძე შევჩენკომ „შეიფარა“. ბიძის ოჯახში ცხოვრება კიდევ უფრო გაუქირდა ტარასს. მას ისე ეპყრობოდნენ იქ, როგორც პირუტყვს.

პატარა ტარასს სწავლის წყურვილი ადრე გაელვია. ადრევე აღმოაჩნდა ხატვისადმი მიდრეკილება. იგი ხატავდა ნახშირით, ცარცით, ჯოხით, ყველგან, სადაც კი წაახელებდა.

კირილოვკის საეკლესიო სკოლა სოფლის ცენტრში, ეკლესიის მახლობლად, ქობში იყო მოთავსებული. სკოლის მასწავლებელი პეტრე ბოგორსკი მღვდლის შვილი იყო. ადრე იგი კიევის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, მაგრამ სრული კურსი არ გაუვლია. მიატოვა სემინარია და სოფელს მიაშურა: დაიწყო დიაკვნობა, მასწავლებლობა და ლოთობა.

მომავალი პოეტი ბოგორსკების მოსამსახურე გახდა. იგი ყოველგვარ შავ სამუშაოს ასრულებდა მათ ოჯახში. შეშას აპობდა, წყალი მოჰქონდა, იატაკს ხეხავდა... — შედარებით თავისუფალ დროს კი სხვა მოწაფეებთან ერთად სწავლობდა. ამიტომაც ამბობდა მწერალი დაცინვით: „სკოლაში ჩემი ყოფნა საკმაოდ არაკომფორტაბელი იყო“. ყოველივე ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ ბოგორსკის მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული ბავშვების ფიზიკური და მორალური ტანჯვა. ბოგორსკი და მისი თანამეინახე დაეხეტებოდნენ მეზობელ სოფლებში



და ღრეობაში ატარებდნენ დროს, გაკვეთილების დარღვივის ჰქონდა, მოსწავლეები შიშით და კანკალით ელოდნენ მათ მობრუნებას, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ნაბახუსევზე მასწავლებლებს მკლავის გამართვა უყვარდათ: გაამწკრივებდნენ ბავშვებს და სანამ ცემისაგან არაქათგამოცლილებს ტახტზე არ წაეძინებოდათ, როზგებს ხელს არ უშვებდნენ.

ტარასმა ითმინა და როდესაც ველარ აიტანა ამდენი ტანჯვა და დამცირება, გაიქცა. „ამ პირველმა დესპოტმა, რომელსაც ჩემს ცხოვრებაში გადავეყარე, სამუდამოდ შთამინერგა ღრმა ზიზღი და სიძულვილი ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრისადმი. ერთხელ, როდესაც იგი უგრძნობლად მთვრალი ვნახე, მე ვიხმარე მის წინააღმდეგ მისივე საკუთარი იარაღი — როზგები და, რამდენადაც მეყო ბავშვის ძალა, გადავუხადე მას ავკაცობისათვის“ — წერდა ტარას შევჩენკო.

ტარასმა სოფელ ლისიანკოს მიაშურა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ესწავლა ხატვა. ლისიანკოსა და იქვე ახლოს მდებარე სხვა სოფლებში „მღებავის ხელობა“ იყო გავრცელებული. ერთ-ერთ ასეთ მღებავსა და მხატვარს მიაგნო ტარასმა და მიებარა, მაგრამ მალე გაუცრუვდა იმედები. საღებავების გახანის, ვედროებით წყლის ზიდვისა და მძიმე ფიზიკური სამუშაოს მეტს „მხატვარი“ არაფერს არც ავალებდა და არც ასწავლიდა მას. შევჩენკომ ეს „მასწავლებელიც“ მიატოვა და ბედის საცდელად სოფელ ტარასოვკას მიაშურა. იქ იმ დროს ერთი „განთქმული“ მხატვარი-მედავითნე ცხოვრობდა; მან დახედა ბავშვის მარცხენა ხელის გულს, თავი გაიქნია და სთქვა — არა გაქვს მხატვრის ნიჭი, და არა მარტო მხატვრისა, შენგან საერთოდ კაცი არ გამოვაო.

ტარას შევჩენკოს გული დასწყვიტა დიაკვნის ამგვარმა განაჩენმა და უკან გაბრუნდა კირილოვკაში. უფროსმა

ძმამ ნიკიტამ, რომელმაც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში შეისწავლა ბორბლის კეთება, ძმას შესთავაზა — შენც გასწავლი ამ ხელობას და თავს იოლად გაიტანო. მაგრამ ტარასმა უარი უთხრა და სოფლის მდიდარ მღვდელთან — გრიგოლ კოშიცასთან მოჯამაგირედ დადგომა არჩია.

არც აქ დაუდგა გული ტარასს, ან და რა გააჩერებდა იმეთ კაცთან, რომელიც სიმკაცრითა და მრისხანებით გამოირჩეოდა.

1828 წლის შემოდგომაზე ტარასმა დატოვა კირილოვკა და სოფელ ხლიპნოვკას გაემართა; მას ადრევე ჰქონდა გაგონილი, რომ ხლიპნოვკაში რამდენიმე მღებავი-მხატვარი ცხოვრობდა. ერთ-ერთ მხატვარს, რომელთანაც იგი მივიდა, მოეწონა ტარასის ნამუშევარი და მოინდომა კიდევ მისი აყვანა, მაგრამ იმჟამად არსებული წესის მიხედვით ყმას მებატონის ნებართვის გარეშე არც სწავლა და არც სხვასთან მოჯამაგირედ დადგომა არ შეეძლო. ტარასს კი ამ დროს თბუთმეტი წელი უსრულდებოდა და სულ მალე ბატონის კარზე მოიკითხავდნენ. ამიტომ გაზდა იგი იძულებული ნებართვის გამოსათხოვად მოურავს მისდგომოდა.

შეეჩენკომ იმ დროს მიაკითხა მოურავს, როდესაც იგი ახლად დაქორწინებულ პავლე ენგელჰარდტისათვის მსახურებს არჩევდა. მან ახედ-დახედა ჩაფსკვნილ ყმაწვილს, გამოკითხა რისი გაკეთება შეეძლო და გადაწყვიტა მომავალ მსახურთა სიაში შეეტანა. ტარასი ჩასწერეს სიაში და იქვე აღნიშნეს, რომ მას მხატვრობაც შეეძლო.

ახალგაზრდა ენგელჰარდტს მხატვარი იმ დროს არ სკირდებოდა. და ტარასს ფუნჯის მაგივრად ჯერ მზარეულის ჩამჩა მისცეს ხელში, ბოლო მცირე ხნის შემდეგ კი თვით ბატონის ხელზე მოსამსახურედ გაამწესეს. „ბიჭო, წყალი!“ — დაიძახებდა ტახტზე წამოწოლილი ბატონი, „ბიჭო, ყალიონი!“ — გაისმოდა ბრძანება. კართან უძრავად

ატუზული, იგი ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყო ბატონის ნება-სურვილის აღსასრულებლად. ცეცხლოვანი ბუნების მქონე ადამიანთათვის ძნელი იყო ასე მუმიასავით ყოფნა. იგი თავისთვის წყნარად ღლინებდა ხოლმე ძველ, კაზაკურ ნაღვლიან სიმღერებს, ანდა, თუკი ბატონი ჩასთვლემდა, ტარასი დროს იხელთებდა და ჩუმად იწყებდა ხოლმე სურათების გადახატვას.

ახალგაზრდა ენგელჰარდტი ხშირად მოგზაურობდა. ასეთ დროს მას ხანდახან ტარასიც თან ახლდა, გაჭირვებით აგროვებდა სხვადასხვა სურათებს და ნახატებს და როგორც კი მოახერხებდა მათ ხელში ჩაგდებას, მაშინვე შინ გააქანებდა. მყუდრო ადგილას, ცნობისმოყვარე ადამიანებისაგან მოშორებით ტარასი შესანიშნავ წუთებს ატარებდა. გამოფენდა „სამხატვრო გალერეას“, ჩაჯდებოდა ბალახებში და სუნთქვაშეკრული ტკებებოდა თავისი საგანძურით. გული სიხარულით აევსებოდა ხოლმე პატარა ტარასს, როდესაც სუფთა ქაღალდს ჩაიგდებდა ხელში. იგი მაშინვე იწყებდა სურათის გადმოხატვას. ასე ცდილობდა ტარასი ხელოვნების სიბრძნეში ჩაწვდომას.

ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც ბატონი ტარასს წააწყდებოდა სურათის მაკცქერალს, ანდა ხატვის პროცესში, სჯიდა ხოლმე. ერთხელ, ვილნოში ყოფნის დროს ბატონი და ქალბატონი თავადაზნაურთა საკრებულოში მეჭლისზე გაემართნენ. ტარასმა გამოიყენა შემთხვევით მინიჭებული თავისუფლება: აანთო სანთელი, ამოირჩია თავისი კოლექციიდან სურათი --- კაზაკთა ატამანი პლატოვი ზის ცხენზე — და დაიწყო მისი გადმოხატვა. მოულოდნელად გაიღო კარი და შემოვიდნენ ენგელჰარდტი და მისი მეუღლე. სურათს, რა თქმა უნდა, დაშთავრება აღარ ეწერა, სიბრაზისაგან აცახცახებულმა ენგელჰარდტმა აღარ იცოდა რა ექნა. მან იქვე გასცა განკარგულება, რომ მეეტლე სიდორკას საჯინიბოში კარგა მაგრად „ეგემებია“ როზგები ტარასისათვის.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, მაინც ვითარდებოდა და ძლიერდებოდა შევჩენკოს მხატვრული ნიჭი. იგი ერთხანს ვილნოშიც სწავლობდა ცნობილ ლიტველ მხატვართან იან რუსტემთან, რომლის ბინა და სახელოსნოები ენგელჰარდტიან სახლის პირდაპირ მდებარეობდა. მრავალი წლის შემდეგ შევჩენკო სიამოვნებითა და მადლიერების გრძნობით იგონებდა „მოხუცი რუსტემის“ სასარგებლო რჩევა-დარიგებებს.

მართალია, ენგელჰარდტთან ყოფნის დროს შევჩენკოს ცხოვრების იმდენად ცუდი პირობები ჰქონდა, რომ სწავლაზე ფიქრიც კი თითქოს არ შეიძლებოდა, მაგრამ მომავალი შემოქმედი სიძნელეთა წინაშე ერთი წუთითაც არ ჰყრია ფარ-ხმალს და ჯიუტად მიიკვლევდა გზას. ამაში მას კეთილი ადამიანებიც უწყობდნენ ხელს.

1830 წელს სანუკვარი თავისუფლების შუქი ვილნოში შევჩენკოს სადგომსაც მოადგა. აბორგდა ჰაბუკის დაუდვრომელი სული. ალაპარაკდა იგი ბრძენ-კაცის ენით: რატომ არ უნდა ვიყოთ ჩვენ. ყმები, ისეთივე ადამიანები, როგორც სხვები, სხვა წოდების ხალხია. ეს მძიმე ფიქრები უტრიალებდა თავში ტარასს და ამაზევე ლაპარაკობდა იგი „შავთვალწარბა“ დუსია გუსაკოვსკაიასთან, უბრალო გოგონასთან. რომელიც მასავით ოცნებობდა თავისუფლებაზე. პოლონელი ხალხის შვილმა დუსიამ შეაყვარა უკრაინელ ტარასს პოლონელი ხალხი, ასწავლა პოლონური ენა და საშუალება მისცა გასცნობოდა მათ მძიმე ბედზე ჩაფიქრებულ პოეტების შემოქმედებას.

ბიოგრაფების ცნობით, ვილნოში ყოფნის დროს ტარას შევჩენკოს შეეძლო წაეკითხა სახელგანთქმული მწერლის ადამ მიცკევიჩის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ანტიბანტონყმური ხასიათის „დზიადი“, „ოდა ახალგაზრდობისადმი“ და აგრეთვე „გრაჟინა“, რომელშიაც ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება გაისმოდა. ვილნოშივე გაეცნობოდა შევჩენკო კრაპიციკისა და



სკოლა (სამხატვრო)

დასახლება: ქობულეთი

ტ. შუკჩენკო. ტ. გ. შუტენკოს შრომების  
ქობის ს. კორილოვკაში. 1943.



სლოვაკის, ნემცევიჩისა და ბოგდან ზალესკის და სხვა-თა ცხოვრება-მოღვაწეობას.

ვილნოში შევჩენკოს ჩასვლამდე რამდენიმე წლით ადრე ქალაქის უნივერსიტეტში მჩქეფარე ცხოვრება გაატარა თავისი დროის გამოჩენილმა პოლონელმა მეცნიერმა და რევოლუციონერმა იოახიმ ლელეველმა. იგი იყო სტუდენტთა საიდუმლო საზოგადოების სულისჩამდგმელი და ამიტომაც ორგანიზაციის დარბევის შემდეგ მეფის ხელისუფლებამ ლელეველი ქალაქიდან გააძევა. მაგრამ თავისუფლების ამოფრქვეული ვულკანი არ ჩამქრალა. მოელვარე ნადვერდლების როლს ლელეველის მგზნებარე მოღვაწეობა ასრულებდა. მითუმეტეს, რომ მისი გენიალური მოწაფის, ადამ მიცკევიჩის იმ პერიოდის შემოქმედება აჯანყების ცეცხლით იყო განათებული.

ყოველივე ამას ზედ იაიცი დაერთო, რომ 1830 წელს მსოფლიოს ელვასავით მოედო საფრანგეთის ივლისის რევოლუციის ამბავი. თავისუფლებისმოყვარულ ხალხს თვალი მოსტაცა ფრანგულმა დროშამ, რომელზეც აღბეჭდილი იყო შთამაგონებელი და დამაფიქრებელი მოწოდება — „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“. ვილნოს ქუჩებსა და მოედნებზე ხალხი გამოეფინა. თავაწეული, თვალებანთებული ახალგაზრდები მზნედ და მტკიცედ მიაბიჯებდნენ ქვაფენილებზე და მთელი ხმით მღეროდნენ თავისუფლების სიმღერას — „მარსელიოზას“.

და აი 1830 წლის 17 ნოემბერს, ღამით, ვარშავაში იფეთქა აჯანყებამ. ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებულ ხალხს არმიაც მიემხრო. ვარშავას ხმა მისცა მთელმა რიგმა ქალაქებმა და სოფლებმა. პოლონეთის მეფის-ნაცვალმა თავადმა კონსტანტინემ დაივიწყა დიდი თავადის თავმოყვარეობა და უკანმოუხედავად მოკურცხლა პეტერბურგისაკენ. მას მიჰყვნენ მისი ერთგული თავადები, მათ შორის ენგელჰარდტიც, რომელმაც განკარგულება გასცა, მსახურები გზაში დამაწიეთო.

1830 წლის დამლევს 16 წლის შევჩენკო ეტაპით გაისტუმრეს მისი ბატონის ახალი საცხოვრებელი ადგილისაკენ — პეტერბურგისაკენ. ეს მძიმე გადასვლა საშინელ ყინვიან ზამთარში მოხდა და ორ თვეს გაგრძელდა.

ტარასს ცუდი ფეხსაცმელი ეცვა და გზაში ერთი სულ შემოაცვდა. ფეხები რომ არ მოჰყინვოდა, გზის პირს მიჭდებოდა ხოლმე და დარჩენილ ერთ ჩექმას ხან ერთ ფეხზე იცვამდა და ხან მეორეზე. ჯარისკაცებს მალე მობეზრდათ ასეთი ხშირი „დასვენება“ და ტარასს აუკრძალეს გზაზე შეჩერება.

### ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს    პ ა ლ მ ი რ ა

პეტერბურგში შევჩენკო 1831 წლის დამდეგს ჩავიდა. ენგელჰარდტის სახლი მდებარეობდა მახოვიაზე, საზაფხულო ბაღის ახლოს. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოყვარული ადამიანები, გამოჩენილი მოღვაწენიც კი.

ცნობისმოყვარე ტარასი თვალეგაფართოებული შესცქეროდა ზღაპრულ პეტერბურგს, მის ბრწყინვალე საზოგადოებას. მისი გონება, გრძნობა ხარბად, მოწყურებით შთანთქავდა ყოველივე მნიშვნელოვანსა და ახალს, რასაც იხილავდა ან მოისმენდა. ამ პერიოდის პეტერბურგი კი აღელვებულ სკას ჰგავდა.

დედაქალაქის საზოგადოებას კარგად ახსოვდა 1825 წლის დეკემბრის აჯანყება, სენატის მოედანი, აჯანყების შედეგებით ხალხში გამოწვეული მღელვარება; მითუმეტეს, რომ წარსულის სურათების გაცოცხლებას ხელს უწყობდა საფრანგეთის რევოლუციითა და პოლონეთის აჯანყებით მიღებული შთაბეჭდილებანი. თავის მხრივ პეტერბურგისა და, საერთოდ, რუსეთის ლიტერატურული ცხოვრება საზოგადოებრიობის ინტერესს კვლავ ამძაფრებდა თავისუფლებისმოყვარული თემებისადმი.

1831 წლის 26 იანვარს შედგა პრემიერა ა. ს. გრიბოე-



დოვის კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“. მართალია, ეს მხოლოდ ავტორის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ მოხერხდა, ცენზურამ საშინლად დაამახინჯა ნაწარმოების ტექსტი (როგორც ხალხში ამბობდნენ, პიესაში მხოლოდ „ვაი“ დარჩაო), მაგრამ რეალისტური, მამხილებლური კომედიის სცენაზე ჩვენებას უთუოდ ჰქონდა უდიდესი დადებითი მნიშვნელობა.

ამავე წელს გამოქვეყნდა ა. ს. პუშკინის „ბორის გოდუნოვი“ და „ბელკინის მოთხრობები“, ნ. ვ. გოგოლმა 1831—1832 წლებში დაამთავრა ნაწარმოების „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“ ორი ტომის დაბეჭდვა, „ბობოქარმა ბესარიონმა“, ბელინსკიმ დასწერა თავისი „ლიტერატურული ოცნებანი“ და სხვ.

ივანე ფრანკო სრულიად სამართლიანად იწყებდა შევჩენკოს ორმოციანი წლების პირველი ნახევრის შემოქმედების დახასიათებას რუსული ლიტერატურის კორიფეების — პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, გოგოლის, ბელინსკისა და გერცენის მოღვაწეობის მიმოხილვით, რადგანაც ფიქრობდა, რომ მათ შემოქმედებას; ჯერ ერთი, იცნობდა ტარას შევჩენკო, და მეორეც, მათ უთუოდ ჰქონდათ გადამწყვეტი მნიშვნელობა მომავალი პოეტისა და მხატვრის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

„შეუძლებელია, — წერდა იგი, — რომ შევჩენკო, რომელიც იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა. არ გაეტაცა პროგრესული მოძრაობის ამ დიად ტალღას, რომ მისი მგზნებარე, ახალგაზრდული სული არ მიმხრობოდა აგრეთვე ახალ მიმართულებას, მითუმეტეს, რომ მისი პირადი გლეხური სიმპათიები მას ადრიდანვე ამ მიმართულებით უბიძგებდა... ორმოციანი წლების დამდეგიდან შევჩენკო სულ უფრო გარკვეულად და თამამად ადგება ახალ გზას. მისი თითქმის ყოველი ახალი ნაწარმოები. — ეს ამ გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია“.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ზემოდასახელებულ მწერალ-

თა გვარებით როდი ამოიწურებოდა იმ შემოქმედთა სია, რომელთაც შევჩენკო იცნობდა. ტარას შევჩენკო იცნობდა კრილოვის, კოლცოვის, დავიდოვის, კოტლიარევსკის, გრებინკასა და სხვათა შემოქმედებს. პეტერბურგში იგი ფოლკლორულ კრებულებსაც გაეცნო.

პეტერბურგში ენგელჰარდტმა კარგად მოიფიქრა, თუ რა გზით შეიძლებოდა შევჩენკოს მხატვრული ნიჭის უკეთ გამოყენება. მან შევჩენკო საგანგებო კონტრაქტით ჯერ ოთხი, ხოლო შემდგ კიდევ ორი წლით მიაბარა ფერწერის საქმეთა ოსტატს შირიაევს. რომელმაც მალე შენიშნა, რომ მისი ახალი მოწაფე თავისი ნიჭით სხვა მოწაფეებისაგან გამოირჩეოდა და ტარასს სერიოზულ და დამოუკიდებელ საქმეთა შესრულება დააკისრა.

შირიაევს პეტერბურგელ მხატვარ-დეკორატორთა წრეში თვალსაჩინო ადგილი ეკავა. იგი წვრილმან საქმეებთან ერთად დიდ სამუშაოებსაც ასრულებდა ხოლმე. ცნობილი ხუროთმოძღვარი კარლ ივანეს ძე როსი დიდად აფასებდა მის ხელოვნებას.

შირიაევს სახლში შეგროვილი ჰქონდა საინტერესო სურათები, პატარა ბიბლიოთეკა. შევჩენკო თავის მოთხორობაში „მხატვარი“ აღნიშნავს, რომ ოსტატს ჰქონია ფრანგი ყერარ ოდრანისა და იტალიელი ჯიოვანი ვოლპატოს ნაწარმოებები. მასთან ხანდახან იკრიბებოდნენ მხატვრები, იმართებოდა საუბარი ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე; სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, ყოფილი ყმა, ივანე ზაიცევი კითხულობდა პუშკინისა და ჟუკოვსკის ლექსებს.

ტარას შევჩენკომ გულთ შეიყვარა პეტერბურგი. როგორც კი დროს იშოვიდა, დახეტებოდა პეტერბურგის ქუჩებში. ქანდაკებებით შემკულ ბალებსა და ხეივნებში, ათვალეირებდა ქალაქის მკაცრ და მწყობრ არქიტექტურულ ნაგებობებს, ესტუმრებოდა ხოლმე ცარსკოე სელოს, პეტერგოფს, პავლოვსკს, გატჩინოს.

მძიმე შრომით არაქათგამოცლილი ტარასი პეტერბურგის თეთრ ღამეებში საზაფხულო ბალისაყენ მიიჩქაროდა. იქ ყველასაგან მოშორებით. მყუდროებაში, ანტიკური სამყაროს ზღაპრულ გარემოცვაში მთვარის შუქზე ფიქრებს ეძლეოდა დიდი შემოქმედი. ასეთ ღამეებში იღვიძებდა მასში შემოქმედის გენია, ასეთ ღამეებში იბადებოდა ლექსი ადამიანის ბედნიერ მომავალზე, გატანჯულ ცხოვრებაზე, დაწიბლულ თავმოყვარეობაზე, შეგინებულ, გათელილ ქალწულობაზე და სინიდისზე; იბადებოდა ნაღვლიანი სიმღერა უბრალო. მშრომელ უკრაინელებზე, მკექარე სიმღერა ადამიანებზე, რომლებიც მონობის ბორკილის დასამსხვრევად აღმართავდნენ „ნაკურთხ დაწებს“.

ტარასის ხელი სიყვარულით დათამაშებდა გადაშლილ ქალაქს — იკვეთებოდა სატურნის ფიგურა. კომპოზიცია, საერთო ხანიათი კარგად გამოდიოდა; ეს ანიჭებდა ქაბუქს უსაზღვრო სიამოვნებას. გატაცებით, მთელის არსებით ეძლეოდა იგი ხელოვნებას. აღარ ახსოვდა დაღლა და ვარამი, ხატავდა თავდავიწყებით. ასე ემზადებოდა იგი ცხოვრებასთან გადამწყვეტი შერკინებისათვის.

1835 წლის ზაფხულის ერთ ღამეს შევჩენკომ სწორედ ამ საზაფხულო ბაღში გარცხო უკრაინელი მხატვარი ივანე მაქსიმეს ძე სოშენკო. მან ტარასში მომავალი ნიჭიერი მხატვარი დაინახა. მისი დახმარებით შევჩენკო თანდათან შევიდა მხატვართა ფართო წრეში. იგი გაეცნო მხატვარ-აკადემიკოსს ა. გ. ვენეციანოვს, უკრაინელ პოეტ ევგენი გრებიჩკას, სამხატვრო აკადემიის კონფერენც-მდივანს და მხატვართა ხელშემწყობი საზოგადოების კომიტეტის წევრს მხატვარ ვ. ი. გრიგოროვიჩს, „კარ-

ლოს დიდს“ — კ. პ. ბრიულოვს, ხელოვნების მოყვარულ მ. ი. ვიელგორსკის, პოეტ ვ. ა. ჟუკოვსკისა და სხვებს.

1835 წელს მხატვართა ხელისშემწყობი საზოგადოების ოქმში უკვე მოიხსენიება „გარეშე მოსწავლის შევჩენკოს“ გვარი, ხოლო 4 ოქტომბერს კომიტეტი საგანგებოდ განიხილავს მის ნახატებს და მოიწონებს კიდეც. შევჩენკო ამიერიდან, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არაოფიციალურად, ესწრებოდა საზოგადოების მხატვართა სკოლის მეცადინეობას. სოშენკო ეხმარებოდა მას რთული მეცნიერების, ადამიანის ანატომიის დაძლევაში.

ყველამ, მათ შორის „კარლოს დიდმაც“, ერთხმად აღიარა შევჩენკოს დიდი ნიჭი. გადაწყვიტეს სამხატვრო აკადემიაში მისი მოწყობა. მაგრამ აკადემიაში მოხვედრა იოლი როდი იყო. ტარასი იყო ყმა. მართალია ყმებსაც დაუმთავრებიათ სამხატვრო აკადემია, მაგრამ უმთავრესად ეს მათივე ბატონების სურვილით ხდებოდა. როგორც შევჩენკოს ბიოგრაფები აღნიშნავენ, ყმები იყვნენ თავისი დროისათვის ცნობილი მხატვრები ტროპინინი, კიპრენსკი, ვორონიზინი, ბოლიაკოვი და სხვები. შემდგომში მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა მოაჭერხა ყმობიდან თავის გამოსყიდვა.

მეფისა და განათლების მინისტრის განკარგულების თანახმად აკადემიაში არა თუ შეწყვიტეს ყმების მიღება, არამედ გადაწყვიტეს აკადემიიდან იმათიც გაძევება. ვინც ამ განკარგულებამდე მოასწრო აკადემიაში მოწყობა. „გაირიცხონ აკადემიიდან ისინი. ვინც არ ეკუთვნის მარად თავისუფალი კლასის ადამიანებს. და აიკრძალოს მომავალში აკადემიაში მათი მიღება“ — ნათქვამი იყო ამ განკარგულებაში. ამიტომაც შევჩენკოს თანამგრძობთა შორის მწვავედ დაისვა საკითხი, მისი ჯერ ყმობიდან განთავისუფლებისა და შემდეგ აკადემიაში სასწავლებლად გაგზავნისა.

ახალგაზრდის ბედით დაინტერესებულმა გამოჩენილ-

მა მხატვრებმა კ. ბრიულოვმა და ა. ვენეციანოვმა, ტარას შევჩენკოს ტყვეობიდან გამოხსნის მიზნით, ლატარიაში გაითამაშეს ვ. ყუკოვსკის პორტრეტი, რომელიც ბრიულოვის მიერ იყო შესრულებული; შეგროვილი თანხით (2500 მან.) გამოისყიდეს კიდეც იგი. ეს მოხდა 1838 წლის 22 აპრილს. ამ დღიდან შევჩენკოს ცხოვრება ახალი გზით წარიმართა.

### პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ბ ი ჯ ე ბ ი

1838 წელს შევჩენკო იწყებს სამხატვრო აკადემიაში სიარულს. აქ იგი განსაკუთრებული ინტერესით შეუდგა მეცნიერების დაუფლებას: სწავლობდა რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას, ფიზიკას, ბიოლოგიასა და სხვა მეცნიერებათა საფუძვლებს. უდიდესი ნიჭისა და არაჩვეულებრივი ბეჯითობის წყალობით მან მცირე დროის განმავლობაში მრავალმხრივი ცოდნის მიღება მოახერხა.

შეიძლება ითქვას, რომ აკადემიაში შესვლამდეც ტარას შევჩენკოს შემოქმედებაში შეიმჩნეოდა მხატვარი-პროფესიონალის ელემენტები. ასეთია, მაგალითად, მისი ნაწარმოები „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი“ (1830 წ., ფანქარი). ამ სურათში ავტორი კარგად ფლობს სინათლისა და ჩრდილის შეხამებისა და განლაგების ოსტატობას. ასეთივე აკადემიური კვალიფიციურობა და გადაწყვეტა შეგვიძლია დავინახოთ შევჩენკოს ამავე პერიოდის სხვა ნაწარმოებებშიც, როგორცაა „ქალის თავი“ (1834 წ., აკვარელი), კომპოზიცია „ლუკრეციუსის სიკვდილი“ (1836 წ.).

აკადემიაში შესვლამდე შევჩენკოს შემოქმედებაში ჩვენ ვამჩნევთ იმ ნიშანთვითებას, რომლის გაღრმავებამაც განუკუთვნა შემდგომში შევჩენკოს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი რუსული რეალისტური ხელოვნების განვითარების საქმეში. წმინდა აკადემისტური ხასიათის

ნაწარმოებების გვერდით შევჩენკო ინსტიტუტურად, სტიქიურად ქმნის რეალისტური ხასიათის სურათებს.

თუ გადავავლებთ თვალს აკვარელ-მინიატურას „ენგელჰარდტის პორტრეტი“ (1833 წ.) და შევადარებთ მას „ქალის თავს“, დაერწმუნდებით რომ მათ შორის დიდი სხვაობაა. ენგელჰარდტი ამ მინიატურაში ფსიქოლოგიურად არის გახსნილი. მსუსხავი, გამსკვალავი, წვრილი თვალები, ნერვიული, დაძაბული სახე გვეხმარება ამოვიცნოთ მასში მებატონე-ბურბონი. ასეთივე რეალისტურია „კ. ბრიულოვის პორტრეტი“ (1835 წ., ფანქარი), რომელშიაც მიგნებულია ნებისყოფიანი და, ამავე დროს, ფაქიზი არისტოკრატიული სახე მხატვრისა. დამახასიათებელია, რომ შევჩენკო ამ სურათში ტექნიკურად, შტრიხის თვალსაზრისით, სცილდება აკადემიური ხაზის დენადობასა და რბილ გადასვლას და იყენებს უფრო მკვეთრ, მოკვეთილ შტრიხებს. თუ შეიძლება ითქვას, „უწესრიგო“ შტრიხებს.

ბრიულოვის როლი შევჩენკოს ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია. იგი ბრიულოვის მიერ შესრულებულ პორტრეტებში ხედავდა გაბედულ რეალისტურ საწყისს. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მთავარი: ბრიულოვთან შევჩენკო სწავლობდა და ეცნობოდა არა მხოლოდ მხატვრობას, არამედ პომეროსისა და გოეთეს, პუშკინისა და შილერის და სხვათა შემოქმედებასაც. ბრიულოვს იგი ხშირად დაჰყავდა ერმიტაჟში და მომავალ მხატვარს აცნობდა და აყვარებდა მსოფლიოს გამოჩენილი მხატვრების — რუბენის, ველასკესის, ვან-დეიკის, ტენიერისა და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებას.

იმ დროს აკადემია „მაღალი“ ხელოვნების პრინციპებს იცავდა, მოწაფეები უმეტესად საუკუნეთა სიღრმეში მიჰყავდა და მათგან სტატიურ იდეალიზირებულ სახეთა შექმნას მოითხოვდა. შევჩენკოს სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი აკადემიაში ყოფნის დროსავე ცხოვრების

რეალისტური გააზრებით ინტერესდებოდა. ამიტომაც არის, რომ შევჩენკო თაყვანს სცემს ბრიულოვის შემოქმედებას და, ამავე დროს, დაინტერესებული და გატაცებულია ალექსანდრე ივანოვის სურათებით, სილვესტრ შჩედრინის პეიზაჟებით. მისი ყალამი ცდილობს რუსულ ხელოვნებაში რეალიზმის ყოველგვარი გამოვლენის აღქმას.

აკადემიაში ყოფნისას შევჩენკოს რამდენჯერმე აკუთვნებენ მედალს წარმატებისათვის. ხშირად იღებს ბრიულოვის სურათების ასლებს და წერს მათ ყაიდაზე. ასეთია, მაგალითად, მისი „ავტოპორტრეტი“, შესრულებული 1840 წ. სურათიდან შემოგვცქერის ახალგაზრდა ყმაწვილი, აღზნებული თვალებით, მაღალი შუბლითა და გადავარცხნილი თმებით. ამ პორტრეტში შეიმჩნევა შინაგანი სამყაროს გამოსახვის ის სისავსე და დაძაბულობა, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ბრიულოვს. ბრიულოვისავე სტილში არის დაწერილი ნ. დ. კეიკუპტოვას პორტრეტიც. მხატვარმა კარგად დაიჭირა და ასახა სილბილე, სინაზე ახალგაზრდა ქალის ფერმკრთალი სახისა, მისი მოკრძალება და სიფაქიზე, რაც ქალის ღრმა თვალების, ტანსაცმლის ფაქტურისა და სხვა კომპონენტთა დამუშავებაში ჩანს.

შევჩენკოს ძლიერ უყვარდა და ეხერხებოდა კიდევ უიშველი სხეულის ხატვა. მათდამი სიყვარული მას ბრიულოვმა ჩაუნერგა. ასეთ დროს იგი, მართალია, დეკორატიულ-„ეგზოტიური“ გააზრების ფარგლებში რჩება, მაგრამ შესანიშნავად ახერხებს ცოცხალი სხეულის გადმოცემას. ამ მხრივ მისი „ოდალისკა“ — ხარკა (1840 წ., აკვარელი, ოქრო) შედევრებს შეიძლება მიეკუთვნოს. ხელოვნებათმცოდნეები ფიქრობენ კიდევ, რომ ამ სურათით შევჩენკომ თავის მასწავლებელს გაუსწრო.

„ოდალისკაში“, სადაც ზურგშექცეული მწრლიარე ქალი არის განსახიერებული, მხატვარი კლასიკური

სულიაკვეთების შესაბამისად ფორმის სრულყოფას მის-  
დევს, მაგრამ ქალის სხეული რეალისტურად არის და-  
წერილი და ცოცხალი სხეულის განცდას გვიქმნის. აკა-  
დემისტური ატრიბუტებით შემკული „ჩაძინებული ბი-  
ჭი“ ასევე აძლევს მნახველს ცოცხალი სხეულის განც-  
დას. ამ ნაწარმოებებში შეიმჩნევა ბრიულოვის სკოლა.  
„კარლოს დიდი“ თავისი მოწაფეებისაგან განსაკუთრებით  
მოითხოვდა, რომ მათ ნატურის კლასში კარგად შეეთვი-  
სებინათ ცოცხალი სხეულის გადმოცემა.

\* \* \*

ორმოციანი წლები მხატვარ შევჩენკოსათვის ნაყო-  
ფიერი პერიოდია. ამ დროს იგი ქმნის მთელ რიგ შესა-  
ნიშნავ სურათებს.

ყურადღებას იპყრობს შევჩენკოს სურათი „კატერი-  
ნა“ (1842 წ.). ავტორის გადმოცემით, სურათი ასახავს  
კატერინას იმ დროს, როდესაც იგი თავის სატრფოსთან  
დამშვიდობების შემდეგ სოფელში ბრუნდება. სოფლის  
შემოსასვლელში ზის მოხუცი, კოვზს თლის და ამავე  
დროს კატერინას ნაღვლიანად შეპყურებს, კატერინა კ  
ძლივს იკაეებს თვალებზე მომდგარ ცრემლებს და წინ-  
საფარს ოდნავ მაღლა იწევს, რადგანაც „უკვე... ცოტა  
ემჩნევა“. ცხენზე შემჯდარი ჯარისკაცი უკანა პლანზეა,  
მას ყეფით მისდევს ლეკვი.

ნახატი ერთგვარად ბრიულოვისებურია. კატერინას  
საზე ჩაფიქრებული, ნაღვლიანი, გაფითრებულია, მაგრამ  
ყოველივე ამას პირობითი ფორმა აქვს. მისი ტანსაცმე-  
ლი გულდასმითა და გამოკვეთილად არის დაწერა-  
ლი, რაც ესოდენ დამახასიათებელია აკადემიზმისა-  
თვის. სურათში სინათლისა და ჩრდილის საზღვრები  
ტრადიციული, აკადემიური კანონების მიხედვით არის  
შესრულებული. ავტორი კატერინას მიმიკასა და გარეგ-



ნობაში რამდენიმე პირობით-იდეალისტური სილამაზის შექმნისაკენ მიიღტვის.

სურათში ჩანს ის შინაგანი ძალა, რომელიც მძლავრ რეალისტურ პროტესტს აცხადებს აკადემიური ბელოვნების გაყინვის წინააღმდეგ.

უპირველეს ყოვლისა, შევჩენკოს გაბედულებასა და სითამამეს უნდა მიეწეროს მის მიერ სურათის წინა პლანზე ორსული ქალის გამოყვანა. როგორც ცნობილია, აკადემიური კომპოზიციის ცენტრში, თუნდაც ისე მორიდებულად, როგორც ეს ამ სურათშია გაკეთებული, ქალის ამგვარად დახატვა მიუღებელი იყო.

შევჩენკოს თავისუფლებისმოყვარე სული ყოველთვის მწვავედ განიცდიდა „დედა პოკრიტკას“ ტრაგედიას. მას, როგორც პოეტს, მრავალგზის აქვს ასახული თავის შესანიშნავ ლექსებსა და პოემებში და ამჯერადაც ცდილობს მხატვრულ ტალოზე ამ ტრაგედიის ჩვენებას.

შევჩენკოს ჯერჯერობით ზეთით წერის დროს არ შეუძლია დაამხვრიოს აკადემიური ფორმები, სამაგიეროდ იგი ამ აკადემიზმს არღვევს სიუჟეტური, ჟანრობრივი შერჩევის სითამამით. ყურადსაღებია სურათის წინა და უკანა პლანს შორის სხვაობაც. თუ წინა პლანი ბრიულოვისა და აკადემიურობის დაღს ატარებს, სამაგიეროდ უკანა პლანი იმ მამხილებლური იუმორით არის შეპარულებული, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო შევჩენკოსათვის. წინა პლანი აკადემიურად „საზეიმოა“, პარადულია, ხოლო უკანა — ყოფითი, ცინიკურია, აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტონუსი უფრო „დაქვეითებულია“.

გაქცეული ძალლი, უკანა ფეხებზე შემდგარი, ერთგვარად წინა და უკანა პლანს შორის შემაერთებელი რგოლის როლს ასრულებს. თვით ამ ძაღლის ანახვაშიც კი ისმის წინააღმდეგობის ნოტები. ერთი მხრივ, ძალლი უაღრესად ჟანრულია, გამომხატველია და ვერ თავსდება აკა-

დემიურ სტილში, მეორე მხრივ, იგი ბრიულოვის „ამა-ზონკას“ მოგვაგონებს.

შეჩენკოს რეალიზმზე საუბარი თამამად შეიძლება მისი ნაწარმოების „მხატვარ ვ. ი. შტერენბერგის“ (1839—1840 წ., ფანქარი) მიხედვით. სურათში გამოხატულია შეჩენკოს აკადემიელი ამხანაგი, რომელსაც ბალიშზე უდევს თავი. ხელოვნებათმცოდნეობაში ამ სურათს ფსიქოლოგიური გამოხატვის ძალისა და სინათლის, შტრიხის გასაოცარი აქტიურობის მხრივ რეპინის სურათის „მძინარე ნორდმანის“ გვერდით იხსენიებენ.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ მხატვრის ავტობიოგრაფი (1842 წ., ზეთი), რომელიც ერთგვარად ტრადიციულ რომანტიკულ ყაიდაზეა შესრულებული, მაგრამ, ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს გამოსახვის სიმძაფრითა და სინათლისა და ჩრდილის კონტრასტული შეხამებით, რაც ესოდენ დამახასიათებელი გახდება შემდგომში შეჩენკოს შემოქმედებისათვის.

შეჩენკოს შემოქმედებაში ვხვდებით კლასიკურ თემას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მას მხატვარი ერთგვარად აუბრალობს, აძლევს რეალისტურ, ხანდახან ჟანრულ ჟღერას. მისი „ნარცისი“ სრულიად მოულოდნელად იღებს საკმაოდ ხორციელ ფორმას, ხოლო მის ზურგს უკან თავგამოყოფილ ძაღლს კი ერთგვარი დისონანსი შეაქვს მითის ესთეტიკურად გაქვავებულ, სალონურ-აკადემიურ არსში. ასევე კლასიკურ სტილშია შესრულებული „დიოგენი“, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მისი ატლეთური ტანი და ჰკვიანი, გულკეთილი, მაგრამ ამავე დროს ეშმაკური გამოხედვა, რომელშიაც ჩანს ცოცხალი ბუნებისადმი სიყვარულიცა და ინტერესიც, ერთგვარად არღვევს აკადემიზმს. დიოგენში უფრო მეტად გლახიფილოსოფოსი ჩანს. ტრადიციული დიოგენისეული ანტირაჟი ასეთი რეალისტური გადაწყვეტის დროს თითქმის დამამძიმებლადაც გვეჩვენება.

სამხატვრო აკადემიაში ყოფნის დროს ყალიბდება შევჩენკოს მატერიალისტური მსოფლმხედველობა, ფილოსოფიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებანი; პეტერბურგში იძენს მწერლის კალამი და სიტყვა პოლიტიკურ სიმანხვილეს.

დამონებულმა გლებობამ უანდერძა ტარასს ბატონყმობის სიძულვილი, დაჩაგრულმა ხალხმა უმღერა მას თავისუფლების სიმღერა, კობზარებმა გააცოცხლეს კაბუკის თვალწინ კოლიივშიჩინის სურათები.

აკადემიაში ტარას შევჩენკო ხატვის სწავლასთან ერთად პოეზიასაც არ ივიწყებდა. პოეტის გადმოცემით, მან ლექსების წერა 1837 წლიდან დაიწყო. ცივ და ქედმაღლურ სატახტო ქალაქში ახალგაზრდა ტარასი ნაღვლიანად იგონებდა საყვარელ უკრაინას. მის თვალწინ იხატებოდა სამშობლოს წარსული; ზაპოროჟელი კაზაკების ბრძოლა პოლონელი შლიახტებისა და თურქი მიმტაცებლების წინააღმდეგ; მას აგონდებოდა უკრაინის ლამაზი ბუნება — გადაშლილი ტრამალები, უძირო, მოკრიალებული ცა და მედიდური დნეპრი.

ასეთ ვითარებაში იბადებოდა ტარას შევჩენკოს პირველი ლექსები, რომანტიკული ბალადები, ელეგიები, სიმღერები და სხვ. თავის ადრეულ ლექსებში პოეტი უკრაინელი სახალხო მომღერლების — კობზარების ტრადიციას აგრძელებდა.

1840 წელს გამოვიდა ტარას შევჩენკოს ლექსების პირველი წიგნი „კობზარი“, რომელშიაც შედიოდა პოემები: „კატერინა“, „ტარასის ღამე“, „პერებენდია“, „ვერხვი“ და სხვა.

„კობზარმა“ გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. უკრაინელი მწერალი კვიტკა-ოსნოვიანენკო შევჩენკოს აღტაცებით წერდა: „დავიწყე ლექსების კითხვა... თმები ყალყზე დამიდგა. მეუღლე ქვითინებს. მე გულში ჩავიხუტე თქვენი წიგნი... კარგია, ძალიან კარგია...“

მეტის თქმას ვერ ვახერხებ“. ასევე მაღალ შეფასებას აღ-  
ლევდნენ შევჩენკოს პოეზიას ევგენი გრებინკა და ა. მეტ-  
ლინსკი.

ბესარიონ ბელინსკი ჟურნალში „ოტეჩესტვენიე ზა-  
პისკი“ აღნიშნავდა: „ბ-ნ შევჩენკოს საბელი, თუ არ  
ვცდებით, პირველად გამოჩნდა რუსულ ლიტერატურაში,  
მით უფრო სასიამოვნო იყო მისი ხილვა იმ წიგნზე, რო-  
მელიც კრიტიკის ყოველმხრივ მოწონებას იმსახურებს.  
ბ-ნ შევჩენკოს ლექსები ყველაზე უფრო აბლოს დგანან  
ეგრეთ წოდებულ ხალხურ სიმღერასთან; ისინი ისე ბუ-  
ნებრივი არიან, რომ მათ სულ იოლად მიიჩნევთ მალო-  
როსიელთა ხალხურ სიმღერებად და ლეგენდებად... ყო-  
ველივე ამასთან მისი ლექსები ორიგინალურია. ეს ტიპ-  
ტიკია ძლიერი, მაგრამ პოეტური სულისა...“

რეაქციულმა კრიტიკამ პოეტს მკაცრი ბრძოლა გაუ-  
მართა. ნიკოლოზ მარკევიჩი თავის „დღიურში“ წერდა:  
„კუკოლნიკი აკრიტიკებდა შევჩენკოს, გვარწმუნებდა,  
რომ მისი „კობზარის“ მიმართულება მავნე და სახი-  
ფათოა“.

ლიტერატურულ ფრონტზე წარმატების მიუხედავად,  
შევჩენკო პოეზიას მაინც არ უყურებდა სერიოზულად,  
ქაღალდს ვსვრი, როდესაც სევდა მომერევაო, ამბობდა  
იგი. მაგრამ ტარასი პოეტურმა შემოქმედებამ თანდათა-  
ნობით ჩაითრია.

1841 წელს ევგენი გრებინკას ალმანახში „ლასტივკა“  
გამოქვეყნდა შევჩენკოს ადრეული პერიოდის ლექსები—  
„ქარო შმაგო“, „კოტლიარევსკის მარადიულ ხსოვნას“,  
ნაწყვეტი პოემიდან „პაიღამაკები“ და სხვ. 1842 წელს  
ტარასმა რუსულ ენაზე დასწერა პოემა „ბრმა“, ამავე  
წელს ჟურნალ „მაიაკში“ გამოაქვეყნა ნაწყვეტი რუ-  
სულ ენაზე დაწერილი დრამიდან „ნიკიტა გაიდაი“. 1843  
წელს რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა აგრეთვე ალმანახში

„მოლოდიკი“, 1844 წელს ცალკე გამოიცა პოემები „გამალია“ და „ადაპი“...

1844 წელს მეორედ გამოიცა „კობზარი“, მასში შევიდა „ჰაიდამაკებიც“. „კობზარის“ უდიდეს ლიტერატურულ მნიშვნელობაზე უფრო მოგვიანებით ივანე ფრანკო წერდა: „ამ პატარა წიგნაკმა მაშინვე თვალწინ გადავიშალა პოეზიის თითქოს ახალი სამყარო, ამოხეთქა, როგორც ცივმა ანკარა წყარომ, გაბრწყინდა უკრაინულ ლიტერატურაში აქამდე უცნობი სინათლით, უბრალოებითა და გამოხატვის პოეტური გრაციით“.

ტარას შევჩენკო ფხიზლად ადევნებდა თვალს რუსულ ყურნალისტიკას, განსაკუთრებით ბელინსკის გამოსვლებს პრესაში. პროგრესული ყურნალისტიკისა და ლიტერატურის თავისუფლებისმოყვარე იდეები გავლენას ახდენენ უკრაინელი მწერლის შემოქმედებაზე; რუსული ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა თავის კვალს აჩნევს მწერლის ცხოვრებას.

შევჩენკოს ადრეული პერიოდის პოეზიაში რომანტიზმი რეალისტურ ტენდენციებზეა გადაქსოვილი. რომანტიკული ნაწარმოების გვერდით მის შემოქმედებაში გამოჩნდა თავის საფუძველში რეალისტური პოემა „კატერინა“ (1838 წ.), მიძღვნილი ვ. ა. ჟუკოვსკისადმი.

დაჩაგრული, მემამულის მიერ ფეხქვეშ გათელილი გლეხის გოგონას თემა მანამდეც მრავალგზის იყო აქაზული ლიტერატურაში. ტარას შევჩენკომ შექმნა ახალი სახე თავაშვებული პანისა და გარყვნილების მსხვერპლად ქცეული ადამიანისა, მკითხველს უჩვენა კატერინას ხვედარი, როგორც სოციალური ტრაგედია. კატერინას ტრაგიკული ბედის დახატვით პოეტი იწვევს ზიზღის გრძნობას გარყვნილი ოფიცრისადმი და მასთან ერთად მთელი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემისადმი.

ამავე თემამ ჰპოვა ასახვა შევჩენკოს მეორე პოემაშიაც „ბრმა“. მაგრამ ამჯერად პოეტი უფრო შორს მიდის.

მან პოემაში გამოხატა როგორც შეურაცხყოფილი და შე-  
გინებული ქალის ტრაგედია, ისევე ყმა-ქალის. ოქსანას  
შურისძიების გრძნობაც მისი დამლუპველი პანის მიმართ.  
მსგავს მოტივებს წავაწყდებით აგრეთვე პოემაში „მარი-  
ნა“. რომელიც ავტორმა უფრო მოგვიანო ხანაში შექმნა.

ამ თემის განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა  
პოემა „კუდიანი“. რომელშიც „კატერინა“ ცნობილი შე-  
სავლის პერიფრაზია მოცემული. პოემა „კატერინა“ ასე  
იწყება:

შავწარბანო, იმიჯნურეთ,  
მკრამ მოსკალს ხუ ენდობი:  
მოსკალები სხვა რგულია,  
დატანკავენ უბედობით.

(თარგმ. სიმონ ჩიქოვანის.)

პოემაში „კუდიანი“ ამ ადგილს კლასობრივი ელერა-  
დობა მიუღია. პოეტი მიმართავს „შავწარბანებს“ – ვის-  
თანაც გნებავთ იმიჯნურეთ. ძვირფასებო, ოღონდ პანებს  
ნუ ენდობითო.

შემოქმედების ადრეულსავე პერიოდში ტარას შევ-  
ჩენკო საგანგებოდ გამოჰკვეთს ქალის ტანჯული ცხოვრე-  
ბის საკითხს. მშრომელი ქალი სახლში თუ ბატონის კარ-  
ზე. ყველგან მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული. ქალის  
მონური მდგომარეობის შენარჩუნებას თვით სახელმწი-  
ფოს სისტემა უწყობდა ზელს.

ივანე ფრანკო, ჰქონდა რა მხედველობაში შევჩენკოს  
განწყობილება ამ თემისადმი. წერდა: „მსოფლიო ლიტე-  
რატურაში მე არ ვიცნობ პოეტს, რომელიც სრულფასო-  
ვან და ადამიანურ ცხოვრებაზე ქალის უფლებების ასე-  
თი თანმიმდევარი. ასეთი მზურვალე, ასეთი შეგნებული  
დამცველი გამხდარიყო“.

ტარას შევჩენკოს პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი თე-  
მის — ბატონყმურ სოფელში კლასობრივი ურთიერთო-  
ბის თემის — გვერდით ადრეულ შემოქმედებაში მეორე ძი-



ტ. წევნიძე. ავტოპორტრეტი. 1840—1841.





რითადმა თემამაც გაიკვლია გზა. ეს იყო უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, დამპყრობლებისა და დამმონებლების წინააღმდეგ ბრძოლის თემა.

ისტორიული თემის მხატვრულ ტილოზე გადატანის დროს მხოლოდ პუშკინმა და გოგოლმა მიმართეს არა მარტო ოფიციალურ ღოკუმენტებს, არამედ თვით უშუალო წყაროს — ხალხურ თქმულებებსა და ლეგენდებს, ლექსებსა და სიმღერებს. „კაპიტანის ქალიშვილისა“ და „ტარას ბულბას“ ბრწყინვალე გამარჯვებაში ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამაც შეიტანა თავისი წვლილი. შევჩენკომაც ეს გზა აირჩია.

ხალხის სიბრძნეს დაეწაფა პოეტი, ხალხურ სიმღერებსა და თქმულებებში ეძებდა იგი თავისი გმირების რეალურ სახეებს.

ნაწარმოებებში „ივან პოდკოვა“ (1839 წ.), „გამალეა“ (1842 წ.) რომანტიკულ სახეებშია ნაჩვენები უკრაინელი ხალხის ბრძოლის სურათები სულთანის თურქეთის წინააღმდეგ. შევჩენკო ამ ნაწარმოებებში აქებდა და აღიღებდა ზაპოროჟიელების გმირობასა და მამაცობას, რომლებიც თავდადებულად იცავდნენ სამშობლოს.

ასევე აისახა პოემებში „ტარასის დამე“ (1839 წ.) და „ჰაიდამაკები“ (1841 წ.) პოლონეთის შლიახტის წინააღმდეგ ბრძოლა და გლეხთა დიდი აჯანყება.

მგოსანი უმღეროდა ხალხის ისტორიულ წარსულს, მის თავდადებას დამოუკიდებლობისა და ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში და, ამავე დროს, გვიხატავდა მშრომელი ხალხის ცხოვრების საშინელ პირობებს.

შევჩენკო თავის ნაწარმოებებში ასახავდა ისეთ ისტორიულ მოვლენებსა და სურათებს, რომელთაც თანამედროვეთა გულეებში რისხვის დაბადება და თვითმპყრო-

ბელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ხალხთა ზიზღისა გამწვავება შეეძლებოდათ. ამით იყო მისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული თემატიკა:

ისტორიკოსს შეჰფერს წეროს  
აზატ ხალხის სიმღერები!  
ჩვენ რას ვაქნევთ გლაზაკ ბრუტებს,  
რომიც ღმერთმა შეაჩვენოს!  
ბრუტები და კოკლასები  
დიდებულნი გვეყვანან ჩვენნი!..

დაუკვირდით უფრო კარგად,  
წაიკითხეთ ხელმეორედ  
თქვენ დიდების ისტორია, —  
სიტყვა-სიტყვით, მართლად სწორედ;

\*ვინ გაგვიდა, რად და რისთვის?  
სცნობთ თქვენს ბრუტებს რაც ღვაწლი აქვთ  
თავისუფალ ცხოვრებისთვის.

(„მკედრებსა და ცოცხლებს და ჯერ არშობილ თანამემამულეებს“ — თარგმ. გრიგოლ ცეცხლაძისა)

ასე მიმართავდა პოეტი თავის თანამედროვეებს.

მგოსანი ისტორიული წარსულის ასახვის დროს უმდეროდა ხალხთა რევოლუციურ ბრძოლას მჩაგვრელი პანების წინააღმდეგ და, ამავე დროს, არსებული წყობილების, ბატონყმური სისტემის მიმართ მკაცრ რევოლუციურ პროტესტს გამოსთქვამდა.

თავის პოემაში „ჰაიდამაკები“ ტარას შევჩენკომ თვალწინ გადაგვიშალა გლეხთა მოძრაობის დიადი სურათი, რომელიც სიმართლისა და თავისუფლების მოპოვებისაკენ იყო მიმართული.

1768 წელს უკრაინაში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ. მრავალტანჯულმა ხალხმა ველარ აიტანა ამდენი ჩაგვრა და პანების წინააღმდეგ მანვილი აღმართა. აჯანყების ცეცხლი სწრაფად მოედო სოფლებს. ხალხის აზვირთებული ტალღა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

მეფის ხელისუფლებამ სასწრაფოდ მიიღო ზომები —  
ჯარი გადმოისროლეს გლახობასთან საბრძოლველად. სის-  
ხლისმღვრელი შეტაკებების შემდეგ მოხერხდა აჯანყების  
ჩაქრობა. ორიათასზე მეტი გლახი დაეცა ბრძოლის ველ-  
ზე. მაგრამ მეფის ხელისუფლებას შიში მაინც არ გაუ-  
ნელდა, იგი კვლავ განაგრძობდა „კოლიევშიჩნას“ მომხ-  
რეების დევნას, ელანდებოდა მოსალოდნელი აჯანყების  
ცეცხლი.

გლახთა ეს მასობრივი აჯანყება ხალხში დიდი პოპუ-  
ლარობით სარგებლობდა და მისით გამოწვეული შთაბეჭ-  
დილებანი დიდხანსაც ცოცხლობდა.

„ჰაიდამაკების“ თემა შევჩენკოს, როგორც ბიოგრა-  
ფები ფიქრობენ, ბრიულოვის სახელოსნოში მუშაობისას  
უნდა დაბადებოდა. „მისი (ბრიულოვის — ო. ბ.) საოცა-  
რი ნაწარმოებების ცქერისას ფიქრებს ვეძლეოდი და  
გულში „ბრმა კობზარისა“ და ჩემს სისხლს მოწყურე-  
ბულ „ჰაიდამაკებს“ ვეაღერებოდი“, ასე წერდა პოეტი  
თავის „დღიურში“.

ამ თემაზე შექმნილ პოლონურ თუ სხვა ნაწარმოებ-  
თაგან მგოსნის პოემა თავისი რევოლუციური ხასიათით  
გამოირჩევა. XVIII საუკუნის ჰაიდამაკობა ქვემარა-  
ტად გლახთა ანტიბატონყმური ხასიათის მოძრაობაა. ასე  
ესმოდა ეს შევჩენკოს და ამიტომაც დგას იგი მისი თანა-  
მედროვე ბურჟუაზიულ-ლიბერალურ კრიტიკაზე მაღლა.

პოეტი თემის დამუშავებას მთელი სერიოზულობითა  
და გულმოდგინებით მიუდგა. შევჩენკო „ჰაიდამაკების“  
შესავალში პირდაპირ აღნიშნავს, რომ „იმის შესახებ, რაც  
1768 წელს მოხდა უკრაინაში, ვყვები ისე, როგორც მო-  
ხუცებისაგან მომისმენიაო“. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,  
რომ იგი მხოლოდ ბავშვობისდროინდელი განცდებით  
ფიქრობდა შემოფარგვლას. პეტერბურგული შთაბეჭდი-  
ლებებით გონებაგახსნილი ტარასი ახლებურად უყუ-

რებდა მოვლენებაც და ისტორიასაც. შევჩენკოს ბიო-  
გრაფები მრავალ ლიტერატურულ წყაროზე მიუთითებენ,  
რომელთათვისაც „ჰაიდამაკებზე“ მუშაობის დროს შე-  
ეძლო მიემართა პოეტს.

ტარას შევჩენკო თავის ნაწარმოებში ჰაიდამაკობას  
გვიხატავს როგორც სოციალურ მოძრაობას.

გაიდამაკთა განვლეს მაშინაც  
თავის ცხოვრება ლხინით, წამებით  
და ერთი წელი მთელს უკრაინას  
პანების სისხლის რწყავდა ღვარები.

(თარგმ. კოლაუ ნადირაძისა)

„კოლიევშჩინას“ ასახვის დროს ავტორი გვიჩვენებს  
პოლონეთის შლიახტის ბატონობის წინააღმდეგ მიმარ-  
თული ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის  
ძირითად ძალას — გლეხობას. გლეხობა „ჰაიდამაკების“  
მთავარი გმირია. იგი აღდგა პანების წინააღმდეგ საბრ-  
ძოლველად.

გამბობთ სრულად გარდასულ ამბავს,  
გავფანტავ სევდას, გულში რომ სძინავს.  
თუნდაც სიზმარში, წამით და სწრაფად  
კვლავ დავინახავ ჩემს უკრაინას.

გაიდამაკთა ნაკვალევს ვნახავ —  
პათ დანებს თითქოს ხელით ვეხები —  
ვეწვევი მინდვრებს, გზებს გადავლახავ,  
მე რომ ვთელავდი ბავშვურ ფეხებით...

ჰყვებოდა ბაბუ, როგორ დასწევს კორსუნი, სმელა,  
როგორ ხოცავდნენ დაუნდობლად ლიახებს, პანებს.  
შიში იპყრობდა ჩვენს მეზობლებს, თითქოს ხელავდნენ  
გაიდამაკთა მოელვარე და „ნაკურთხ“ დანებს.

პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირია არაისტორიული  
პიროვნება იარემა გალაიდა. იგი ხალხის ყველაზე დაჩაგ-  
რული ნაწილის — მოჯამაგირეთა წრიდანაა გამოსული.

რევოლუციურმა ქარცეცხლმა ისიც გაიტაცა. გალაიდა ხალხის საყვარელი გმირი, პანების უღმობელი მტერი გახდა.

გალაიდა აღარ სცხრება,  
ხმას უმატებს ბრძოლის კიეინს...  
— მომეც ღიახი...  
მათი სისხლი კიდევ მინდა,  
მათი ხოცვა, მათი ელეტა  
მწყურია და არ მომწყინდა.

ტარას შევჩენკომ ღიახების წინააღმდეგ საერთო სახალხო ბრძოლის თემაში ოსტატურად ჩააქსოვა იარემასა და ოქსანას ტრფობის ისტორია. ოქსანასადმი სიყვარულთან დაკავშირებით ავტორმა გადაგვიხსნა გალაიდას შინაგანი სამყარო თავისი რთული ადამიანური განცდებით.

როგორც ბიოგრაფები აღნიშნავენ, გალაიდას მხატვრულ სახეს რევოლუციური, სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა. პოეტს სურდა მის მაგალითზე ეჩვენებია, რომ უშუალოდ ხალხთან კავშირს, ხალხის ინტერესებით გამსჭვალვას შეუძლია ადამიანში გმირული სულის შთაბერვა. მხოლოდ აჯანყებულ ხალხთან ახლოს მისვლამ, მათი სულისკვეთებით გამსჭვალვამ გააკაჟა გალაიდას ნებისყოფა, გაუმაგრა მას მკლავი და გული, უკანმოუხედავად წაიყვანა პანების წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ბრძოლაში. ხალხის თავისუფლებისათვის, ადამიანური უფლებებისათვის ბრძოლა არის ერთადერთი სწორი გზა და ამ გზას უშიშრად დაადგა იარემა გალაიდა.

ნაწარმოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კობზარს — ვოლოხს. როგორც ცნობილია, კობზარები თავიანთი ზიმღერებითა და სიტყვებით ერთგვარად ეხმარებოდნენ ხალხს მეგრძოლი სულისკვეთების შენარჩუნებაში. ასეთივეა ვოლოხის როლიც. მის სიმღერებში ნათლად გამოსჭვივია თვით ხალხის განწყობილება. იგი მოუწოდებს ხალხს:

შეიარაღდით დანებით.  
ნაკურთხი დანა ნახევით,  
ბატკო მაქსიმეს გაჰყევით,  
გამოაღვიძეთ ლიახები,  
იმ ლამით არვინ იძინოს,  
რომ ჯოჯოხეთმაც იცინოს,  
ხანძრებით ცას გაეახარებთ...

ჰაიდამაკთა აჯანყების მეთაურებად პოემაში გამოყვანილი არიან ისტორიული პირებიც — გონტა და ჟელეზნიაკი. მაქსიმ ჟელეზნიაკი პოეტს დახატული ჰყავს როგორც სახალხო აჯანყების საყოველთაოდ აღიარებული ბელადი. „ჩვენ კი ერთი უფროსი გვყავს, ბატკო მაქსიმეო“ — ნათქვამია ნაწარმოებში. ხალხი მას აქებდა და აღიღებდა თავის სიმღერებში.

კობზარების სიმღერებში ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ მათი ბელადი მაქსიმე წარმოშობით გლეხთა უღარიბეს ფენას ეკუთვნის:

არა აქვს ბინა, არცა ბაღები,  
არც სახელმწიფო მკვიდრი,  
ზღვები, ველები, უსაზღვრო გზები, —  
ოქროს საპოვნად მიდის.

„ბატკო მაქსიმე“ მამაცი და მრისხანე მეომარია. იგი „მტრებს ბრძოლებში გამეხებული — არ ააცილებს ხმალსა“. მაგრამ, ამავე დროს, გულმართალი და კეთილი ადამიანიც არის.

სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე გონტას დახატვისას. გონტას სახე პოემის მხოლოდ ბოლო თავშია გამოყვანილი. მისი ხასიათის სიმტკიცე და შეუპოვრობა განსაკუთრებული სიძლიერით ჩანს საკუთარი შვილების დახოცვის ეპიზოდში. გონტას ცოლს ქმრისაგან მალულად კათოლიკეებად გაუზრდია ბავშვები. მათში მამა უკვე ხალხის მომავალ მტრებს ხედავს. მართალია, ავტორი აქ სცილდება ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ პოეტს სურ-

და ამით ხაზი გაესვა გონტას ერთგულებაზე აჯანყებული ზალხისადმი. მან ხომ ფიცი მისცა ხალხს და რაღაც არ უნდა დაუჯდეს, მისი ერთგული უნდა დარჩეს ბოლომდე.

ამაზრუნია სიკვდილით დასჯის სცენა. გაბოროტებული და გონებაარეული მამა, რომელმაც „წმინდა ხანჯალზე დადვა ფიცი“, თითქოს რაღაც გამოსავალს ეძებს ამ მდგომარეობიდან, როდესაც ბავშვებს შესჩივის:

რატომ არა გაქვთ ძალ-ლონე მკლავში  
არ მეხმარებით ლიახების კვლაში?

განწირული ბავშვები პირდებიან მამას „დაგეხმარებით, მამა, გაგყვებით“, მაგრამ ფიცით შეკრულ გონტას ველარაფერი აჩერებს:

ცაა მოწამე და ღმერთმაც იცის —  
თქვენ დაგკლავთ არა მამის ხელები,  
არამედ ჩემი უტეხი ფიცი!

ამბობს გონტა და იძრობს მახვილს. ბავშვები მიწას დაემხნენ მწარე კივილით

—მამა, ჩვენ არ ვართ, არ ვართ ლიახები!—  
ისმოდა ერთხანს მათი ჩივილი.  
შემდეგ მათი ხმაც ნელი-ნელ მიწყდა...

მუსრი გაავლეს მტრებს ჰაიდამაკებმა. ყველა ზეიმობს. მაგრამ სადღაა გონტა? რატომ არ ჩანს იგი დღეს კაზაკებთან? ის თითქოს გაქრა და შემდეგ აღარავის უნახავს. გონტა კი ამ დროს „შავ ტანსაცმელში“ მტრების გვამებში გამალებით ეძებს რაღაცას. იპოვა კიდევ იგი ნახავს თავისი ყმაწვილების უსულო გვამებს და „ნაკურთხი“ დანით გაუთხრის საფლავს.

დატანჯულ გონტას მოესმის თითქოს:  
„მამა, ლიახნი არა ვართ ჩვენა!“

ის წითელ ბაღდადს ჯიბიდან იღებს  
და დახოცილთა სახეს აფარებს.  
უკოცნის თვალებს. პირჯვარსაც ჰსახავს,

ჩემად დასცქერის, ხელს ვერ აკარებს.  
ტირის და გოდებს, დასდის ცრემლები,  
თავეს უსწორებს ხელის კანკალით.  
„ხედავთ, შეილებო, ჩემს უკრაინას —  
მისთვის დაგზოცეთ, მისთვის დაგკალით!“

ლიტერატურის ისტორიამ ხალხის საქმისათვის, ერის საქმისათვის თავდადებულთა მრავალი სახელი შემოგვინახა, „ფიცით შეკრულთა“ მრავალი ტრაგედიის მოწამე გაგვხადა. მაგრამ მათ შორის, ვინც თავისი კალმით მკითხველის სულის სიღრმეს ჩაწვდა და ტრაგედიის მთელი სიმწარე და გარდუვალობა განაცდევინა, ტარას შევჩენკო თავისი „ჰაილამაკებით“ უპირველესთაგანი უნდა იყოს.

ტარას შევჩენკოს უდიდესი დამსახურება ისიც არის, რომ მის ნაწარმოებში აისახა გლეხთა სტიქიური მოძრაობის ძლიერი და სუსტი მხარეებიც, გაგვიმარტა აჯანყების გამომწვევი ძირითადი სოციალური მიზეზი — პანების მიერ გლეხობის უმოწყალო ჩაგვრა. ამავე დროს, როგორც ეს აღნიშნულია მეცნიერულ ლიტერატურაში, პოემის აქტუალობა იმაში მდგომარეობდა, რომ პოეტი მასში აშკარად გამოხატავდა დაჩაგრული გლეხობის არასაკმაო აქტიურობით გამოწვეულ უკმაყოფილებასაც.

შეიძლება ითქვას, ეს იგივე უკმაყოფილებაა, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენლების სიტყვებშიაც გაისმა. ამის გამო აღნიშნავ. ი. ლენინმა: „ჩვენ გვახსოვს, თუ რა თქვა ნახევარი საუკუნის წინათ ველიკორუსმა დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავდა რევოლუციის საქმეს: „საცოდავი ერი, მონების ერი, თავიდან ბოლომდე ყველა მონაა“. აშკარა და ფარულ მონა-ველიკორუსებს (მონებს მეფის მონარქიის მიმართ) არ უყვართ ამ სიტყვების გახსენება. ჩვენი აზრით კი, ეს იყო სიტყვები სამშობლოს ნამდვილი სიყვარულისა, ისეთი სიყვარული-



სა, რომელიც კაეშანს შეუპყრია, რომ ველიკორუსი მოსახლეობის მასებში რევოლუციურობა არ არის. მაშინ ეს რევოლუციურობა არ იყო. ახლა იგი ცოტაა, მაგრამ უკვე არის“<sup>1</sup>.

პროგრესულად განწყობილმა საზოგადოებამ პოემა აღტაცებით მიიღო. კვიტკა-ოსნოვიანენკო 1841 წლის 22 მარტს შევჩენკოს სწერდა: „თქვენი „ჰაიდამაკები“ — დიდებული რამ არის. წავუკითხე იგი ზოგ ჩვენთან — ძლიერ აქებენ“. ასეთივე მაღალი შეფასება მისცა ამ ნაწარმოებს ნ. ა. დობროლიუბოვმა.

1843 წელს ტარას შევჩენკო ამთავრებს დრამას „ნაზარ სტოდოლიას“. ამ ნაწარმოებში მან წარმოადგინა მეჩვიდმეტე საუკუნის უკრაინის სინამდვილე. მიუხედავად იმისა, რომ დრამაში კონკრეტული ისტორიული პირობები არ არიან გამოყვანილი, მასში ფართოდაა მოცემული ისტორიული მდგომარეობა, დახატულია კაზაკთა ფენებში სოციალური და ყოფითი ურთიერთობის სცენები.

უკვე ადრეული პერიოდის შემოქმედებაშივე გამოვლინდა ტარას შევჩენკოს ნიჭის გენიალურობა, მისი შემოქმედების ჭეშმარიტი ხალხურობა, მხატვრულ სახეთა ტიპიურობის გამოკვეთის საოცარი უნარი, მოვლენათა ფილოსოფიური გააზრებისა და ღრმა განზოგადების ბრწყინვალე ოსტატობა. პოეტი თავისი დიდი შემოქმედებითი გზის პირველივე მონაკვეთზე მოგვევლინა როგორც ნოვატორი შემოქმედი. მისი მხატვრული მემკვიდრეობა ახლოს დგას ხალხურ შემოქმედებასთან, მისი ლექსი უაღრესად მელოდიური და ჟღერადია, ენა — ხალხური.

მიუხედავად ამისა, ადრეული პერიოდის შემოქმედებაში შევჩენკომ ვერ შესძლო სრულად გამოველინა თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე მწვავე კლასობ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 112.

რევი ბრძოლის არსი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის თაობაზე ის ჯერ კიდევ აყალიბებდა თავის შეხედულებას. ტარას შევჩენკო თანამედროვე თემებზე დაწერილ ლექსებსა და პოემებში ასახავდა ხალხთა ტრაგიკულ ბედს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათში გამოკვეთილად ვერ გვიჩვენებდა ხალხის უბედურების ნამდვილ მიზეზსა და მის ქეშმარიტ მტერს — ცარიზმს.

უკრაინელი ტიტანი ძალასა და გონებას იკრებდა, ცოდნასა და გამოცდილებას იძენდა.

40-იან წლებში თანდათან ფართოვდება შევჩენკოს პეტერბურგელ ნაცნობ-მეგობართა წრე. პოეტი დედაქალაქის ბევრმა ლიტერატურულმა წრემ აღიარა და მიიღო. ამაშიაც, რა თქმა უნდა, ეუკოვსკის ავტორიტეტმა მცირე როლი როდი შეასრულა.

## უ კ რ ა ი ნ ი ს ა ბ ე ნ

1843 წლის 13 აპრილს ევგენი გრებინკასთან ერთად შევჩენკო უკრაინისაკენ გაემგზავრა. თხუთმეტიოდე წლის წინ დატოვა უკრაინა ტარასმა, დატოვა საძუღამოდ როგორც ყმამ და ახლა უბრუნდებოდა მას როგორც სახელგანთქმული პოეტი.

პეტერბურგიდან წამოსვლის წინ შევჩენკო ერთ თავის ახალ ნაცნობს, იმ დროის ცნობილ მეცენატს, მემამულე გრიგოლ ტარნოვსკის წერდა: „აღდგომის გასვლამდე როგორმე თავს დავალწევ და პირდაპირ თქვენსკენ გამოვეშურებიო“.

ტარას შევჩენკო პირველად ამ ტარნოვსკის ესტუმრა კაჩანოვკაში. ამ სოფელში ადრე დრო გაუტარებიათ გლინკასა და გოგოლს, გულაკ-არტემოვსკისა და მარკევიჩის, შტერენბერგსა და სხვებს. პოეტს სიხარულით შეხვდნენ, საუკეთესო ოთახები გამოუყვეს.

გემოვნებითა და საქმის ცოდნით გაკეთებული სახელოსნო და ფანჩატურები იზიდავდნენ შემოქმედს. მაგ-

რამ თვით ტარნოვსკიში იყო რაღაც მძიმე და ცივი, რაც შეეჩენკოს ხასიათს უფუქებდა, ფრთებს უკვეცავდა მის შემოქმედებით აღმაფრენას. სტუმრებზე განსაკუთრებით უსიამოვნოდ მასპინძლის თვითდაჯერებულობა, ახირებულობა მოქმედებდა. იყო ასეთი შემთხვევაც.

სალამო უამს ვახშმად სხდებოდნენ. მსახურები სწრაფად და უხმაუროდ შლიდნენ სუფრას. ყმათა ორკესტრი ასრულებდა გლინკას ოპერას „რუსლანი და ლიუდმილა“. ტარნოვსკი, ვითომ სხვათა შორის, ამაყად ეუბნებოდა სტუმრებს — დიახ, ჩვენ კარგად გავატარეთ დრო, როდესაც გლინკა ჩემთან მამულში წერდა თავის „რუსლანს“... გლინკა კმაყოფილი იყო ჩემი ორკესტრით... შემდეგ ტარნოვსკის განკარგულებით ორკესტრი გადავიდა ბეთჰოვენის „გმირული“ სიმფონიის შეარულებაზე. უეცრად ტარნოვსკიმ ასწია თითი და სტუმრებს მიმართა — აი ეს ადგილი... მე ჩავრთე... დიახ... ჩვენ ბეთჰოვენსაც ვუსწორებთ!

ტარნოვსკი პრეტენზიას აცხადებდა ხელოვნების ცოდნაზე, მფარველობდა ხელოვნებს, იმით ამაყობდა, რომ მისი სახლი სახელგანთქმული არქიტექტორის, რასტრელის პროექტით იყო აშენებული, რომ მის ბინაში იქმნებოდა „რუსლანი და ლიუდმილა“, რომ მისი მეგობრები იყვნენ ხელოვნების ქურუმები და სხვა. ამაყობდა ამით და თავი ჰუმანისტად, კაცთმოყვარედ მოჰქონდა.

სინამდვილეში კი მისი კაჩანოვკა ტრაგიკულ საიდუმლოებათა სასაფლაო იყო.

კაჩანოვკაში მოისმინა შეეჩენკომ ყმათა მიერ მოთხრობილი საშინელი ამბები. გლეხებმა ტარასს ანახვეს მოსამსახურე გოგონას საფლავი, რომელიც ამ მემამულის დამ თავში ცხელი უთოს დარტყმით მოჰკლა, და მერე რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ დროზე ვერ მოუსწრო ქალბატონს კაბის დაუთობა.

ერთხელ, უკრაინაში ყოფნის დროს, პოეტი ერთმა

პოლტაველმა მემამულემ მიიპატიჟა შინ. კარებში შესვლისას. შევჩენკომ შენიშნა, რომ მსახურს ჩასძინებოდა. მემამულემ, მოჰკრა თუ არა თვალი მთვლემარე მსახურს, მოურიდებლად დაუწყო ცემა საბრალოს. შეურაცხყოფილი შევჩენკო მაშინვე უკან გაბრუნდა.

პერეიასლავშინელი პლატონ ლუკაშევიჩი ცნობილი იყო ლიტერატორთა წრეში. 1836 წელს მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეადგინა და გამოსცა „მალოროსიული და ჩერკონორუსული ხალხური ფიქრები და სიმღერები“. იგი იყო გოგოლის ლიცეუმის პერიოდის ამხანაგი, ახლოს იცნობდა გლინკას, ჩეხ პოეტს იან კოლარს, უკრაინელ მწერლებს გოლოვაკისა და სხვებს. მის ჰუმანიზმში თითქოს ეჭვი არავის არ უნდა შეჰპარვოდა.

ლუკაშევიჩმა გაიცნო შევჩენკო და ერთხელ მასთან თავის მსახურს წერილი გაატანა, თან დააბარა, ამ დამითვე უკან დაბრუნდით. საშინელი ყინვიანი დამე იყო. 30 ვერსზე მეტი, დამით, ქარბუქში ფეხით უნდა გაველო მსახურს. შევჩენკომ სთხოვა მას დარჩენილიყო, დამე გაეთია და დილით გამგზავრებულიყო უკან. მაგრამ მსახური არ დათანხმდა. ბატონის რისხვის ძალა იცოდა.

აღელვებულმა შევჩენკომ პან ლუკაშევიჩს წერილი მისწერა — თქვენ ამბობთ, რომ გიყვართ უკრაინა, მის ხალხს კი დასცინით და ტანჯავთო.

ამ ბარათით განრისხებულმა ლუკაშევიჩმა შევჩენკოს ქალაქის ნაფლეთზე დაწერილი ბარათი გამოუგზავნა: „შენისთანა რეგვენი მე სამასი სული მყავსო“.

შევჩენკოს თავმოყვარეობა კიდევ ერთხელ შელახეს.

პოეტმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ბატონყმური მათრახი. ახლა იგი დარწმუნდა, რომ უკრაინაში არაფერი არ შეცვლილა. მართალია ზოგიერთი მებატონე უკრაინოფილობდა და ცდილობდა ხალხის მოყვარულად მოეჩვენებინა თავი, მაგრამ გლეხებისათვის იგი მაინც კაცთმოძულე, მრისხანე და უღმობელ მებატონედ რჩებოდა.

ამ მდგომარეობით გულგაბზარული პოეტი, უკვე გადასახლებაში მყოფი, ჰკიცხავს ტარნოვსკებსა და გალაგანებს, ჩუებინსკებსა და ლუკაშევიჩებს, სკოროპადსკებსა და სხვებს, რომელთაც დაივიწყეს ადამიანი, ხელი ჩაიქნის სინიღისზე და ბოროტება ღმერთად იწამეს:

ახლაც გულს მიკლავს, რომ მახსენდება  
გოთიურ სახლზე საათი ძველი.  
შიშველი გლეხი წარმომიდგება  
და გაძარცული ირგვლივ სოფელი.

ვერაგ პეტმანის შთამომავალი,  
სეირნობს იგი, ბატონი დიდი,  
ზარმაცი, ღორი გასუქებული,  
ღრმა პატრიოტი, ამასთან ფლიდი  
და ქრისტიანე, ჩვენში ქებულა.

უნდა ავუვსოთ მას ფურთხით თვალი.  
რად არ გავსრესათ? ეჰ, ხალხო, ხალხო...

(„პ. ს.“ — თარგმ. იასამანისა)

ასეთი მძიმე და გულისგამტეხი იყო უკრაინაში ჩასული პოეტის პირველი შთაბეჭდილებანი. შევჩენკომ შეწყვიტა მდიდარ მემამულეებთან სიარული და, შეიძლება ითქვას, ნაცნობობაც.

1843 წლის ივნისში ტარასმა კვლავ ევგენი გრებინკას მიაშურა. აქ ამოითქვა სული პოეტმა. გრებინკასთან შევჩენკო გაეცნო ტატიანა ვოლხოვსკაიას, მისი მეშვეობით კი — ალექსი ვასილის ძე კაპნისტს, ცნობილი პოეტის შვილს.

ალექსი კაპნისტი თავის ძმასთან, სიმონთან ერთად ღირე „კეთილდღეობის კავშირის“ წევრი იყო. სიმონს მეფის მიერ დასჯილი დეკაბრისტი სერგეი მურავიოვ-აპოსტოლის და ჰყავდა ცოლად. დეკაბრისტების აჯანყების ჩახშობის შემდეგ ალექსისაც შეეხო რეაქციის სუსხიანი ხელები: იგი დააპატიმრეს და ჩასვეს პეტრე-პავ-

ლეს ციხეში, მაგრამ გადასახლებას გადარჩა. ჩამოვიდა უკრაინაში და კოვალიოვკაში დასახლდა.

ალექსეი კაპნისტი საქსონიის ყოფილი მეფისნაცვლის, მალროსიის ყოფილი გენერალ გუბერნატორის, ნიკოლოზ გრიგოლის ძე რეპნინის (ვოლკონსკის) ნათესავი და, ამავე დროს, მეგობარიც იყო. რეპნინის ძმა, სერგეი ვოლკონსკი ცნობილი დეკაბრისტი იყო; იგი მეფემ პირველი კატეგორიის დამნაშავეებს მიაკუთვნა და ოცი წლით გადაასახლა ნერჩინსკის მალაროებში სამუშაოდ. ადრე რეპნინებთან ცხოვრობდა სერგეი ვოლკონსკის მეუღლე მარია ნიკოლოზის ასული (რაევსკაია), პუშკინის „ფარული სიყვარული“, რომელიც 1821 წელს იაგოტინიდან გაემგზავრა თავის მეუღლესთან შორეულ ციმბირს (როგორც ცნობილია, ვოლკონსკის ცოლი შემდეგში ნ. ნეკრასოვმა გამოიყვანა თავის პოემაში „რუსი ქალები“).

შევჩენკომ ალექსეი კაპნისტის საშუალებით გაიცნო რეპნინები. 1843 წლის ივლისში შევჩენკო თავადმა თავისთან მიიწვია. რეპნინები გულთბილი ადამიანები აღმოჩნდნენ და თავიანთი დამოკიდებულებით მოხიბლეს პოეტი. შევჩენკომ თითქმის მთელი ზამთარი მათთან გაატარა. ახალ, 1844 წელსაც მათ ოჯახში შეხვდა.

რეპნინებთან ყოფნისას იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა თავადის ქალს ვარვარა რეპნინას. როგორც ჩანს, ტარასის მიმართ ვარვარას ნაზი და ღრმა გრძნობებიც აღძვრია. აი რას სწერს იგი თავის სულიერ მოძღვარს შარლ ეინარუს 1844 წლის 27 იანვარს: „ბევრჯერ ვესაუბრე მას, ვესაუბრე გულახდილად იმ გრძნობაზე, რომელიც მის მიმართ აღმძვრია... მინდა, რომ ის კეთილი, წმინდა და დიადი იყოს... მე მიყვარს ის და არ უარვყოფ, მასაც რომ ვამჩნევდე ჩემდამი სიყვარულს, მთელის გრძნობით ვუპასუხებდი“.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთ ბედნიერებას ვერ მოესწრო რეპნინა. უალრესად დიდი იყო სხვაობა შევჩენ-

კოს მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც საზოგადოებაში რეპნინებს ეკავათ. მიღებულმა ზომებმა ერთგვარად შეანელეს, შემდეგ კი ჩააქრეს ანთებული გრძნობები.

უკრაინაში შევჩენკოს პირველმა მოგზაურობამ ათ თვეს გასტანა, ეს იყო ახალი შთაბეჭდილებებით ავსების პერიოდი. პოემაში „ალაპი“, რომელიც პოეტმა ვარვარა რეპნინას მიუძღვნა, კვლავ ახშიანდა „ხალხისათვის თავგანწირვის“ მოტივები. მასში აშკარად გამოსკვევის პროტესტი თვითმყრობელური წყობისადმი.

### პ ე ტ ე რ ბ უ რ გ შ ი    დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

1844 წლის დამდეგს შევჩენკო პეტერბურგისაკენ გაემგზავრა და გზად მოსკოვში გაჩერდა. იქ დაუმეგობრდა ისტორიკოს ოსიპ ბოდიანსკის და ცნობილ მსახიობს მიხეილ შჩეპკინს, რომელმაც დადი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე. შჩეპკინს მიუძღვნა ტარასმა ლექსი „ჩიგრინე, ჩიგრინე“. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ ლექსით იწყება შევჩენკოს ლექსთა ხელნაწერი კრებული „სამი წელი“.

შჩეპკინს ძლიერ მოსწონდა ეს ლექსი და მას ხშირად უკითხავდა მეგობრებს.

ბიოგრაფების ცნობით, შევჩენკო ამავე პერიოდში გერცენისა და ბელინსკის მოღვაწეობით დაინტერესებულა. პოეტი თვალს ადევნებდა გერცენისა და ბელინსკის ლიტერატურულ საქმიანობას და განიცდიდა მათ გავლენას. „ბობოქარი ბესარიონის“ ღრმაშინაარსიანი სტატიების კვალდაკვალ უკრაინელმა მგოსანმაც სიხარულით აღიარა გოგოლის შემოქმედებაში კრიტიკული რეალიზმის გამარჯვება, განსაკუთრებით აღაფრთოვანა იგი „მკვდარმა სულებმა“. ამით უნდა იყოს გამოწვეული 1844 წელს ლექსი „გოგოლს“, რომელშიც შევჩენკო თავის შე-

მოქმედებით სამოღვაწეო პროგრამას გოგოლისას უღა-  
რებს:

ყველა ყრუა. დაბორჯილი,  
მონა, პო და ასე —  
შენ იცინი, მე კი ვტირი,  
ძმავ, უძმესო ძმაზე,  
ან აღადგენს ცრემლი განა,  
რაც დაემარხეთ იმას...  
ვერ გასძახოს ქვემეხთ ხმამა  
ლაღად უკრაინას...  
ვერც შვილს დაქლავს მამა რისხვით  
ხელი უცახცახებს:  
რომ აპკუროს მისი სისხლი  
სამშობლოს და სახელს.  
კი არ დაქლავს, გაზრდის მორჩილს,  
გაზღეს ჯარისკაცი...  
დასჭირდება მეფეს ომში  
საწყალ ქვრივის ღვაწლი.  
ო, ეს არის ტახტის წინო,  
სამშობლოსთვის ხარკი...  
ჩვენც ვიცინოთ. ვიქვითინოთ,  
კარგი ძმაო. კარგი..

(თარგმ. დავით გაჩეჩილაძისა)

ბელინსკისა და გერცენის რევოლუციურ-დემოკრა-  
ტიული იდეების გავლენას ტარას შევჩენკოსთან ერთად  
რუსეთისა და უკრაინის მოწინავე ახალგაზრდობა განიც-  
დიდა. მათ შორის ყველაზე გაბედული. ყველაზე რადი-  
კალური შეხედულების ადამიანები ერთიანდებოდნენ  
წრეებსა თუ საზოგადოებებში. ქმნიდნენ ლეგალურ თუ  
არალეგალურ ორგანიზაციებს.

ერთ-ერთი ასეთი წრე იყო მ. ვ. ბუტაშევიჩი-პეტრა-  
შევსკის წრე, რომელიც პეტერბურგში 40-იან წლებში  
ჩამოყალიბდა. ცნობილია, რომ შევჩენკო ახლო ურთი-  
ერთობაში იყო წრის ზოგიერთ წევრთან.

პეტრაშეველებისა და რევოლუციონერ-დემოკრატი





ტ. შევჩენკო. კატერინა. 1842.



იდეური გავლენა შევჩენკოზე, უპირველეს ყოვლისა, აისახა მის შემოქმედებაში, ამ პერიოდში შექმნილ ლექსებში. მოწინავე იდეოლოგიამ, საზოგადოებრივმა აზრმა ტარას შევჩენკოს საშუალება მისცეს ახლებურად შეეხედა ცხოვრებისათვის და რეალური დასკვნები გაეკეთებია. ცხოვრებისეულ მოვლენათა ეს ახლებური გაგება მის ლექსთა კრებულში გამოჩნდა.

პეტრაშეველები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შევჩენკოს ამ პერიოდის პოეზიას. მასში ისინი ხედავდნენ რევოლუციურ ნაპერწკალს. რომელსაც უკრაინის „ბნელ ღამეში“ ადვილად შენიშნავდა თავისუფლებას მოწყურებული ახალგაზრდობა. ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაწვდის თვით მესამე განყოფილება.

დაკითხვაზე მ. ვ. ბუტაშევიჩ-პეტრაშევესკის შეეკითხნენ: „ანტონელიმ უჩვენა, რომ თქვენ უყვებოდით რა მას კიევა უნივერსიტეტში გახსნილ შეთქმულებაზე. რომელშიაც ვინმე შევჩენკოც იყო გარეული. თქვით, რომ ამ საქმის წარუმატებლობის მიუხედავად, მან მაინც გაიღვა ფესვები მალოროსიაში, რასაც ბევრად უწყობდა ხელს შევჩენკოს თხზულებანი, რომლებიც მრავლად გავრცელდნენ და გონებათა ღელვის მიზეზნი იყვნენ. ასე, რომ მალოროსია ახლაც ღელავს. აგვიხსენით, რა არის თქვენთვის ცნობილი მალოროსიაში საზოგადოებრივი მღელვარების შესახებ და ვინ არის შევჩენკო“.

ამ პატარა ფაქტშიაც კარგად ჩანს, რომ შევჩენკოს პოეზია თვით პეტრაშეველებს საზოგადოებრივი მღელვარების გამომწვევ მიზეზად მიაჩნდათ და მესამე განყოფილებაც ამიტომ იყო დაინტერესებული შევჩენკოთა, როგორც „ბუნტოვშიკით“.

ტარას შევჩენკოს პოეზია ამ დროს კვშმარიტად უდიდეს რევოლუციურ აღმავლობას განიცდის. ქვეყანაში

მომხდარი რევოლუციური ძვრების გავლენით შევჩენკო თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ შეგნებულ რევოლუციონერ მებრძოლად გადაიქცა.

ამ პერიოდში შექმნილა ლექსების გამოქვეყნება პოეტს პრესაში არ შეეძლო, ამიტომაც მას ცალკე რვეულში, ალბომში შეაქვეს ყოველი ახალი ლექსი და მათ აერთიანებს საერთო სათაურით — „სამი წელი“ (1843—1845 წწ.). ამ რვეულს ყოველთვის თან ატარებს. „სამი წლის“ ნაწარმოებები ჰქმნიან გარკვეულ ციკლს, რომელიც იდეურ-მხატვრული მთლიანობით ხასიათდება. ყველა ნაწარმოები გაერთიანებულია საერთო სათაურით, ეპიგრაფით, პოეტური ბოლოთქმით.

ციკლის „სამი წელი“ ძირითადი თემაა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის მკაცრი მზილება, რევოლუციური პროტესტი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ და მოწოდება მეფის თვითმპყრობელური წყობილების დამხობისაკენ გლახთა რევოლუციის გზით.

ტარას შევჩენკო ამავე პერიოდში მშობლიური უკრაინის ისტორიასაც კრიტიკული თვალთ გადახედავს. უფრო ღრმად და დაფიქრებით სწავლობს რუსული და, საერთოდ, მოწინავე, პროგრესული ლიტერატურის ისტორიასაც, გატაცებით კითხულობს რუსი კლასიკოსების — პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, გერცენის, ბელინსკისა და სხვათა ნაწარმოებებს.

პოემაში „სიზმარი“ (1844 წ.) რისხვით გამსჭვალული პოეტი ამხელს თანამედროვე წყობილებას. ნაწარმოები რევოლუციურ-პატრიოტულ იდეას — ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას — ემსახურება.

მომხიბლავია უკრაინის ბუნება, მაგრამ ამ სამოთხის ფონზე უფრო კონტრასტულად მოჩანს გლახთა მძიმე მდგომარეობა, რაც ბატონყმური ექსპლოატაციის ბუნებრივი შედეგია:

ლატაკს ტანზე ხდიან, პერანგს სისხლში ნაფერს,  
ტყავთან ერთად ხდიან... იქ აწამეს ქვრივი,  
ბეგარა ვერ შესძლო, შვილიც შებორკილი...  
სადღაც ჭარში მიჰყავთ... მწარე, მწარე ბელი

(თარგმ. დავით გაჩეჩილაძისა)

ტარას შევჩენკო თავის პოემაში ნიკოლოზ პირველის ეპოქის პეტერბურგსაც გვიჩვენებს. პოეტი მწვავე სარკაზმით აღწერს მეფეს. მასთან დაახლოებულ პირებს, რომელნიც უმოწყალოდ სწოვენ სისხლს მშრომელ ადამიანებს. მგოსანი დედოფალს „ფეხგრძელსა“ და „ჩამომკენარა“. „გამამარ სოკოს“ ადარებს, დიდებულებს ინდაურებს ამსგავსებს. თვით მეფეს კი იგი დათვის უწოდებს:

ჰა, გაიღო... ერთი შეხვით,  
სად გასივდა, როდის?  
ბუნაგიდან მიშკა ფეხებს  
ძლივს მოათრევს, მოდის...  
გაფხორილს და ღამე ნათევს,  
თრობის ნისლი ახლავს...  
დიდებულებს, მუცლებფართეს  
რისკით გადმოსაბხა...

მგოსანი ხალხის ტანჯული მდგომარეობიდან გამოსავალს „ზეციდან“ როდი ელის. მისი მგზნებარე სტრიქონები ხალხს რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებენ:

დე დაბნელდეს, დაჰკრას ელვამ.  
ჰქუხდეს ცეცხლის ალი...

შევჩენკოს ესმოდა დეკაბრისტთა აჯანყების დიდი მნიშვნელობა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის და ამიტომაც თავის ნაწარმოებში შეეცადა ციმბირს გადასახლებული დეკაბრისტების განზოგადებული სახეები მოეცა:

მესმა ბორკილთ ქღერანი,  
 ვაკეირდები — ჰეი, სად ხარ...  
 მიწის გულში? მანდ რა ვინდათ,  
 რას თხრით ნეტაე მალეები...  
 შევედილი ხუნდით ყველა,  
 იქ ცოცხალი დადის ხალხი.  
 არ მოელისთ ციდან შეველა...  
 ოქროს ზიდვენ, ღმერთმა უწყის,  
 რისთვის გახდნენ კატორღელნი.

ტარას შევჩენკომ ამ პოემას კომედია უწოდა. რითაც მან ხაზი გაუსვა თავის ნაწარმოების სატირულ, მამხილებლურ ხასიათს.

უანდარმერია ამ ნაწარმოების გამო მეფეს აცნობებდა: „სიზმარში“ შევჩენკო თავს მძინარედ წარმოიდგენს. ძილში ის ჯერ ციმბირშია. შემდეგ მოსკოვში, ბოლოს პეტერბურგში. ციმბირის მალაროებში იგი ხედავს დამნაშავეებს. რომლებიც სასჯელის მოხდამდე იღუპებიან. მოსკოვში აღწერს ადღუმზე ჯარის ტანჯვას. ხოლო პეტერბურგში კრებას სასახლეში. არსად მისი ცილისწამება ისეთი თავხედური არ არის. როგორც სასახლის შეკრების აღწერის დროს. ამ შეკრებაზე, მისი სიტყვებით, ცახცახით მოელიან იმპერატორს. და „მაღალი და მკაცრი“ ისიც შემოდის“. დიდებულები უამოდ შემოეხვევიან. საუბარი ეხება მხოლოდ ჯილდოებს და უჯანსჯნელ მანევრებს; ყველა ცდილობს ახლოს იყოს იმპერატორთან. რათა მისგან სილა მიიღოს... მეფე მიუახლოვდა ყველაზე უფროსს და სახეში სილა გააწნა. ამ დიდებულმა კი მის უკან მდგომს უთავაზა. იმან შემდეგს... გასმა „ვაშა. ვაშა. ვაშა!“. სხვა ადგილას მისი კაზაკები ამბობენ: „ო. ბილწო მეფევ! წყეულო მეფევ. ასპილო. გაუმადლარო!“. შევჩენკო ყველაზე ცილისმწამებლურ გამოთქმებს მიმართავს, როცა კი მეფეს ახსენებს...“. ამ პოემის რევოლუციური პათოსი შემდგომში ხელისუფლების მიერ პოეტის დასჯის მთავარი საბაბი გახდა.

1845 წლის 22 მარტს ტარას შევჩენკომ დამთავრა სამხატვრო აკადემია. მას მიანიჭეს „თავისუფალ მხატვრის“ წოდება. აკადემიის დამთავრებისას შევჩენკო უკვე ჩამოყალიბებული მხატვარი-რეალისტია.

რეალისტური ტენდენციების დამკვიდრებას და განმტკიცებას შევჩენკოს შემოქმედებაში ხელს უწყობს მისი მუშაობა წიგნის ილუსტრაციებზე. შევჩენკოს პოეტური შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა შინაარსიანად, მდიდარი სიუჟეტებით, სოციალურ ძალთა შეპირისპირებით, მოქმედების დრამატუზმით, კონტრასტებითა და სხვ. ამიტომაც შევჩენკო იზიდავს მისივე ნაწარმოებების ილუსტრაციების საქმე. მისი ნახატებით გამოდის პუშკინის „პოლტავა“, კოტლიარევსკის „ნატალკა-პოლტავკა“, გოგოლის „ტარას ბულბა“ და სხვ.

შევჩენკოს ორმოციანი წლების შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია პორტრეტები, რომლებიც შესრულების მაღალი ტექნიკით გამოირჩევიან. ამ მხრივ უკრადლებას იპყრობს ავტოპორტრეტი (1845 წ.), სოკოლოვსკის (1842 წ.), კატერინიჩების ოჯახის (1846 წ.), მავესკაიასა (1853 წ.) და გორლენკოს (1845 -1847 წ.) საუცხოოდ შესრულებული პორტრეტები. ისინი გვიზიდავენ რეალისტური შესრულებით, ნასიათთა კამოკვეთილობითა და უბრალოებით. შევჩენკოს სურათის ობიექტში აინტერესებს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი მისი შინაგანი ცხოვრებითა და სულიერი სამყაროთი.

შემდგომი ეტაპი შევჩენკო-მხატვრის შემოქმედებაში არის მისი ოფორტების სერია „თვალწარმტაცი უკრაინა“. ოფორტების გამოცემით შევჩენკოს უნდოდა გრაფიკული სახეებით მიეტანა ხალხამდე ისტორიული სიმართლე, მისი დიადი წარსული, მისი შესანიშნავი ჩვევანი და ჩვეულებანი, მშობლიური მხარის სიმშვენიერე. მას.

სურდა ამ გზითაც აემადლებინა ხალხის სული. სიამაყე, ნებისყოფა და საკუთარი თავის ღირსების შეგრძნება.

როგორც ცნობილია. ამ თემაზე იგი სამი წიგნის გამოცემას ფიქრობდა. ამიტომაც შეეჩენკო სწავლობს ოფორტის ტექნიკას რემბრანდტის ოფორტებზე. სერიიდან „თვალწარმტაცი უკრაინა“ შეეჩენკომ მხოლოდ ერთი ტომის გამოცემა შეძლო.

ყურადღებას იპყრობს თემატიკის შერჩევა და გააზრება. ამ მხრივ საინტერესოა „გლახთა სამართალი“. ავტორს გლახთა სამართალი შეპირისპირებული აქვს მემამულურ, თვითმპყრობელურ უპატიოსნო სამართალთან. გლახთა მიმეცა და პოზა უბრალო და სერიოზულია. ყოველი მონაწილის ხასიათი ინდივიდუალურად გამოკვეთილია. ჩანს, ისინი დამწუხრებული და ჩაფიქრებული არიან პანის ახალი უსამართლო მოთხოვნით. ხელისუფლების გაიძვერა წარმომადგენელი ავტორს გამოყვანული ჰყავს სურათის მარცხენა მხარეს.

ისტორიულ სცენაში „საჩუქრები ჩიგირინეში 1649 წელს“ მხატვარმა ორიგინალურად გადაწყვიტა თემა. სურათში ასახულია მოსკოვის, პოლონეთ-სა და თურქეთის ელჩები, რომლებიც ელიან ბოგდან ხმელნიცკისთან მიღებას. რუსეთის ელჩი თავის მისიის წარმატებაში დარწმუნებულია. დანარჩენ ორა კი რაღაც აწუხებს.

„თვალწარმტაც უკრაინაში“ არის ორი ოფორტი — „კიევში“ და „ვიდუბეცკის მონასტერი“. რომლის შესრულება რემბრანდტისეულად შეიძლება მივიჩნიოთ. მხატვრობის თვალსაზრისით. ტონის სიღრმითა და დეტალების გადმოცემით ხასიათდება ოფორტი „კიევში“. თვალა იტაცება უკიდევანო დნეპრის ნაპირზე ტოტებგადაბარდნილი ასწლოვანი ხეები. თითქოსდა მათი სიდიდის ზაზგასასმელად. ადამიანთა პატარ-პატარა ფიგურები მომთვანტულან. ოფორტის წინა პლანზე ხის ტოტები და დნეპრის ნაპირია წამოწეული: იგი ავტორს დეტალურად



და სიყვარულით დაუმუშავებია, და ამიტომაც რბილი ტონალობითა და პერსპექტივის სიღრმით გამოირჩევა. ამ ნაწარმოებში ტარას შევჩენკომ გასაოცარ სრულყოფას მიაღწია.

მშობლიური ბუნების პოეტურ ასახვას ვპოულობთ ოფორტში „ვიდუბეცის მონასტერი“. მხატვარი ზურგს აქცევს პეიზაჟის აკადემისტურ გაგებას და ახერხებს ბუნების თავისებურ გადმოცემას.

ყურადღებას იპყრობს სინათლის განლაგება ორივე ოფორტში. იგი აქ მხოლოდ ფერადოვან ყღერას კი არ გვაძლევს, ფორმას კი არ გამოკვეთს. არამედ წარიტაცებს კიდევ მნახველს სურათის ღრმა ლაბირინთებში. იზიდავს და ითრევს მას სურათის კუნჭულებისაკენ. სინათლე აძლევს საშუალებას მნახველს შენიშნოს ფორმის რეალური გამომსახველობა, რომელიც ამ სინათლის გარეშე. რიგითი, არაესთეტიური მოვლენა იქნებოდა.

სწორედ სინათლის ამ შესანიშნავი გაგების გამოც უწოდეს შევჩენკოს „რუსი რემბრანდტი“.

სინათლეს დიდი ადგილი უკავია შევჩენკოს შემოქმედებაში. იგი მოწოდებულია რიგითი, ჩვეულებრივი, ყოფითი მოვლენებიდან ამოსწიოს საჭირო დეტალი ანდა მთლიანად მოვლენა და ადამაღლოს იგი მხატვრულ ყღერადობამდე. შევჩენკო დიდი ოსტატობით ახერხებდა სინათლის დამუშავებას ოფორტზე. მნახველს თვალში ეცემა თითქმის არასწორი, სრულიად სხვადასხვა მიმართულების ურთიერთგადაძვეთი შტრიხები. რომელიც სწორი და გრძელია ფონისა და ბნელი ადგილებისათვის. ხოლო, თხელი, პატარები, თითქმის წერტილისოდენანი, იქ, სადაც სინათლეა საჭირო.

ოფორტების სერიას შევჩენკო აგებს უკრაინაში მოგზაურობის შედეგად შექმნილი მრავალი სურათის საფუძველზე. შევჩენკოს დამსახურება ისიცაა, რომ იგი მშობლიური უკრაინის სილათაკისა და ტანჯვის მიღმა

ხალხთა ძალასაც ხედავდა. ამაზე მეტყველებს გლეხის მონუმენტური პორტრეტი. რომელშიაც დიდი მხატვრული ოსტატობითა და სიზუსტით არის გადმოცემული გონიერება და მტკიცე ნებისყოფა.

უკრაინაში ჩასული კობზარი კვლავ ხალხში გაერია. თანამემამულეებთან. ყმა-გლეხებთან ტარასი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს და. როგორც ანთეოსი. ბრძოლისათვის ძალას მათგან იღებს. მაშინ ეძლევა შეეჩენკოს პოეზიას მეტი შემართება. მაშინ ახმიანდება მის ლექსებში მეტალი.

როდესაც ტარას შეეჩენკო თავის რვეულში „სამი წლისათვის“ ლექსებს წერდა. მას ხშირად უხდებოდა არქეოლოგიური გათხრების თვალღებება. გათხრილი ყორღანები პოეტის ადრეულ შემოქმედებაში ხშირად გვხვდება როგორც წინაპართა გმირობისა და მამაცობის სიმბოლო. ყორღანების გადათხრა. ისტორიული. ეროვნული ძეგლების გაპარტახება მეფის ხელისუფლების მიერ შეეჩენკოს დიდ დანაშაულად მიაჩნია. იგი წერს ლექსს „გაუთხრიათ სამარე“.

ამ ნაწარმოებში პოეტი ალევგორიას მიმართავს. იგი ეკითხება უკრაინას:

მშვიდო მხარე, ჩემო მხარე,

ჩემო უკრაინა!

რატომ აღარ გაგახარეს?

დაგინგრიეს ბინა!

(თარგმ. მიქელ პატარიძისა)

მშობელი დედი — უკრაინის პასუხში ასახულია ის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა, რომელიც მაშინდელი უკრაინის ხეიდრი იყო.

ტირილსა ჰგავს ჩემი ნანა,

ველარ ვიტან ხუნდებს,

ნახე, როგორ მოჰკლეს მამა,

დაგინგრიეს ბუდე...

უნაპირო ტრამალეები

გამიყიდეს ახლა,  
და შეიღები ამალეზად  
ბატონს, კარზე ახლავს.  
დნეპრი დაშრა, გზას ვერ კაფავს.  
გუბეს ჭფარავს კირხლი.  
და გმირების ძვირფას საფლავს  
სუიტიმპყრობელი გვიოხროს.

ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად დედა არ გამტყდარა, მას არ დაუკარგავს მომავლის იმედი:

თავისუფალ დღეებს ეუცდი.  
ერ გამტეხა სევდამ.

ამბობს დედა-უკრაინა.

მშრომელი ხალხის აოციალური და ნაციონალური ჩაგვრა მხილებულია აგრეთვე მისტერიაში „მიწისქვეშეთი“ (1845 წ.).

კომპოზიციურად პოემა ერთგვარად ხალხურ შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. მისტერიაში სამი თავია „სამი სული“, „სამი ყვავი“ და „ლირის სამი დამკრელი“, ხოლო ყოველ მათგანში სამი პერსონაჟია.

პირველ თავში, „სამი სულის“ საუბარში, შევჩენკომ გადმოგვცა დამონებული ხალხის შეხედულება ისტორიულ მოვლენებზე. პოემის მკვეთრად სატირული მეორე თავი რეაქციული ძალების მამხილებელია. სამი ყვავი ალეგორიულად წარმოადგენს უკრაინის, რუსეთისა და პოლონეთის რეაქციონერებს. თავში „ლირის სამი დამკრელი“ პოეტი დაუნდობლად ამხელს პანების თავგასულობასა და განსაკუთრებით ამახვილებს მკითხველთა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ცარიზმი მშრომელ ხალხის ჩაგვრასთან ერთად აბუჩად იგდებს მის ისტორიულ წარსულსაც.

„მიწისქვეშეთში“ დამუშავებულ საკითხებს შევჩენკო სხვა ნაწარმოებებშიც დაუბრუნდა („ბრმა“, „სუბოტოვო“ და სხვა).

ჟერ კიდევ ადრეულ ნაწარმოებებში ტარას შევჩენკო თანაგრძნობას უცხადებდა დაჩაგრულ სლავ ხალხებს. ჩეხი ხალხის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ასახა მან პოემაში „ერეტიკოსი“, ანუ „იან ჰუსი“ (1845 წ.). რომელიც მიუძღვნა თავის თანამედროვე გამოჩენილ ჩეხ მეცნიერს პ. შაფარიკს, გერმანელ ექსპანსიონისტთა წინააღმდეგ მებრძოლსა და სლავთა გაერთიანების იდეის მომხრეს. ამ ნაწარმოებში შევჩენკომ შექმნა მგზნებარე ადამიანის, ვატიკანის წინააღმდეგ მებრძოლი ჩეხი პატრიოტის დაუვიწყარი სახე.

შევჩენკო მტკიცედ იყო დაკავშირებული რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობასთან და სწორედ ამიტომ ღრმად სწამდა, რომ ისეთივე მძიმე და დაჩაგრულ მდგომარეობაში, როგორშიაც იყო უკრაინა, იყვნენ აგრეთვე თვით რუსი და იმპერიის სხვა ხალხებიც. პოეტი გულწრფელად უმღერის ამ დამონებულ ხალხთა თავისუფლებასაც. ასეთ ნაწარმოებებს განეკუთვნება „კავკასი“ (1845). პოემა დაწერილია შევჩენკოს მეგობრის ი. პ. დე ბალმენის კავკასიაში ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

პოემაში „კავკასი“ შევჩენკო პრომეთეს სახით განასახიერებს დამპყრობთადმი დაუმორჩილებლობას, ხალხთა უკვდავებას. ხალხის შეუწელებელ ლტოლვას თავისუფლებისაკენ:

მთების იქით მთები, შებურვილი ნისლით  
მწუხარებით სავსე და მორწყული სისხლით.

ქველთაგანვე პრომეთეოსს  
აჲ არწივი სიბიჭნის,  
გულს უკორტნის, მოქრიალებს  
ნაკადული სისხლის.

ეწაფება და ვერ აშრობს  
სისხლის ცხოველ წყაროს,  
გული ისევ მიცოცხლდება,  
ქველებურად ხარობს.

(თარგმ. კონსტანტინე ლორთქიფანიძისა)

შევჩენკო პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედე-

პითაც იცნობდა კავკასიის ცხოვრებას. ასახავს რა კავკასიის ხალხთა ინტერესებს, პოეტი ამასთანავე ახდენს თავისი რწმენის. მთავარ მომენტებზე ყურადღების კონცენტრირებას --- რუსეთის ყველა დაჩაგრული ხალხის მდგომარეობა ერთნაირად მძიმე და აუტანელია.

პოეტს სწამს, რომ ხალხის სიმართლე უკვდავია. მას ვერავეითარი ძალა ვერ დაამარცხებს:

და სიმართლეს არ მოკვდება,  
ვერ ჩაკლავენ ლაღის,  
რაგინდ ხარბი გული გქონდეს,  
ვერ გადახნავ ტალღებს,  
ვერ შებოოკავ კაცის სიტყვას,  
რომ სიმართლეს ერთვის.

პოემა გამსჭვალულია კავკასიელი ხალხისადმი სიმპათიით. შეეჩენკო ამ ნაწარმოებში ასახავს რუსი და სხვა ხალხების მეგობრობისა და ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის იდეას.

ღროთა განმავლობაში შეეჩენკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და რევოლუციურ-დემოკრატიული აზრები სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა და მტკიცდებოდა. პოეტი უკვე ამხელს არა მარტო კაცთმოძულე მებატონეებს, არამედ ლიბერალებსაც. უმთავრესად მათ წინააღმდეგ არის მიმართული ნაწარმოები „მკვდრებსა და ცოცხლებს და ჯერ არ შობილ თანამემამულეებს“.

ეს ლექსი დათარიღებულია 1845 წლის 14 დეკემბრით დეკაბრისტთა აჯანყების დღის თარიღით. შესაძლოა, ეს დამთხვევა -- დეკაბრისტთა სისხლიანი გამოსვლის ოცი წლისთავი -- ავტორმა შეგნებულადაც დაუშვა. ამ ნაწარმოებში პოეტი ილაშქრებს უცხოეთის წინაშე ქედის მოხრისა და ყოველგვარი კოსმოპოლიტიზრობის გამოვლენის წინააღმდეგ, აკრიტიკებს სლავიანოფილებსაც და, ამავე დროს, ამხელს ბურჟუაზიული ნაციონალისტების მიერ გაიდეალებულ გეტმანებს, განდიდებულ ისტორიულ წარსულს.

მგოსანი ადამიანისაგან მოითხოვს უყვარდეს სა-  
მშობლო. დაეხმაროს მას ფეოდალური ჩაგვრისაგან გას-  
თავისუფლებაში. იგი მიმართავს შემამულეებს:

დღეს რომ არის შებოჭილი,  
ხალხი ხუნდებს დასწევეტს მალე.  
და განსჯის დღეს აზვიროდება  
ლურჯი დნებრი და გორები,  
შეიფერვის ბავშვთა სისხლით ..  
ველარ ხახავთ ვერსად დამცველს,  
ველარ ხახავთ ნეთსაყუდარს

(თარგმ. გრიგოლ ცეცხლაძისა)

ამ პერიოდში შექმნილ მრავალ ისეთ საინტერესო ნა-  
წარმოებთა გვერდით, როგორცაა „ბრმა“, მუში-  
ქალი“ („ნაიმიჩკა“), „კუდიანი“, ბალადები „ლილეა“  
და „ალი“. ტარას შევჩენკო 1845 წლის დეკემბერში წერს  
„ანდერძი“. ამ ნაწარმოებში ძალუმად უღერს მეფის  
თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წინააღმ-  
დეგ ბრძოლისაკენ მოწოდების ყიყინა.

„ანდერძი“. მწერლის პოლიტიკური ლირიკის მწვერ-  
ვალი. ფაქტიურად მისი პოლიტიკური ანდერძია. ტარას  
შევჩენკო ცხოვრების ამ პერიოდში პოლიტიკური, რევო-  
ლუციური აზრის მწვერვალს მისწვდა. ამდღა ხალხთა  
რევოლუციის, სოციალურ-პოლიტიკური ძმობისა და ერ-  
თობის აღიარებამდე, პოეტი ოცნებობს მშრომელთა რის-  
ხვაზე:

როს წაღეკავს უკრაინის  
მტრების სისხლსაც ზღვაში.  
მე დავტოვებ მშვიდად მაშინ  
მთებს და ველებს გაშლილს...  
მაშ დამპარხეთ, წამოდექით,  
იწყეთ ბორკილთ მსხვრევა.  
სილაღებზე, მტარვალების  
პოროტ სისხლის ფრქვევა.

(თარგმ. სიმონ ჩიქოვანისა).

შევჩენყო უანდერძებს მომავალ თაობას განაგრძოს ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ოადგან მას ღრმად სწამს. რომ გამარჯვება მშრომელი ხალხსა მხარეს იქნება. პოეტს იმედი აქვს. რომ მაშინ. ხალხთა ტკბილ. მეგობრულ ოჯახში. მის სახელსაც თბილად მოიგონებს შთამომავლობა:

და მეც ხალხის დიად ქერქვეშ,  
ახალ სახლში მარად:  
გამიხსენეთ, მომიგონეთ  
თბილი სიტყვით. წყნარად.

„ანდერძი“ ქეშმარიტად იქცა უკრაინელი პოეტის „ხელთუქმნელ ძეგლად“. იგი აიტაცა ხალხმა, გამოატარა საუკუნის ქორ-ვარამი. ბოძოლ-ს ცეცხლი. ხანძარი და გამარჯვებული ხალხის თბილ. მეგობრულ ოჯახში სამუდამოდ დაუმკვდრა ბინა.

შევჩენკოს შემოქმედება „სამი წლის“ პერიოდში აშკარად რეალისტური და მამულიებლური ხასიათისაა. თუმცა რომანტიკული შემართულობა პოეტის შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებშიც არ ქრება. შევჩენკოს პოეტური ხელოვნების სოულყოფა მი- იდეურ ზრდასთან ერთად მტკიცდებოდა. აულ უფრო და უფრო იზრდებოდა პოეტ-ნოვატორის მხატვრული სიტყვის ძალა.

ტარას შევჩენკო თავის მხატვრულ ტილოებზე გამოკვეთს ცხოვრების ხორცმეტთა სახეებს. რეაქციონერებისა და ლიბერალების. ცარიზმისა და მისი დამქაშების სატირულ სახეებს. ამასთან ერთად. პოეტი წინ წამოსწევს დადებით გმირებს, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლ ადამიანებს და მკითხველებს თვალწინ გადაუშლის მათი სულის სიდიადეს. შევჩენკო ტიპიურ სახეებსა და მოვლენებს ხატავს.

უკრაინელმა მგოსანმა წამოაყენა მოწოდება ხელოვნება ხალხისათვის. იგი წარმართავდა პროგრესულ

უკრაინულ ლიტერატურას ბატონყმობისა და თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

XIX საუკუნის 40-იან წლებში უკრაინაში ჩამოყალიბდა დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც გაემიჯნა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ მემამულეებს. 1846 წლის იანვარში კიევში შეიქმნა საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია—კირილე-მეთოდეს საზოგადოება, რომლის წევრები ბატონყმობის მოსპობის მომხრედ გამოდიოდნენ, მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებისას მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნეოდა (წრის აქტიური წევრი იყო ნ. გულაკიც, რომელსაც შემდგომში საქართველოსთან მტკიცე კავშირი ჰქონდა).

1847 წელს ჟანდარმერიამ გამცემი სტუდენტის, პეტროვის მეშვეობით გაიგო ამ წრის არსებობა და მისი წევრები დააპატიმრა, მათ შორის ტარას შევჩენკოც.

## დ ი ლ ე გ შ ი

პეტერბურგის ციხეში შევჩენკოს კვლავაც ასაზრდოებს რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები და ოცნებანი. თვით უმკაცრესი მესამე განყოფილების ცხრაკლიტულებმა მორალურად ვერ გასტეხეს მწერალი; ვერ შეურყიეს მას რწმენა მომავლისადმი.

დაკითხვაზე შევჩენკოს ამაყად და მხნედ ექირა თავი. კოსტომაროვი ასე იგონებს ამ წუთებს: „ყველას (პატიმრებს — ო. ბ.) თავი მოგვიყარეს ერთ დარბაზში. იქ იყო შევჩენკოც, უდარდელად და მხიარულად ოხუნჯობდა, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოსო; კრმიკურად გვიყვებოდა, კიევში დაბრუნებისას ბორანზე ელამმა ჟანდარმმა იგი როგორ დააპატიმრა, თანაც შენიშნავდა, რომ თურმე ტყუილუბრალოდ როდი ეჯავრებოდა მას ელამი ადამიანები. ხოლო როდესაც რომელიღაც ოფიცერმა, რომელიც მას პირადად იცნობდა, უთხრა: „—ტარას გრიგოლის ძევ, როცა აქედან დააღწევთ თავს, აი, მაშინ ამ-



ღერდება თქვენი მუზაო“. — შევჩენკოს ირონიულად უპასუხნია: „აბა რა ეშმაკმა ამომაცოფინა მე აქ თავი, თუ არა იმ მუზამო“.

ტარას შევჩენკო დილეგში 1847 წლის 17 აპრილიდან 30 მაისამდე იჯდა. იქ მან დასწერა 13 ლექსი და გააერთიანა საერთო სათაურით — „დილეგში“. უფრო მოგვიანებით, 1858 წელს ამ ციკლს მან მიუმატა 1847 წელს ორსკის ციხე-სიმაგრეში დაწერილი ლექსი „მოვიგონოთ, ძმებო“.

თხელ: ოთხად გაკეცილ საფოსტო ქაღალდზე, წვრილად დაწერილ სტრიქონებში კვლავაც ისმოდა საბრძოლო მოწოდება, იგრძნობოდა ზრუნვა მომავალზე. სამშობლოზე და გაუბედურებულ გოგონებსა თუ ჭაბუკებზე.

მეფის არმიის ჯარისკაცისა და მისი ოჯახის ბედზე ლაპარაკობს მწერალი ლექსში „დილით ჯარში გაწვეულმა“. ოჯახის ბურჯის ჯარში გაწვევის შემდეგ ყველაფერი ნიავედება. დადარდიანებულ სატრფოს სამარე გულში ჩაიხუტებს, ხოლო დედა კი

თვით მათხოვრად გზას დაადგა,  
დადიოდა სოფლებს შინა.

(თარგმ. ვიქტორ გაბესკირიანი)

განვლეს წლებმა, თითქოს არაფერი შეცვლილა, სოფელი ისევ სოფლად დარჩა, მხოლოდ „სოფლის ბოლოს ქოხი დარღვეულა და წახრილა“. ამ უპატრონოდ მიტოვებულ ქოხთან ყავარჯნიანი კაცი ზის და დარდობს:

ეხ, სად არის შეაწარბება,  
რათ არ მოსჩანს ფანჯრის ახლოს?!  
არც მოხუცი დედა არის  
რომ მას ეახშად დაუძახოს.

უკაცრიელ ქოხიდან დედისა და სატრფოს ნაცვლად „მხოლოდ ქოტი იხედება“. ნაღვლიანია ჯარისკაცის ფიქ-

რები. მწარე და ნაღვლიანი. რადგანაც ასეთივე უღიმღამო და მძიმე ცხოვრება მოელის მას.

გაუხარელია მშრომელი ადამიანის ცხოვრება, აღარ ედგომება მას თავის მშობლიურ სოფელში. სად სამი გზა ჯვარედინობს

ძმები შკიყარნენ,

ვაჟუნენ გზებს და მიატოვეს

უკრაინის მხარე.

(„სამი მზა“ თარგმ. ვიქტორ გაბესკირასი)

სახლში დარჩენილებს თვალები უღამდებათ მათ მოლოდინში. მაგრამ არააიდან არ ჩანს სამი ძმის კვალი. „დედა გოდებს. ატარის...“. არავინაა მათი გამკითხავი. ხმებიან დედის მიერ ეზოში დარგული მუხებზე. ხმებია ცაცხვი და ალვის ხე, ასევე ხმებიან ამ უბედური ადამიანების ცხოვრების ხეებიც.

ლირიკულ ლექსში „მე მარტო ვარ, ობლად“ და „რათ დადიხარ საფლავთანო“ მგოსანი რგვე მოტივს ანვითარებს. ობლად დარჩენილი თაფლისთვალა გოგონა იმედგაწყვეტილი. შეშფოთებული შეჰყურებს მოწოლილ წყვილადს და მუდარით კითხულობს:

სად არს ჩემი სატრფო?

თქვენც, კეთილო ბაბო,

სად ხართ? დავრჩი მარტო,

არვინ არ მყავს ახლო,

რომ მეგობრად ვნახო.

(„მე მარტო ვარ ობლად“ -- თარგმ. სიმონ ჩიქოვანისა)

ციხის კედლებში გამომწყვდეული პოეტი არ კარგავს სილამაზისა და მშვენიერების გრძნობას და ქმნის ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშს. ასეთია ლექსი „სახლის გვერდშია ალუბლის ბაღი“, რომლის მელოდიურმა უღერადობამ და სინაზემ მოხიბლეს ისეთი უფაქიზესი გრძნობის ადამიანები, როგორიც იყო კომპოზიტორი პ. ი. ჩაი-



Օ. Մոցինյանի օր. յոգն. 1944.



კოესკი, ნ. ვ. ლისენკო და სხვები. მათ ეს ლექსი მუსიკაში აახმიანეს:

სახლის გვერდშია ალუბლის ბალი  
მაყაურებიც ბალზე ბზუიან,  
ველზე კავეებით გასულა ხალხი,  
ველზე ცირებიც ეშხით მღერიან.  
და ცირებს შინაც ვახშმად ელიან.

აწ ბალში ვახშმობს ოჯახი გულით  
მწუხრის ვარსკვლავი ამოდის სრული.  
ცირა სუფრას შლის, ტანით დასცურავს;  
დედა ასწავლის, მაგრამ ბულბული  
ყეფსა და ართმევს შესწავლის უნარს.

დედამ ბავშვები ჯერ პაწაწინა  
სახლის მახლობლად, რომ დააწვინა  
თვით დაიძინა ყველაზე ბოლოს;  
დაწვა სიჩუმე და ცირებს მხოლოდ  
არ სძინავთ, არა, თვალები წვალობს,  
რადგან ბულბული სტვენსა და გალობს.

(თარგმ. სიმონ ჩიქოვანიას)

ქეშმარიტად დიდი პოეტი უნდა იყო. რომ ციხის ჯურღმულებში ენდარმერიის მიერ მოწამლული ჰაერით სუნთქვამ. მეციხოვნეთა გაყინულმა თვალებმა არ მოგიწამლოს პოეტური განწყობილება, არ შეგიბილწოს სპეტაკი მუზა. უნდა გიყვარდეს ადამიანი, ყველაზე მაღლა უნდა აყენებდე მას და უნდა გქონდეს ხვალინდელი ნათელი დღის მტკიცე იმედი, რომ შექმნა პოეზიის ასეთი მარგალიტები.

ტარას შევჩენკოს სჯერა ადამიანის, პატიოსანი ადამიანის და კიდევაც უმღერის მის ხვალინდელ დღეს. პოეტისათვის სულერთია რაც მოუვა თვით მას, როგორ დასჯიან და აწამებენ. მგოსანმა ეს უკვე კარგად გამოსცადა ცხოვრების ნარეკლიან გზაზე სიარულისას, მაგრამ მისთვის სულ ერთი არ არის მისი ხალხის, მისი სამშობლოს ბედი. ამ იდეებით ცოცხლობს პოეტი, ეს აძლევს მას

შემოქმედებით ცეცხლსა და საზრდოს, ეს უნათებს გზაც  
თვითმპყრობელობის წყვილიაღში დახუნდულ პოეტს, და-  
ბოლოს, ეს აგებინებს პოეზიის ამ კრიალოსანს.

განა თვითონ მგოსანი არ აღიარებს, რომ

ამ ტყვეობაში ყოფნა ძნელია, —

გარეთ ცხოვრება სანატრელია.

(„ამ ტყვეობაში ყოფნა ძნელია“ — თარგმ. იასამანისა)

მაგრამ ეს არ აჩერებს პოეტს. იგი მრისხანედ კითხუ-  
ლობს — „ასე რად მოხდა, რომ ლაფში ჩაჰფლეს თავე-  
სუფლება?“. ლექსში „ჩემთვის ერთია სადაც ვიქნები“  
მგოსანი პირდაპირ გვეუბნება:

ჩემთვის ერთია სადაც ვიქნები,  
უკრაინაში თუ სხვა მხარეში,  
დე, დამივიწყონ ჩემი წიგნებით,  
ჩაშქოლონ თოვლის ცივ სამარეში,  
ჩემთვის ერთია სადაც ვიქნები.

მე მონობაში აღვიზარდე და ვსუნთქავ ღღემდე.

(თარგმ. ვალერიან გაფრინდაშვილისა)

თითქოს ინდიფერენტულობა იგრძნობა პოეტის გან-  
წყობილებაში, თითქოს გატყდაო მისი ფოლადისებური  
ნებისყოფა. მაგრამ არა. შეეჩინეს ასეთ მდგომარეობა-  
შიაც კი თავისი თავი წინა პლანზე არ ჰყავს წამოწეული.  
მას ხალხის ბედი, სამშობლოს ბედი უფრო აწუხებს, ვიდ-  
რე საკუთარი ყოფა. ხალხთა თავისუფლებისა და დამო-  
უკიდებლობისათვის ბრძოლა პოეტს წმიდათა წმიდა მო-  
ვალეობად მიაჩნია:

ჩემთვის ერთია — ილოცებს შვილი,  
თუ ის დარჩება მხოლოდ გულგრილი.  
მაგრამ არ არის ჩემთვის სულ ერთი,  
რომ ურდოები საშინელ მტერთა  
ჩემს უკრაინას დააძინებენ,  
გასძარცვავენ და გააღვიძებენ  
სისხლიდან დაცლილს, ცეცხლმოკიდებულს,  
გადაოხრებულს, მტვერში დაგდებულს,  
ო, ეს არ არის ჩემთვის სულ ერთი!

ასე აღგზნებულად ლაპარაკობს პოეტი სამშობლოს ბედზე. ეს მოტივი გაანათებს უკრაინელი მგოსნის შემდგომი პერიოდის შემოქმედებასაც.

დილეგში ჩაგდებული, შორეულ ციმბირს გასახლების მომლოდინე პოეტი გონების თვალით გადახედავს თავის ხვალისდელ დღეს, მას აწუხებს მომავალზე ფიქრი — როგორი იქნება იგი, კვლავაც შესძლებს მგოსანი თავის ხალხს დაუბრუნდეს, მასთან ერთად იყოს, მასთან ერთად გაიზიაროს ცხოვრების ჭირ-ვარამი და გამარჯვების სიხარული?

შეკავშირდებით ხელახლა ნეტავ?  
თუ გაშორდებით ერთმანეთს მარად?  
გახსოვდეთ, ძმებო, თქვენ ერთმანეთი.  
დღე უკრაინა ლეივოდეს თქვენში,  
გიყვარდეთ იგი... ეამსა ბნელეთის  
და უკანასკნელ მძიმე წუთებში,  
ილოცეთ მისთვის.

(„შეკავშირდებით ხელახლა ნეტავ?“ — თარგმ.  
შალვა აფხაიძისა)

პოეტს დაბეჭდვებით სჯერა მომავალი გამარჯვებისა. მეფის ხელისუფლებამ „კირილე მეთოდეს ძმობაში“ პოეტის მონაწილეობა ვერ დაადგინა, მაგრამ მისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონია. ბრალდების წამოყენებისას ძირითადი საბუთი იყო პოეტის შემოქმედება, განსაკუთრებით კი მისი ალბომი „სამი წელი“, რომელიც შევჩენკოს დაპატიმრებისას აღმოუჩინეს.

მესამე განყოფილების დადგენილებაში ნათქვამი იყო: „მხატვარი შევჩენკო აღმაშფოთებელი და უაღრესად თავხედური ლექსების შექმნისათვის, როგორც ფიზიკურად ჯანმრთელი, განწესებულ იქნეს რიგით ჯარისკაცად ორენბურგის განსაკუთრებულ კორპუსში“. ნიკოლოზ პირველი განაჩენზე აწერს: „აეკრძალოს შევჩენკოს წერა და ხატვა“.

თავისი მდგომარეობით შეძრწუნებული შევჩენკო, უფრო მოგვიანებით, „დღიურში“ წერს: „მე რომ მხეცი, სისხლისმსმელი ვყოფილიყავი, მაშინაც კი ვერ გამომიგონებდნენ უარეს სასჯელს, ვიდრე ორენბურგში ჯარისკაცად გადასახლება იყო. აი, რა არის ჩემი გამოუთქმელი ტანჯვის მიზეზი. ყოველივე ამასთან ერთად ხატვაც ამიკრძალეს. წამართვეს ყველაზე კეთილშობილი ნაწილი ჩემი უბედური არსებობისა. ტრიბუნალი თვით სატანის თავმჯდომარეობითაც კი ვერ გამოიტანდა ასეთ სუსხიან. არაადამიანურ განაჩენს, ხოლო მისმა უსულგულო შეპსრულებლებმა აღასრულეს იგი აღმაშფოთებელი ს. ზუსტიით.

წარმართ ავგუსტეს, როცა ნაზონი ველურ გოთებთან გაგზავნა. არ აუკრძალავს მისთვის წერა და ხატვა. ქრისტიანმა ნიკოლოზმა კი ამიკრძალა მე ერთიცა და მეორეც. ორივე ჯალათია. მაგრამ ერთი მათგანი ქრისტიანი ჯალათია. ქრისტიანი მეცხრამეტე საუკუნისა...“

## შ ო რ ე უ ლ ი უ რ ა ლ ი ს ა კ ე ნ

1847 წლის 31 მაისს გენერალ-ადიუტანტმა პ. ნ. ივანტიევმა ფელდეგერ ვიდერის ზედამხედველობის ქვეშ რიგითი ჯარისკაცი შევჩენკო ორენბურგის გზას გაუყენა.

1857 წლის 9 სექტემბერს. ამ ამბიდან ათი წლის გავლის შემდეგ. ტარას შევჩენკო ირონიულად იხსენიებს ამ ფაქტს: „ჩემზე (როგორც შემდეგ გავიგე) სასწრაფო მოთხოვნილება იყო ორენბურგში, და ამიტომაც... ფელდეგერი არ თვლემდა. მან პიტერიდან მერვე დღეზე ჩამიყვანა ორენბურგში. მთელ გზაზე მხოლოდ ერთი საფოსტო ცხენი მოჰკლა“.

1847 წლის 9 ივნისს შევჩენკო ჩავიდა ორენბურგში. იგი პირდაპირ კორპუსის შტაბში მიიყვანეს და ღამე მისაღებ ოთახში ცარიელ იატაკზე გაატარებინეს.



10 ივნისს, დილით შევჩენკო კომენდანტმა ლიფლიანდმა გამოიძახა და მისი ადგილსამყოფელის საბოლოო დადგენამდე ყაზარმაში გააგზავნა.

ამ დროისათვის ქალაქში ხმა უკვე გავრცელდა -- შევჩენკო ჩამოიყვანესო. მალე მესამე ბატალიონის ყაზარმაში ხალხმა თავის მოყრა დაიწყო. ყველას სურდა პოეტის ნახვა, სურდა რითიმე ესიამოვნებია ან რაიმე სამსახური გაეწია მისთვის.

შევჩენკოს ჩამოსვლის დროისათვის ორენბურგი ნამდვილი სამხედრო ქალაქი იყო. ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას სამხედროები შეადგენდნენ. იყვნენ გადასახლებულნიც, უმეტესად პოლონელები.

პოეტს ქალაქში თავისუფლად სიარულის ნება დართეს. მან სიამოვნებით გამოიყენა დროებით მინიჭებული თავისუფლება.

ორენბურგში პოეტს ახალი მზრუნველი მეგობრება გამოუჩნდნენ -- დივიზიის კვარტმეისტერი გერნი და ორენბურგის სასახლერო კომისიის მოხელე თევდორე ლაზარეესკი. ისინი შევჩენკოს მუზის მოთაყვანენი იყვნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ მისი მდგომარეობის შემსუბუქებას.

ამ დროს კი შევჩენკოს გამწესების საქმე ინსტანციებში წყდებოდა. ყველა ფიქრობდა, რომ პოეტს ორენბურგის რომელიმე ბატალიონში დატოვებდნენ.

მხოლოდ 10 ივნისს, ორენბურგიდან გამგზავრების წინ, ობრუჩეემა საიდუმლო განკარგულება გაუგზავნა 23-ე ქვეითი დივიზიის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ტოლმაჩევს: „უმორჩილესად გთხოვთ ჩარიცხოთ იგი (შევჩენკო — ო. ბ.) ორენბურგის № 5 სასახო ბატალიონში, დაუწესოთ მკაცრი ზედამხედველობა, წერისა და ხატვის აკრძალვით...“

11 ივნისს ტოლმაჩევი გრაფ ადლერბერგის სახელზე აგზავნის მოხსენებას და ატყობინებს, რომ შეეჩინკო „ჩარიცხულია ორენბურგის № 5 სახაზო ბატალიონში“.

მალე დადგა გამგზავრების დროც.

18 ივნისს პოეტი ორსკს გაემგზავრა.

## ორსკის ციხე-სიმაგრე

ორსკის ციხე-სიმაგრე, ან როგორც ყაზახები უწოდებდნენ „იამან-კალა“ (უფდი ქალაქი), მდებარეობდა მდინარე ორიდან ორიოდ, ხოლო ორენბურგიდან 265 ვერსის მოშორებით. იმყამად ციხე-სიმაგრის კომენდანტი იყო მოხუცი გენერალ-მაიორი ისაევი. ისაევის შვილებს გადასახლებული პოლონელი რევოლუციონერი ფიშერი ასწავლიდა. პირველი დახმარება შეეჩინკოს მან აღმოუჩინა. მისი მეშვეობით ისაევმა პოეტს ნება დართო ცალკე, დაქირავებულ ბინაში ეცხოვრა.

ორსკში შეეჩინკომ უფრო მეტი თავისუფლება მიიღო. მას შეეძლო თავის ნაცნობ-მეგობრებთან წერილების გაგზავნა და მათგანაც ამანათების მიღება, პირველ რიგში წიგნების ამანათებისა. ორსკის ციხიდან გამოგზავნილი ერთ-ერთი პირველი ბარათი ვარვარა რეპნინას ეკუთვნოდა.

„30 მაისს მე წამიკითხეს კონფირმაცია, და მე გავხდი კიევის უნივერსიტეტის მასწავლებელი კი არა, არამედ ორენბურგის სახაზო ბატალიონის რიგითი ჯარისკაცი.

და ახლა ვითომები ყირგიზეთის სტეპში, ორენბურგის საცოდავ ციხე-სიმაგრეში. თქვენ უთუოდ გაიცინებდით, ახლა რომ დაგენახეთ. წარმოიდგინეთ გარნიზონის ყველაზე მოუხეშავი სალდათი, გაჩეჩილი, წვეკრგაბურძგენილი, საოცარი ულვაშებით, — და ეს ვიქნები მე. სასაცილოა, ცრემლები კი მომდის... და ყოველივე ამ უბედურებასთან ერთად სასტიკად მაქვს აკრძალული ხატვა და

წერა (ბარათებს გარდა). აქ კი რა ბევრი რამაა ახალი. ყირგიზები ისეთი მიმზიდველნი, ისეთი ორიგინალურნი და გულუბრყვილონი არიან...“

„მე ხანდახან გამოვდივარ ციხე-სიმაგრეიდან, ქარვას-ლებისაკენ... სადაც ბუხარელები ჩვეულებრივად თავის ჭრელ კარვებს მართავენ. რა ტანადი ხალხია! რა მშვენიერი თავები აქვთ! (წმინდა კავკასიური ტომია)... მე რომ შემეძლოს ხატვა, რამდენ ახალ და ორიგინალურ სურათს გამოგიგზავნიდით! უყურებდე და არ ხატავდე. ეს ისეთი ტანჯვაა, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტი მხატვარი თუ გაიგებს...“.

ტარას შევჩენკოს არ ივიწყებდნენ მეგობრები და კეთილისმყოფელნი. იგი მოამარაგეს საღებავებითა და ფანქრებით. ქაღალდებით. ფუნჯებით. შევჩენკომ ყოველივე ეს თევდორე ლაზარევსკისა და მისი თანამოსამსახურის მიხეილ ალექსანდრიისკის მეშვეობით მიიღო. ორენბურგში ყოფნისას ალექსანდრიისკი კიდევ უფრო დაუახლოვდა პოეტსა და სიამოვნებით ზრუნავდა მასზე.

შევჩენკო კეთილი ადამიანების ხელშეწყობით მაინც განაგრძობდა წერასა და ხატვას.

მაგრამ მალე ტარასს კვლავ დაუდგა მძიმე დღეები.

1847 წლის დასასრულს ისავე გარდაიცვალა. შევჩენკოს მდგომარეობით დაინტერესებულმა პოლკოვნიკმა გერნმა ბატალიონის მეთაურს მაიორ მეშკოვს მისწერა ბარათი. რომელშიაც სთხოვდა მას შევჩენკოსათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. ძველმა ჯარისკაცმა მეშკოვმა გერნის თხოვნა თავისებურად გაიგო. შევჩენკოს მართლაც საგანგებო ყურადღება მიაქციეს. მეშკოვი და მესამე ასეულის მეთაური შტაბს-კაპიტანი სტეფანოვი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა პოეტს ყაზარმის სუსხი ეგრძნო. სისტემატურად, ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში მას ცალკე, დამატებით ავარჯიშებდნენ სამწყობრო მომზადებაში.

შევჩენკო ცალკე ბინიდან ყაზარმაში გადაიყვანეს.

ბატალიონის მეთაური და სხვა ოფიცრებიც, რითაც შეეძლოთ, ცდილობდნენ შევჩენკოს შეურაცხყოფას, ცდილობდნენ ეგრძნობინებინათ მისთვის, რომ იგი გამოსახლებული ჯარისკაცია და ჩამორთმეული აქვს ადამიანური უფლებები. პოეტი მეშკოვის განკარგულებით რამდენჯერმე ჰაუპტვახტშიც იჯდა.

შევჩენკო თავისუფლად მაშინ ამოისუნთქავდა ხოლმე, როდესაც ყაზარმის საშინელებას თავს დააღწევდა და ერთი ან ორი საათით თავისი ნაცნობებისაკენ გაეშურებოდა. მაგრამ ამ სიამოვნებასაც ამწარებდნენ პოეტს. ქალაქიდან მობრუნებულს თაროზე რომელიმე წიგნი აღარ დახვდებოდა. მან იცოდა, რომ მისი წიგნი სამიკიტნოში გირაოდ იყო დატოვებული და მიდიოდა მის გამოსასყიდად.

წიგნებში, მხოლოდ წიგნებში ეძიებს შვებას პოეტი. გამომიგზავნეთ წიგნები, მათხოვეთ წიგნები, — ისმის მის ჩანაწერებში. წერილებში. მოგონებებში. 1847 წლის 24 ოქტომბერს იგი სთხოვს რეპნინას გამოუგზავნოს „გოგოლის უკანასკნელი თხზულებანი — „წერილები მეგობრებს“ და წიგნი „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ნაწერები“; იმავე წლის 11 დეკემბერს ლიზოგუბთან გაგზავნილ ბარათში ჩანს მისი სურვილი — მას უნდა ჰქონდეს შექსპირის კეტჩერისეული თარგმანი და ჰომეროსის „ოდისეას“ ეუკოვსკისეული თარგმანი; 1848 წლის 1 თებერვალს კვლავ ლიზოგუბს სთხოვს გამოუგზავნოს ლერმონტოვისა და კოლცოვის ნაწარმოებები; 25 თებერვალს რეპნინასადმი მიწერილ ბარათში პოეტი აღიარებს: „გახვევებისაგან ჩემი მხსნელნი წიგნები არიანო!“.

ტარას შევჩენკო, როცა კი დროს იხელთებდა, გაუბოდა ყაზარმებს, მდინარე ურალს მიაშურებდა და საათობით დაეხეტებოდა მის ნაპირებზე, მიცოცავდა ბორცვებზე, იწვა ან მუხლმორთხმით იჯდა და გასცქეროდა შო-

რეთს. ტყვედქმნილ მგოსანს თვალწინ სამშობლოს განუ-  
მეორებელი სილუეტები ესახებოდა:

ოჰ. ჩემო ბედო! შენ. ჩემო მხარევ!  
როს განახავ ისევ შენგან წასულა?

მაგრამ მას დიდხანს როდი აძლევდნენ ტკბილ ბურანში  
ყოფნის საშუალებას:

„ყაზარმაშიო!“ ჩამძახის ხმები. —  
და მეც ფიქრთაგან გამოეფხიზლდები.  
ურალის ნაპირს, გორაკებს გვერდით,  
ვინმე ქურდივით მივალ თხრილებით,  
მივიპარები, უკან ებრუნდები.

(...ა. ო. კოზაჩკოვსკის — თარგმ. იასამანისა)

ანდა გვიან ღამით, როდესაც ნაბახუსეები მეთათურები  
თავიანთ ქოხებში ხვრინავდნენ, შევჩენკო ხის მაგიდასთან  
იჯდა და მშვიდად მუშაობდა. „ახლა ყველაზე წყნარი და  
მონებრხებული დროა, — სწერდა იგი ვარვარა რეპნიჩას, —  
ღამის მეთერთმეტე საათია: ყველაფერს სძინავს. ყაზარ-  
მაში მხოლოდ ერთი სანთელი ანთია, რომელთანაც მხო-  
ლოდ მე ვზივარ და ვამთავრებ ჩემს წერილს; ხომ მარ-  
თალია, სურათი რემბრანდტის გემოვნებისაა!“. ხოლო  
კოზაჩკოვსკისადმი მიძღვნილ ლექსში იგი ასე ასახავდა ამ  
მდგომარეობას:

ასე ვატარებ, ჩემო ძმაო, მე კვირას მწარედ,  
ხოლო ორშაბათს, მეგობარო, მე ვხვდები ღამეს  
ისევ მყრალ ქოხში, მეწვევიან ფიქრები ჯარად  
და დამიმსხვრევენ გულს და იმედს კვლავ ათასგვარად,  
და მას რისი თქმაც მე ამ ყოფას სულ დამიძიმებს...  
ყველაფერს ქვეყნად მომისპობენ. ღამე იძინებს,  
შეჩერდება და როცა ზღაზნვით ნელა იღინებს:  
წლობით, ას წლობით უკამთ მანძილებს ის გადაზომავს,  
სისხლიან ცრემლით მეც დავალბობ ბევრჯერ სასთუმალს.

საღდათური ცხოვრება პოეტს მძიმედ აწვა გულზე  
და სულს უხუთავდა. შევჩენკო თავის ცხოვრებაში

სიმწარის მეტს თითქმის ვერაფერს ხედავდა. თითქოს ტანჯვა თავიდანვე დაუნათლავს ღმერთს მისთვისო.

არ ვიცი, ღმერთი რათა მსჯის ასე.  
სკოლაში ტანჯვა მე მიგემია.  
იქ ვიზრდებოდი ტანჯვით აღსავსე,  
იქვე ქალარა გამომერია,  
სჩანს სკოლაშივე მელის სამარე.

მაგრამ რა არის იგი ციხე-სიმაგრეში ცხოვრებასთან შედარებით, მხოლოდ ბავშვური მოგონება:

ღმერთს ვევედრები — გათენდეს მალე:  
ვით ბორკილთ მსხვრევას, ველი სინათლეს  
ქრიკინა დუმს, და „საყვირს“ უკრავენ.  
ღმერთს ვევედრები — ისევ დაღამდეს,  
რადგან მივუყვართ გასამასხრებლად  
ბევრი სულელი. გამოსაწრთენელად,  
თავისუფლებას რომ პატივს ვსცემდე,  
ვიცოდე, სულელს რომ ყველგან სცემენ.

ტარას შევჩენკომ „ვერ შეიგნო“ მეფისა და მისი დამქაშების დარიგება, „ვერ დარწმუნდა“ თავის „დანაშაულში“. პოეტმა კარგად იცის, რომ იგი სიმართლისათვის იტანჯება, მაგრამ თავიდან რომ მოუხდეს ცხოვრების დაწყება, მაინც ამ გზას აირჩევდა:

სიმართლისათვის მე ვიტანჯები  
ქვეყნად, ხოლო ბედს მე არა ვსწყევლი.

ამაყად განაცხადა ორსკის ციხეში დატყვევებულმა პოეტმა.

გადასახლების პირველივე წელს შევჩენკო ცდილობს მიიღოს ხატვის ნებართვა, ამაში მას მისი კეთილისმყოფელნიც ეხმარებიან. იგი წერს თხოვნას დუბელტის სახელზე. ალექსი ჩერნიშევი ბარათი მესამე განყოფილებას გადასცა. ამოძრავდნენ ვარვარა რეპნინა, ბრიულოვი და სხვანი და უკვე 1848 წლის იანვარში, საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, მესამე განყოფილება ეკითხება

კორპუსის მეთაურს ობრუჩევს — იმსახურებს თუ არა შევჩენკო თავისი ყოფაქცევით ხატვის ნებართვის მიღებას.

12 თებერვალს ამასვე ეკითხებიან ბატალიონის უფროსს, რომელმაც მხოლოდ 10 მარტს გასცა დადებითი პასუხი. 30 მარტს ორენბურგიდან პეტერბურგს გაიგზავნა ოფიციალური ქალაქი. სადაც აღნიშნული იყო, რომ რიგითი ჯარისკაცი შევჩენკო იმსახურებს ამ წყალობასო.

ყველაფერი მომზადდა იმისათვის. რომ მეფესთან მოხსენებით შესულიყვნენ, მაგრამ გრაფმა ორლოვმა ბრძანა — ამ საკითხზე ჯერ კიდევ ადრეა მეფის შეწყუბებაო.

შევჩენკოს მდგომარეობის შემსუბუქების ერთადერთი საშუალება იყო 1848 წლის ზაფხულში არალის ზღვის გამომკვლევე ექსპედიციის შემადგენლობაში მისი ჩართვა.

პოეტს თავდაპირველად არც კი უნდოდა ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება. მარტში ორენბურგში ჩამოვიდა, იმ დროს უკვე ცნობილი გეოგრაფი და მეზღვაური, ლეიტენანტი ალექსი ბუტაკოვი. იგი თ. თ. ბელინს-გაუზენის რეკომენდაციით დანიშნული იყო არალის ზღვის გამომკვლევე ექსპედიციის უფროსად.

შევჩენკოს მეგობრებმა ბუტაკოვს მიმართეს თხოვნით, წაეყვანა ექსპედიციაში პოეტი. ბუტაკოვი დათანხმდა. საჭირო იყო ობრუჩევის დაყოლიებაც. მალე ესეც მოხერხდა. ამრიგად, 1848 წლის 5 მაისს ტარას შევჩენკომ მიიღო ოფიციალური ნებართვა, კვლავ მოეკიდა ხელი კალმისა და ყალმისათვის.

### ე ქ ს პ ე დ ი ც ი ა შ ი

1848 წლის 11 მაისს ბუტაკოვთან ერთად შევჩენკოც გავიდა ორენბურგიდან. 1848—1849 წლის ზამთარი შევჩენკომ კუნძულ კოს-არალზე გაატარა.

ძალზე მძიმე იყო ცხოვრების პირობები, მაგრამ ბუ-

ტაკოვის ექსპედიციამ მაინც ბევრი რამ შესძინა შევჩენ-  
კოს. რაც მთავარია, საშუალება მისცა ეწერა და ეხატა.  
გარდა ამისა, ექსპედიციაში იგი ახალ ადამიანებს გაეცნო.  
შევჩენკოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსი მაკშეევ-  
თან, მომბელის წრის წევრსა და პეტრაშეველების ახლო  
ნაცნობთან, ლიუდვიგ ტურნოსა და გადმოსახლებულ პო-  
ლონელ რევოლუციონერთან ტომაშ (თომა) ვერნერთან,  
ბრონისლავ ზალესკისთან. ბუტაკოვთან, მაკშეევთან,  
პოსპელოვთან, აკიშევთან, ისტომინთან, ვერნერთან ერთ  
კაიუტაში ცხოვრებას ტარას შევჩენკოსათვის ბევრი სი-  
ახლის მოტანა შეეძლო. სხვას რომ თავი დავანებოთ,  
პოლონელ რევოლუციონერებთან თავისუფალი, ადამიან-  
ური საუბრის საშუალება მაინც ჰქონდა პოეტს. მას ყო-  
ველთვის შეეძლო მათთვის აზრის გაზიარება, თავისუფალ  
ხვალინდელ დღეზე ოცნება, დღევანდელ ვარამზე ჩივი-  
ლით გულის მოხება. გარდა ამისა, პოლონელი რევოლუ-  
ციონერები კარგად იყვნენ ჩახედულნი ლიტერატურასა  
თუ ისტორიაში. ფართო ნაცნობობა ჰქონდათ მოწინავე  
ადამიანებთან და მათთან ყოფნას ადამიანურ სიტყვას  
მოწყურებული პოეტის სულიერი, მორალური დაკმაყო-  
ფილება უთუოდ შეეძლო.

არალის ექსპედიციაში შევჩენკო სრულიად სხვა წრე-  
ში მოხვდა. ვიდრე იგი ორსკში იყო. სიმპათიურმა და  
მოწინავე აზრებით გამსჭვალულმა ადამიანებმა მეგობ-  
რობის ხელი გაუწოდეს პოლიტიკურ დევნილს.

1849 წლის 10 ოქტომბერს რაიმის სიმაგრიდან შევ-  
ჩენკო ბუტაკოვთან, პოსპელოვთან, ვერნერთან და სხვებ-  
თან ერთად ორენბურგს გაემგზავრა.

აღსრულდა, უკვე გავშალეთ აფრა  
და დავაჯახეთ მოლურჯო ტალღას,  
სირდარიაში ლაქაშებს შორის,  
დიდი სანდალი, კარაპა სწრაფად.



მე ვეთხოვები ლატაკ კოსარალს,  
შენ ორი წელი შველოდი თითქმის  
ჩემს წყეულ ბოლმას, ბოლმას ონავარა...

(„აღსრულდა, უკვე გავშალეთ აფრა“ —  
თარგმ. ს. ჩიქოვანისა)

წერდა გამომშვიდობების ჟამს პოეტი. ტარას შევჩენკო  
ამ ლექსში გაორებული გრძნობით ემშვიდობება კოს-  
არალს, რადგან განსაცდელისა და მძიმე ცხოვრების  
გარდა ბევრი რამ ნახა მან ამ კუნძულზე, ბევრი გაიგო,  
ისწავლა და ბევრ მოვლენას ახლებურად შეხედა.

1849 წელს შევჩენკო ორენბურგს დაბრუნდა ექსპე-  
დიციის მასალების საბოლოოდ დასამუშავებლად.

მთელი ეს პერიოდი, მეფის მკაცრი განკარგულების  
მიუხედავად, შევჩენკოს კალამი ხელიდან არ გაუგდია.

გადასახლების პერიოდის შემოქმედებას პოეტმა  
„ტყვეობის მუზა“ უწოდა. ტურგენევის მოგონებების მი-  
ხედვით, იგი თავის ლექსებს პატარა წიგნაკში წერდა და  
ჩექმის ყელში ინახავდა.

ისევ ფარულად ვწერთ ლექსები,  
ვიღრე ძეგრს გული ახლის ტრფიალით.

(„ისევ ფარულად ლექსები ვწერთ“ — თარგმ. დავით  
გაჩეჩილაძისა)

ამბობს პოეტი. იგი წერს ლექსებს, რადგან

მე ტყვეობას მიმსუბუქებს  
როცა ვწერ ამ ლექსებს.  
მიხარიან, ვსიამოვნებ,  
თითქოს დნიპრო გზავნის სიტყვებს,  
შორით მიაღერსებს,  
ამ ლექსებით...

(„არც სხვებისათვის და არც სახელისათვის“ — თარგმ.  
იასამანისა)

გადასახლებაში მყოფი პოეტის შემოქმედების ერთ-  
ერთი ძირითადი თემა კვლავ ბატონყმობისა და თვით-  
მპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხის თავი-

სუფლებისათვის ბრძოლის თემაა. მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა მგოსანმა ამ თემას. ერთ-ერთი მათგანი არის პოემა „თავადის ქალი“.

პოემა ლირიკული შესავლით იწყება. პოეტი გასცქერის ვარსკვლავს და იგი მას თავის სამშობლოს, უკრაინას მოაგონებს. პოემის პირველ ნაწილში უკრაინულ სოფლებსა და ველ-მინდვრებს აგვისახავს. იდილიური სურათის დახატვის შემდეგ ავტორი მოულოდნელად ცვლის ლექსის ტონალობას, ხასიათს და მაყორული ქლერადობის ნაცვლად მკითხველს მოესმის ყელში ბოლმამოწოლილი ავტორის წყევლა-კრულვა; შევჩენკოს გულს უკლავს ის გარემოება, რომ მებატონეები კვლავინდებურად უმოწყალოდ ჩაგრავენ გლეხობას, სოფელი ოთხად მოკეცილი შრომობს, ხოლო ბატონები კი მათი ნაოფლარით ქეიფსა და ღრეობაში ატარებენ დროს.

ბატონების უსამართლობითა და თავგასულობით ამბოხებული შევჩენკოს ნაწარმოების „ვარნაკის“ გმირი აცხადებს — მე უმოწყალოდ და უბოროტოდ ვჩეხდი ყველაფერს, რასაც კი ბატონის სახელი ერქვაო.

ვარნაკმა, კატორღელმა, თავის ირგვლივ სახალხო შურისმგებლები შემოიკრიბა და საძულველ პანებს მუსრი გაავლო. მაგრამ ამგვარმა ბრძოლამ, როგორც ჩანს, ვარნაკს სულიერი კმაყოფილება ვერ მოუტანა, გლეხების ჩაგვრას ამ გზით ბოლო როდი მოელო. ჩიხში მომწყვდეულს, სასოწარკვეთილებამდე მისულ გმირს თვითმკვლელობის აზრიც კი გაუელვებს. შევჩენკომ მართებულად აგვისახა შურისმაძიებელი გლეხის შეზღუდულობა. არც ვარნაკმა და არც სხვა გლეხებმა ჯერ კიდევ არ იციან, რომ საკმარისი არ არის ზიზღით იყო გამსკვალული პანებისადმი და ერთი თუ ორი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმო. რომ ბატონობისა და თვითმპყრობელობის სისტემის წინააღმდეგ საჭიროა ორგანიზებული ბრძოლა.

ტარას შევჩენკომ ამ ნაწარმოებში ამხილა უკრაინასა თუ რუსეთში, ყაზახეთსა თუ სხვა ქვეყნებში გამეფებული ბატონყმური სისტემის საშინელებანი. პატიმარმა პოეტმა ლექსის სტრიქონებში ვარნაკი გამოიყვანა და გლახთა რაზმის სათავეში ჩაყენებული პანების წინააღმდეგ საბრძოლველად გაისტუმრა. მგოსანმა ნათლად დაგვანახვა, რომ ამ ქვეყანაზე არსებული ყოველგვარი ბოროტების წყარო ბატონყმური სისტემაა, ყოველგვარი ბოროტება ბატონებისაგან მოდის.

უკრაინელი კობზარის ამ ნაწარმოებს უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მშრომელი გლეხობის გულში იგი აღანთებდა შურისძიების ცეცხლს მჩაგვრელი ბატონების წინააღმდეგ. ხალხს მოუწოდებდა უფრო გაბედულად, შეკავშირებულად ებრძოლათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

რევოლუციურ ბრძოლის მოტივს შევჩენკო აძლიერებს ამავე პერიოდში შექმნილ ნაწარმოებში „მეფეები“. გადასახლებაში მყოფ პოეტამდე მიაღწია 1846 წლის რევოლუციის ამბებმა და სწორედ მისი გამოცხილი უნდა იყოს ეს ნაწარმოებიც. შორეულ მხარეს უწიგნოდ, უქაღალდოდ დატოვებულ პოეტს ხელში ბიბლია შეაჩეჩეს. მან ყურადღებით წაიკითხა და შეისწავლა იგი. მაგრამ ამ „წმინდა საკითხავიდან“ ღვთის პატივისცემა და სიყვარული როდი შეითვისა. პოეტმა ბიბლიური გადმოცემები და ლეგენდები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული თავისი პოეტური ქმნილებებისათვის გამოიყენა. „მეფეები“ ბიბლიიდან და ნაწარმოებიდან „მოთხრობა გარდასულ წლებზე“ აღებულ ნოველებზეა აგებული. ნაწარმოების ყველა თავში მეფეთა ავ საქმეებზე და ცხოვრებაზეა საუბარი.

პოემის შესავალში ავტორი დასცინის პოეტებს, რომლებიც თავიანთ ოდებში ქება-დიდებას ასხამდნენ მეფე-

ებს, და მკითხველს დაუფარავად ამცნობს თავის მიზანს — ხალხს ტირანების ნამდვილი სახე უჩვენოს:

უჩვენოთ ყველას იმათი სახე,  
ბრძებს ავუხილოთ დღეიდან თვალი,  
რომ ვერ დაგვიგონ მზაკვრულად მახე  
და მოვიხადოთ ხალხის წინ ვალი.

(თარგმ. მიქელ პატარიძისა)

იმ დროს, როდესაც მთელი ხალხი ბრძოლის ველზე სისხლს ღვრიდა, ქალაქს მწუსარე თალხი ეხურა, როდესაც ჯარი ერთგულად იბრძოდა ველად, მრავლდებოდა ობოლი, ქვრივი, მათი მეფე განცხრომას ეძლეოდა. „მეფისათვის ამ დროს ყვავილებს ჰკრეფდნენ“. ლამაზი ქალის „თეთრი გულმკერდის ხილვით“ ვნებააღძრული მეფე, „მსუნაგი კატა“ მეზობლის ბაღში „გემრიელ ლუქმას“ უთვალთვალეზდა.

ჩამოწვა ღამე ლანდები ბნელი,  
იერუსალიმს დაადგა თავზე,  
მეფე მრუში და ბოროტის მქნელი  
თავის ფარეშებს ბრძანებებს აძლევს.

მეფემ „ისურვა ქალი სხვის ქმრისა“. მისი ბრძანების წინაშე ყველა უძღურია. მას მიჰგვარეს ქალი და იმ ღამეს ხელმწიფემ თავისი საწადელი შეისრულა. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა მისი უძღვები გული. ბოროტების დაფარვის მიზნით მან ქალის ქმარი მოაკვლევინა:

მოკლა საბრალო, თვისი საქმენი  
მიჩქმალა ავი ხალხის წინ ასე,  
მერე ატირდა და სთქვა ფსალმუნნი...

ქვეყნის მმართველთა ამგვარი ბოროტი ცხოვრება ავტორში ზიზღის გრძნობას იწვევს და კითხულობს:

ნუთუ ასეთი სამოთხე გინდათ,  
გულის ამრევი და დასაფიცი.

მეორე თავში დავითის შვილების — ამონისა და ფამა-

1928 5354 - E. 9





რის ამაზრზენ ფიზიკურ კავშირზეა მოთხრობილი. უნ-  
მორეული ამონი ძალას ხმარობს თავის დაზე და მას  
შემდეგ

მეფის შვილები ცხოვრობდნენ ასე.  
მეფობდა მათში ცოდვა და მრუში.  
ბავშვნო უცქირეთ და შეაფასეთ,  
ატარეთ ზიზლი მათდამი გულში.

ავტორი ნაწარმოებში მრავალჯერ აკეთებს აქცენტს  
მეფეზე, მეფის შვილებზე. რათა ხაზი გაუსვას ხელმწი-  
ფის ოჯახის ამორალობას. ხელმწიფისა და მისი მემკვიდ-  
რეების ავხორცობას. ასკვნის, რომ ამგვარი სიბილწე  
მეფის მოდგმისათვის არის დამახასიათებელი და არა  
უბრალო ხალხისათვის.

მრუშ და ბოროტ მეფეებს თავი ღმერთებად წარმო-  
უდგენიათ. მათ მიაჩნიათ. რომ მათი სურვილი თვით  
ღმერთის სურვილია და იგი უმაღ უნდა შესრულდეს,  
რა სისხლის ღვრა და გოდებაც არ უნდა მოჰყვეს ამას.  
პოეტმა რუსეთის ხელმწიფე, ნიკოლოზ პირველი აალაპა-  
რაკა „წმინდა ღვთის“ ენით. როდესაც ათქმევინა:

მე აქ მეფე ვარ ღვთის დანიშნული  
და თვით ვარ ღმერთი ამა მხარისა.  
ვარ ყველაფერი...

ასეთი გულქვა და სასტიკი იყო ნიკოლოზ პირველი,  
რომელიც ფეხქვეშ თელავდა ადამიანის თავისუფლებასა  
და თავმოყვარეობას, სინიდისსა და ნამუსს. ასეთ ქვეყა-  
ნაში და ასეთი მეფის ხელში. შევჩენკოს აზრით, არასო-  
დეს არ შეიძლება კაცი ბედნიერებას ეღირსოს, რად-  
განაც

თავისუფლება სადაც არ არის,  
იქ ხომ სიკეთეც იქნება მკედარი.

პოეტი ბედნიერებას ხალხში ეძებს, მასთან ერთად  
ცხოვრებასა და ბრძოლაში ფიქრობს მის მოპოვებას:

ხალხში ვიპოვოთ ჩვენ სიხარული,  
და სანატრელი მგოსნების ბელი.

ამბობს იგი. ხალხის ბედით ჩაფიქრებული მგოსანო-  
მტარვალების წინააღმდეგ საბრძოლველად მოგვიწოდებს:

ნეტავ მეფეებს, ხალხის ქალათებს,  
ჩაზედ სტოვებენ ამ ქვეყნად კიდე?  
ხალხის მტანჯველებს და მოღალატეთ  
რატომ არა ესჯით და ხელს არ ვკიდებთ?

ეს სტრიქონები უღერენ როგორც ნაწარმოების ლოგი-  
კური დასასრული.

როგორც ვხედავთ, მეფის წინაშე ქედის მოხრა და „ცოდვების მონანიება“ კი არა, პირიქით, მის წინააღმდეგ ხალხის ამხედრება და აჯანყების ცეცხლის ხილვა სურს გადასახლებაში მყოფ პოეტს.

ტარას შევჩენკოს შემოქმედებაში პატრიოტიზმის თემა ერთ-ერთი ძირითადი თემაა („სიზმარი“, „გავიხსენოთ ძმებო“... და სხვ.). სამშობლოს უბედურებით გამოწვეული დარდი და მწუხარება პოეტს მოსვენებას არ აძლევს:

მიწაზედ უფრო მიწისფერ სახით,  
იმ კარგ სოფელში ბოგინობს ხალხი,  
ჩამონგრეულა დამპალი სახლი,  
ამწვანებული დაფშვნილა ბაღი,  
პრიალა ტბაზე ძეძვნარით ბნელა,  
ის მხარე თითქოს ცეცხლს გაღუცელავს.

(„მე გავიზარდე უცხო მხარეში“—თარგმ.  
დავით გაჩეჩილაძისა)

პოეტის თვალწინ ჩაივლის ბატონთან ბეგარის გადასახდელად მიმავალი ხალხი. ყველა დამუწკებულა, ყველას თავი ჩაუქინდრია და ისე ეწევა ცხოვრების მძიმე ჭაპანს:



ძნელია ფიქრიც, წუხილი დაგშლის,  
ან უდაბნოში იღმუვებ ქარად...  
და უფრო ძნელი, — უკრაინაში  
სკვრეტდე; იცრემლო და იყო წყნარად.

ეს გულხელდაკრეფილი ლოდინი აღელვებს პოეტს.  
იგი მას სიკვდილმისჯილის ლოდინს აგონებს. ო, როგორ  
გაიხარებდა მგოსანი და ხალხის გულიც, თავისუფალი  
უკრაინა რომ ენახა. მაშინ მწვანით გადაბიბინებული  
უკრაინა სამოთხედ იქცეოდა. ველარ დააკვნესებდა  
ხალხს პანის მათრახი, რადგან იმ დროს პანების სახსენე-  
ბელიც აღარსად იქნებოდა. მაშინ კი

მართლაც იქუხებს სიმღერით ძალი,  
თუ რომ სამშობლო — უკრაინაში  
მთლად წაიშლება პანების კვალი.

მაგრამ უკრაინაში ჯერჯერობით პანები ბატონობენ,  
კვლავ პანები ხდიან სულს ხალხს, კვლავ ისინი არად აგ-  
დებენ სინიდისსა და ნამუსს და თავისი ყინის დასაკმაყო-  
ფილებლად ყოველგვარ სისაძაგლეს ჩადიან, თეთრი,  
ფაფუკი ხელებით ტანსაცმელს აგლეჯენ და ნამუსს ხდი-  
ან უკრაინელ გოგონას. ცრემლი ყელში ებჯინება თა-  
ვისი ხალხის უბედურების შემყურე პოეტს. მაგრამ რა  
ქნას მან. ხელფეხშებოროკილმა, ამიტომაც, კვლავ მგზნე-  
ბარე ლექსებით. პოეზიის ცეცხლით სურს მოაშთოს პა-  
ნების მოდგმა.

ნაწარმოებში „რომ შემთხვევა ყოფილიყო“ მგოსანი  
გვიხატავს უკრაინელ ვაჟაკს, რომელიც სამუდამო სირ-  
ცხვილს გადაარჩენს ქალიშვილს. პაპანაქება დღეა. გო-  
გონები ველს ფარცხავენ, ბიჭები კი ზვინებს დგამენ. მოს-  
წყურდათ. ერთმა გოგონამ სურას ბელი დაავლო და  
წყლის მოსატანად გაიქცა. მაგრამ დიდხანს დაყოვნდა,

და უცბად ხევით მოესმათ  
ბიჭებს სიმწარით კივილი.  
ნახეს: იმ გოგოს სტანჯავდა

უმსგავსო ბატონიშვილი,  
ვერაგი, რძეშეუმშრალი  
გოგო ჰკიოდა საწყალი...

(თარგმ. იასამანისა)

ვაეები გახევდნენ. ვერ გაბედეს ხელის განძრევა. მხოლოდ ერთმა ვაეკაცმა. ამ სისაძაგლის შემყურემ, ველარ მოითმინა და ბატონიშვილი ფიწალზე წამოაგო:

ყველაზე ახალგაზრდამა:  
მყის. ვით უმსგავსო გომბეშო,  
მან წამოაგლო ფიწალზე  
ბატონისწული და სულიც  
გააფრთხობინა იმ წამსვე.

ყველამ იცოდა, რა მოელოდა ჭაბუკს. ქალაქში კაცი აფრინეს. მოსამართლეებიც მყისვე გაჩნდნენ. ყმაწვილს ბორკილები გაუყარეს და საციმბიროდ გაამზადეს.

ტარას შევჩენკო აქ რომ შეჩერებულიყო. მას ძველი თემის. „პოკრიტკას“ თემის უბრალო განმეორება გამოუვიდოდა. პოეტის აღრმავებს თავის აზრს და გადარჩენილი გოგონას სახით ახალ ტიპს გვიხატავს.

მტვერსა და ბულში ბორკილების ეღარუნით მიაბიჯებენ ტუსადები ციმბირისაკენ. პატიმრების კოლონას გზაზე მაყრიონი წამოეწევა. პატარძალმა მათ არაყი შესთავაზა და ამ დროს ერთ-ერთ მათგანში მისი მხსნელი შეიციწო.

მაგრამ, ღმერთო. ეს რას ხედავს?  
სიცხადეა განა მწველი?  
ტუსადო შორის ბორკილებში  
შენიშნა მან თავის მხსნელი!

გაოგნებული პატარძალი კვლავ მაყრებმა გაიტაცეს. პოეტი ამ სურათის საინტერესო გადაწყვეტას იძლევა.

ისმის მღერა, ხმა მუსიკის.  
შუალამეზე ნამზითევი  
ქვეშსაგები გაიშალა.  
მაგრამ სახლი პატარძლისა  
თითქოს უცბად დაიკალა:  
ალარ არის პატარძალი,  
შეუმჩნევლად გაიპარა.  
ეძებეს და ვერ იპოვეს,  
სადა? ხომ არ დაიბარა?  
ის ციმბირში გაქცეა იმას,  
თავის საწყალ მხსნელ პატიმარს...

ტარას შევჩენკომ თავის ნაწარმოებში შურისმაძიებელი ჭაბუკის გვერდით ახალი სახე დაგვიხატა უკრაინელი გოგონასი. რომელმაც გაიზიარა თავისი მასწავლის მწარე ხვედრი.

შევჩენკოს შემოქმედებაში თანამედროვეობის თემას ცენტრალური ადგილი უკავია. მაგრამ პოეტი ხანდახან უკრაინის ძველ სამყაროს მიმართავს და მის სურათებს ახმიანებს. ასეთ ნაწარმოებებს განეკუთვნება „ირჟავეცი“, „ბერი“, „შვაჩკა“ და სხვ.

„შვაჩკას“ მთავარი გმირი შვაჩკა 1768 წლის გლეხური აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. ხალხურ სიმღერები შვაჩკას იხსენიებენ როგორც ხალხის დამცველ გმირს. პოეტი თავისი ნაწარმოების შექმნის დროს იყენებს ხალხურ გადმოცემებს და პოემას ხალხურობის სულს უნარჩუნებს.

პერეპიატში ჰაიღამაკთა  
გუნდი ღამეს ათევს...  
ასი არა, არც ორასი  
ათასს დასცეს მეხი;  
აზნაურთა სისხლი მისჩქებს  
გულს დაადგეს ფეხი.  
სასახლე და კოსტელები  
გახდა ცეცხლის წერა...

იქ შვაჩკაა, კაზაკები,  
გალობა და მღერა...

(თარგმ. მიქელ პატარიძისა)

სისხლი უღუღოთ კაზაკებს. ბრძოლის წყურვილი ვერ დაუოკებიათ: რადგან მათი მძლე არავინა ჩანს. ლექსი ხალხის უძლეველობაზე და მისი შვილების გმირობაზე მოგვითხრობს.

კოს-არალში დაწერილ მთელ რიგ ლექსებში კობზარი ამხელს უკრაინელ ლიბერალ მემამულეებს, რომლებიც პატრიოტობაზე დადადებენ და ქვითინებენ. ლექსში „პ. ს.“ პოეტი კიცხავს სკოროპადსკის და მის საქციელს. „გაქსუებული“, „ფლიდი“, ყმების გამაუბედურებელი გეტმანი ხალხისადმი სიყვარულს მიკიტნებთან ლოთობაში ხედავს.

ხოლო გლეხებთან არაყს მიირთმევს  
და ლიბერალობს სულ მიკიტნებში  
მასთან სოფლელი გოგო ვერავენ  
ვერ გადაურჩა: ყოველწლივ ნათლავს  
თავის ნაჰირვებს წუწკი, ვერანი.

პოეტმა იცოდა, რომ ამ საქმეში სკოროპადსკი მარტო არ იყო და ამიტომაც მრისხანედ კითხულობდა — სკოროპადსკების პარპაშს როდის მოელება ბოლო, „რად არ გავსრესთ“ მათო.

გადასახლების პერიოდის შემოქმედებიდან ასევე საინტერესოა შევჩენკოს პოემა „მარინა“, რომელშიაც მძლავრად მოისმის ამბოხებული სულის საბრძოლო მოწოდება.

ტარას შევჩენკოს საზოგადოების მორალური გახრწნისა და დაცემის მიზეზად მეფის ხელისუფლება, თვითმპყრობელური სისტემა მიაჩნდა. ლექსი „წინასწარმეტყველი“, რომელსაც, როგორც ფიქრობენ, პუშკინისა და ლერმონტოვის ამავე სახელწოდების ნაწარმოებებთან

შევრი რამ უნდა ჰქონდეს საერთო, ამ თემის გახსნას მიეძღვნა.

უკრაინელ პოეტს სამშობლოსადმი სიყვარული ვიწროდ, ნაციონალისტურად წარმოდგენილი არა აქვს. მისთვის სამშობლოს სიყვარულში ვლინდება თბილი გრძნობა ყველა დაჩაგრული ხალხისადმი. ეს მოტივი მოისმის პოეტის ცნობილ ნაწარმოებებში: „კავკასი“, „სიზმარი“, „გოგოლს“ და სხვ.

1848 წელს მღელვარებამ მოიცვა ორენბურგის მხარე. მეფის თვითმპყრობელობის მიერ სისტემატური შევიწროებით განაწამები ყაზახები აჯანყდნენ. შეეჩენკომ იცოდა ამ აჯანყების შესახებ, იცოდა ისიც, თუ უდაბნოში გაყრილი ხალხი როგორ იტანჯებოდა შიმშილითა და წყურვილით. სწორედ ამიტომაც ორსკის ციხე-სიმაგრეში დაწერილი მისი ლექსები ამჟღავნებენ ყაზახი ხალხისადმი ღრმა სიმპათიებს.

ლექსში „ფიქრნო ჩემნო“ იგი მიმართავს თავის ფიქრებს:

ფიქრნო ჩემნო, გეძებთ, გიხმობთ,  
თქვენ ხომ ერთნი მართობთ...  
ამ ტიალ დროს ჩემთან იყოთ,  
ნუ დამტოვებთ მარტო...

ჩაუქროლეთ ველზე ღარიბ,  
შიშველ ყირგიზებსა,  
ლალნი, მაინც სიმწუხარით,  
რომ შესთხოვენ ღმერთსა.

(თარგმ. დავით გაჩეჩილაძისა)

შეეჩენკო ასეთი სიყვარულით მარტო ამ ხალხისადმი როდია გამსჭვალული. პოეტის ამ პერიოდის ლექსებში სხვა ხალხებთან მეგობრობისა და ძმობის იდეაც გამოსჭვივის.

გადასახლებაში მყოფი პოეტი პოლონელ რევოლუ-

ციონერებს დაუახლოვდა. მათ ერთად მოიარეს არალის ზღვის სანაპიროები. ერთმანეთი გამოსცადეს გაჭირვებასა და დაღვინებაში. სერაკოვსკი, ჟელიგოვსკი, ზალესკი და სხვანი მისთვის უკვე ახლობელი ადამიანები გახდნენ.

პოეტი ქმნის მხატვრულ ნაწარმოებებს. სადაც კი-ცხავს პოლონელ მაგნატებსა და ქსენძებს:

ეს იყო სანამ ქრისტეს სახელით  
ქსენძნი მოვიდნენ: და ალი მწველი  
ჩანთქავდა იმ ჩვენს მყუდრო სამოთხეს.  
ცრემლით, სისხლის ღვრით მათ არე მორწყეს.  
ჯვარმცა არგუნეს შვილებს და მამებს.  
ქრისტეს სახელით ბევრი აწამეს.

(„პოლონელებს“ — თარგმ. იასამანისა)

ქსენძებმა უკრაინელ კაზაკებს თავი დაახრევეინეს: მათ რელიგიის ბნელი ხრიკების გამოყენებით ერთმანეთს დააშორეს ძმები — უკრაინელები და პოლონელები. ახლა კი, წერს პოეტი, კვლავ გავუწოდოთ ძმობის ხელი ერთიმეორესო:

ასეა, ჩემო ძმავ, პოლონელო,  
ჩვენ დაგვაშორეს ბილწმა ქსენძებმა  
და მაგნატებმა, თორემ მარადის  
ჩვენ ვიცხოვრებდით ძველებრ ძმურადა.  
კვლავ გავუწოდოთ ხელი ყაზახებს!  
და წმინდა გულით ძველებურადა...  
კვლავ აღვადგინოთ სამოთხე ძველი.

დიდი კობზარი ასახავდა რუსეთის ხალხთა ძმობას, სხვადასხვა ერების ძმობას და მათ საერთო სურვილსა და ინტერესს — ებრძოლათ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ებრძოლათ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის, ხვალინდელი ნათელი დღისათვის.

ტყვეობაში მყოფ პოეტის შემოქმედებაში ლირიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შორეულ მხარეს

გადახვეწილი პოეტი თვალცრემლიანი გაჰყურებდა ტრამალებს და მშობლიურ მხარეს იგონებდა. ქურდულად, მიპარვით, მდინარის პირას ჩაცუცქული ჯარისკაცი შევჩენკო მდინარეს ებუტბუტებოდა და თავის ფიქრებს ატანდა. თვალუწვდენელ უდაბნოში მარტოობის გრძნობა სულს უწვრილებდა პოეტს. ასეთ ვითარებაში იქმნებოდა ნაწარმოებები: „ცამეტი წლის ვიყავ“, „მე გავიზარდე უცხო მხარეში“, „როგორ ვძლებ — მიკვირს“ და სხვა მრავალი.

შევჩენკოს ლირიკაში განზოგადებულია. ტიპიურობამდეა აყვანილი სოციალური ურთიერთობანი. ლექსებში ასახული მისი ბავშვობის წლებიც იმდროინდელი ყმა-გლეხებისათვის ასევე ტიპიური მოვლენა იყო.

ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია ლექსი „კვლავ ღრუბელი იცვლის ბინას“:

კვლავ ღრუბელი იცვლის ბინას,  
ზეცას წითლად აფერადებს,  
და მზეს აწვდის თავის თათებს,  
რომ ის ზღვაში ჩააწვინოს;  
ისე, ვით ბავშვს ნაზი ღედა,  
მზეს აფარებს წითელ სამოსს.  
და საბრალო გული ბედავს  
წუთს მიეცეს სასიამოს.  
თითქოს გული მშვიდად არი  
და აქვს ღმერთთან საუბარი.  
მაგრამ ნისლი, როგორც მტერი,  
ჩრდილავს ზღვისა მწვანე ფართობს,  
და ღრუბელი ვარდისფერი  
ახლა ედარ დანავარდობს.  
მკრთალი ნისლი წყვდიადს სტოვებს,  
წყვდიადისა არ სჩანს კიდე,  
ეს სიბნელე გულს აგლოვებს,  
და არ იცი სად წახვიდე.  
ველოდები იმ ქვეყანას,  
როგორც ბავშვი დედის ნანას.

(თარგმ. ვალერიან გაფრინდაშვილისა)

გადასახლების პერიოდში შექმნა პოეტმა მრავალი სიმღერა. რომელიც შემდეგში ხალხმა აიტაცა და გულით მიიღო. ტარას შევჩენკოს ამ პერიოდის შემოქმედებაში სახალხო აჯანყების აგიზგიზებულ ფონზე კვლავაც გამოიკვეთება ამაყად მდგომი ხელშემართული სახალხო შურისმაძიებლის პროფილი. პოეტი ხან მრისხანედ სჭექს ომანიან საომარ სიმღერას და ხანაც მზით გაკაშკაშებულ, გადახრუკულ ველებს ან მთვარიან ღამეს, უკრაინისა და ყაზახეთის ბუნებას და ხალხს ნაზი და თბილი გრძნობით ეალერსება.

### ი ს ე ვ ო რ ე ნ ბ უ რ გ ი. ი ს ე ვ დ ა კ ა ტ ი მ რ ე ბ ა

ექსპედიციიდან ორენბურგს დაბრუნებულმა შევჩენკომ შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ მას არ ავიწყდებოდა. რომ ასეთი თავისუფლება დროებითი იყო, მითუმეტეს. რომ ოფიციალურად ხატვის ნებართვა მას არ ჰქონდა. ამიტომაც იგი პეტერბურგიდან ოფიციალური ნებართვის მიღებას ცდილობდა.

ჯერ კიდევ 1849 წლის 23 თებერვალს ა. ი. ბუტაკოვი უფროსებთან შევიდა ოფიციალური წინადადებით. რათა შევჩენკოსათვის ხატვისა და წერის ნება მიეცათ. მაგრამ ამ შუამდგომლობას შედეგი არ გამოუღია. ამჯერად შევჩენკომ დახმარებისათვის ვ. ნ. რეპნინასა და ვ. ა. ყუკოვსკის მიმართა.

მეგობართა იმედები კვლავ არ გამართლდა. 1850 წლის დამდეგისათვის პეტერბურგიდან უარი მოვიდა შევჩენკოს მიმართ რაიმე შეღავათების გაწევაზე: მეფეს იგი კარგად ახსოვდა.

მეგობართა თხოვნით მხარის უფროსი გენერალი ობრუჩევი დათანხმდა შევჩენკო გეოლოგ ვერნერთან ახალ ექსპედიციაში გაეგზავნა. „ახალი წლისათვის მე გამომიცხადეს, — წერდა იგი ვ. რეპნინას, 1850 წლის 1 იან-



ვარს, — რომ შემდგომ გაზაფხულზე კვლავ უნდა გავემგზავრო არალის ზღვაზე. ნამდვილად. იქიდან დაბრუნება აღარ მიწერია!“.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა. შევჩენკო მაინც არ კარგავს იმედს. მაგრამ სრულიად მოულოდნელად უბედურება მას სხვა მხრიდან წამოეპარა. ერთხელ შევჩენკოს თავისი მეგობრის გერნის გამო უსიამოვნება მოუვიდა ერთ ახალგაზრდა ოფიცერთან (თევდორე ლაზარევსკის ცნობით ისაევთან. თვით შევჩენკოსი კი ილიაშენკოსთან). განაწყენებულმა ოფიცერმა. სამაგიერო რომ რითიმე გადაეხადა მისთვის. უფროსებთან დაასმინა — აკრძალვის მიუხედავად შევჩენკო კვლავაც განაგრძობს წერასა და ხატვას. გარდა ამისა სამხედროს ნაცვლად სამოქალაქო ტანსაცმელი აცვიაო და სხვ.

ობრუჩევმა ყოველივე ეს კარვად იცოდა. მისი დასტურით გააყოლეს იგი ბუტაკოვის ექსპედიციას. ესეც რომ არ იყოს, გენერლის სახლში. ხანდახან მისი თანდასწრებითაც, შევჩენკო ხატავდა მისი მეუღლის მათილდა პეტრეს ასულ ობრუჩევას პორტრეტს. ასლა კი ასეთმა დასმენამ გენერალი ჩააფიქრა. ხომ შეიძლებოდა, დასმენის ქალაღდი ოფიცერს ობრუჩევზედაც გაეგზავნა პეტერბურგს? ამიტომაც მან თავის დაზღვევის მიზნით ფიცხელი განკარგულება გასცა — გაეჩხრიკათ შევჩენკოს ბინა და დაეპატიმრებინათ იგი. ეს მოხდა 1850 წლის 23 აპრილს.

1850 წლის 12 მაისს ობრუჩევის განკარგულებით ორენბურგის ჰაუპტვახტიდან შევჩენკო ფეხით გაუყენეს ორსკისაკენ მიმავალ გზას. ორსკის ციხე-სიმაგრეში პოეტს ძველი „მეგობარი“ მაიორი მეშკოვი დახვდა. გენერლის განკარგულებით შევჩენკო საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს.

1850 წლის 23 მაისს ყოველივე ამის თაობაზე ობრუ-

ჩემა სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს მოხსენება გაუგზავნა. ნიკოლოზ I განკარგულებით შევჩენკო კვლავ აიყვანეს პატიმრობაში. ხოლო საქმის შესწავლა კი III განყოფილებას დაევალა. ძიებას თვით გრაფი ორლოვი ხელმძღვანელობდა. პოეტის მეგობრების თხოვნისა და აგრეთვე პირდაპირი საბრალმდებლო მასალების მიუხედავად, მეფის ხელისუფლებამ მაინც სრულიად საკმარისად ჩათვალა ორენბურგიდან მიღებული ცნობები მოუდრეკელი ადამიანის უფრო მკაცრად დასასჯელად. 1850 წლის 30 ივნისს პეტერბურგიდან მოვიდა განკარგულება — რიგითი ჯარისკაცი შევჩენკო განთავისუფლდეს პატიმრობიდან და გადაყვანილ იქნეს ნოვოპეტროვსკის ციხე-სიმაგრეში შემდგომი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

8 ოქტომბერს უნტერ-ოფიცრის თანხლებით შევჩენკო გურიევს გააგზავნეს, ხოლო იქიდან 13 ოქტომბერს საფოსტო ნავით—ნოვოპეტროვსკს. 17 ოქტომბერს პოეტი ახალი გადასახლების ადგილზე იმყოფებოდა.

## ნ ო ვ ო პ ე ტ რ ო ვ ს კ ი

ნოვოპეტროვსკის სიმაგრე 1847 წელს იყო აგებული და ორენბურგის მხარეში შედიოდა. ყაზახეთის მთელი დასავლეთი ნაწილი ამ დროისათვის რუსეთთან იყო შეერთებული. რჩებოდა ერთი მონაკვეთი — არალისა და კასპიის ზღვებს შუა მოქცეული უდაბნო. სადაც შომთაბარე ყაზახები არ სცნობდნენ მეფის ხელისუფლებას და არც ემორჩილებოდნენ მას. ამ რაიონში, ხელისუფლების თვალსაზრისით, კიდევ იყო ერთი სუსტი ადგილი, ხივინის სახანო. ეს სახანოც ჯერჯერობით არ იყო შეერთებული რუსეთთან.

ამ ვითარებაში ნოვოპეტროვსკის დიდი სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობის სიმაგრეს უნდა შეენელები-

ნა ყაზახებში განთავისუფლებისათვის ბრძოლის ტენდენ-  
ცია და თავიდან აეცილებინა ყაზახეთის სტეპებში მოსა-  
ლოდნელი აჯანყება. მას უნდა მოეხსნა ბივინის სახანო-  
დან და თურქმენეთიდან თავდასხმის საშიშროება და უნ-  
და ყოფილიყო ამ მხარეში მეფის ხელისუფლების ძალა-  
უფლების შემდგომი განმტკიცების საყრდენი.

გადასახლების ეს ახალი ადგილი შევჩენკოს კარგს  
არაფერს უქადდა. „სად არ მოვიარე ამ უბედური სუთი  
წლის განმავლობაში. — სწერდა პოეტი ს. ს. გულაკ-არ-  
ტემოვსკის 1852 წლის 1 ივლისს, ყირგიზეთის სტეპი  
თავიდან ბოლომდე სულ შემოვიარე; არალის ზღვა კი-  
დით კიდემდე გადავცურე, ახლა კი ვზივარ ნოვოპეტ-  
როვსკის სიმაგრეში და ვუცდი, რა იქნება შემდეგ; ეს  
სიმაგრე კი — დე იყოს შენტვის ცნობილი, მდებარეობს  
კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე. ყირგიზე-  
თის უდაბნოში. ნამდვილი უდაბნოა! ქვა და ქვიშა; ბალა-  
ხი ან ხე მაინც იყოს, — არაფერი არ არის. რიგიან მთა-  
საც კი ვერ დაინახავ. — ეშმაკმა იცის რა არის“.

ნოვოპეტროვსკის სიმაგრის გარნიზონი ორი ასეული-  
საგან შედგებოდა. გარნიზონის მეთაური იყო პოდპოლ-  
კოვნიკი ა. პ. მაევსკი. ხოლო იმ ასეულისა, რომელშიაც  
შევჩენკოს უნდა ემსახურა — პოტაპოვი. უკრაინელი  
მგოსნის ჩასვლამდე მთელი შემადგენლობა გააფრთხი-  
ლეს — ჩამოდის პოეტი, რომელმაც თვით მეფის რისხვა  
დაიმსახურა, პოლიტიკური პატიმარი, ჯიუტი, თავნება,  
საშიში კაცი. არავითარ შემთხვევაში მას ხატვის და წე-  
რის საშუალება არ უნდა მიეცეს.

დაშინებული უფროსები შევჩენკოს ფხიზლად ადევ-  
ნებდნენ თვალს. მას მიუჩინეს ეფრეიტორი, რომელიც  
ყველგან თან დაჰყვებოდა და ყაზახმაში მობრუნებისას  
ჩხრეკავდა კიდევ. პოეტი მკაცრ რეჟიმში ჩააყენეს, აიძუ-  
ლებდნენ ყოველდღე უღვაშებზე ეზრუნა. „წესის მიხედ-  
ვით“ დაეყენებია უღვაშები, ჯარისკაცის ფორმა ეტა-

რებია; მას კი გულში უნდა „ჩაემარხა ყოველგვარი ადამიანური გრძნობა, გადაქცეულიყო უსულო ავტომატად და მდუმარედ მოესმინა... მცარცველისა და სისხლისმსმელისაგან ზნეობრივი შეგონება“. მეთოდურად, ყოველწლიურად ცდილობდნენ გაეთელათ მასში ადამიანური გრძნობები, ჩაეხშოთ ადამიანური სული. 1852 წელს შევჩენკო სამოცდასამჯერ იდგა ყარაულში. სასოწარკვეთილებამდე მისული პოეტი წერდა: „მე ბედნიერება არ მიწერია. მონობაში დავიბადე. გავიზარდე და მოვკვდები კიდევ, ალბათ, სალდათადო“.

ნოვოპეტროვსკის საზოგადოებას უმთავრესად სამხედროები შეადგენდნენ. ოფიცრობა ლოთობას იყო გადაყოლილი. ჯარისკაცთა უმეტესობაში ადამიანის ჩაკვლა უკვე მოესწროთ და ტიკინებად გაეხადათ. უკაცრიელ ადგილს მოხვედრილმა პოეტმა თავი ობლად იგრძნო: „ამ უდაბნოში ტყვეობა კი არ მიხუთავს სულს — წერდა იგი. — არამედ მარტოობა. — აი ჩემი უსასტიკესი მტერი!“.

შევჩენკოს მით უფრო სჭირდებოდა მეგობრები და ამხანაგები. გამგები ადამიანი. რომ მას გარესამყაროსთან, განსაკუთრებით კი პეტერბურგთან. კავშირი მთლად გაუწყდა. 1851 წლის დამდეგს იგი შეეცადა რეპნიანსა და ლიზოგუბისათვის მაინც მიეწვდინა ხმა. შეეტყობინებინა ახალი ადგილსამყოფელი. მაგრამ არც ერთისა და არც მეორესაგან არაფერი ისმოდა. შევჩენკო შეშფოთდა, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

„არც თქვენგან, არც ვარვარა ნიკოლოზის ასულისაგან აქამდე არაფითარი ცნობა არა მაქვს. პირდაპირ არ ვიცი. რა ვიფიქრო... გეხვეწებით. გემუდარებით, როდესაც ჩემ წერილებს მიიღებთ. თუნდაც სუფთა ქალაქი ჩადეთ კონვერტში და გამომიგზავნეთ. ყოველ შემთხვევაში მეცოდინება მაინც, რომ თქვენ ცოცხლები ხართ!“ — სწერდა სასოწარკვეთილი პოეტი ლიზოგუბს.

რა იცოდა მან, რომ მის მეგობრებს პირი აუკრეს და მი-  
მოწერაც აუკრძალეს. ჟანდარმერიის სუსხი მათაც მისწვ-  
და. მისი გულისათვის ბუტაკოვმა სასტიკი საყვედური  
მიიღო, ანდრეი ლიზოგუბი გრაფმა ორლოვმა გამოიძახა  
და მკაცრად გააფრთხილა, რეპნინას კი ოფიციალური ბა-  
რათი გაუგზავნა, სადაც მისი უდიდებულესობის სახელით  
გულისწყრომა და საყვედური გამოსთქვა „ორენბურგის  
მეხუთე სახაზო ბატალიონის რიგითი ჯარისკაცის შვე-  
ჩენკოსადმი“ მისი დამოკიდებულების გამო.

მეფის ჟანდარმერიამ ყველას გადაუკეტა შვეჩენკოს-  
თან ურთიერთობის გზა.

დრო გადიოდა. შვეჩენკო ახლოს ეცნობოდა ჯარისკა-  
ცებს. მან მონახა თანამემამულენიც. შვეჩენკოსთან ერ-  
თად ასეულში მსახურობდა რიგითი ჯარისკაცი სკობელე-  
ვი. პოეტი დაუახლოვდა მას. ამ მართალსა და დაუდგარო  
ხასიათის კაცს. ისინი თავისუფალ დროს ერთად ატა-  
რებდნენ. მღეროდნენ და იგონებდნენ თავიანთ სამშობ-  
ლოს. მაგრამ მათი მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებუ-  
ლა. პორუჩიკმა ობრიადინმა ურალსკში გამგზავრების  
წინ დენშჩიკად აიყვანა სკობელევი. ურალსკში სკობე-  
ლევს ამანათით ფული უნდა მიეღო. მაგრამ მის ნაცვლად  
კარგად დალუქული ცარიელი პაკეტი მისცა ხელში. იგი  
მიხვდა. რომ ქურდმა და უნამუსო ობრიადინმა, რო-  
გორც ეს მას სჩვეოდა. ჯარისკაცისათვის განკუთვნილი  
ფული მიითვისა.

დენშჩიკი თავის უფროსთან მივიდა და ფული მოსთხო-  
ვა. ობრიადინმა ფულის მიცემის მაგივრად სილა გააწნა.  
სკობელევმაც ველარ მოითმინა და სამაგიერო პასუხი  
გასცა. ამ „თავხედობისათვის“ ჯარისკაცი სასტიკად და-  
საჯეს — მწკრივში გაატარეს. ორიათასი შპიცრუტენი  
დაჰკრეს და შვიდი წლით გადაასახლეს პატიმართა ასე-  
ულში.

შვეჩენკომ მძიმედ განიცადა მეგობრის ბედი. „მე

არასოდეს დამავიწყდება. — წერდა იგი. ეს შავგვრემანი, ნახევრად შიშველი. ლატაკი კაცი. თავის ხალათს რომ კემსავდა და გულითადი სიმღერით დახუთული ყაზარმებიდან ასე შორს გამიტაცებდა ხოლმე...“.

პოეტს ჰყავდა კიდევ ერთი მეგობარი, რომელიც ერთგვარად აცოცხლებდა მის ყაზარმულ უღიმღამო დღეებს. ჯარისკაცი ანდრეი ობერემენკო მას მძიმე ტყვეობას უმსუბუქებდა. მეგობრის მტკიცე ხელს გრძნობდა ტარასი, როდესაც ორივენი ერთად ზღვის კლდოვან ნაპირებზე თუ თვალუწვდენელ უდაბნოში ხეტიალის დროს წყნარი თუ ომახიანი სიმღერით აღადგენდნენ წარსულის სურათებს. ეპაექრებოდნენ დღევანდელ დღეს.

მართალია, ნოვოპეტროვსკი ქვეყნის დასასრულს მდებარეობდა. მაგრამ ხანდახან იქაც კი აღწევდა ადამიანის ხმა. 1851 წელს მანგიშლაყის ნახევარკუნძულს გეოლოგიური ექსპედიცია ეწვია ინიენერ ა. ი. ანტიპოვის მეთაურობით. მის შემადგენლობაში შევჩენკოს ძველი მეგობრები ლიუდვიგ ტურნო და ბრონისლავ ზალესკიც იმყოფებოდნენ.

მეგობართა დახმარებით შევჩენკო ჯერ კიდევ ორენბურგში შეიყვანეს ექსპედიციის წევრად. ზალესკიმ და ტურნომ მას ხატვისათვის საჭირო ხელსაწყოებიც კი ჩამოუტანეს. პოეტის სიზარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ექსპედიციაში შევჩენკოს კვლავ მიეცა საშუალება დაეკმაყოფილებია ხატვის წყურვილი. მეგობრებთან გატარებული დღეები დაუვიწყარი იყო მისთვის. მაგრამ ნოვოპეტროვსკში მობრუნებული პოეტი ისევ ყაზარმულ ცხოვრებაში ჩაყურყუმალავდა.

1853 წლისათვის სინათლის სხივმა გამოანათა. ასეულის მეთაური პოტაპოვი უფაში გადაიყვანეს, მის ნაცვლად კოსარევი დაინიშნა. ამ დროისათვის გარნიზონის გარდაცვლილი კომენდანტი მაევსკი მაიორმა ირაკლი აღექსანდრეს ძე უსკოვმა შესცვალა.



©. 1844. 1844. 1844.





ი. ა. უსკოვი კეთილი და კულტურული კაცი იყო. მან ჩამოსვლისთანავე შეუმსუბუქა პოეტს ცხოვრების პირობები, გაათავისუფლა მორიგეობისაგან, სიმაგრიდან დრო და დრო გასვლის ნება მისცა და სხვა. შევჩენკომ უსკოვის კეთილი განწყობილებით ისარგებლა და ხატვა კვლავ დაიწყო. მალე იგი უსკოვების სახლში შინაური კაცი გახდა.

უსკოვს ჰყავდა უაღრესად სათნო. მომხიბლავი და ჰკვიანი მეუღლე. რომელმაც შევჩენკოს ყურადღება მიიპყრო. უხეში მაზარის ქვეშ პოეტის გულში ნაზი გრძნობები შეფრთხილდა. შევჩენკოს გატაცებით შეუყვარდა უსკოვა. „ეს უმშვენიერესი ქალი ჩემთვის ღვთაებაა. აღიარებდა უსკოვათი მოხიბლული პოეტი. მე შევიყვარე იგი ამალღებულად, წმინდად, მთელი გულითა და მთელი ჩემი მადლიერი სულით“. მაგრამ ტარასს სიყვარულშიაც არ ჰქონდა ბედი. „სახელმწიფო დამნაშავე“. პოლიტიკური პატიმარი და გარნიზონის კომენდანტის მეუღლე? ამაზე ხომ სიტყვის თქმაც არ შეიძლებოდა. იგი სათუთად ატარებდა უსკოვას სიყვარულის გრძნობას. ბედმა ესეც არ აკმარა მას.

ნოვოპეტროვსკის სიმაგრეში ცხოვრების მძიმე პირობებმა უსკოვაც დაჯაბნეს. იგი ჯერ ებრძოდა მელანქოლიას. ტიროდა. სწუხდა. მერე მიყუჩდა. თითქოს დაავიწყდაო ყველაფერი, გაიჩინდა... მინებდა დინებას. იგი ჩაითრია ყაზარმულმა ცხოვრებამ. გათენებამდე ბანქოს მაგიდას უჯდა. ილანძლებოდა. ჯორიკანობდა...

ასე დაიმსხვრა პოეტის იდილია...

გულგაბზარულ ტარასს კვლავ ნაცადი მეგობრები — ყალამი და კალამი წამოეშველენ.

შევჩენკოს საშინელი მდგომარეობა მის ავტობორტრეტებშიც აისახა, რომლებიც ტრაგიკულ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. სურათიდან შემოგვეცქერის გამხდარი, გატანჯული კაცი. იგი ცხოვრებამ ფიზიკურად

გატეხა, მაგრამ მის თვალეებში მაინც გამოსჭვივის უტეხ-  
ნებისყოფა და დაუმორჩილებელი სული. მეორე სურათ-  
ზე შევჩენკო ჯარისკაცის ფორმაშია. ჯარისკაცის მრგვა-  
ლი ქუდის ქვეშ მაღალი „სოკრატესეული“ შუბლი და  
თვალთა დაღლილი გამოხედვა შეიმჩნევა.

გადასახლებაში ყოფნის პერიოდში განსაკუთრებით  
გამორჩევა მისი ნამუშევრების სამი ციკლი — პეიზაჟე-  
ბი, ყაზახთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები და სურ-  
ათების ცნობილი სერია „უძღები შვილი“.

ტარას შევჩენკო — თავისუფლებისა და ძმობის მომ-  
ღერალი პოეტი — ყაზახი ხალხის ცხოვრებაში იმავე  
უბედურებას ხედავს. რაც უკრაინელ ხალხს მონობის  
უღელს ადგამდა. ამიტომაცაა, რომ მგრძნობიარე მხატ-  
ვარი თავის ნაწარმოებებში ამაღელვებლად გვიყვება  
ყაზახი ხალხის უსიხარულო ცხოვრებაზე.

როგორც დიდბუნოვან ადამიანს. შევჩენკოს ყო-  
ველთვის განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. მათ ასახავს  
იგი თავის მხატვრულ ტილოებზე. სურათში „ყაზახი მათხოვარი ბავშვები“ სასოწარკვეთილ სახიან პატარებს  
საწყლად გაუწვდიათ ხელი მოწყალეებისათვის. შევჩენკო  
გასაოცარი პლასტიკურობით გვიხატავს სახეებს, ხელებს,  
შემოცვეთილ ტანსაცმელს. ბავშვებს უკან ტარას შევ-  
ჩენკოს ფიგურა მოჩანს. ეს შემთხვევითი მოვლენა არ  
არის შევჩენკოს შემოქმედებაში. ავტორი ხშირად ხა-  
ტავს თავის თავს ყაზახებთან ერთად და ამით ხაზს უს-  
ვამს მის სიახლოვეს დაბეჩავებულ, დაჩაგრულ ხალხთან.

შევჩენკო ხატავს მათხოვარ ბიჭუნას, რომელიც დუ-  
მელთან მიყუჩულა და განაბულა. ხატავს ბიჭუნებს —  
ერთი მათგანი მიწაზე ზის ხელებგაწვდილი, ხოლო მეო-  
რე. უმცროსი, მოთმინებით, გულუბრყვილოდ ელოდება  
პურის ნაჭერს... ფანჯრიდან კი მუშტი მოჩანს გამოშვე-  
რილი.

შევჩენკო ყაზახი ხალხის ცხოვრებასა და ფსიქოლო-

გიაში ღრმად იხედებოდა. რამდენადაც აძის საშუალებას აძლევდა მას პირობები, და ხედავდა, რომ ამ შრომით წელგაწყვეტილ ხალხში თავისუფლებისმოყვარე სული ბობოქრობს. შეეჩინეო ასახავს ხალხს შრომასა და ყოფით ცხოვრებაში. ასეთია მისი სურათები: „ყირგიზი ქალი კატია“ (1856—1857 წ.), ღრმა რეალისტური ყოფითი სცენა „ყირგიზი ქალი სატეხთან“ (1856 წ.) და სხვ.

ამავე პერიოდშია შექმნილი ი. ა. უსკოვისა და ა. ე. უსკოვას (1853—1857 წ.) პორტრეტები. ეს სურათები გვხიბლავს თავისი ფერწერული სიმშვენიერით. ყავისფერი ტონის უფაქიზესი ნიუანსები მოხატულობის მდიდარი აღქმის საშუალებას იძლევიან, ხოლო აქსესუარების თითქმის მუქი ტონი ხავერდისფრად ბზინავს. ამ ფონიდან ცენტრში ამოდის ოდნავ ნალვლიანი სევდით დასეტყვილი. ფაქიზი სახე. იგი ქვევიდან ზევით სინათლის ნატყორცნი შუქით არის განათებული. სახის ერთგვარად დაჩრდილული ქვედა ნაწილი შესანიშნავადაა აქცენტირებული მკვეთრად გაშუქებული თეთრი საყელოთი. მსხვილი, ოდნავ გადატეხილი წარბები იტაცებენ მნახველის თვალს. აცოცხლებენ სურათს და მის ხორციელ შეგრძნებას იძლევიან. ამაში თითების განლაგება და დამუშავებაც საკმაო სამსახურს უწევს მხატვარს. საერთოდ სურათს ლირიკული და რეალისტური ელერადობა აქვს.

განსაკუთრებით მოწონებასა და ყურადღებას იმსახურებს აკვარელით შესრულებული პეიზაჟები. ეს სურათები საუკეთესონი არიან მათ შორის რაც მხატვარს შეუქმნია ამ ეპოქაში საერთოდ. არც ერთ მათგანში არ ჭარბობს ეთნოგრაფიზმი. მათში ავტორი ხედავს ბუნების თავისებურ სილამაზეს, შინაგან აზრსა და განსაკუთრებულობას.

ბაიგუშების — მათხოვართა თემას, განკიცხულთა თემას მივყავართ შეეჩინეოს განსაკუთრებით საინტერესო ნამუშევართან — სუიტასთან „უძღვები შვილი“. ეს არის

სუიტა ცხოვრებისაგან გარიყულ. დეკლასირებულ ელემენტზე. ეს არის ამბავი იმ ადამიანებისა. რომელთა ცხოვრების სამწუხარო დასასრულის მოწამე გახდა შევჩენკო გადასახლებაში.

თუ თავის ბაიგუშებში შევჩენკო გამსჭვალულია უბედური. დაჩაგრული მათხოვრებისადმი სიბრალულის გრძნობით. თავის ახალ გმირთან მისვლა შევჩენკოს სულ სხვა გზით უნდოდა; იმ საზოგადოების მხილების პოზიციებიდან. რომელიც ქმნის „უძღებ შვილებს“. ადამიანებს. რომლებმაც უნდა გადაიტანონ ყოველგვარი ტანჯვა-წამება. რომლებიც საბოლოოდ ცხოვრების მძიმე გზაზე ეცემიან და ადამიანურ ღირსებას კარგავენ.

დიდმა მხატვარმა-პროპაგანდისტმა ცოდნასა და გამოცდილებას კიდევ მრავალი რამ შესძინა გადასახლების დროს და თავისი სოციალური შეხედულებებით დაუახლოვდა ჩერნიშევსკის. ამიტომაცაა, რომ მისი პროპაგანდისტული ჩანაფიქრი „უძღებ შვილში“ უფრო მახვილია, ვიდრე ათი წლის წინათ გააზრებულ „თვალწარმტაც უკრაინაში“. ის, რაც შევჩენკოს სტანჯავდა გადასახლებაში, აისახა სეპიით ნახატთა სერიაში „უძღები შვილი“. ამ სერიის სათაური რემბრანდტის გავლენით მოძებნა. ხოლო თემა კი. როგორც მკვლევარები ფიქრობენ, „სოვრემენიკის“ გავლენით უნდა იყოს მიგნებული. შევჩენკოს ჩაფიქრებული ჰქონდა 12 ნახატი. დღესდღეობით ცნობილია 9: 1. კარტის თამაში, 2. ლოთი. 3. სამიკიტნოში. 4. სასაფლაოზე. 5. ყაჩაღებთან, 6. ეტაპზე. 7 ხუნდებით დასჯა. 8. შპიცრუტენებით დასჯა, 9. დასჯა. თავის დღიურში შევჩენკო მათ მოიხსენიებს როგორც დამთავრებულ ნახატებს. მაგრამ ოფორტად დამუშავება მას არ დაუმთავრებია. თავდაპირველად მხატვარს სურათების სერია, ფედოტოვის ნაწარმოებების მსგავსად, სატირად უნდა ექცია. მაგრამ ცხოვრებამ და პოლიციურმა სინამდვილემ ხელოვანს არ მისცეს საშუალება განეხორციელებ-

ბია ჩანაფიქრი. ვაჭართა გახრწნის თემა მალე გადააქცია გადასახლებული ჯარისკაცის საშინელი ცხოვრების ისტორიად. მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპი აგვისანა. დაგვიხატა იგი გზაში. ამხანაგებთან ერთად ბორკილგაყრილი, ხუნდებით, შპიცრუტენებით დასჯილი... დაგვისატა ციხეში. ფეხებზე ბორკილდადებული, ჩაფიქრებული თავის მძიმე ცხოვრებაზე.

სერია „უძღები შვილი“ თემატურად შევჩენკოს შემოქმედებაში ყველაზე ძლიერია. მათში აისახა გაუბედურებული. შეგინებული ადამიანის მწარე ხვედრი. მხატვარმა შეძლო ცალკეული სურათებით შეექმნა ერთიანი სახე ცხოვრებისაგან დაწიხლული უბრალო ადამიანისა. შეძლო გამოესატა უდანაშაულო ადამიანების პროტესტი არსებული წყობილების წინააღმდეგ.

ამ სერიაში არის ერთი დეტალი: ორი ნაწარმოების — „ეტაპზე“ და „ხუნდებით დასჯა“ — კომპოზიციაში ავტორს თავისი თავიც ჰყავს გამოსახული. სურათში „ეტაპზე“ იგი უძღებ შვილთან ერთი ჯაჭვით არის შებორკილი. ხოლო მეორე ნახატში კი მისი სილუეტი ჩანს იგი აკერებს ტანსაცმელს. ავტორმა ამ ხერხით მიიტანა მნახველამდე თავისი გულისზრახვები და განწყობილებანი.

შევჩენკოს თავის ნაწარმოებებში სურდა დრამატული სარკაზმით წარმოედგინა „უძღები შვილის“ ცხოვრების ცალკეული სურათები. სტილის ამ ესთეტიური განსაზღვრით მხატვარმა ხაზი გაუსვა ნაწარმოების მამხილებლურსა და დიდაქტიკურ ხასიათს.

1852—1853 წლებში შევჩენკო იწყებს მოთხრობების წერას რუსულ ენაზე. სულ მას ოცამდე მოთხრობა დაუწერია, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ცხრამ მოაღწია. შევჩენკოს სიცოცხლეში არც ერთი მათგანი არ გამოქვეყნებულა. მხოლოდ ოთხმოციან წლებში იხილა ისინი ბექდუ-

რი სახით მკითხველთა ფართო საზოგადოებამ. უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტები ყოველმხრივ აბრკოლებდნენ შევჩენკოს მოთხოვნათა პუბლიკაციას, ხოლო მათი გამოქვეყნების შემდეგ კი ცდილობდნენ მკითხველისათვის თავს ყალბი შეხედულება მოეხვიათ. ისინი საზგასმით აღნიშნავდნენ, რომ შევჩენკოს პროზაული ნაწარმოებები მდარე ხარისხის ქმნილებანიანო. ასეთი მცდარი აზრების პროპაგანდით პოეტის „მეგობარი“ კულისში გამოირჩეოდა. იგი პირადად წერდა შევჩენკოს: „მე რომ ფული მქონდეს, შენგან შევისყიდდი ხელნაწერებს და ყველას ერთად დავწვავდიო“.

შევჩენკოს პროზა ზოგმა მისმა თანამედროვემაც ვერ გაიგო. ს. ტ. აქსაკოვი, რომელსაც მწერალმა ერთ-ერთი რუსული მოთხოვნა მიუძღვნა. მას ატყობინებდა: „მე არ გირჩევთ ამ მოთხოვნის დაბეჭდვას.—იგი თქვენი უზარმაზარი პოეტური ნიჭის შესაძლებლობებთან შედარებით გაცილებით დაბლა დგას“-ო.

ასე შეეგება ზოგი „კეთილისმყოფელი“ შევჩენკოს რუსულ პროზას.

პროზაულ ნაწარმოებებში ტარას შევჩენკო პოეზიის ძირითად თემას — ბატონყმური და თვითმპყრობელური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის თემას ამუშავებდა. ზოგი ნაწარმოებისათვის ავტორმა მის მიერ პოეზიისათვის უკვე ნაცნობი სიუჟეტი აიღო. ასე მოიქცა იგი, მაგალითად, „თავადის ქალისა“ და „ვარნაკის“ დაწერის დროს.

„თავადის ქალში“, როგორც ლექსურ, ისე პროზაულ ვარიაციებში, მხილებულია ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის საშინელებანი. ავტორმა ნაწარმოების ერთ-ერთი გმირის, მემამულე მორდატის სახით გადაგვარებული და გამხეცებული ადამიანი დაგვიხატა. ხოლო მასთან ერთად კა წარმოგვიდგინა დაბეჩავებული, შიმშილისა და ბატონის კარზე თავაუღებელი შრომისაგან ძვალტყავად ქცეული გლეხობის ცხოვრების შემაძრწუნებელი სურა-

თები. მკვლევართა შენიშვნით, შევჩენკომ. პოემისაგან განსხვავებით, პროზაულ „თავადის ქალში“ წინა პლანზე წამოსწია გარყვნილი თავადის მეუღლე კატერინა.

ორსკის ციხე-სიმაგრეში დაწერილ პოემაში „ვარნაკა“ წამოჭრილი ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდება ისმის ამავე სახელწოდების პროზაულ ნაწარმოებშიც. მისი მთავარი გმირი ყმა-გლეხი კირილო თავდაპირველად ახალგაზრდა გრაფთან ერთად სწავლობს წერა-კითხვას (ეს იმიტომ, რომ გრაფი წააქეზონ და სწავლის დროს გაახალისონ). შემდეგ კი მისი მწერალი და მოურავიც ხდება. მაგრამ კეთილი ურთიერთობა მათ შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. გარყვნილმა ბატონმა თვალი დაადგა კირილოს საცოლეს და ძალით ასადა ნამუსი. შეურაცხყოფილი და გაბოროტებული კირილო გლეხებთან ერთად შურს იძიებს პანებზე. იგი სახალხო შურისმგებელი ხდება. თავადის დარბეული მამულიდან მან ყველაფერი გლეხებს დაურიგა. ნაწარმოების დასასრულს კირილო ხელისუფლებას ნებდება. ფიქრობენ, რომ ასეთი დაბოლოებით ავტორმა ბატონყმობის დროინდელი გლეხთა ზოგიერთი აჯანყების არათანმიმდევრული ხასიათი გვიჩვენაო.

მოთხრობას „მუშა ქალი“ სიუჟეტურად საერთო მომენტები აქვს ამავე სახელწოდების პოემასთან. პროზაულ „მუშა ქალში“, მკვლევარების აზრით, უფრო ღრმადაა დამუშავებული გარყვნილი ოფიცრისადმი დედა-პოკრიტკას დამოკიდებულების სოციალური მოტივირება. ნაწარმოებში მკვეთრადაა ხაზგასმული ლუკიას მორალური სიმტკიცე. აღვირახსნილ მამაკაცს კვლავ უნდა მორალურად, ფეხით თელოს ერთხელ შეგინებული გოგონა. მაგრამ ლუკია აშკარად დაინახავს უგულო სალდაფონის ნამდვილ სახეს და მტკიცედ გადაწყვეტს აღარ დაჰყვეს მის ნებას, პატიოსანი შრომით იცხოვროს და ისე გამოზარდოს ბავშვი.

დედა-პოკრიტკას მძიმე ხვედრს გვიხატავს ავტორი მოთხრობაში „კაპიტანის ქალი“. გარყვნილი ადამიანის მსხვერპლი ხდება ქალი, რომლის გარდაცვალების შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ მის გოგონას აღსაზრდელად აიყვანს ჯარისკაცი ომელკო ტუმანი. დაქალიშვილებულ ვაროჩკას კაპიტანი გააუპატიურებს. თავისი მხეცური ჟინის მოკვლის შემდეგ იგი გულგრილად მიაგდება მას. გოგონას ბავშვი გაუჩნდება. ომელკო ტუმანი მიაკვლევს ვაროჩკას და, ცოტათი მაინც რომ შეუშუბუქოს ავხორცობით გამოწვეული მორალური ტკივილები, ააცილოს „პოკრიტკას“ დამამცირებელი მდგომარეობა და დედაშვილს შემდგომშიაც გაუადვილოს ცხოვრება, ცოლად შეირთავს მას. ასე გაუწოდა საშველად ხელი უბრალო ჯარისკაცმა ცხოვრების გზაზე ფეხწამოკრულ დედა-შვილს. ავტორი გულბოროტ და აყვია ბატონებს. არისტოკრატიას უპირისპირებს უბრალო ხალხის დიდბუნოვნობასა და კეთილ გულს.

უბრალო, კეთილი და მშრომელი ხალხი არის დაპირისპირებული კაცთმოძულე პანების ბინძურ ბუნებასთან აგრეთვე ნაწარმოებში „გასეირნება სიამოვნებითა და არც მორალის გარეშე“. შევჩენკო უგვანო როტმისტრი კურნატოვსკის ყოფა-ცხოვრების კრიტიკის დროს ილაშქრებს საერთოდ ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ. როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის საშინელი ინსტიტუტისა.

და-ძმა ობერემენკოების მაგალითზე კი მწერალი ჰუმანიზმის იდეებს ქადაგებს. სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილე, მძიმედ დაჭრილი მეზღვაური ობერემენკო „ჩილდოს“ მიღებაზე ოცნებობს. ერთადერთი ჩილდო კი მისთვის დის — ოლენას ყმობიდან გამოხსნაა.

ბატონყმური ცხოვრების პირობებით გამოწვეულ ამორალობაზე მოგვითხრობს შევჩენკოს მრავალი ნაწარმოები. მოთხრობაში „მუსიკოსი“ ერთ-ერთი მთავარი მოქმე-



დი გპირი ნიჭიერი მუსიკოსი მებატონე არნოვსკის ლაქიად ჰყავს დანიშნული. ხოლო ყმათა თეატრის მსახიობი ტარასევიჩი თავისი პირუტყვეული ვნებების დასაკმაყოფილებლად ჰყავს ამოჩემებული. ტარასევიჩის მიერ შესრულებული როლებით აღტაცებული იყვნენ კომპოზიტორი გლინკა და მსატვარი შტერენბერგი. სწორედ ეს ტარასევიჩი, იმისათვის, რომ დედაქალაქის სცენაზე მოხვდეს, იძულებული ხდება დამორჩილდეს თავის მწარე ბედს. იგი მემამულის საყვარელი სდება. მიუსედავად ამისა, ტარასევიჩმა პეტერბურგის საზოგადოებას თავისი ხელოვნება მაინც ვერ აჩვენა. დედაქალაქში ჩასული მსახიობი მშობიარობის დროს საავადმყოფოს სარეცელზე გარდაიცვალა.

შევჩენკომ თავისი დროის ტიპიური სურათები აკვირსახა. ტიპიური იყო თავგასული მებატონის არნოვსკის მხატვრული პორტრეტი, ტიპიური იყო უბედური მსახურების ბედიც. შევჩენკომ ნაწარმოების შექმნის დროს გაიხსენა უკრაინაში. კაჩანოვკაში ტარნოვსკისთან სტუმრობის დროს მიღებული შთაბეჭდილებები. მკითხველები ადვილად მიხვდნენ, რომ არნოვსკიში იგულისხმებოდა ტარნოვსკი. ხოლო კლენოვკაში — კაჩანოვკა.

ტარას შევჩენკომ თავის ნაწარმოებებში რეალისტურად ასახა ბატონყმური ცხოვრების შემზარავი სურათები. გვიჩვენა პანების ნამდვილი, მგლური ბუნება და გულისტკივილით დაგვიხატა დაბეჩავებული ხალხის მძიმე ყოფა.

მოთხრობაში „უბედური“ ავტორი გვიჩვენებს, მორალურად სადამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი. პრაპორშჩიკის ქალი — მარია როსკიპია. ბატონყმური ცხოვრების საოცრებათა წყალობით იგი მამულს ჩაიგდებს ხელში. მის ყმებსა და მსახურებს გაუქრათ მოსვენება. სიცოცხლეს უმწარებს იგი მასწავლებელსა და თავის ქალიშვილებსაც კი. თავის გერს, ლიზას იგი ქალაქში

წაიყვანს და აკულკად მონათლულს საროსკიპოში მიაბარებს. ხოლო ღვიძლ შვილს, რომელიც თავაშვებულმა ცხოვრებამ ქურდობის გზაზე დააყენა. ჯარში გააგზავნის. ჯარისკაცები არ თანაუგრძნობენ გადაგვარებულ და მორალურად დაცემულ „უბედურ“ იპოლიტუშკას“ (ნაწარმოების სათაურიც აქედან მოდის).

შევჩინეო რეალისტი მწერალი იყო. იგი ცხოვრებიდან იღებდა ტიპურ მოვლენებსა და სურათებს და ისე ჰქმნიდა მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. პოეტი არაერთხელ ჩაფიქრებულა ამქვეყნიურ უბედურებაზე და მისი თავიდან აცილების გზებზე. კეთილი ადამიანის. გამრჯე ახალგაზრდის აღზრდის საკითხზე.

ნაწარმოებში „ტყუპები“ დასმულია აღზრდის პრობლემა. ერთი ოჯახის შვილები ზოსიმე და სავატი სრულიად სხვადასხვა ადამიანები გამოდიან. ზოსიმე სოკირა ცხოვრებამ თავიდანვე ფეხქვეშ მოიქცია და წამოდგომის საშუალება არ მისცა. იგი უპატიოსნო და ზნეობრივად გადაგვარებული კაცი ხდება და ილუპება კიდევ. სხვაგვარად ააწყო ცხოვრება სავატიმ. მან უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა. სამედიცინო განათლება მიიღო და ორენბურგში. ყაზახეთში სამუშაოდ გაემგზავრა. ასე სხვადასხვა გზებით წარიმართა ორი ძმის ცხოვრება.

შევჩინეოს რიგ ნაწარმოებებში ავტობიოგრაფიული ელემენტები აისახა. მისი ბავშვობის ეპიზოდებს ვხვდებით მოთხრობებში: „თავადის ქალი“. „მუშა ქალი“, „მხატვარი“. ნაწარმოებებში — „მუსიკოსი“, „კაპიტანის ქალი“. „გასეირნება...“ ზოგი მოვლენისა და დეტალის დამუშავების დროს აშკარად შეიმჩნევა უკრაინაში პოეტის მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებების გავლენა. ხოლო „ტყუპებსა“ და „უბედურში“ შევჩინეო იყენებს გადასახლებაში ყოფნის დროის დაკვირვებებს.

მოთხრობების ჟანრი მნიშვნელოვანი მოვლენაა ტარას შევჩინეოს ცხოვრებაში. ისინი თავიანთი მაღალი იდეუ-

რობით ორმოციანი წლების რუსული კლასიკური პროზის გვერდით დგანან. მწერალმა შემოქმედებითად გამოიყენა რუსული პროზის მიღწევები და თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული აზრები პროზის მსატკრულ ქსოვილში გაახვია. შევჩენკო ამ უანრშიაც ენერგიულად იბრძვის და ამხელს თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის მანკიერ მხარეებს და მშრომელი ადამიანების წრიდან გამოსულ დადებით გმირებზე მითითებით მოგვიწოდებს არსებული სისტემის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნოვოპეტროვსკში ყოფნის დროს შევჩენკო ცდილობდა გაცნობოდა ყაზახ ხალხს. იგი ეპატიყებოდა თავისთან ყაზახებს. უკითხავდა ლექსებს, ესაუბრებოდა. ეკითხებოდა მათ ცხოვრებაზე და აიძულებდა ხვალინდელი დღით. ყაზახებმა შეიყვარეს დიდი აკინი.

მაგრამ თვით პოეტს კიდევ ერთხელ შეერყა სულიერი წონასწორობა.

1855 წელს ნოვოპეტროვსკში მოვიდა ცნობა ნიკოლოზ პირველის გარდაცვალების შესახებ. ფარულმა სიხარულმა მოიცვა ყველა. ჩაბარდა ისტორიას „გვირგვინოსანი ჯალათი“.

შევჩენკოს კვლავ გაეღვიძა განთავისუფლების იმედი. მეგობრებიც ამოძრავდნენ. ხალხი ამნისტიას ელოდა. ალექსანდრე II წარუდგინეს იმ ხალხის სია, ვისაც ამნისტია უნდა შეხებოდა. მეფემ შევჩენკო სიიდან ამოშალა და თან დასძინა: „მან შეურაცხყო დედაჩემი!“.

ალექსანდრე II ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით მეორედ მოხდა ამნისტირება. მაგრამ არც ამჯერად მოხვდა პოეტი სიაში.

ნოვოპეტროვსკში შევჩენკოს ბედით სამეცნიეროსაკვლევო ექსპედიციის ხელმძღვანელი კ. მ. ბერი დაინ-

ტერესდა, რომელმაც პოეტს ურჩია სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისათვის გრაფ თ. პ. ტოლსტოისათვის მიემართა. თ. ტოლსტოი და განსაკუთრებით მისი მეუღლე ნასტასია ივანეს ასული ტოლსტოი, პოეტ ალექსი ტოლსტოის. ძმები ემჩიუენიკოვებისა და სხვათა დახმარებით, პოეტის განთავისუფლების საქმეს წინ სწევენ. ბოლოს და ბოლოს გატყდა ყინული. პეტერბურგმა პოეტის განთავისუფლებაზე თანხმობა მისცა. გრაფინია ტოლსტოი სიხარულით ატყობინებს შევჩენკოს ამ ამბავს. 1857 წლის მაისში მიხეილ ლაზარევსკი შევჩენკოს განთავისუფლებას ულოცავს.

მაგრამ თუკი დაპატიმრებული შევჩენკო ელვის სისწრაფით. სულ რვა დღეში გადასტყორცნეს შორეულ მხარეს. ხელისუფალნი ახლა ასე აღარ ჩქარობენ. თვე თვეს მისდევდა და ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

1857 წლის 1 მაისს დადგა დიდი ხნის ნანატრი დღე: გაიცა „უმაღლესი განკარგულება“ რიგითი ჯარისკაცის შევჩენკოს განთავისუფლების შესახებ. მაგრამ ეს მაინც არ იყო სრული თავისუფლება, პოეტს ეკრძალებოდა ორივე დედაქალაქში შესვლა და ცხოვრება.

შევჩენკოს კვლავ დიდხანს მოუხდა ლოდინი. სანამ განთავისუფლების ცნობას მიიღებდა. „რა სისწრაფით და სიცხოველით სრულდება დაპატიმრების ბრძანება. — წერდა იგი „დღიურში“ 1857 წლის 18 ივნისს. — და. პირიქით. რა დუნედ და გულცივად სრულდება განთავისუფლების ბრძანება. ბრძანება კი ერთი და იმავე პირისაა. შემსრულებლებიც იგივენი არიან. რატომაა ასეთი განსხვავება? 1847 წელს, ამ თვეში, მე შვიდ დღეში ჩამომიყვანეს პეტერბურგიდან ორენბურგში. ახლა კი ღმერთმა ქნას მეშვიდე თვეს მივიღო ბატალიონის რომელიღაც უფროსისაგან ბრძანება ჩამომერთვას სახაზინო ნივთები და... გავთავისუფლდეთ“.

## დაბრუნება

განთავისუფლების ოფიციალურმა ცნობამ ნოვოპეტროვსკის სიმაგრეს 1857 წლის 25 ივლისს მიაღწია. ამ დღეს დილის ცხრა საათზე საფოსტო ნავმა უკრაინელ მგოსანს შემოქმედებითი და ადამიანური ცხოვრების უფლება დაუბრუნა. მას ამიერიდან კვლავ შეეძლო პოეტური სიმების ახმიანება, დაგროვილი ბოღმისა და გულის ტკივილების ფერებსა თუ ხაზებში გარდატეხა.

ნოვოპეტროვსკიდან შევჩენკოს კავკასიის გავლით ოდესისაკენ. შემდეგ ხარკოვს. პოლტავას. კიევს და მინსკს უნდოდა გამგზავრება. მას განსაკუთრებით კავკასია და ბელორუსია აინტერესებდა. მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება არ მოხერხდა.

1857 წლის პირველ აგვისტოს ნოვოპეტროვსკის სიმაგრის კომენდანტის ირაკლი უსკოვის მიერ გაცემულ დოკუმენტში ეწერა, რომ შევჩენკო ურალსკში უნდა გამოცხადებულიყო. კორპუსის ხელმძღვანელობის აზრით. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების სრულ ტექსტს შევჩენკო ორენბურგში უნდა გასცნობოდა. უსკოვისათვის ეს ამბავი არ იყო ცნობილი. ამიტომაც მან. შევჩენკო შორი გზის მოვლით. ზედმეტი ათასი კილომეტრის გავლით რომ არ გაწვალებულიყო. გასცა საშვი და ბილეთი პირდაპირ. ორენბურგის გვერდის ავლით, პეტერბურგში გასამგზავრებლად და საცხოვრებლად.

პოეტმა აღარ დაუცადა საფოსტო ნავს და მეთევზების ძველი ნავი დაიჭირავა. სამი დღის მშვიდობიანი მგზავრობის შემდეგ 5 აგვისტოს, დღის ბოლოს ასტრახანს მიაღდა. იქ შევჩენკო შეხვდა პოლონელებსა და უკრაინელებს, თავის თანამემამულეებს, დაათვალიერა ქალაქი, მოინახულა მისი ისტორიულად ღირსშესანიშნავი ადგილები.

ასტრახანიდან პოეტი გემ „კნიაზ პოჟარსკით“ ნიჟნი-ნოვგოროდს გაემგზავრა.

ვოლგაზე მოგზაურობამ მთელ თვეს გასტანა. პოეტი სტკებობდა თავისუფლებით. წიგნსმოწყურებული დაეწაფა ყოველივეს, რაც კი ხელთ მოხვდა. საბედნიეროდ გემზე კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა კაპიტან ვ. ვ. კაშკინს. მათ შორის „ყველა ეურნალის მიმდინარე წლის ყველა წიგნი“.

„მე სრულიად ჩამოვრჩი ახალ ლიტერატურას. — წერდა შევჩენკო 1857 წლის 5 სექტემბერს, — რა მშვენიერია „საგუბერნიო ნარკვევები“, „მავრა კუზმოვნაც“ სალტიკოვისა. და რა შესანიშნავად კითხულობს მათ პანჩენკო... ქედს ვიხრი სალტიკოვის წინაშე. ო, გოგოლი, ჩვენი უკვდავი გოგოლი! რა რიგად გაიხარებდა შენი კეთილშობილი სული. თავის გარშემო რომ ასეთი გენიალური მოწაფეები დაენახა! ჩემო გულწრფელო მეგობარო! წერეთ, ამოიღეთ ხმა ამ ღარიბი. ჭუჭყიანი გაუბედურებული ხალხის დასაცავად!“

კაშკინს ცალკე შენახული ჰქონდა აგრეთვე ცენზურის მიერ აკრძალული სხვადასხვა ლიტერატურაც. მათ შორის ნაწყვეტები რილევის პოემიდან „ვოინაროვსკი“ და „ნალივაიკო“. პეტრე ლავროვის ლექსი „რუს ხალხს“, ხამიაკოვის „მომნანიებელ რუსეთს“, გერცენისა და ოგარიოვის გამოცემები და სხვა.

შევჩენკო ესაუბრება მეზღვაურებს. იწერს ბურლაკურ თქმულებებსა და გადმოცემებს. პოეტს განსაკუთრებით ახალისებდა მეზუფეტე ალექსი პანოვის ოსტატობა. რომელიც ვიოლინოზე ვირტუოზულად უკრავდა.

მაგრამ თვით ტკბილ მუსიკასაც არ შეუძლია პოეტის ფიქრი დროებით მაინც ჩამოაცილოს საერთო საზრუნავს: ხალხის ბედს, მის მძიმე მდგომარეობას. „გმადლობთ შენ, ყმაო პაგანინი!, — მიმართავს იგი პანოვს. — გმადლობთ, ჩემო შემთხვევითო, ჩემო კეთილო მეგობარო! შენი უბე-

დური ვიოლინოდან მოისმის შევინებული ყმის სულის კვნესა და მილიონობით ყმების სულის... ღრმა კვნესას ერწყმება. მალე კი მიაღწევს ეს გულისწამლები გმინვა შენი ტყვის ყურამდე. ჩვენო სამართლიანო, უმოწყალო... ღმერთო?...“

ტარას შევჩენკო „დლიურში“ წერდა, რომ ათი წლის სალდათობამ და გადასახლებამ ვერაფერი დამაკლეს. ისეთივე დავრჩი, როგორც ვიყავი. ჩემში არც ერთი შინაგანი თვისება არ შეცვლილა. ჭეშმარიტად ასე იყო.

ათი წლის სისტემატურმა ტანჯვამ პოეტის ჯანმრთელობა შეარყია. „შევჩენკო რომ დააპატიმრეს, მხიარული და მხნე. ჯანმრთელი და ხშირი წაბლისფერთმიანი ვაჟკაცი იყო. დაბრუნდა კი ჭაღარაწვერიანი (იგი მხოლოდ 43 წლისა იყო), მთლად გამელოტებული და სამუდამოდ ჯანგატეხილი“ — წერდა კოსტომაროვი.

მიუხედავად ამისა. შევჩენკოს სულიერი მდგომარეობა კვლავ წინანდებურად მტკიცე და ურყევი იყო. პოეტს ერთი წამითაც არ უღალატნია თავისი მრწამსისათვის. არ დაუხევია ბატონყმობისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის პოზიციებიდან. ამაზე ნათლად მეტყველებს გადასახლებისდროინდელი მისი შემოქმედება. მისი „დლიურიც“.

როდესაც მოსალოდნელი განთავისუფლება გაიგო, შევჩენკომ დაიწყო „დლიურის“ წერა. რომელსაც შემდეგ „უჟრნალს“ უწოდებდა ხოლმე. მის წერას შევჩენკო გადასახლებიდან ათი წლის თავზე. 1857 წლის 12 ივნისს შეუდგა და დაამთავრა პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ 1858 წლის 13 ივლისს.

„დლიურში“ აისახა პოეტის ბიოგრაფიის მრავალი დეტალი და ის საინტერესო აზრები, რომლებიც შევჩენკოს უტეხ ნებისყოფასა და რევოლუციურ მსოფლმხედველობაზე ლაპარაკობენ.

1857 წლის 19 სექტემბერს პოეტი „დლიურში“ შეი-

ტანს გლახთა ერთი აჯანყების ამბავს: „ჩავუარე მშვენი-  
ერ სოფელ ზიმენკას. რომელიც მემამულე დადიანოვს  
ეკუთვნის. ამ სოფლის გლეხები შარშან. როდესაც მო-  
სავალმა მოიწია. მინდვრად სამუშაოზე გარეკეს, მათ კი...  
ველს ყოველი მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს. სამწუხაროა,  
რომ საგაზაფხულო სობრალი დამწიფებული არ იყო, თო-  
რემ მასაც ერთბაშად მოუღებდნენ ბოლოს. გულის გა-  
სახარი ამბავია“. — ასკენის პოეტი.

შევჩინკოს რევოლუციურ განწყობილებაზე მეტყვე-  
ლებს „დღიურის“ სხვა ფურცლებიც.

„დღიურში“ მდიდარი მასალაა თავმოყრილი შევჩინ-  
კოს მატერიალისტური მსოფლმხედველობის. ათეიზმის,  
რევოლუციური შეხედულებების დასახასიათებლად ამ  
„ჟურნალში“ გამოხატა მან თავისი წინასწარმეტყველება  
მომავალი გარდაქმნების თაობაზე.

20 სექტემბერს. დილის 11 საათზე შევჩინკოს წინ  
ნიჟნი-ნოვგოროდის პანორამა გადაიშალა.

ბედი ახალ გამოცდას უმზადებდა პოეტს.

ნიჟნი-ნოვგოროდში ჩასვლისთანავე შევჩინკოს აცნო-  
ბეს. რომ ხელისუფალთა განკარგულებით იგი უკან,  
ორენბურგს უნდა გამგზავრებულიყო. კეთილისმყოფელ-  
თა რჩევითა და დახმარებით პოეტი „ავად“ გახდა. „მე  
განვსაჯე. — წერს იგი „დღიურში“ 21 სექტემბერს. —  
რომ ცოდვად არ ჩამეთვლებოდა ამ ბოროტების ფარი-  
სველობით თავიდან აცილება და თავი მოვიავადმყოფე“.

პოეტმა ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იცოდა მისი  
განთავისუფლების ბრძანების სრული შინაარსი. მან არ  
იცოდა, რომ აკრძალული ჰქონდა დედაქალაქებში  
ცხოვრება და მხოლოდ უსკოვის შეცდომის გამო გაემგ-  
ზავრა იგი პირდაპირ პეტერბურგისაკენ. ამ გაურკვევლო-  
ბაში განვლო თითქმის მთელმა თვემ. მხოლოდ ნოემ-  
ბერში გაიხსნა „გორდის კვანძი“.

„სანამ ეს საიდუმლო კვანძი იხსნებოდა, — წერდა





Օ. Քոչինցյու. Ինչոյն Յոսեփի Յոսեփի.  
1844.



იგი ი. ა. უსკოვს 1857 წლის 12 ნოემბერს. მე ავად ვიყავი. დავხეტილობდი ნიჟნი-ნოვგოროდის ტალახიან ქუჩებში და ვნალვლობდი... ბოლოს. გუშინ აქაურმა სამხედრო გუბერნატორმა მიიღო ორენბურგის. ურალისა და სამარის გენერალ-გუბერნატორისაგან დაწვრილებითი განმარტება სამხედრო სამსახურიდან ჩემს განთავისუფლებაზე. მასში ნათქვამია. რომ მე ყოფილ მხატვარს, უფლება მაქვს ვიცხოვრო, სადაც მინდა... გარდა დედაქალაქებისა. დედაქალაქებთან ახლოს გავლაც კი აკრძალული მაქვს. დღესვე მივწერე მეგობრებს პეტერბურგში ამ კატასტროფის შესახებ და უკეთესის მოლოდინში ნიჟნი-ნოვგოროდში დავსახლდი“.

„განთავისუფლებული პოეტი“ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. „რა კარგი თავისუფლებაა! — წერდა ამის გამო შევჩენკო. — დაბმული ძაღლი! ეს იმას ნიშნავს — არ ღირს მადლობად, თქვენო უდიდებულესობავ!“.

## მ ი ჯ ა ტ ვ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ტარას შევჩენკომ ნიჟნი-ნოვგოროდში (ახლანდელი გორკი) თითქმის ნახევარ წელს დაჰყო.

ამ დროის განმავლობაში შევჩენკო ბევრს კითხულობს. ნაცნობ-მეგობრებს სთხოვს გამოუგზავნონ არა მარტო რუსული ორიგინალური ნაწარმოებები. არამედ უცხოელი ავტორების. მათ შორის შექსპირის. ბერანეეს და სხვა ნაწარმოებთა თარგმანებიც. „ჩემი აქაური მეგობრების წყალობით. — წერს იგი ი. ი. ტოლსტოის. — წიგნებში ვარ ჩაფლული და თავდავიწყებით ვკითხულობ...“.

ნიჟნი-ნოვგოროდში იგი ადგილობრივ საზოგადოებას გაეცნო და თანდათან მათ წრეში შევიდა. შევჩენკო იმ დროის მოწინავე და კულტურული ადამიანის ნ. კ. იაკობის ხშირი სტუმარი გახდა. სწორედ მასთან იხილა პოეტ-

მა გერცენის ბროშურა „მონათლული საკუთრება“ ამ ნაწარმოებში გერცენი-ისკანდერი ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

„მონათლულ საკუთრებაში“ ეწერა: „სანამ მემამულე შიმშილით ან ფიზიკურად არ მოკლავს თავის ყმა-გლეხს, იგი მართალია კანონის წინაშე და შეზღუდულია მხოლოდ გლეხის ნაჯახით. ამ ნაჯახით გაიკვეთება. ალბათ, მემამულური ხელისუფლების დახლართული კვანძი“.

პოეტის გულს ჩაწვდა გერცენის სიტყვები. იმიერიდან „ნაჯახი“, როგორც აჯანყების სიმბოლო, თან გასდევს შევჩენკოს შემოქმედებას. „როგორი გულითადი ადამიანური სიტყვებია. — აღნიშნავდა იგი. — დაე, გაგანათლოს ჭეშმარიტების შუქმა და ჭეშმარიტი ღმერთის ძალამ, ჩვენო მარტოხელა განდეგილო!“.

იაკობის ახლო ნაცნობი იყო ნიჟნი-ნოვგოროდის პანსიონის ინსპექტორი, შემდგომში ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი ვიქტორ გაბრიელის ძე ვარენცოვი. 1857 წლის ზამთარში მან პეტერბურგსა და მოსკოვში ყოფნის დროს შეასრულა მთელი რიგი დავალებები და პოეტს ბოდიაანსკის, შჩეპკინის, კულიშისა და სხვათაგან წერილები ჩამოუტანა. შევჩენკოს „დღიურში“ ჩახატული გერცენის პორტრეტიც ვარენცოვის მიერ ჩამოტანილი სურათის მიხედვით არის შესრულებული.

იაკობთანვე ხვდებოდა პოეტი ყოფილ დეკაბრისტს ივანე ალექსანდრეს ძე ანენკოვს. მას დეკაბრისტების პროცესის დროს თავდაპირველად „სამუდამო კატორღა“ მიუსაჯეს. მაგრამ შემდეგ 1856 წლის ამნისტიით გაათავისუფლეს. ოლონდ დედაქალაქში ცხოვრება აუკრძალეს. ანენკოვი ნიჟნი-ნოვგოროდში დასახლდა. იგი გადასახლებიდან მობრუნებული პირველი დეკაბრისტი იყო, რომელსაც შევჩენკო შეხვდა.

ანენკოვების ბედი რამდენადმე წააგავს ვოლკონსკების ბედს. ისევე, როგორც მარია ნიკოლოზის ასული რაევს-

კაია გადასახლებულ ქმარს დეკაბრისტ სერგეი ვოლკონსკის გაჰყვა ციმბირს, პოლინა გებელიც, ივანე ანენკოვის საცოლე, მხარში ამოუდგა სატრფოს და კატორღაში, პეტროვსკის ქარხანაში დაიწერა მასზე ჟვარი.

ანენკოვებთან შეხვედრებმა და თბილმა საუბრებმა ბევრი ახალი მისცეს პოეტს დეკაბრისტების ცხოვრებამოღვაწეობის შესახებ.

1857 წლის სამ ნოემბერს, ნიენი-ნოვგოროდელ ნაცნობთან, შევჩენკოს პირველად ჩაუვარდა ხელში გერცენის 1856 წლის „პოლიარნაია ზვეზდა“. მის ყდაზე ნიკოლოზის მიერ ჩამოხრჩობილი სუთი დეკაბრისტის სურათი იყო გამოსახული. შევჩენკომ ველარ შეძლო მღელვარების დაოკება: „ყდამ. ესე იგი პორტრეტებმა ჩვენი პირველ წამებული მოციქულებისა, ჩემზე ისე მძიმედ იმოქმედა, — წერდა იგი. — რომ ჯერაც კი ვერ გაეთავისუფლებულვარ ამ მძიმე შთაბეჭდილებისაგან. რა კარგი იქნებოდა, რომ ამ საზიზლარი მოვლენის მოსაგონად მედალი გამოგვეჭედა. ერთ მხარეზე იქნებოდა ამ წამებულთა პორტრეტები წარწერით: „თავისუფლების პირველი რუსი მახარობლები“. მეორე მხარეზე კი ნიკოლოზ I პორტრეტი წარწერით: „არა პირველი რუსი გვირგვინოსანი ჯალათი“.

ამავე შემოდგომაზე შევჩენკო გაეცნო ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ტრუბეცკოის ოჯახს. ისინი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დობროლიუბოვის ბინაში ცხოვრობდნენ და დობროლიუბოვის მშობლების გარდაცვალების შემდეგ (1854 წ.) ვ. ტრუბეცკოი და მისი ნათესავები პატრონობდნენ კიდეც ნიკოლოზის უმცროს დებს იულენკასა და კატენკას.

შევჩენკო ხშირად დადიოდა ტრუბეცკოებთან, ყურადღებითა და სისტემატურად კითხულობდა „სოვრემენიკს“ და თვალს ადევნებდა ამ ჟურნალში მათი ბეღადების სტატიებს. ასე, რომ ჯერ კიდევ პირად შეხვედრამ-

დე და გაცნობამდე პოეტმა კარგად გაიგო და შეისწავლა დობროლიუბოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი და ინტერესები. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურულ მოვლენათა შეფასების დროს რევოლუციონერ-დემოკრატთა და შევჩენკოს შეხედულებანი ბევრამეში უკვე ერთიმეორეს ემთხვეოდა. ამ დროისათვის შევჩენკომ უკვე გაარკვია და თავისთვის მოხაზა კიდევ თანამოაზრეთა და მოკავშირეთა წრე.

ნიენი-ნოვგოროდში ყოფნის დროს შევჩენკო დიდ ინტერესს იჩენდა თეატრალური ცხოვრებისადმი.

ტარას შევჩენკო ხშირად ესწრებოდა ნიენი-ნოვგოროდის თეატრის სპექტაკლებს. მართალია, მას იმდენად რეპერტუარი არ აინტერესებდა. რამდენადაც მსახიობთა თამაში.

შევჩენკოს განსაკუთრებით მოსწონს ახალგაზრდა მსახიობის კატენკა პიუნოვას თამაში. მის ბენეფისს პოეტმა ვრცელი რეცენზია მიუძღვნა. რომელიც შემდეგ „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“ გადაბეჭდა. სტატია განმაურდა.

პოეტი ეხმარებოდა თეატრს სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაში. აძლევდა რჩევა-დარიგებებს და ადგილობრივ გაზეთებში მათზე რეცენზიებსაც წერდა.

ნიენი-ნოვგოროდში დატყვევებულ შევჩენკოს მეგობრებისა და ახლობლების ნახვის დიდი სურვილი ჰქონდა. მაგრამ ყველა „მეგობარმა“ როდი უპასუხა ასეთივე გრძნობით.

კირილე-მეთოდეს საზოგადოების ყოფილმა მონაწილემ. შევჩენკოს „მეგობარმა“ კულიშმა ასეთი შინაარსის ბარათი მისწერა ტარასს: „მე არ შემეფერება, ჩემო მეგობარო ტარას, საუბრისათვის შენთან ჩამოსვლა. მე ხომ, ჩემდა საუბედუროდ, საზოგადოებაში ცნობილი კაცი ვარ. და ყველა მაშინვე გაიგებს... ასე, რომ ნურც მომელი და ნურც გაჯავრდები ჩემზეო“.

კოსტომაროვმაც ასევე აარჩა თავი ნიქნი-ნოვგოროდში ჩასვლას.

ამავე დროს კი ჭეშმარიტი ადამიანები და მეგობრები შეეჩინკოს არ ივიწყებდნენ. სამოცდაათი წლის ავადმყოფი მოხუცი შჩეპკინი არ შეუშინდა დიდ ყინვებს და მოსკოვიდან „დიდი ხნის უნახავი“ მეგობრის სანახავად ნიქნი-ნოვგოროდში ჩავიდა 24 დეკემბერს. მეგობრებმა გულში ჩაიკრეს ერთმანეთი. შჩეპკინმა ტარასთან ექვს დღეს დაჰყო. ადგილობრივ თეატრში რამდენიმე როლიც შეასრულა და შეეჩინკოცა და ქალაქის საზოგადოებაც ალტაცებაში მოიყვანა.

გადასახლებიდან შეეჩინკოს დაბრუნება რუსეთში რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაც შექმნას დაემთხვა. გახშირებულმა გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა ხელისუფლება შეაშფოთა. იგი იძულებული შეიქნა ყმობისაგან გლეხთა განთავისუფლებაზე უფრო კონკრეტულად ეზრუნა. „ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიღამპლე და უძლეურება. — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიის „საგლეხო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია“. გლეხთა „ამბოხებებმა“, რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ელიარებინა. სჯობს გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხოვდნენო“<sup>1</sup>.

1857 წლის დასასრულისათვის მეფის რესკრიპტის მიხედვით უნდა შექმნილიყო საგანგებო კომიტეტები, რომლებიც გლეხთა განთავისუფლების საკითხზე იმუშავებდნენ. მაგრამ არც ამან დააშოშმინა აღელვებული ხალხი. მდგომარეობა თანდათან მწვავედებოდა. კარლ მარქსი რუ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 17, გვ. 127.

სეთში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის შესახებ ასე სწერს ენგელსი: „რუსეთში რევოლუცია დაიწყო... მე რევოლუცია დასაწყისად მიმაჩნია „ნოტაბლების“ შეკრება პეტერბურგში“<sup>1</sup>.

რევოლუციურ-დემოკრატიული ბანაკი გააფთრებით იბრძოდა გლეხთა ინტერესების დასაცავად. იბრძოდა თვითმპყრობელობისა და ლიბერალების წინააღმდეგ. მკაცრად ამხელდა რეფორმის პროექტების ანტიხალხურ ხასიათს. პეტერბურგი ამ ბრძოლის ცენტრალური ცენტრი იყო, მაგრამ არა ერთადერთი ასპარეზი. რევოლუციური ბრძოლის გამოძახილი რუსეთის იმპერიის შორეულ პროვინციებამდეც აღწევდა. ნიჟნი-ნოვგოროდი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

1857 წლის ნოემბერს ტარას შევჩენკო წერდა ი. ა. უსკოვს: „ახლა ყველას აინტერესებს ყველაზე ცხოველყოფელი საკითხი იმის შესახებ. თუ როგორ გაათავისუფლონ გლეხები ბატონყმური მდგომარეობისაგან“.

დიდი პოეტი და მოქალაქე მხურვალედ თანაუგრძნობს დაჩაგრულ გლეხობას. „დღიურში“ არის ერთი ადგილი, სადაც ავტორის დამოკიდებულება ბატონყმური სისტემისადმი და თვით ყმობიდან განთავისუფლების გზებისადმიც აშკარად ჩანს.

„მეჰამულე დემიდოვის გლეხები. სწორედ იმ არამზადა დემიდოვისა, რომელსაც მე 1837 წელს ვიცნობდი როგორც იუნკერს და რომელმაც მაშინ არ გადამიხადა ფული თავისი საცოლის სურათის დახატვისათვის, ახლა... ცხოვრობს თავის სოფელში და გლეხობას ძარცვავს. თვინიერი გლეხები იმის მაგივრად, რომ უბრალოდ ჩამოჰკიდონ მათი გამძარცველი. გუბერნატორთან მივიდნენ და შეელა სთხოვეს, გუბერნატორმა კი... ბრძანა გაეროზგათ ისინი...“.

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 108.



ამ ჩანაწერში ყურადღებას იპყრობს ფრაზა — „იმის შავივრად, რომ უბრალოდ ჩამოკიდონ მათი გამძარცველი“. შევჩენკო შეურიგებელ დამოკიდებულებას ავლენს მჩაგვრელი პანების მიმართ. „დღიური“. საერთოდ, დესპოტებისა და დესპოტიზმის მიმართ ზიზღითაა გამსჭვალული. მასში ხშირად შევხვდებით ხელისუფლების ბოროტ წარმომადგენელთა მკაცრ შეფასებას. ასე, მაგალითად, შევჩენკო ნიკოლოზ I „გვირგვინოსან ჯალათს“, „ფელდფებელს“ უწოდებს. ორენბურგის გენერალ-გუბერნატორს — „უგულო სატრაპს“. ორენბურგის კორპუსის უფროსს — „საზიზღარ ეფრეიტორს“. მემამულეებს — „არამზადებსა და მძარცველებს“ და სხვა.

ჯერ კიდევ გეშხე ყოფნის ღრთ შევჩენკომ ორთქლის მანქანის დიდი მომავალი იწინასწარმეტყველა და ის რევოლუციური ძვრებიც განსჭვრიტა. რომლებსაც ეატექნიკური პროგრესი გამოიწვევდა. იგი წერდა: „ღლეობით კი არა. საათობით მზარდი ქმნილება სულ ახლო მომავალში შესანსლავს მათრახებს. ტახტებსა და გვირგვინებს. ხოლო დიპლომატებითა და მემამულეებით მსოლოდ ისაუზმებს. გაერთობა, როგორც სკოლის მოწაფე შაქარყინული...“.

თვითმპყრობელური სისტემისა და ხალხთა მჩაგვრელების მკაცრ კრიტიკას შევჩენკოს ამ პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებშიც ვხვდებით. პოეტი მხატვრული ტილოებითა და ლექსებით კვლავ ენერგიულად განაგრძობდა ბრძოლას მათ წინააღმდეგ.

ნიჟნი-ნოვგოროდში ყოფნის პერიოდში შევჩენკო შემოქმედებით აღმავლობას განიცდის. „ახლა მჭირდება შრომა, დაძაბული, მძიმე მუშაობა, რომ რაიმეს გაკეთება მოვასწრო. ათი წელი ტყუილად დავკარგე. უნდა დავიბრუნო დაკარგული, სხვანაირად ღვთის წინაშე ცოდვილი ვიქნები. კეთილი ხალხის წინაშე კი — შერცხვენილი“ — წერდა იგი ს. ტ. აქსაკოვს.

ნიენი-ნოვგოროდში, სულ რამდენიმე დღეში, პოეტმა დასწერა პოემა „ნეოფიტები“. ამ ნაწარმოებში პირველი ქრისტიანების — „ნეოფიტების“ სახით ავტორმა დაგვიხატა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერები, ხოლო რომის იმპერატორის, ნერონის სახით კი — „გვირგვინოსანი ჯალათი“ ნიკოლოზ პირველი.

„ნეოფიტების“ შექმნაზე; უნდა ვიფიქროთ. გავლენა მოახდინა გერცენის მოღვაწეობამ და დეკაბრისტებთან საუბრით „თავისუფლების პირველი რუსი მაცნეების“ მიმართ გაცხოველებულმა ინტერესმა. სწორედ ამ დროს კითხულობდა შევჩენკო გერცენის საზღვარგარეთულ გამოცემებს. მის „პოლიარნაია ზვეზდასა“ და „კოლოკოლს“, ამ დროს გაეცნო დეკაბრისტი ი. ანენკოვს და სხვ.

ფიქრობენ, რომ პოეტმა „ნეოფიტებში“ დეკაბრისტები აგვისახა.

რომის ისტორიიდან აღებულ სიუჟეტზე აგებულ „ნეოფიტებში“ ტარას შევჩენკო თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს. დესპოტი ნერონი ხალხს სასტიკად ჩაგრავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რევოლუციური მოძრაობა მაინც არ წყდება. იგი იზრდება და ვითარდება. ავტორს აღელვებს ახალგაზრდა მებრძოლთა გმირობა და იგი მათ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.

მართალია, მებრძოლი ალკიდი ნერონმა ხელთ ჩაიგდო და სიკვდილით დასაჯა, მაგრამ ავტორი ალკიდის საქმეების გამგრძელებლად დედამისს გამოიყვანს. დედა აიტაცებს შვილის ხელიდან გავარდნილ მახვილს. ამ დეტალით შევჩენკომ ხაზი გაუსვა რევოლუციური საქმის უკვდავებას.

ტარას შევჩენკომ თავისი ნაწარმოებისათვის ისტორიული თემა აირჩია, მაგრამ იმგვარად დაამუშავა, რომ მკითხველისათვის მარტივად გასაგები შეიქნა ალეგორია.

რომელსაც ავტორმა მიმართა. ნაწარმოებში არის პირველი ქრისტიანებისათვის დამააპიათებელი კოლორიტი. პოემაში ლაპარაკია რომზე, მდინარე ტიბრზე, კაპიტოლიუმზე და სხვა. მაგრამ პოეტი ხანდახან „ცდება“ და „სკვითის“ ნაცვლად „ციმბირს“ წერს, რომაელ პატრიციებს „ვოევოდებს“ უწოდებს, ასხენებს „კატორღას“, „ბულვარს“ და სხვ. გარდა ამისა, ნაწარმოებში ასახულ ისტორიულ მოვლენებსა და თანამედროვეობას შორის პარალელის გავლება იოლად შეიძლება. ნერონის მიერ ნეოფიტების დევნას ნიკოლოზის მიერ დეკაბრისტების, პეტრაშეველების, პოლონელი რევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლასთან მრავალი რამ აქვს საერთო. ავტორს ნერონის სახით საერთოდ დესპოტი მეფეები ჰყავს წარმოსახული.

როდესაც კულიშმა „ნეოფიტები“ წაიკითხა, აშკარად დაინახა მისი ანტიმონარქისტული მიმართულება. „შენი „ნეოფიტები“, ძმაო ტარას. კარგი რამ არის, მაგრამ არა დასაბუქდად. შეიღს მამა არ უნდა შეახსენო. შეიღისაგან რა სიკეთესაც არ უნდა მოელოდე“-ო წერდა იგი შევჩენკოს და თან შემფოთებული ურჩევდა შჩეპკინსაც, რომლის ნიყნი-ნოვგოროდში ჩასვლას მიუძღვნა პოეტმა ეს პოემა. იგი არ გაუგზავნო.

შევჩენკოს პოლიტიკური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშის — „ნეოფიტების“ მთავარი მნიშვნელობა ისიცაა, რომ იგი ამხელს არა მარტო ნიკოლოზისდროინდელი რუსეთის, არამედ აგრეთვე მისი თანამედროვე. ალექსანდრე II დროინდელი რუსეთის საშინელებასაც.

შევჩენკომ ამავე პერიოდში ჩაიფიქრა პოემა „სატრაპი და დერვიში“, მაგრამ თვით ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ფიქრობენ, რომ მისი ნაწილობრივი განსახიერება უნდა იყოს პოემა „გლახაკი“ („იუროდივი“). ამ ნაწარმოებში შევჩენკო კვლავ ქმნის მეტრძოლი გმირის სახეს. ნიკოლოზ I და მის უკრაინელ გუბერნატორებს

კვლავ დასცინის. პოემაში დეკაბრისტებისადმი სიმპათიები გამოსჰვივის. შევჩენკოს ღრმად სჯერა, რომ ცარიზმი დაემხოება და მრავალტანჯული ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავს.

ნიჟნი-ნოვგოროდში დაწერილ ლექსებში „ბედი“, „მუზა“. „დიდება“. შევჩენკო გამოსატავს თავის რევოლუციურ ფიქრებს ხელოვნებაზე.

1858 წლის 21 თებერვალს შევჩენკომ დაიწყო 1847–1858 წლებში შექმნილი ნაწარმოებების გადაწერა ერთ რვეულში, რომელსაც პოეტმა „დიდი წიგნი“ უწოდა. მაგრამ მგოსანი მათი მხოლოდ გადაწერით როდი დაკმაყოფილდა. იგი სრულყოფდა თავის ხელოვნებას. ასწორებდა ტექსტება როგორც მხატვრული. იაე იდეური თვალსაზრისით. აძლევდა მას მეტ პოლიტიკურ სიმახვილესა და დასრულებულ მხატვრულ ფორმას. ასე დახვეწა მან ლექსები: „პ. ს.“, „პეტრუსი“ და სხვ.

შევჩენკოს ესთეტიკური შეხედულებანი მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძველზე ყალიბდებოდა. იდეალისტური ესთეტიკის საწინააღმდეგოდ. პოეტი ხელოვნებას განიხილავდა ობიექტურ სინამდვილესთან. ბუნებასთან და საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში. მისი აზრით, ხელოვანს არ შეუძლია რეალური მხატვრული სახეების შექმნა სინამდვილისაგან, ცხოვრებისაგან მოწყვეტით; მხატვრული ჩანაფიქრი მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ იგი სინამდვილეს ეყრდნობა. ცხოვრებიდანაა აღებული.

შევჩენკო ხელოვნებისა და ლიტერატურის როლის გარკვევისას რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე დგას.

ხელოვნების ძირითად პრინციპად და მეთოდად უკრაინელ შემოქმედს კრიტიკული რეალიზმი, ჰეშმარიტი ხალხურობა მიაჩნდა. პოეტი სთვლის, რომ ხელოვნებას საზოგადოებაში აქტიური, მეგრძოლი პოზიცია უნდა

ეკავოს, მისი უმთავრესი ამოცანაა ამხილოს და იბრძოლოს თვითმპყრობელურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, იბრძოლოს ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, უკეთესი მერმისისათვის. ამისათვის ხელოვანმა ყოველგვარი ხერხი და საშუალება უნდა გამოიყენოს.

## პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი. უ კ რ ა ი ნ ა    ღ ა კ ვ ლ ა ვ    კ ა ტ ი მ რ ო ბ ა

1858 წლის 25 თებერვალს, სწორედ შევჩენკოს დაბადების დღეს, პეტერბურგიდან მოვიდა ცნობა დევნილ პოეტს პეტერბურგში გამგზავრების ნება მისცეს. ამაზე უკეთეს მოსალოცს ვერასოდეს ვინატრებდით. წამოიძახა გახარებულმა ტარასმა, მაგრამ ამის შემდეგაც ორიოდ კვირა მაინც მოუხდა ცდა. სანამ პოლიციისაგან ოფიციალურ საშეს მიიღებდა. მხოლოდ 8 მარტს მოახერხა პოეტმა მოსკოვს გამგზავრება.

10 მარტს შევჩენკო მოსკოვში ჩავიდა და ღამე სასტუმროში გაათია. მეორე დღეს. დილითვე იგი შჩეპკინის სანახავად გაეშურა. ძველი მეგობრები შეხვედრამ გაახარა. შევჩენკო შჩეპკინთან დაბინავდა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი თავს შეუძლოდ გრძნობდა და გარეთ არ გამოდიოდა, მოსკოვში მალე გაიგეს მისი ჩამოსვლის ამბავი. შჩეპკინის ბინაზე ეწვივნენ პოეტს მ. მაქსიმოვიჩი (კიევის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი), ნ. კეტჩერი (სტანკევიჩის, გერცენისა და ოგარიოვის მეგობარი), ი. ბაბეტი (მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი), ა. აფანასიევი (ცნობილი ფოლკლორისტი) და სხვ.

გამოჯანმრთელების შემდეგ შევჩენკომ მოსკოველი მეგობრებიდან პირველად ვარვარა რეპნინა მოინახულა. ბევრს მოელოდა იგი ამ შეხვედრიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, სახლში გაწვილებული დაბრუნდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა მათი განშორების დღიდან... ის გულწრფელი აღ-

ტაცება. თავდადებული სიყვარული ჩაფერფლილიყო. განუღებელიყო. ასეთი შეხვედრის შემდეგ ტარასი თავჩაქინდრული მიაბიჯებდა მოსკოვის ხმაურთან ქუჩებში.

შევჩენკო მოსკოვში შეხვდა დეკაბრისტ იაკუშკინის შვილს, დეკაბრისტს სერგეი ვოლკონსკისა და სხვებს.

„მოსკოვში ყველაზე უფრო ის მახარებდა. წერდა შევჩენკო თავის „დღიურში“. — რომ მე მოსკოველ განათლებულ ადამიანებში ვიგრძენი ძალზედ გულთბილი დამოკიდებულება ჩემდამი და პირუთვნელი თანაგრძნობა ჩემი პოეზიისადმი“.

მეგობრებთან შეხვედრებმა და თბილმა საუბრებმა ისე გაიტაცეს პოეტი, რომ მან ველარც კი შენიშნა როგორ გაანგრძლივდა მოსკოვში მისი ყოფნა. პეტერბურგელი მეგობრები კი დელავდნენ.

26 მარტს შჩეპკინი იაროსლავს გაემგზავრა. ხოლო შევჩენკო პეტერბურგს. ორმოცდაათაი წლის ტარასი პირველად ჩაჯდა მატარებელში.

„სალამოს 8 საათზე... ლოკომოტივმა დაუსტვინა და პეტერბურგში გაჩერდა“ — წერდა „დღიურში“ 27 მარტს ტარას შევჩენკო.

დაიწყო ახალი, მნიშვნელოვანი პერიოდი პოეტის ცხოვრებაში.

დახარბებული დაეწაფა იგი პეტერბურგს. სულმოუთქმელად შემოირბინა ქუჩები, მოინახულა სიყრმის განცდებთან დაკავშირებული ადგილები. პეტერბურგზე ოცნებობდა იგი მრავალი წლის განმავლობაში, იგონებდა „ძვირფას აკადემიას“, დიდ თეატრს, რომლის მოხატვაშიაც ოდესღაც მანაც მიიღო მონაწილეობა, ზღაპრულ ერმიტაჟს, მეგობრებს...

სახეგაბადრული, გულგახსნილი ტკბებოდა პოეტი ბედნიერებით. „აქამდე ვერ დავალწიე თავი თანამემამულეთა ხვევნა-კოცნას, — წერდა შევჩენკო, — მადლობა მათ, მიმიღეს როგორც ღვიძლი, დიდი ხნის უნახავი ძმა“.

პეტერბურგში ჩასული შევჩენკო ბინად ტოლსტოებთან უნდა გაჩერებულიყო. მაგრამ, თავდაპირველად ეს არ მოხერხდა. მას აკადემიის შენობაში გამოუყვეს ოთახი. ამის თაობაზე თ. ტოლსტოის ქალიშვილი ეკატერინა იუნგე იგონებს: „განწესების მიხედვით, შევჩენკოს მამასთან უნდა ეცხოვრა. რადგანაც მისი თავდების ქვეშ იყო; მაგრამ ჩვენს ბინაში ადგილის უქონლობის გამო, მან აქვე. აკადემიის შენობაში მიიღო ორი ოთახი. სახელოსნო და საძინებელი. აქ შევჩენკომ მისთვის დამახასიათებელი მგზნებარებით მოჰკიდა ხელი მუშაობას. თავის ოფორტებს... შევჩენკოს ცხოვრება კარგად და ხალისიანად წარიმართა. გარემოცული მეგობრული სიტბოთი და იმ ინტელექტუალური განცხრომით, რომელსაც ამდენ ხანს მოკლებული იყო, იგი თითქოს გაშოცოცხლდა და თავისი ალერსიანი მოპყრობით აცოცხლებდა ირგვლივ მყოფთაც. ჩვენი სახლი მას თავისადაც მიაჩნდა და ამიტომაც თითქმის ყველა მისი უკრაინელი მეგობარი და ნაცნობი ჩვენთან დადიოდა“.

ტოლსტოების ოჯახში შეხვდა შევჩენკო თავის ძველ მეგობარს კომპოზიტორს ს. ს. გულაკ-არტემოვსკის. ნიჭიერ პოეტს ნ. თ. შჩერბინას, პედაგოგ ნ. დ. სტაროვსა და სხვებს. ამავე პერიოდში დაუახლოვდა იგი სახელგანთქმულ მწერლებს: ი. ტურგენევს, ი. პ. პოლონსკის; ძმებს ვასილ და ნიკოლოზ კუროჩკინებს და სხვებს.

პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე შევჩენკო შეხვდა ორენბურგში, ორსკში, რაიმსა და ნოვოპეტროვსკში გაცნობილ პოლონელ რევოლუციონერებს – ზიგმუნდ სერაკოვსკის, იან სტანევიჩსა და ეელიგოვსკის. ფიქრობენ, რომ სწორედ სერაკოვსკიმ გააცნო შევჩენკოს ჩერნიშევსკი.

შევჩენკო ცარისტულ რუსეთსა და ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლ რუსეთს ერთიმეორესაგან კარგად არჩევდა. მას ეზიზღებოდა და იბრძოდა დიდმპყრობელუ-

რი რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ეთაყვანებოდა რევოლუციურ რუსეთს. რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა, რომლის იდეური მეთაურიც ჩერნიშევსკი იყო. შევჩენკოს აღტაცებასა და სიმპათიებს იწვევდა. მისი მსოფლმხედველობა სწორედ დეკაბრისტებისა და რევოლუციონერი-დემოკრატების იდეოლოგიის გავლენის ქვეშ ყალიბდება. ამიტომაც იყო, რომ პეტერბურგს მობრუნებული შევჩენკო უყოყმანოდ მიემხრო და გაერთიანდა ჩერნიშევსკის მებრძოლთა რიგებში.

თავის მხრივ, ჩერნიშევსკიმ უკვე კარგა ხნის წინათ მიაქცია ყურადღება უკრაინელი პოეტის რევოლუციურ შემოქმედებას. მან შევჩენკოს ნაწარმოებიდან „მკვდრებსა და ცოცხლებს...“ ციტატიც მოიტანა და გულისტკივილით გაისხენა გადასახლებაში მყოფი პოეტი. შემდეგში იგი ხშირად მიმართავდა შევჩენკოს სახელს, როგორც მაღალ ავტორიტეტს და თავის აზრებსა და დებულებებს მათი მოშველიებით ამაგრებდა. ასე მოიქცა ჩერნიშევსკი. მაგალითად, სტატიაში „ნაციონალური უტაქტობა“ იგი წერდა: „ვერავითარი შიშველი უარყოფანი ვერ შეარყევენ ჩვენს აზრს, რომელიც ისეთ ავტორიტეტს ეყრდნობა, როგორიც შევჩენკოა...“.

ჩერნიშევსკი მაღალ შეფასებას აძლევდა შევჩენკოს შემოქმედებას და მის როლს უკრაინული ლიტერატურის განვითარების საქმეში. „როცა პოლონელებს მიცკევიჩი მოველინათ. — წეოდა ჩერნიშევსკი. მათ უკვე აღარ სჭირდებოდათ ვიღაც ფრანგი თუ გერმანელი კრიტიკოსების მოწყალე შეფასება: პოლონური ლიტერატორის არცნობა. მაშინ საკუთარი ველურობის გამოვლინება იქნებოდა. ახლა, როცა მალროსიულ ლიტერატურას ჰყავს ისეთი პოეტი, როგორიცაა შევჩენკო, მას ასევე არ სჭირდება ვინმეს კეთილმოწყალეობა“.

რევოლუციურ-დემოკრატიულ საზოგადოებრიობას-



თან შეხვედრებს უკრაინელი პოეტი პოლიტიკური თუ ლიტერატურული ცსოვრების ლაბირინთებში შეჰყავდა.

ლიტერატურათმცოდნეები ფიქრობენ, რომ ჩერნიშევსკისთან დაახლოების შემდეგ შევჩენკო 60-იანი წლების რევოლუციონერთა წრეს უნდა დაკავშირებოდა და, მოსალოდნელია, გამხდარიყო არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაციის „ზემლია ი ვოლიას“ წევრი. არის გამოთქმული მოსაზრება, რომ შევჩენკო ჩერნიშევსკისთან ერთად მონაწილეობდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პოლონეთის აჯანყების მომზადებაში.

შევჩენკოლოგების აზრით, ჩერნიშევსკი დაეხმარა შევჩენკოს უფრო ღრმად გაეგო რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნები და ამოცანები, რუსეთის ხალხების გაერთიანების აუცილებლობა ბატონყმობისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რევოლუციონერთა ბანაკიდან გაისმა მოწოდება „ნაჯაიჩაკენ!“ და ეს ძაბილი აიტაცა პეტერბურგა მობრუნებულმა შევჩენკომ. 1858 წლის 22 ნოემბერს იგი წერდა:

მოელი რასმე? ნუ ელის გული.  
ნუ ელის ნანატრ თავისუფლებას, —  
მან დააძინა, დაძინებული,  
უკვე ტყვეთა ჰყავს მეფე მიკოლას.  
რომ გავადვიძოთ იგი სნეული,  
უნდა აზეირთღეს მრისხანე ხალხი.  
ვავლესოთ ყველამ ერთგული ცელი,  
მოვაფოლადოთ ყველამ ნაჯახი.

(„ისევ ვგრძნობ ძალას“ — თარგმ. იასამანისა)

ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული პოეტის ბასრი კალამი გადასახლებაში როდი დაჩლუნგდა. მოუდრეკელი მგოსანი კვლავ ამხელს დესპოტ მეფეებს და უმღერის თავისუფლებას. მას ღრმად სწამს, რომ მალე დადგება დრო, როდესაც დამაშვრალი ხალხი იზეიმებს თავის გამარჯვებას. ერთ-ერთ თავის ლექსში იგი ამბობს:

მოისვენებს მონების  
მოქანტული ხელები,  
მუხლიც ბორკილთ აიხსნის,  
იქნეს განამრთელები.  
გიხაროდეთ, ვინც ნახეთ  
გვემა, ტანჯვა უღვეი.

(„ესაიას XXXV თავის მიბაძვა“ — თარგმ. იასამანისა)

მხოლოდ განთავისუფლებულ შრომას შეუძლია ჭეშ-  
მარიტი ბედნიერება მიანიჭოს ადამიანს, მხოლოდ მაშინ  
გაიხარებს მიწა და გააზარებს თავისი სიუხვით ადამიან-  
საც:

ბრმებსაც თვალეი აეხილებათ.  
უტყვო ალესნებათ ბაგენი, სიტყვა  
გაარღვევს დუმილს, ვით ზღუდეს წყალი.  
ულრან-უდაბნო, დღეს მოურწყველი,  
უკდავების წყლით გადაბანილი  
გამოიღვიძებს, და მხიარული  
მიდინარეები სწრაფად წამოვლენ.

გულითა და სულით მიესალმა პოეტი უკრაინელი  
მწერლის მარკო ვოვჩოკის ლიტერატურულ ასპარეზზე  
გამოსვლას, რადგანაც მის ნაწარმოებში ხალხის სიყვარუ-  
ლი, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობისადმი სიძულ-  
ვილი ამოიკითხა. მარკო ვოვჩოკს მიუძღვნა შევჩენკომ  
ლექსები: „სიზმარი“, „მარკო ვოვჩოკს“.

და მოველინე რისხვით მტანჯველებს,  
როს ჩემი ლოცვა ესმინოს ცასა,  
გხედავთ ჩვენს შორის წინასწარმეტყველს...

(„მარკო ვოვჩოკს“ — თარგმ. იასამანისა)

შევჩენკომ ამოიციწო ვოვჩოკში თანამოაზრე და მო-  
კავშირე. „ძალა ახალგაზრდული“ და ამიტომაც შეეგება  
მას ასეთი სიხარულით.

პეტერბურგში პოეტს კიდევ ერთი სასიამოვნო შეხ-



ტ. შვენინკო. ყარა-ბუტკის ფორტი. 1843 — 1850.



ვედრა ჰქონდა. მან გაიცნო საგასტროლოდ ჩამოსული ცნობილი ზანგი მსახიობი აირა ოლრიჯი.

პეტერბურგულმა შეხვედრებმა მგოსანს კიდევ უფრო გაუმწვავეს მშობლიური უკრაინის ნახვის სურვილი. მას უნდა კიევის, ჩერნიგოვისა და პოლტავის გუბერნიებში იმოგზაუროს, მაგრამ ნებართვის მიღება ყოვნდება. „ჭერდედაქალაქში არ მიშვებდნენ, ახლა კი აქედან არ უნდათ ჩემი გაშვება. აღშფოთებელი სწერდა იგი მ. ა. მაქსიმოვიჩს. როდემდის გავრძელდება ჩემი ასე აბუჩად აგდება?“. როგორც იქნა ეანდარმთა შეფმა დოლგორუკოვმა შევჩენკოს უკრაინაში გამგზავრების ნება დართო. მაგრამ ამასთანავე ერთად კიევის, პოლტავისა და ჩერნიგოვის ეანდარმთა სამმართველოებსაც შეატყობინა მოსალოდნელი სტუმრის შესახებ და პოეტზე თვალყურის დევნებაც დაავალა. სამივე გუბერნიის გუბერნატორებმა კი თავის ხელქვეითებს უბრძანეს ფსიზლად ედევნებინათ თვალი „მისი ყოველი მოქმედებისათვის“.

შევჩენკოს მკვლევრები ფიქრობენ, რომ 1859 წელს უკრაინაში პოეტის გამგზავრებას ფარული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დროს კიევსა, ხარკოვსა, ჩერნიგოვსა და პოლტავაში არსებობდა საიდუმლო საზოგადოება. რომლის მიზანიც იყო რუსეთში საერთო გადატრიალების მოხდენა. ამ საზოგადოების წევრები იყვნენ გამოჩენილი მოღვაწენი მიტროფანე მურავსკი, პეტრე ზავადსკი, იაკობ ბეკმანი და მრავალი სხვანი. ზოგ მათგანს, მაგალითად, ოპოცკისა და კალინოვსკის, პოეტი პეტერბურგში ხვდებოდა. ზოგთან კი შესაძლოა სერაკოვსკის მეშვეობით ჰქონდა ურთიერთობა. ყოველ შემთხვევაში, მკვლევართა აზრით, შევჩენკო აქტიურად უწყობდა ხელს უკრაინაში რევოლუციური იატაკქვეშეთის განვითარებას და უკრაინისა და პეტერბურგის რევოლუციური კავშირის განმტკიცებას. მეფის ეანდარმერია გრძნობდა ამას, მაგრამ საბუთი ხელთ არ ჰქონდა. ამი-

ტომაც იყო, რომ უკრაინას მისი გამგზავრება ასეთ ზომებთან იყო დაკავშირებული.

უკრაინაში პოეტმა მოინახულა გოროდიშჩი, პირიატინო, ლიხვინი, კორსუნი. იყო თავის და-ძმასთან, ნათესაებებთან და მეგობრებთან. იგი სიამაყით ამბობდა: „მესულით ხორცამდე შვილი და ღვიძლი ძმა ვარ ჩვენი გაუბედურებული ხალხისო“, მართალია მან თავი დააღწია ყმობას, მაგრამ ხალხის ბედი აწუხებდა. პოეტს ყმა ნათესაების მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევდა. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ისინი ყმობიდან დაეხსნა. ი. ტურგენევისა და ნ. ჩერნიშევსკის აქტიური ჩარევის შემდეგ მემამულე ფლიორკოვსკიმ შევჩენკოს ახლობლები ყმობიდან გაათავისუფლა. შევჩენკო მშობლიური უკრაინის სიმშვენიერით სტკებობდა, გულს იჭერებდა გლახობასთან საუბრით. ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო, პოეტი ხალხის მძიმე ხვედრზე, პანების, მეფეებისა და სამღვდელოების წარმომადგენლების უსინიდისობაზე ლაპარაკობდა. შევჩენკო რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა. მაგრამ ჟანდარმერიაც არ თვლემდა.

1859 წლის 13 ივლისს შევჩენკო დააპატიმრეს, ჩვენება ჩამოართვეს და ჟანდარმების თანხლებით კიევს გაისტუმრეს, ხოლო იქიდან კი 13 აგვისტოს — პეტერბურგს.

\* \* \*

პეტერბურგს მობრუნებულმა შევჩენკომ კვლავ ხელოვნებასა და ლიტერატურას მიაშურა.

შევჩენკოს მებრძოლი სული ჯერ კიდევ „თვალწარმტაცი უკრაინის“ შექმნის დროიდან მოკიდებული თანდათანობით მტკიცდება და მალდება როგორც სახვით ხელოვნებაში, ასევე პოეზიაში. მაგრამ პოეზიაში იგი შე-

დარებით უფრო ადვილად ახერხებს თავისი იდეების ნათლად მიწოდებას მკითხველამდე: შევჩენკო გენიალური პოეტი იყო. მის პოეტურ გზას ანათებდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები და რუსი კლასიკოსების მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ამ პერიოდის მშფოთვარე მხატვრულ ცხოვრებაში იყო ის შუქურა, რომლის დახმარებითაც შეეძლო გზა გაეკვლია ტარას შევჩენკოს.

დიდი პოეტი ერთი წუთითაც არ ივიწყებს მშრომელი ხალხის მდგომარეობას. მას სურს რითიმე მაინც შეუწყოს ხელი ხალხის განათლების საქმეს, ოცნებობს გლეხის ბავშვებისათვის სახალხო სკოლების გახსნაზე. პოეტმა შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელო „სამხრეთ რუსული ანბანი“. ეს იყო იმ დროისათვის პირველი უკრაინული ანბანი, რომელიც თავისი სულისკვეთებით მანამდე არსებულ კონსერვატული და ნაციონალისტური ტენდენციებით გამსჭვალულ ანბანებს უპირისპირდებოდა. მგოსანმა ანბანში ფართოდ შეიტანა ხალხური შემოქმედების ნიმუშები. წიგნის მთელი ტირაჟი შევჩენკომ უფასოდ გაუგზავნა უკრაინელ გლეხობას. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და უშინსკის მსგავსად, უკრაინელი პოეტი დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა განათლების საქმეს.

ამავე პერიოდში შევჩენკო გარკვეულ ნაბიჯებს დგამს ჟურნალების დასაარსებლად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ჩანაფიქრის განხორციელებას ვერ ახერხებს.

შევჩენკომ ჯერ კიდევ 1859 წელს მოამზადა ხელახლა გამოსაცემად „კობზარი“. მიუხედავად იმისა, რომ მასში არ შესულა პოეტის საუკეთესო რევოლუციური ნაწარმოებები, მისი გამოცემა მაინც გაძნელდა. დიდი წვალეებისა და ბრძოლის შემდეგ მხოლოდ 1860 წელს მოხერხდა „კობზარის“ დაბეჭდვა. ახალმა წიგნმა რევოლუციონერების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დობროლიუბოვმა თავის ვრცელ რეცენზიაში აღნიშნა:

შევჩენკოს პოეზიის მაღალი მნიშვნელობა. „შევჩენკოს ლექსების გამოჩენა საინტერესოა არა მარტო მალოროსიული ლიტერატურის ერთგული თაყვანისმცემლებისათვის, არამედ ქვეშარიტი პოეზიის ყოველი მოყვარულისათვის“. „კობზარში“ რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკა შესანიშნავ პოეტსა და ბატონყმობის წინააღმდეგ გაუტეხელ მებრძოლს ხედავდა.

ვ. ი. ლენინი მიგვიითითებს, რომ „როდესაც 40-იანი და 60-იანი წლების ჩვენებური განმანათლებელნი სწორდნენ, ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა“<sup>1</sup>.

ბატონყმობის მძიმე უღელი მთელი სიმწვავეით განიცადა პოეტმა. გადასახლებიდან მობრუნებულმა შევჩენკომ განახლებული ენერჯიით შეუტია მას. „ლოცვებში“ იგი პირდაპირ ამბობს, რომ მამული მას უნდა ეკუთვნოდეს. ვინც თავისი ოფლით აპოხიერებს მიწას და არა უქნარა პანებსო.

შრომიო მოქანცულ ხელებს,  
გონებით აზრის მთლებებს,  
მიეც უნარი ხენისა  
და დათესილის მკისა.

(თარგმ. ალექსანდრე ქუთათელისა)

მაგრამ სად არის სამართალი. „მშიერტიტველნი. დარდით სავსენი. ქალიშვილები მიჰყავთ ჯოგვივით“. ხარივით უღელში გაბმული გლეხები კი მემამულისათვის შრომობენ. მაგრამ რისთვის?

ღარიბო ხალხო. ლექმას რომ გაცლის  
რაში გკირდება მეფე ცბიერი.

(„ღარიბო ხალხო“ — თარგმ.  
კონსტანტინე ლორთქიფანიძისა)

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 628.



მიმართავს პოეტი ხალხს. იგი მწუსარებით აღნიშნავს, რომ თუ არა ეს მონური მორჩილება. თავაუღებელი შრომა ბატონის ბელლების ასავსებად, მათი ჯიბეების გასასქელებლად. არც ეს სასახლეები იქნებოდა და ვერც პანები იპარპაშებდნენ ასე განუკითხავად.

— რომ არ ხოხავდენ მტვერში მონები.

ვერ დასტანჯადენ მათ ბატონები.

რ იქნებოდა ეს ზღუდეები.

და წაბილწული სასახლეები.

(„მე მივდიოდი ერთხელ ღამეში“—თარგმ.

ვალერიან. გაფრინდაშვილის.)

ტარას შეეჩენკო ამ ნაწარმოებში ერთგვარად საყვედურობა ხალხს თვინიერებისა და მორჩილების გამო, რომელსაც იგი იჩენს თავისი მჩაგვრელების მიმართ. მათ. როგორც რევოლუციონერა. კარგად ესმის. რომ ანეთ მორჩილებას ხალხისათვია სუკეთე არ მოაქვს. მწერლის აზრით. პირში წყლის დაგუბება და მებატონის ყანაში მკლავებდაკაპიწებული მუშაობა კი არა. არამედ სახრის. ნაჯახის შემართვა და ადამიანური უფლებების ისე დაცვაა საჭირო. კმარა მოთმინება. კმარა მონური მორჩილება და შიში. დროა გაიღვიძოს ადამიანმა და თუნდაც სისხლის ფასად. მაგრამ მაინც მოიპოვოს თავისუფლება.

პოეტი წინაწარმეტყველებს. რომ რევოლუციონერთა ახალი თაობა. ან როგორც ის ამბობს. „ნორჩი მცენარე“ დავაუკაცდება. „დაიკივლებს. დაიგუგუნებს“. „ტახტს დაანარცხებს და დაფრეწს პორფირს. გასრესს თქვენს კერპსაც, უნდოს და ორპირს“. აღარ იქნება მეფის სახსენებელი —

ბოროტ მეფეთა ავი ჯეჯილი  
იქნება სულ მთლად ამოგლეჯილი.  
და ჩაქედებიან საშოში ძენი  
ყველა მეფეთა, როგორც ნამყენი.

(„გალილელის და არქიმედს“ თარგმ.

ვალერიან გაფრინდაშვილისა)

შევიჩენკოს ღრმად სჯერა ხალხის რევოლუციური ძალისა. მან იცის, რომ ხალხის აზვირთებულ რევოლუციურ ტალღას წინ ვერაფერს დაუდგება და ამიტომაც, რევოლუციური დემოკრატიის ბელადების—ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის კვალდაკვალ იგი ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებს. პოეტს სწამს, რომ საბოლოო სიტყვას ხალხი იტყვის.

ოს. ტანჯვა. ტანჯვა, გულო. იღრინე.  
ქო. დარღო ჩემო და კაეშანო.  
როდის გაივლი? ან იქნებ მეფემ  
მოგსპოს სასტიკი თავის ლეკვებით.  
მინისტრ-მონების მაგარ ჩექმებით.  
ველარ დაგძლევენ! ხალხი შეგნებით  
სიმშვიდით, როგორც გამოთენახე  
მეფეს აიყვანს სახრჩოაელახე

(„ვიცი არ სცემენ ქვეყნად წაქცეულს“ – თარგმ.

სიმონ ჩიქოვანისა)

მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი სიცოცხლე. მხოლოდ მაშინ დაიბადება ჭეშმარიტი ადამიანი, და ხალხთა შორის მეგობრობა და სიყვარული დაისადგურებს:

ქიწა გახდება ვით ბალი შლილი,  
ვაქრება მტრების ბრბო შხამიანი.  
იქნება დედა. იქნება შვილი.  
იქნება მხოლოდ ადამიანი!

(„გალილელის და არქიმედს“)

პოეტის რწმენით, ამოვა მზე და მას დღეც მოჰყვება:

დღე სიმართლისა, სიცოცხლის მფენი.  
ქვეყნად სიმართლე აწ დამყარდება.

(„აქაც და სხვაგან“ - თარგმ. იასამანისა)

ტარას შევჩენკოს ბოლო პერიოდის შემოქმედება რევოლუციური აზრის გამოხატვის ფორმითაც იპყრობს ყურადღებას. მისთვის დამახასიათებელი ხდება ბიბლიური სახეები და სიუჟეტები. პოეტი იძულებულია ამ ხერხს მიმართოს, რადგან საცენზურო კომიტეტი ფხიზლად ადევნებს თვალს მის მოღვაწეობას.

ასეთი მდგომარეობის გამო აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, რომ ცარიზმი რევოლუციონერებს აიძულებდა ელაპარაკათ „გადაკვრით, იმ ეზოპური — წყეული ეზოპური — ენით... როდესაც ისინი „ლეგალური“ ნაწარმოების დასაწერად კალამს ჰკიდებდნენ ხელს“<sup>1</sup>.

მგოსანი ბიბლიური სიუჟეტებითა და სახეებით მაინც ახერხებს რევოლუციური შინაარსის გამოხატვას. წინასწარმეტყველებს იგი მეფეებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებს, რევოლუციური აზრის პროპაგანდისტად ხდის. ამას იგი ისეთი ოსტატობით აკეთებს, რომ დიდი ხნის განმავლობაში პოლიციური აპარატი ამ ნაწარმოებების მიხედვით პოეტის საწინააღმდეგოდ ხელშესახებ მასალას ვერ პოულობს.

პოემა „მარია“ (1859 წ.), რომელშიაც გამოყენებულია ლეგენდა ქრისტეს დაბადების შესახებ, აშკარა რევოლუციური ხასიათისაა და მიმართულია ქრისტიანო-დოგმატიკოსების წინააღმდეგ. შევჩენკოს მიხედვით იესო ახალგაზრდა წინასწარმეტყველის შვილია. მამა თავისუფლების იდეების ქადაგებისათვის ჯვარს აცვეს, მაგრამ შვილი იესო მის კვალს მიჰყვება სიმართლისა და თა-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 231.

ვისუფლებსათვის იბრძვის. იესოს დედა მარია შვილის მოძღვარი და მასწავლებელია, იგი მას სიმართლისათვის ბრძოლის იდეალებს უნერგავს.

ნაწარმოებში „კეისრისა“ და „ფარაონების“ სახით ავტორი ამხელს ხალხის მჩაგვრელებს, მეფეებსა და ბატონებს, რომლებსაც სიმართლისათვის ამხედრებული ხალხი ნაჯახით თავს წაჰკვეთს და „მათ სისხლს ძაღლებს შეასმევს“.

„მარიამ“ რეაქციონერთა და ღვთის მსახურთა გააფთრება გამოიწვია. მარიას მიწიერ ქალად დედად გამოსახვისათვის შეეჩინკოს მკვრეხელად აცხადებდნენ. პროგრესული საზოგადოებრიობა კი მიესალმა პოემის გამოცემას. ივანე ფრანკომ აღნიშნა, რომ „პოემებში „ნეოფიტები“ და „მარია“ შეეჩინკო ზოგადსაქაოებრიო საფუძველზე გვიხატავს სიმართლისათვის ბრძოლისა და ტირანობის სურათებს“.

ნაწარმოებებში: „მიბაძვა იეზიკელის“, „ესაიას XIV თავის მიბაძვა“, „ლოცვები“, „საული“ და სხვ., შეეჩინკო ბოროტი და ავხორცი პანების, ღვთის მსახურებისა და მეფეების სახეებს ვვიხატავს. იგი პარალელს ავლებს კაცთმოდულე ნიკოლოზ I და ნერონს შორის, მახრჩობელა ალექსანდრე II და რომის მეფე ნუმურიუს პომპილიუსს შორის. პოეტს სწამს, რომ ხალხის ტანჯვას ბოლო უნდა მოეღოს.

1859—1861 წლები რუსეთში ვ. ი. ლენინს რევოლუციური სიტუაციის პერიოდად მიაჩნდა. „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა. მღელ-

ვარება გლახებისა. რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით აიძულებდნენ იმ „დებულების“ მიღებას. რომელიც სულთან-ხორციანად ფცქვნიდა მათ. აზნაურ მომპრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე. სტუდენტების არეულობა ასეთ პირობებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა. რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლო იყო და გლახთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა“<sup>1</sup>.

რევოლუციურმა სიტუაციამ პოეტის შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია. მისი ცოცხალი სიტყვა თავის ატყდება თვითმპყრობელურსა და ბატონყმურ სისტემას („ნეოფიტები“, „გლახაკი (იუროდივი)“, „საული“ და სხვ.). ფარისევლობისა და ყალბი ადამიანურობის ნიღაბს გლახს პანებს. ამხელს მათ მხეტურ ბუნებას („ესაიას XIV თავის მიბაძვა“, „ყოფილა ომები. მხედრული შფოთი“...), დაუნდობლად იბრძვის რეაქციის საყრდენის რელიგიის წინააღმდეგ („მარია“, „მონაზონთა ჰიმნი“...).

ტარას შევჩენკოს ამ პერიოდის შემოქმედება ღრმად იდეურობასთან ერთად მხატვრული ფორმის საოცრად დახვეწისა და გამოხატვის ზენიტს აღწევს.

ტარას შევჩენკოს შემოქმედება რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით არის ნასაზრდოები და ამიტომაც განმსჭვალულია გლახური აჯანყების სულისკვეთებით. არსებული სისტემის მსხვერველია და დემოკრატიული წყობილების დამყარების სულისკვეთებით. პოეტს ჯერ სრულად და ნათლად როდი აქვს მომავალი სახელმწიფო სისტემა წარმოდგენილი, მაგრამ მან იცის, რომ იგი, ეს სისტემა. სახელმწიფო, უბრალო, მშრომელ ხალხთა ინტერესების გამომხატველი და დამცველი უნდა იყოს. ერთგან იგი წერს: „გამოდის. რომ კომუნისმის იდეა არის

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 34, 35.

არა მარტო ცარიელი იდეა, არა ხმა მლაღადებლისა უღაბ-  
ნოსა შინა. არამედ იგი სავსებით გამოსადეგია ნამდვილი  
პროზაული ცხოვრებისათვის. დიდება და პატივი ახალი  
ცივილიზაციისათვის მებრძოლებს!“.

მართალია. შევჩენკოსათვის ცნება „კომუნიზმი“ მთე-  
ლი თავისი შინაარსით ნათელი არ არის. ბუნდოვანია,  
მართალია ისიც, რომ მისი შეხედულება კომუნიზმზე  
უტოპიურია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ პოეტი მოუთ-  
მენლად და სიამით მოელის ხვალისდელ დღეს, დღეს  
ადამიანთა თანასწორობისა და მეგობრობისა, სიმაართლი-  
სა და თავისუფლებისა, ხალხთა ცხოვრების უმაგალითო  
აყვავებისა და ბედნიერებისა, ადამიანის აღიარებისა.

ტარას შევჩენკოს სამოციანი წლების შემოქმედებაში  
მოგიზგიზე ცეცხლია შუქზე ხალხთა დიადი მომავალი  
ისახება.

### უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა

სიცოცხლის ბოლო წლები ავადმყოფმა შევჩენკომ  
ბნელ და ნესტიან სარდაფში გაატარა. მისი ოთახი ანტრე-  
სოლით ორად იყო გაყოფილი. ეძინა ზემოთ, სადაც  
ფანჯარა იატაკის გასწვრივ იყო. მუშაობდა ქვევით. მიუ-  
ხედავად ამისა. უკანასკნელ დღემდე ხელიდან არ გაუგ-  
დია კალამი და არც თავისი იდეებისათვის უღალატნია.  
მაგრამ ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა. მრავალტანჯულმა  
პოეტის სხეულმა ველარ გაუძლო ამდენ წამებას.

1861 წლის 26 თებერვალს (10 მარტს) ტარას შევჩენ-  
კო გარდაიცვალა.

ტარას შევჩენკოს გარდაცვალება მძიმედ განიცადა სა-  
ზოგადოებრიობამ. ნეკრასოვმა დასწერა ლექსი „შევჩენ-  
კოს სიკვდილზე“. რომელშიაც დამწუხრებული ხალხის  
გრძნობები გამოხატა. გერცენის „კოლოკოლში“ გლოვის  
ზარი გარსმა.

პოეტის გარდაცვალების ამბავი ელვასავით მოედომთელს რუსეთს. დაკრძალვის დღეს ცხედარის გასაცილებლად ზღვა ხალხი მოგროვდა. აქ იყვნენ ჩერნიშევსკი, ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, შელგუნოვი, დოსტოევსკი, ნიკოლოზ და ალექსანდრე სერნო-სალავიოვიჩები, ნიკოლოზ და ვასილ კუროჩკინები, პანაევი, პიპინი, პომიალოვსკი და სხვები. პეტერბურგის ლიტერატურული საზოგადოებრიობა, ცნობილი და უბრალო, რიგითი ადამიანები.

სმოლენსკის სასაფლაოზე დაკრძალვის დროს გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოთქვეს რუსულ, უკრაინულ და პოლონურ ენებზე.

შევჩენკოს დასაფლავება ხელისუფლების საწინააღმდეგო მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

მალე პოეტის მეგობრებმა დაიწყეს ზრუნვა უკრაინაში მისი ნეშტის გადასვენების თაობაზე. დიდი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ მაინც მოხერხდა ნებართვის მიღება და აპრილის დასასრულს სამგლოვიარო პროცესია უკრაინისაკენ დაიძრა.

მოსკოვში, ორიოლში, გლუხოვოში, ნეჟინში ათასობით ადამიანი, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, დამწუხრებულნი და თვალცრემლიანი ეგებებოდნენ და სამშობლოსაკენ აცილებდნენ პოეტის ნეშტს. ქალაქებსა თუ სოფლებში, რკინიგზის სადგურებსა თუ ღნეპრის პირას სტიქიური მიტინგები და დემონსტრაციები იმართებოდა.

ხალხთა აბობოქრებამ ხელისუფალნი შეაშფოთა. დამფრთხალმა „წმინდა მამებმა“ კიევის გენერალ-გუბერნატორს მიაშურეს --- თხოვდნენ. პროცესიას კიევში ნუ შეუშვებთ, თორემ აჯანყება არ აგვცდებო. თავადი ვასილჩიკოვი თვითონაც დელავდა, მაგრამ რა ექნა, აღარ უნდოდა ცეცხლზე ნავთის დასახმა. გლებობა ისედაც აღელვებულნი იყო.

10 მაისს პოეტის ანდერძის თანახმად მისი ნეშტა ქ. კანევეთან დნებრის მაღალ ნაპირს შიებარეს.

მაგრამ ამით არ დასრულებულა კობზარის მგზნებარე სიცოცხლე. გარდაცვლილი შევჩენკოს ლანდიც კი ძილს უფრო ხობდა ხალხის მჩაგვრელება. ღვთის მსახურებს. მემამულეებს. ბელისუფლების წარმომადგენლებს დაეკარგათ მოსვენება.

უკვე 1861 წლის ივლისში მემამულე პარჩევსკი აღელვებული წერდა: „ქალაქი კანევი მემამულეთა წინააღმდეგ შეთქმულების ცენტრი გახდა“. თავადაზნაურობის დინჯი წინამძღოლი შემფოთებული იტყობინებოდა: „კანევის მცხოვრებთა და ახლომახლო სოფლების გლეხობას შორის გავრცელდა ხმა, რომ მალე დადგება უამი. როდესაც ხალხი ძველებურად დაიწყებს მემამულეებს ხოცვა-ჟლეტას. არ დაინდობენ არც სამღვდელოებას. რომელიც პანებთან ერთადაა. — არც მოხელეებს, რომელთაც თავადაზნაურობა ფულს იმაში უხდის, რომ ხალხს სიმაართლე დაუმალონ; მალე დადგება დრო, როცა აქ მხოლოდ ხალხილა დარჩებაო“.

უდარდელ ცხოვრებას მიჩვეულ ბატონებს ახლა პოეტის საფლავიდან ამოწვდილი აღესილი დანების პრიალი თვალს კრიდა. „ამბობენ. აქ დამარაულია წმინდა დანები პანების... მღვდლების გასაჟლეტად. — აცნობებდნენ ისინი უმაღლეს ბელისუფალთ. — რომ „მთელს უკრაინაში გაბნეული უთვალავი კაზაკები თავს მოიყრიან კანევეში და იმას აღასრულებენ, რასაც მათი მამა ტარასი ქადაგებდა“. კანეველი მემამულის რწმენით. „შევჩენკოს საფლავი ერთგვარი შემაკავშირებელი დროშაა იმათთვის, ვინც ხალაში აქაური თავადაზნაურობისადმი სიძულვილს სთესავს“.

კანევის მაზრის პოლიციის უფროსს აჭანყების ცეცხლი ელანდებოდა, როდესაც გუბერნატორს ევედრებოდა: „ხალხში მოსალოდნელი არეულობის თავიდან აცილების



მიზნით... გთხოვთ გასცეთ განკარგულება. აღექსაპოლს-  
კის პოლკო ბატალიონია გარდა... ქ. კანევში მოავლინონ  
ქვეითი ჯარის კიდევ ორი ასეული მაინცო”.

ხალხი კი მიემართებოდა შევჩენკოს საფლავისაკენ,  
მათთვის წმინდა ადგილისაკენ და თაყვანს სცემდა მას.  
როგორც თავია სახალხო წინაწარმეტყველს. გლებობა  
არ ივიწყებდა ტარასს. შექმნეს ლეგენდა პოეტის უკვდა-  
ვებაზე. გავრცელდა ხმა, რომ შევჩენკო კვლავ ცოცხალია,  
ციმბირშია სვეტზე მიჯაჭვული. სვეტი ღებება და მალე  
წაიქცევა. აი. მაშინ კი ტარასი უკრაინაში დაბრუნდებაო.

ასე ვერ გაიმეტა ხალხმა სასიკვდილოდ თავისი  
მგოსანი.

საზოგადოება არ ივიწყებდა შევჩენკოს. გულით უყ-  
ვარდა იგი და ამიტომაც ცდილობდა მისი აკრძალული  
ნაწარმოებების ფართოდ გავრცელებას.

შევჩენკო ლეგენდარულ ტანჯულ გმირად იქცა. ხოლო  
მისი ნაწარმოებები კი თვითმპყრობელობისა და უსამართ-  
ლობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ. ამიტომაც  
იყო, რომ მეფის ხელსუფლება ყოველ ღონეს ხმა-  
რობდა, რათა პრესის ფურცლებზე არ გამოჩენილიყო  
პოეტის სახელი, დაიწყებდას მისცემოდა იგი. ამავე მიზე-  
ზით მათ აკრძალეს შევჩენკოს იუბილე. რომელიც მისი  
დაბადებია ასი წლისთავზე უნდა გამართულიყო. ამის  
შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

..შევჩენკოს აპატივცემულო ზეიმის აკრძალვა ისე-  
თი ჩინებული. საუცხოო. უაღრესად საბედნიერო და  
მარჯვე ზომა იყო მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის  
თვალსაზრისით. რომ უკეთესი აგიტაციის წარმოდგენაც  
კი შეუძლებელია. მე მგონია, მთავრობის წინააღმდეგ  
მოქმედი ყველა ჩვენი საუკეთესო სოციალ-დემოკრატი  
აგიტატორები ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ასე მოკლე  
ხანში ისეთ თავბრუდამხვევ წარმატებებს. როგორსაც ამ  
ზომამ მიაღწია მთავრობის საწინააღმდეგო აზრით. ამ ლო-

ნისიძეების შემდეგ მილიონობით „ობივატელები“ უკვე შეგნებული მოქალაქეები ხდებიან და რწმუნდებიან იმ გამონათქვამის სისწორეში, რომ რუსეთი „ხალხთა საპრობილეა“<sup>1</sup>.

განუზომელია შევჩენკოს დამსახურება უკრაინული ლიტერატურის წინაშე.

მისი ლიტერატურული მოღვაწეობა დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ გაძევებული შავზნელი რეაქცია პირობებში დაიწყო შევჩენკოს შეგნებული ჰქონდა, რომ ხალხი მწერალში მისი ინტერესების დამცველს, მია მხსნელსა და ბელადს ხედავდა და ამიტომაც თავისი შემოქმედება თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა.

მართალია, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგის უკრაინელი მწერლები თავიანთ მხატვრულ ქმნილებებში მიისწრაფოდნენ რეალიზმისა და ხალხურობისაკენ, მაგრამ უკრაინულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დაკვიდრებაში საბოლოო სიტყვა მაინც შევჩენკომ თქვა, იგი მოგვევლინა ახალი უკრაინული ლიტერატურის ფუძემდებლად.

უკრაინულმა მხატვრულმა ლიტერატურამ ხალხთა ტანჯვისა და ვაების არა ერთი ამაზრზენი სურათი დაგვიხატა, მაგრამ შევჩენკო იყო პირველი პოეტი, რომელმაც ფესვებამდე გააშიშვლა თვითმპყრობელობისა და ბატონყმური მთელი სისტემის საშინელებანი და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მოგვიწოდა.

ტარას შევჩენკომ გამოიყვანა უკრაინული ლიტერატურა ფართო შარავზაზე, მან აამაღლა იგი მსოფლიო მნიშვნელობამდე.

---

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 260, 261.

„გლებთა პოეტის“ რეალისტური მხატვრული მეთოდის დამახასიათებელი იყო რევოლუციურ-დემოკრატიული მაღალი დეურობა, ჰუმანიზმი და ხალხურობა. თავგასული მემამულეების, ბოროტი სამღვდლოების, მექრთამე მოხელეებისა და დესპოტი მეფეების საპირისპიროდ პოეტის ნაწარმოებთა მხატვრულ ქსოვილში ხალხთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა სახეები ამოიკვეთება.

თუ გავითვალისწინებთ შევჩენკოს ცხოვრების მთელ ტრაგედიას, მისი მხატვრული შემოქმედება უღიადესადაა უნდა მივიჩნიოთ. მიუხედავად მრავალი წლის არაადამიანური ტანჯვისა, მაინც არ დაითრგუნა, არ გატყდა პოეტის რევოლუციური სული. მეფის ხელისუფლების ბინძურმა თათებმა მაინც ვერ წარყვნეს დიდი ადამიანის რწმენა, შეხედულებები, მისწრაფებანი. ამ რევოლუციურმა სულმა და რწმენამ შეინარჩუნეს 'სიდიადე და სისპეტაკე და საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს. სავსებით სამართლიანად შეიძლება სიამაყით გავიხსენოთ შევჩენკოს სიტყვები: „ამ ყოველმა აღუწერელმა უბედურებამ, ყოველი სახის დამცირებამ და შეურაცხყოფამ ჩაიარეს, თითქოს არ შემხებოიან... არც ერთი თვისება ჩემს შინაგან სამყაროში არ შეცვლილა“.

უკრაინელი მგოსნის ბრძოლამ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ უფრო მეტ სიმახვილეს. სიძლიერესა და სიმკვეთრეს გადასახლებიდან მობრუნების შემდგომ, სიცოცხლის ბოლო პერიოდში მიაღწია.

შევჩენკო არის უკრაინულ ლიტერატურაში რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის ფუძემდებელი. მისი მსოფლმხედველობა მოწინავე რუსული საზოგადოებრივი აზროვნების სიახლოვეში ყალიბდებოდა. რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების თანამებრძოლი და თანამოაზრე რუსი და უკრაინელი და საერთოდ ყველა ხალ-

ხების მეგობრობას ქადაგებდა და ხალხთა ბედნიერი მომავლის მოსაპოვებლად ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ტარაა შევჩენკო ახალი უკრაინული სალიტერატურო ენის ფუძემდებელია.

მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთო რუსული გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში. ამიტომაც იყო, რომ რუსი რევოლუციონერი დემოკრატები მაღალ შეფასებას აძლევდნენ შევჩენკოს შემოქმედებას. ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი ხშირად მიმართავდნენ უკრაინელი კობზარის ავტორიტეტს. ერთ-ერთი ჟურნალის რეცენზირების დროს რევოლუციური დემოკრატიის ბელადმა ჩერნიშევსკიმ ტარაა შევჩენკოს შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობა აღიარა.

შევჩენკოა შემოქმედები სიწმინდის დასაცავად და მისი პოპულარიზაციისათვის ბევრი გააკეთა ბოლშევიკურმა გაზეთმა „პრავდამ“. პლებანოვმა, მაქსიმ გორკიმ, ლუნახარსკიმ და სხვებმა.

აშევჩენკო იმსახურებს უმაღლეს შეფასებას. სწორედ როგორც პირველი და ქეშმარიტი სახალხო პოეტი, რომელიც ახალს ფიქრებას და გრძნობებს სუბიექტური დამატებებით არ ამახინჯებს. წერდა მაქსიმ გორკი. ხოლო გამოჩენილი რეჟისორი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის დამაარსებელი კ. სტანილავესკი აღნიშნავდა: „უკრაინელი ხალხის დიდი შვილი პოეზიის მოკაშკაშე მწვერვალებზე ავიდა... მისი ნაწარმოებები ააუკუნეებს გაუძლებენ და ხალხთა გულებში ყოველთვის გააღვიძებენ კეთილშობილურ დიად გრძნობებს... მე ქედს ვიხრებ შევჩენკო-პოეტის, ადამიანის ბედნიერებისათვის თანმიმდევარი მებრძოლის წინაშე.

შევჩენკოში მე ვხედავ და ვგრძნობ ადამიანის სულის მთელს მშვენიერებას. იგი ქეშმარიტი მომღერალია თავისი ხალხისა“.



ტ. შვენიკო. გეგები კოსარალის ფორტთან.  
1848 - 1849.



მარქსისტულმა კრიტიკამ ჯერ კიდევ 90-იან წლებში აღიარა უკრაინელი პოეტის მსოფლიო მნიშვნელობა. „ტარას გრიგოლის ძე. წერდა გ. პლესანოვი, ეკუთვნის იმ ყველაზე დიდ სახალხო პოეტთა რიცხვს, რომელთაც კი იცნობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“.

ტარას შევჩენკოს რევოლუციურმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ უთუო გავლენა მოახდინა უკრაინული ლიტერატურის განვითარებაზე, მწერალ-კლასიკოსების მარკო ვოჟოკის, პანას მირნის, ივანე ფრანკოს, პავლე გრაბოვსკის, მიხეილ კოციუბინსკის, ლესია უკრაინკაა და სხვათა შემოქმედებაზე. ხოლო როგორც გამოჩენილი პოეტი მაქსიმ რილსკი ამბობდა. „არ არსებობს უკრაინელი საბჭოთა პოეტი, რომელსაც ასე თუ ისე ტარასის სულის ბეჭედი არ აჩნდესო“.

შევჩენკოს შემოქმედებამ მხოლოდ უკრაინულ ლიტერატურაზე როდი მოახდინა გავლენა. მისი მნიშვნელოვანი ზეგავლენა იგრძნობა რუს, ბელორუს, პოლონელ და სხვა მწერალთა შემოქმედებაში. ხალხები ჩტერესდებოდნენ უკრაინელი კობზარის ცხოვრება-შემოქმედებით. თარგმნიდნენ მის ნაწარმოებებს თავიანთ ენაზე. წერდნენ და პრესაში აქვეყნებდნენ კრიტიკულ წერილებს მისი ნაწარმოებების შესახებ.

საქართველოშიც იცნობდნენ და უყვარდათ ტარას შევჩენკო.

გამოჩენილი ქართველი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი თავისიანებს პეტერბურგულ ამბებზე მოუთხრობდა. „სამი დღის წინათ ვიყავი ლიტერატორთა საჯარო კითხვაზე პასაჟში. კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — საუცხოოდ; ჩვენი პოლონსკი (აქ ახლა შესანიშნავი პოეტია) კარგად; მაიკოვი — მშვენივრად; დოსტოევსკი, პისემსკი — საშუალოდ, და შევჩენკო, მალროსიელი პოეტი და მხატვარი — დიდებულად... დარბაზი გაქვდილი იყო“.

როგორც პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი

ფიქრობს, უკრაინელი პოეტის შემოქმედებას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს უნდა გასცნობოდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და აკაკი წერეთელი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილი ყმა გიორგი მაისურაძე შევჩენკოსთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის აკადემიაში.

ჩვენი სასიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი პირადად იცნობდა ტარას შევჩენკოს, მასთან შეხვედრაც ჰქონია. აკაკი წერეთლის მოგონებებში უაღრესად საინტერესოდ არის გადმოცემული მათ შორის გამართული საუბრის შინაარსი.

„ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო, — წერს აკაკი, — მე ვნახე მხოლოდ ერთხელ ჩემს სიცოცხლეში, — რუსული ისტორიის პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვისას“. საუბრის დროს შევჩენკოს დიდი ინტერესი გამოუჩენია ქართველი ხალხის ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრებისადმი:

„— რა ბევრი რამა აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან! — შენიშნა მან, — შევჩენკომ ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი უკრაინაზე და სხვ. ლაპარაკობდა სევდიანი კილოთი. მაგრამ გამოცოცხლებული, და მე ვეღარ ვცნობდი მასში წინანდელ მოხუცს.

ჩვენი საუბარი გაგრძელდა ლამის 3 საათამდე. ჩვენ გავშორდით, როგორც მეგობრები და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვდებოდით ერთმანეთს. მაგრამ ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღირსა განხორციელება: მე ტიფით გავხდი ავად და სამ თვეს ვიწექი ლოგინში. — მას შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა მასთან შეხვედრისა.

მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. აღვიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან



გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული“.

აკაკი წერეთელი დიდ პატივს სცემდა შევჩენკოს და მისი სიყვარული ბოლომდე გაჰყვა პოეტს. მიუხედავად იმისა, რომ მეფის ხელისუფლება კრძალავდა შევჩენკოს იუბილეებსა და სდევნიდა ყველა იმას, ვინც კი თბილ სიტყვას იტყოდა უკრაინელ მგოსანზე. აკაკი წერეთელი მაინც გამოიყენებდა ხოლმე შემთხვევას თავისი სიმპათიებისა და განწყობილებების გამოსახატავად.

აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის იუბილეზე ბაქოში უკრაინელებიც მისულან და მისალოცად შევჩენკოს პორტრეტი გადაუციათ. ამას აკაკი დიდად გაუხარებია. ხალხთა მეგობრობის ეს კარგი გამოვლენა ქართულ პრესას მაშინვე მკითხველისათვის შეუტყობინებია:

„1908 წლის 21 დეკემბერს ბაქოში, საზოგადო საკრებულოში, ბაქოელ ქართველებს გაუმართავთ აკაკის იუბილე. 30-მდე დელეგაციას სიტყვებით მიუმართავს აკაკისათვის, მათ შორის მალაოროსიის ბაქოს კოლონიდან ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ დეპუტაციას თავის ხელით გადაუცია აკაკისათვის დიდი და ძვირფასად შორთული, მათი მწერლის შევჩენკოს სურათი. დელეგაციის მისალმებისა და საჩუქრების შესახებ აკაკის უთქვამს: „მე მუსიკაზე მწყრალოდ ვარ, არ მწყალობს ამ მხრივ ბუნება და ამ ნაკლს მივსებდა ყოველთვის შევჩენკო. მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ნატვრა ამისრულდა და შევჩენკო ვნახე, მას უკან აღარ მინახავს. დღეის იქით ჩემ კაბინეტში მეყოლება შევჩენკო. ეს სურათი სიკვდილამდე იცხოვრებს ჩემთანო“.

რევოლუციამდელ საქართველოში აკაკი წერეთლის გარდა უკრაინელი მგოსნის შემოქმედების პოპულარიზაციას ხელს უწყობდნენ გამოჩენილი ქართველი ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე,

იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, ალექსანდრე გარსევანიშვილი, იპოლიტე ვართაგავა და სხვ.

შევჩენკოს პირველი ქართველი მთარგმნელი იყო ნიკო ლომოური, ხოლო შემდეგ პოეტის ნაწარმოებებს ქართულ ენაზე აცნობდნენ მკითხველებს მ. გურიელი, დ. თომაშვილი, დ. თურდოსპირელი, განდეგილი, იასამანი და სხვები.

საქართველო. მოწინავე საზოგადოებრიობა ყოველთვის ყურადღებითა და პატივისცემით იხსენიებდა დიდი კობზარის სახელს. ეს ინტერესი და კეთილი განწყობლება მისდამი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაძლიერდა.

ტარას შევჩენკოს ჭეშმარიტი შეწავლა და დაფასება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მოხერხდა.

შევჩენკოს ნაწარმოებები ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე. მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაიწერა უკრაინელი მგოსნის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ახლებურად გაშუქდა პოეტის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის საკითხები.

ცენზურის ბრკეალებისაგან განთავისუფლებული მისი შემოქმედება ახალი ძალით აყდერდა და იმლერა პოეტის უკვდავებაზე.

საბჭოთა ხალხები და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა დიდად აფასებს ტარას შევჩენკოს, როგორც გენიალურ პოეტს, შესანიშნავ მხატვარსა და მოქალაქეს.

ပိ ဝ ကိ န က

ပွ က ပွ ဝ က ပ ဝ







„ოქვენ გახსოვთ, ოდესღაც რომანებისა და მოთხრობებს წერდა მარკო ვოვჩოკი. მე დიდად ვაფასებ მის ტალანტს, ჩემი აზრით იგი გოგოლის შედგომა ეპოქის კველა ჩვენ ბელეტრისტთა შორის უნიჭიერესი იყო“.

ნ. გ. ჩერნიშევსკი ი. ი. სარიშევს  
1889 წ. 16 აპრილი.

მარკო ვოვჩოკმა დიდი და თავისებური შემოქმედებითი გზა გაიარა. ლიტერატურის ისტორიაში იგი შევიდა 1861 წლის რეფორმამდელი და რეფორმის შემდგომი პერიოდის უკრაინელი და რუსი ხალხის ცხოვრების ამსახველი ნიჭიერად დაწერილი მოთხრობებით. რომანებითა და სატირული ზღაპრებით, რომლებშიაც ამხელდა მეფის რუსეთის გაბატონებული კლასის წარმომადგენლების ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს, პანების თვალთმაქცურ სიყვარულს ხალხისადმი. მათ პარაზიტიზმს, დესპოტიზმსა და ამორალობას.

მარკო ვოვჩოკის შემოქმედება გამსჭვალულია ხალხისადმი ღრმა და ჭეშმარიტი სიყვარულით, მშრომელი ხალხის უკეთესი მომავლისა, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ბრძოლით მოპოვების სულისკვეთებით. მწერალი ქალი, ამხელს და აკრიტიკებს რა ფეოდალურ, კაპიტალისტურ სისტემას, ქმნის ხალხთა ბედნიერი მომავლის, მისი ინტერესებისათვის მებრძოლ გმირთა სახეებს.

გვიჩვენებს ხალხის უშრეტ ძალას. უმღერის უბრალო მშრომელი ადამიანების მორალურ სისპეტაკესა და კეთილშობილებას.

მარკო ვოვჩოკი „ხალხთა ჩაგრული მასების თავისუფლებისა და ადამიანური უფლებებისათვის მებრძოლთა“ (ი. ფრანკო) ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია. მისმა ნაწარმოებებმა დიდი როლი შეასრულა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციონერი დემოკრატებისა და რუსეთის მოწინავე ძალების ბრძოლის საქმეში. უკრაინული ლიტერატურისა და უკრაინული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში.

მარკო ვოვჩოკმა კრიტიკულ რეალიზმზე და ჰუმანიზმზე დაყრდნობით შექმნა უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში მამხილებლური ანტიბატონყმური პროზის პირველი ნიმუშები.

მარია ალექსანდრეს ასული ვილინსკაია, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო მარკო ვოვჩოკი, დაიბადა 1834 წლის 22 დეკემბერს. სოფელ ეკატერინოვკაში, ორლოვის გუბერნიაში, ხელმოკლე რუსი მემამულის ოჯახში. მისი მამინაცვალი (მამა გარდაეცვალა 1840 წ.) მკაცრი მებატონე იყო. გარემომ, რომელშიც პატარა მარიას უხდებოდა ცხოვრება, მას ბატონყმობისადმი ზიზღი ჩაუნერგა. ეს გრძნობა, რომელიც შემდგომ მწერალ ქალს დემოკრატიულ მსოფლმხედველობად ჩამოუყალიბდა, წარმოადგენს მარკო ვოვჩოკის შემოქმედების ძირითად პათოსს.

ბავშვობაში მარია ვილინსკაია ხშირი სტუმარი იყო თავისი ნათესავის პისარევისა, რომელიც გამოჩენილი კრიტიკოსის დ. ი. პისარევის დედა იყო. მის ოჯახში მარიას ლიტერატურისადმი სიყვარულის გრძნობებს უღვიძებდნენ.



12 წლის მარია ხარკოვის პანსიონში მიაბარეს სასწავლებლად. 1848 წლისათვის მარია ვილინსკაიამ დაამთავრა პანსიონი, მაგრამ სახლში ვერ მობრუნდა. რადგან მის მამინაცვალს მამული ბანქოში წაეგო და თვითონ კი მიმალულიყო. მარია ვილინსკაია ორიოლში გაემგზავრა თავის დეიდასთან. ეკატერინე პეტრეს ასულ შორდოვინასთან.

შორდოვინა მდიდარი მემამულე და განათლებული ქალი იყო. ლბერალური მემამულის სალონში ხშირი სტუმრები იყვნენ არა მხოლოდ ადგილობრივი ჩინოვნიკობა და მემამულეები. არამედ ორიოლის განათლებული საზოგადოებრიობა და პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ჩამოსული მხატვრები. მწერლები და მსახიობები.

შორდოვინას სალონში მარია ვილინსკაია ხვდებოდა ცნობილ მწერლებსა და ფოლკლორისტებს: პ. იაკუშკინს, მ. ლესკოვს, პ. კირევესკისა და სხვ. მარიამ თავისი გარეგნობისა და გამჭრიახი გონების გამო მიიპყრო ორიოლის საზოგადოების ყურადღება და მალე ამ სალონის შესამჩნევი წევრი გახდა. აქვე გაეცნო და დაუახლოვდა მარია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ოპანას მარკოვიჩს, რომელიც ორიოლში გადასახლებული იყო არალეგალური საზოგადოების „კირილე-მეთოდის ძმობის“ წევრობის გამო.

ამ გარემოებაში, ასეთი სოციალური და კულტურული ფაქტორების გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა მარია ვილინსკაიას მსოფლმხედველობა, მისი ესთეტიკური შეხედულებანი, გაიღვიძა ინტერესმა ლიტერატურისადმი, უკრაინული და რუსული ფოლკლორისადმი.

1851 წლის იანვარში მარია ვილინსკაია ცოლად გაჰყვა მარკოვიჩს და მასთან ერთად გაემგზავრა უკრაინაში. ჩერნიგოვში, კიევიში, ნემიროვში იგი გულმოდგინედ სწავლობს უკრაინულ ლიტერატურას, კულტურას, აკვირდება მშრომელი ხალხის მძიმე ცხოვრებას, აგროვებს

ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მის მიერ ჩაწერილი ორი უკრაინული ხალხური სიმღერა 1854 წ. გამოქვეყნდა ა. მეტლინსკის კრებულში „სამხრეთ-რუსეთის ხალხური სიმღერები“.

ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებებმა. ხალხის ყოფისა და ფოლკლორის შესანიშნავმა ცოდნამ განსაზღვრა მარკო ვოვჩოკის, როგორც მწერლის, შემოქმედებითი პროფილი. მწერალი ქალის დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს პროგრესულმა უკრაინულმა და რუსულმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით კი ტარას შევჩენკოს მგზნებარე რევოლუციურმა პოეზიამ.

მარკო ვოვჩოკმა 1856-57 წწ. ნემიროვში შექმნა თავისი პირველი მოთხრობები. 1857 წ. დაასრულს პეტერბურგში გამოქვეყნდა მისი წიგნი „ნაროდნი ოპოვიდანნია“ (ხალხური მოთხრობები). მომდევნო წელს ეურნალებმა დაიწყეს ბეჭდვა მისი კრებულის—„მოთხრობები რუსული ხალხური ყოფა-ცხოვრებიდან“.

მარკო ვოვჩოკი სალიტერატურო ასპარეზზე გამოდის 1861 წლის რეფორმის წინა პერიოდში. იმ დროს, როდესაც განსაკუთრებით მწვავედება ქვეყნის პროგრესული ძალების ბრძოლა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. რუსეთის სახელმწიფო ამ პერიოდში დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ვ. ი. ლენინი ასე ახასიათებს ამ ხანას: „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა. პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხებისა, რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედ-

რო ძალისა და სისხლის ღვრის საშუალებით აიძულე ბ დ ნ ე ნ ამ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულიან-ხორციანად ფცქენიდა მათ. აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე. სტუდენტების არეულობა ასეთ პირობებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ელიარებინა. რომ რევოლუციური აფექტება სავსებით შესაძლო იყო და გლეხთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა“.

სწორედ ამ პერიოდში გამოსულ მარკო ვოვჩოკის მხატვრულ ნაწარმოებებს. რომლებშიაც მხილებულა იყო ბატონყმური წყობილების საშინელებანი და გატარებული იყო მშრომელი ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვების იდეები. გარკვეული წვლილი შექჟონდა არსებული წყობილების წინააღმდეგ რუსეთის მოწინავე ძალების ბრძოლის საქმეში.

„ხალხური მოთხრობების“ პირველ ტომში 11 მოთხრობა შევიდა: „მამა ანდრეი“, „ოდარკა“, „მაქსიმ გრიმაჩი“, „გორპინა“. „კაზაკის ქალი“ და სხვ. თავისი იდეური შინაარსის მიხედვით ეს ნაწარმოებები ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ იყვნენ მიმართული. ავტორი რეალისტური კალმით ასახავდა თანამედროვე უკრაინელი გლეხობის მდგომარეობას და ცხოვრებიდან აღებულ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით გვისურათებდა მემამულეთა თავგასულობას, სიმხეცეს, ამორალობას, ყმა-გლეხების მიძიმე, აუტანელ ცხოვრებას. მათ უუფლებო, არაადამიანურ მდგომარეობას, მათ ლტოლვას სიმართლისა და თავისუფლებისაკენ.

ნაწარმოებებში: „ოდარკა“, „გორპინა“, „კაზაკის ქალი“ და სხვ. მწერალი ქალი გვისურათებს უკრაინელი გლეხი ქალების საშინელ ხვედრს. მკითხველის თვალწინ გაივლიან ბატონყმური სისტემის „წყალობით“ გათავხედებული მებატონეების მიერ მორალურად და ფიზიკუ-

რად შეურაცხყოფილი. გატანჯული ადამიანები ნამუს-  
ახდილი პატარა გოგონები. ყმობია ქაპანში გაბმული ხელ-  
ფეხდასისხლიანებული მშრომელი ქალები, არაადამიანუ-  
რი შრომისა და მოქცევისაგან პირუტყვის მდგომარეო-  
ბამდე დაყვანილი დედები.

მოთხრობაში „ოდარკა“ მწერალი გვიხატავს ყმა-გლე-  
ხი ქალის ტრაგიკულ ბედს. გარყვნილმა მებატონემ ჯერ  
კიდევ ბავშვი ოდარკა თავის სახლში ძალით წაიყვანა და  
ნამუსი ახადა. შემდეგ კი სხვა მებატონეს აჩუქა გარ-  
თობისა და მხეცური ყინის მოსაკლავად. ასეთმა მოქცე-  
ვამ სიკვდილის პირამდე მიიყვანა ოდარკა.

მემამულის მიწაზე თავაუღებელმა შრომამ, გლეხი  
ქალის პირუტყველმა მდგომარეობამ. შვილის დაღუპვამ  
ქკუაზე შეშალა გორპინა. ასეთია ნაწარმოების „გორპი-  
ნას“ დასასრული.

ყმა-გლეხის მწარე. გაუხარელი ცხოვრებაა ასახული  
აგრეთვე მარკო ვოვჩოკის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარ-  
მოებში „კაზაკის ქალი“. წარმოშობით კაზაკი ოლესია,  
ერთ დროს თავისუფალი ადამიანი. რომელიც ცოლად  
გაჰყვა ყმა-გლეხს ივანე ზოლოტარენკოს. თვითონაც ყმა  
ხდება. მებატონის კარზე სამსახურს მიაქვს მთელი მი-  
სი სიცოცხლე. ართმევს მთელ ძალას, ართმევს ჯერ ქმარს,  
შემდეგ შვილებს და ბოლოს მასაც მოუსწრაფებს სი-  
ცოცხლეს. ასეთივეა „ხალხური მოთხრობების“ სხვა გმი-  
რების ბედიც.

მარკო ვოვჩოკის ნაწარმოებთა პირველ კრებულში  
შესულია აგრეთვე ისეთი მოთხრობებიც, რომლებიც, ძი-  
რითადად, გლეხი კაზაკების ცხოვრებას ასახავენ. ანეთე-  
ბია: „მამა ანდრეი“, „მაქსიმ გრიმაჩი“ და სხვ. მწერალი  
ქალი გვიხატავს ხალხის წრიდან გამოსული ძლიერა,  
მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანების ბედს, მათ მძიმე  
ხვედრს, გამოწვეულს თანამედროვე სოციალური ურთი-  
ერთობით. ასეთია, მაგალითად, მოთხრობის „მაქსიმ გრი-

მაჩის.. ერთ-ერთი გმირის კატრიას ისტორია. კატრიას თავდავიწყებით უყვარს სემიონი, მაგრამ მამა უარს ეუბნება გათხოვებაზე. სოციალური უთანასწორობა წინ გადაეღობა კატრიას ბედნიერებას. როდესაც გოგონა შეიტყობს თავისი გულჩისწორის დაღუპვას, თვითმკვლელობით ამთავრება სიცოცხლეს.

ნაწარმოებში „მამა ანდრეი“ ავტორი გვიხატავს მამაც და გაბედულ ახალგაზრდა გლეხებს, რომლებიც ბატონის რისხვას არ უშინდებიან და მემამულის მიერ მხეცური ეინის მოსაკლავად ძალით წაყვანილ გლეხთა გოგონას პანის სახლიდან გაიტაცებენ. სამშვიდობოს გაიყვანენ. მტკიცე ნებისყოფის ქალიშვილის პორტრეტი არის დახატული მოთხრობაში „დანალო გურჩი“. ნატალია არ ემორჩილება მშობლების ნება-სურვილს. გაჰყვეს მღვდარ კაზაკს. ისეთ პანს ცოლად, რომელიც მას არ უყვარს. ამგვარ კაცთან ცხოვრებას იგი სიკვდილა არჩევს. მარკო ვოვჩოკი ამავე ნაწარმოებებში ილაშქრებს ოჯახური დესპოტიზმის წინააღმდეგ, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის, ამორალობის წინააღმდეგ.

რევოლუციონერმა-დემოკრატმა, რეალისტმა, მარკო ვოვჩოკმა უკვე თავის პირველ მხატვრულ ნაწარმოებებში, მხატვრული ტილოს დიდოსტატების: ნეკრასოვის, ტურგენევის, სალტიკოვ-შჩედრინის და სხვათა მსგავსად, აგვისახა იმდროინდელი ცხოვრება. გლეხთა ცხოვრების მძიმე სურათების გვერდით, მარკო ვოვჩოკმა თავის ნაწარმოებებში ასახა აგრეთვე ხალხის უკეთესი მერმისის რწმენა, უბრალო ადამიანების სულიერი ძალა, მაღალი მორალური თვისებანი. მისი ნაწარმოებების გმირებს უყვართ სიცოცხლე და გულითა და სულით მიიღობენ თავისუფლებისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ. მართალია, მარკო ვოვჩოკის „ხალხური მოთხრობების“ პირველი ტომი ტ. შევჩენკოს „ჰაიდამაკების“ მსგავსად აჯანყებისაკენ არ მოუწოდებდნენ, მაგრამ მათში უკვე ნათ-

ლად იყო დაპირისპირებული ორი მკვეთრად მოწინააღმდეგე ბანაკი — ყმა-გლეხები და მემამულეები.

1859 წელს მარკო ვოვჩოკმა რუსულ ენაზე გამოსცა მოთხრობათა კრებული „მოთხრობები რუსული ხალხური ყოფა-ცხოვრებიდან“. ამ კრებულში შევიდა მოთხრობები: „ნადეჟდა“, „მაშა“, „კატერინა“, „საშა“ და სხვ. ეს ნაწარმოებებიც არსებული ბატონყმური სინამდვილის წინააღმდეგ იყო მიმართული და გამსჭვალული იყო „ხალხისადმი გულთბილი თანაგრძნობით“ (დობროლიუბოვი).

ნაწარმოებში „მაშა“ ავტორი გვიხატავს ბატონყმურ სინამდვილეს და, რაც მთავარია, ხალხის ლტოლვას თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ. ნ. დობროლიუბოვი აღნიშნავდა, რომ „მაშას პიროვნებაში დაკვირვებული და განსახიერებელია მაღალი მისწრაფება, რომელიც რუსი ხალხის მთელი მასისათვის საერთოაო...“. მაშა ამაყი, თავისუფლებისმოყვარე გოგონაა. იგი ვერ ეგუება მონურ მდგომარეობას და თავისი ნებისყოფის დაძაბვით და სხვისი დახმარებით ახერხებს ყმობის უღლიდან თავის დაღწევას. ამ ნაწარმოებში დასასრულს ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია გამოავლინოს სულის სიმდიდრე და მთელი თავისი შესაძლებლობანი.

ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვეებს მკითხველზე მარკო ვოვჩოკის მოთხრობა „იგრუშეჩკა“. ბავშვობიდანვე მძიმე იყო გრუშას ცხოვრება. მემამულემ მოსწყვიტა იგი მშობლიურ კერას და თავისი ქალიშვილის გასართობ საგნად „იგრუშეჩკად“ გახადა. მაგრამ გრუშა ამ მდგომარეობაშიაც არ კარგავს ადამიანურ ღირსებას და ცხოვრებაში გზის გაკვლევას ახერხებს, რაც მთავარია იგი მორალურად სპეტაკ ადამიანად რჩება. სულ სხვა გზით წარამართა ბატონის განებივრებული ქალიშვილის ზინოჩკას ცხოვრება. ბუნებით ნიჭიერი, მაგრამ აღზრდიता

და გარემოთი დამახინჯებული გოგონა ვერ ახერხებს ცხოვრებაში თავისი ადგილის მონახვას და ჭკუიდან იშლება.

„იგრუშეჩკაში“ რეალისტურად არის ასახული მემამულეთა მუქთახორული ცხოვრება. გამათრახებულია მათი ამორალური ყოფა.

ნაწარმოების ერთ-ერთ ცენტრალურ გმირს, მებატონეს შეეძლო მთელი დღე ყელსახვევის შეკვრაში გაეტარებინა. უსაქმურად მყოფი ბატონი, რითიმე რომ შეიქციოს თავი, ლურსმნების ფიცარში ჩაჰკედვით ერთობა. მოთხრობაში ირონიულად არის ნათქვამი, რომ ბატონს ყოველგვარ მდგომარეობაში მყოფს შეეძლო ჩაქუჩის ერთი დარტყმით ლურსმნის ჩაჰკედება.

ნაწარმოებში „კატერინა“ დაბატულია უბრალო, ჭკვიანი გოგონას ბედი. ჯერ კიდევ პატარა ბავშვი წაიყვანეს იგი უკრაინიდან რუსეთში. უცხო მხარეში მოხვედრილ გოგონას ტანჯვას უმსუბუქებს უბრალო, რუსი ადამიანების ყურადღება და ზრუნვა. კატერინა სიცოცხლით სავსე გოგონა, მგრძნობიარე სულის ადამიანია. მას უყვარს სიცოცხლე, უყვარს ხალხი. „ამ ქვეყანაზე ჩემთვის სხვისი დარდი არ არსებობს, ამბობს იგი, — ყველა ჩემი დარდია“. კატერინას ერთი აზრი ასულდგმულებს — უშველოს, დაეხმაროს ადამიანს. კატერინას სახით ავტორი გვიხატავს ხალხის წიაღიდან გამოსული უბრალო ადამიანების ზნეობრივ სიაპეტაკეს. მათ სიყვარულს დაჩაგრული, დამონებული ადამიანებისადმი. მიწრაფებას — იყვნენ ხალხისათვის სასარგებლო.

„მოთხრობები რუსული ხალხური ყოფაცხოვრებიდან“ და „ხალხური მოთხრობების“ გამოსვლამ გამოძახილი ჰპოვა უკრაინულ და რუსულ კრიტიკაში.

რეაქციული კრიტიკა შეეცადა მარკო ვოვჩოკის მოთხრობების, როგორც დაბალი ღირსების მხატვრული ნაწარმოებების, დაგმობას. ანტიბატონყმური ხასიათის ნი-

ჭიერი მოთხოვნების ავტორს მთელი მოწინავე რუსეთი მიესალმა; მათ შორის, ჩერნიშევსკი, პისარევი, სალტიკოვ-შჩედრინი. ნეკრასოვი და სხვ. ი. ტურგენევი რედაქცია გაუკეთა ვოვჩოკის მოთხოვნების რუსულ თარგმანს. ტ. შევჩენკომ მწერალ ქალს უძღვნა ლექსი, ხოლო შემდეგ კი თავისი „კობზარი“ აჩუქა წარწერით: „ჩემს ერთადერთ ქალიშვილს მარუსია მარკოვიჩისას. ღვიძლი და ნათლიმამა ტარას შევჩენკო“.

მარკო ვოვჩოკის ნაწარმოებებით აღტაცებული იყო გერცენი. „მინდა ვნახო მარკო ვოვჩოკი. — წერდა იგი. მისი წიგნი იმდენად შეუდარებელი რამ არის. რომ მხოლოდ ჩემთვის კი არ ვკითხულობ. ტატასაც (გერცენის ქალიშვილი ო. ბ.) ვუკითხავ ხმამაღლა და თანაც ვურჩევ თარგმნოს იგი ინგლისურ ენაზე“. მაღალ შეფასებას აძლევს გერცენი მწერალი ქალის მოთხოვნას „იგრუშეჩკა“. 1860 წ. 23 თებერვალს მარკო ვოვჩოკისადმი მიწერილ ბარათში იგი აღნიშნავს: „გადავიკითხე თქვენი „იგრუშეჩკა“. შესანიშნავი ნაწარმოებია...“.

ნ. დობროლიუბოვმა საგანგებო სტატია მიუძღვნა მარკო ვოვჩოკის შემოქმედებას. რომელშიაც მან მწერალი ქალის მოთხოვნების გამოსვლა დიდ ლიტერატურულ მოვლენად აღიარა. „ხალხური მოთხოვნების“ ახალი წიგნი. — წერდა იგი, — იმავე ხასიათებითა და ტენდენციებითაა გამსჭვალული. როგორითაც წინა „ნაროდნი ოპოვიდანია“ (ხალხური მოთხოვნები ო. ბ.). დიადი ძალები. რომლებიც ხალხშია დაფარული, და ბატონყმური უფლებების გავლენით მათი გამოვლინების სხვადასხვა ხერხები — აი რას ვხედავთ ამ მოთხოვნებში“.

1859 წელს მარკო ვოვჩოკი საზღვარგარეთ გაემგზავრა და იქ 8 წელი დაჰყო უცხოეთში ყოფნისას იგი კავშირს არ სწყვეტდა უკრაინულ და რუსულ ჟურნალებთან, განაგრძობდა მათთან თანამშრომლობას. უცხოეთში მწერალი გაეცნო გამოჩენილ რუს რევოლუციონერ მოღვა-





ტ. შეჩენკო. შტურიანი დამე კოსარაღზე.  
1845—1849.



წეებს — გერცენსა და ოგარიოვს. გერცენზე მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. 1859 წ. აგვისტოში გერცენი წერს: „მარკო ვოვჩოკი ლონდონში იყო ჩვენთან, მე დიდად კმაყოფილი ვარ მისი, იგი სახელოვან ადვილს დაიკავებს ჩვენს ლიტერატურაში“.

1861 წ. მარკო ვოვჩოკი ნეაპოლში ხვდება დობროლიუბოვს. უფრო მოგვიანებით იგი სიამოვნებით იგონებს ამ შეხვედრას. რომელმაც მის მსოფლმხედველობაზე და შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია, და წერს, რომ დობროლიუბოვმა „...ამიხილა მე თვალები მრავალზე და მრავლის მიმართ“.

მარკო ვოვჩოკს უცხოეთში ასლო ურთიერთობა და ნაცნობობა ჰქონდა აგრეთვე ყორე ზანდთან, გუსტავ ფლობერთან.

მარკო ვოვჩოკი წერს მოთხრობებს რუსულ და უკრაინულ ენაზე: „ინსტიტუტელი ქალი“, „სამი ბედი“, „კარმელიუკი“, რომანს „იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა სამი და“ და სხვ. 1862 წელს რუსეთში გამოდის „ხალხური მოთხრობების“ მეორე ტომი.

მოთხრობას „ინსტიტუტელი ქალი“, რომელიც მწერალმა ტარას შევჩენკოს მიუძღვნა, ანტიბატონყმური ხასიათის უკრაინულ პროზაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. არსებითად იგი უკრაინულ ლიტერატურაში თანამედროვე თემაზე დაწერილი პირველი რეალისტური სოციალური დიდტანიანი მოთხრობაა.

ნაწარმოებში დახატულია ფართო და რეალისტური სურათები ბატონყმური სოფლისა. ჰირვეული ქალბატონი, ინსტიტუტელი ქალი ბრუნდება თავის სოფელში, ყველგან სიმკაცრეს იჩენს და ცდილობს აუცილებლად დასაჯოს ვინმე. თუნდაც არავინ იყოს დამნაშავე. იგი სცემს ყმა-გლეხის ქალს უსტინას, „ჩქმეტს, სჯიჯგნის, კაწრავს...“ მას. მან ისე მოაწყო ცხოვრება, რომ სოფლად „ხალხი იღვიძებდა და დასაძინებლად წვებოდა

ცრემლებითა და წყევლა-კრულვით“. მწერალი ინსტიტუტელი ქალის პორტრეტის დახატვით დესპოტი მებატონის ტიპიურ სურათს იძლევა.

მარკო ვოვჩოკმა ამავე ნაწარმოებში შექმნა ნებისყოფიანი, ბრძოლის უნარიანი გლეხების სახეები. ასეთია, მაგალითად, პროკოფი, რომელიც აცხადებს, რომ „...ან განთავისუფლდი, ან დაიღუპე“, იგი გაბედულად გადაუდგება წინ გამხეცებულ პანის და ეუბნება: „კმარა, პანი, კმარა—ეს აღარ განმეორდება, კმარა!“. გლეხი-ბუნტარის თვისებებით დააჯილდოვა ავტორმა აგრეთვე ნაზარიც.

მარკო ვოვჩოკის ნაწარმოებთა შორის მოთხრობაში „ინსტიტუტელი ქალი“ ყველაზე მკვეთრად ისმის ანტიბატონყმური პროტესტი. ნაწარმოების გმირები აღარ ემორჩილებიან მებატონეებს და თავისუფლების მოპოვებისაკენ ისწრაფვიან. ეს ნაწარმოები 70—90 წწ. სოციალური რომანის წინამორბედი. პროკოფი, კატრია და ნაზარი ახალი გლეხი-ბუნტარების უახლოესი წინამორბედები არიან.

მებრძოლი გლეხის მხატვრული სახის შექმნის თვალსაზრისით საინტერესოა ზღაპარი „კარმელიუკი“. ამ ნაწარმოების ცენტრში ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ იარაღით ხელში ამხედრებული გლეხი დგას, რომელიც ხალხს ფეოდალების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს. თვითონ კარმელიუკი ავტორს გამოჰყავს უკვე არა როგორც ფეოდალური წყობილების ცალკეული მხარეების წინააღმდეგ მებრძოლი გმირი, არამედ როგორც მთელი სისტემის, არსებული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი.

ამ ზღაპრის შექმნისას ავტორი ხშირად ესესებოდა რუსულ და უკრაინულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. ნაწარმოებში მთავარი გმირის კარმელიუკის დახატვის დროსაც მარკო ვოვჩოკი ხალხურ თქმულებაში კარმე-

ლიუკზე გამოთქმულ აზრს იცავდა. მწერალს კარმელი-  
უკი გამოყვანილი ჰყავს, როგორც ზღაპრული „ყივჩალი“,  
რომელიც მდიდრებს ართმევს და ღარიბებს აძლევს.

ავტორი ამ ნაწარმოების შექმნიასაა განგებ მიმართავ-  
და ფოლკლორულ სახეება. ეს ზღაპარი რუსული და უკ-  
რაინული რევოლუციური ზღაპრული ქანრის განვითა-  
რების ნიმუშს წარმოადგენს. ცნობილია, რომ ფოლკლო-  
რული სახეები 60—70 წწ. რევოლუციურ ზღაპარში იმი-  
ტომაც გამოიყენებოდა უზავდ. რომ ამ გზით ხელი შე-  
ეწყოთ ნაწარმოების ფართო მანებამდე იოლად დაყვა-  
ნისათვა. თანაც თავიანთი აზრი შეენლბათ ხელისუფ-  
ლებისაგან.

ნაწარმოები საზღვარგარეთ არის დაწერილი. იგი ეს-  
მართება რუსეთში მომხდარ გლესთა აჯანყებას და  
მკითხველებს მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ ამ საერთო  
სახალხო მოძრაობას.

1867 წ. მარკო ვოვჩოკი რუსეთში დაბრუნდა და პე-  
ტერბურგში დასახლდა. მალე მან ქუტნალში „ოტეჩეს-  
ტვენეე ზაპისკი“ გამოაქვეყნა თავიანი ნაწარმოებები:  
„ცოცხალი სული“, „თბილი ბუდე“, „მივარდნილ ად-  
გილას“ და სხვ.

რომანი „ცოცხალი სული“ ჩერნიშევსკის ტრადიცი-  
ისა და განსაკუთრებით კი მისი რომანის „რა ვაკეთოთ?“  
თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს. ორივე მწერალს  
აინტერესებს „ახალი ხალხი“. მარკო ვოვჩოკის ერთ-  
ერთ გმირს მაშას არ აკმაყოფილებს ლიბერალთა ზანტი  
მოქმედება და ცხოვრებია საკითხების გადაწყვეტისას  
მეტ გაბედულებას, მეტ სითამამეს მოითხოვს. იგი აქ-  
ტიური მოქმედებისაკენ, ბრძოლისაკენ მიიწევს და კავ-  
შირა წყვეტს ლიბერალურ-თავადაზნაურულ წრესთან.  
მაშა ერთი დიდი იდეით არის შეპყრობილი—თავისი  
ცხოვრება ადამიანთა ბედნიერების მოპოვების საქმეს  
შესწიროს.

მაშას გვერდით ავტორს გამოყვანილი ჰყავს ლიბერალ-ლიზმის წარმომადგენლები: მიხეილ იაკოვლევჩიჩი. პავლე ივანოვიჩი და რომან არკადიევიჩი. ყოველი მათგანი თავის დროს ცდილობდა გამხდარიყო ახალგაზრდობის მასწავლებელი, ჰკუთნებდა დამრიგებელი. ადრე მათ სიტყვებს ყურს უგდებდნენ მაშა და მისი მსგავსი ახალგაზრდობა. მწერალი განსაკუთრებით დაუნიშნავდა ამხელს ან ლიბერალთა ვაუბედობასა და ზედმეტ სიფრთხილეს. რომელიც საკუთარი ტყავის შენარჩუნებით იყო ნაკარნახევი. და მათ რეალურ სახეს ხატავს.

მარკო ვოვჩოკი თავის ნაწარმოებში ლიბერალურ სამყაროს ქეშმარიტად საქმის კაცს. რევოლუციონერ ზაგაინს უპირისპირებს. მისი სახის შექმნისას ავტორი ცდილობდა რეალისტური თბრობის გზით მმართველი კლასის აქტიური მოწინააღმდეგე მებრძოლი ადამიანის დახატვას. ამ შემთხვევაში ავტორი უკვე ზღაპარსა და ფოლკლორულ ელემენტებს კი აღარ იშველიებს. არამედ აშკარად, დაუფარავად, ალტაცებით ხატავს მებრძოლი რევოლუციონერის სახეს

მაშა და ზაგაინი ადგებიან ბრძოლის გზას. ეს ის გზაა, რომლითაც მათზე ადრე წავიდა სონია, მოთხოვნიდან „იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა სამი და“. და რომლითაც უფრო მოგვიანებით წავა მანია, ნაწარმოებიდან „მივარდნილ ადგილას“.

მარკო ვოვჩოკმა, რევოლუციონერ დემოკრატთა მსგავსად, შენიშნა ახალი ცხოვრების ახალი ადამიანი და შეძლებისდაგვარად სრულად ასახა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. ამაშია მწერალი ქალის ძალა.

ერთგან ჩერნიშევსკი ამბობდა, რომ მან ბევრად უფრო მეტი იცის რახმეტოვზე, ვიდრე შეუძლია თქვას. ეს შეიძლება ითქვას მარკო ვოვჩოკის მიმართაც. მაშინდელი საცენზურო პირობების გამო მწერალ ქალს არ შეეძლო მხატვრული ტილოს შექმნისას მკითხველისათვის თავი-

სუფლად გაენდო თავისი ზრახვები, გაეცნო თავისი რევოლუციური აზრები. უნდა აღინიშნოს, რომ რომანი იწერებოდა „ოტეჩესტვენიე ზაპისკისათვის“. ეს ჟურნალი უკვე ნეკრასოვის რედაქციით გამოდიოდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ცენზურამ „სოვრემენიკის“ დახურვის შემდეგ არ ღაბთო ნეკრასოვა ნება ახალი ჟურნალის გამოცემისა და მანაც კრავესკისაგან იჯარით აიღო ჟურნალი. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, დიდი აიფრთხილის გამოჩენა იყო საჭირო. მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც კი მარკო ვოვჩოკი ახერხებს თავის ნაწარმოებში და განსაკუთრებით კი თავის გმირში ზაგანში რევოლუციური აზრებისა და იდეების ჩაქსოვას. ახერხებს ცხოვრების საკითხებზე რევოლუციური დააკვნების გამოტანასა და ჩვენებას.

მარკო ვოვჩოკი თავისი ესთეტიკური შეხედულებებით ახლოს დგას ჩერნიშევსკის ესთეტიკასთან. ვოვჩოკი შესანიშნავი მწერალი-რეალისტი, იგი თავის ნაწარმოებებში რეალისტურ ფერებში გვიხატავს თანამედროვე ეპოქის წინააღმდეგობებს, წინააღმდეგობებს უმიწაწყლო გლებთა მათებსა და მდიდარ მემამულეებს შორის. მარკო ვოვჩოკს უყვარდა ხალხი, სწამდა მისი და ქეშმარიტად სჯეროდა, რომ დადგება დრო და მრავალტანჯული ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავს, უკეთეს ცხოვრებას შეუდგებაო

მწერალს დიდი უნარი ჰქონდა რამდენიმე შტრიხით მოეხაზა გმირის გარეგნობა, რომელიც შემდეგ მისი შინაგანი სამყაროს გახსნაში ეხმარებოდა მკითხველს. მარკო ვოვჩოკს ეხერხებოდა გმირის ე. წ. ლირიკული დახასიათება. იშვიათი გამონაკლისის გარდა. მწერალი გაუბოლდა თავისი გმირების მეტისმეტად ლამაზ ადამიანებად დახატვას.

მარკო ვოვჩოკი შესანიშნავად ხატავს მასობრივ სცენებს. იგი პეიზაჟის დიდ ოსტატად ითვლება. მწერალი ქა-

ლის ენა უკრაინულ ლიტერატურაში აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ენა.

მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა მარკო ვოვჩოკი აგრეთვე თარგმანის დარგშიაც. მან დ. პისარევთან ერთად თარგმნა დარვინის „სახეთა წარმოქმნა“, ბრემის „ცხოველთა სამყარო“. მარკო ვოვჩოკსავე ეკუთვნია რუსულ ენაზე პირველი თარგმანები ჟიულ ვერნის რომანებისა: „კაპიტან გრანტის შვილები“, „80.000 კილომეტრი წყალქვეშ“, „კაპიტან გატერასის თავგადასავალი“, „მოგზაურობა დედამიწია ცენტრისაკენ“, „საიდუმლო კუნძული“ და სხვ. მწერალი თარგმნიდა აგრეთვე ჰიუგოს, ანდერსენისა და სხვათა ნაწარმოებებს.

მარკო ვოვჩოკი გარდაიცვალა 1907 წლის 10 აგვისტოს ქალაქ ნალჩიკში.

მისი სიკვდილის გამო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე ფრანკო წერდა: „ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა უდიდესი ძალა“. ამ მართალი შეფასებიდანაც ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარკო ვოვჩოკს პროგრესული საზოგადოებრიობისათვის.

მარკო ვოვჩოკის ნაწარმოებები ამჟამადაც განაგრძობენ ცხოვრებას. ისინი თარგმნილნი არიან საბჭოთა კავშირის მოძმე ერების ენებზე. აგრეთვე ფრანგულ, ინგლისურ, ბულგარულ, ჩეხურ ენებზე. უკრაინაში ვოვჩოკის ნაწარმოებებზე მილიონობით ახალგაზრდა იზრდება.

მარკო ვოვჩოკის ცხოვრება და შემოქმედება, რომელიც ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ორი ეროვნული კულტურის — უკრაინული და რუსული პროგრესული კულტურის ნიადაგზე, ყოველთვის დარჩება როგორც ცოცხალი მაგალითი ორი ხალხის ურღვევი და დიადი ისტორიული მეგობრობისა.

---



მისეილ  
კოცოუბინსკი







„მშვენიერი—ეს იშვიათიაო“.—ამბობდნენ გონკურები. იგი იყო ერთი იმ იშვიათ ადამიანთაგანი, რომელიც მასთან პირველივე შეხვედრისთანავე იწვევს კმაყოფილების გრძნობას: სწორედ ამ კაცს ელოდი დიდი ხანია, სწორედ მისთვის გაქვს რაღაც განსაკუთრებული აზრები.

მშვენიერებისა და სიკეთის იდეის სამყაროში იგი „შინაური“ კაცია: ღვიძლი კაცია, და პირველივე შეხვედრიდან აღგიძრავს წყურვილს, რაც შეიძლება ხშირად ნახო, ილაპარაკო მასთან უფრო ხშირად.

...ის რაღაც განსაკუთრებულად ახლოა სიკარგესთან, და მასში დულს ორგანული ზიზლი ცუდისადმი. მას ზედმიწევნით განვითარებული აქვს კეთილისადმი ესთეტიკური მგრძნობიარობა, და მასში ცოცხლობს გრძნობა მოქალაქისა, რომლისთვისაც ღრმად და ყოველმხრივ გასაგებია სიკეთის კულტურული მნიშვნელობა, მისი ისტორიული ღირებულება“—ასე წერდა მაქსიმ გორკი უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსზე, მიხეილ კოციუბინსკიზე.

უკრაინელი ხალხის შვილმა მიხეილ კოციუბინსკიმ რეალისტურად, ღრმად და ყოველმხრივ ასახა თანამედროვე სინამდვილე.

მწერლის კალამი ცხოვრების სიმართლის ყოველთვის ერთგული მხატვარი და მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლაში საიმედო იარაღი იყო.

მიხეილ კოციუბინსკიმ დიდი შემოქმედებითი ძალით ამხილა თვითმპყრობელური სისტემა, ხალხთა საპყრობილის საშინელებანი, გადაგვიშალა თავისი დროის დადებითი ტენდენციები — თავისუფლებისმოყვარეობა, შრო-

მის პატივისცემა, პროტესტი რეაქციის, ლიბერალიზმისა და სხვა ჯურის რენეგატობის წინააღმდეგ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — და ცხოვრების დიად მხატვრულ წიგნში წარმოგვიდგინა არაადამიანური ექსპლოატაციითა და ჩაგვრით ეკონომიურად და მორალურად ფეხქვეშ გათელილი ადამიანების თავგანწირული ბრძოლის სურათები, დაგვიხატა, თუ როგორ იბრძოდნენ ხალხის საუკეთესო შვილები უკეთესი მომავლისათვის, როგორ იღუპებოდნენ ისინი სახრჩობელებზე, ეცემოდნენ შავრაზმელთა ტყვიებით განგმირულნი, მაგრამ როგორ არ ტყდებოდა რევოლუციონერთა ნებისყოფა, როგორ კაცდებოდა მათი გულები და როგორ იმარჯვებდა მათი იდეები, საქმეები.

### ბ ზ ე ბ ი ს ძ ი ე ბ ა შ ი

მიხეილ მიხეილის ძე კოციუბინსკი დაიბადა 1864 წლის 17 (5) სექტემბერს, ქალაქ ვინიცაში, წვრილი მოხელის ოჯახში. ვინიცაში და მის მახლობელ ადგილებში — ბარში, შარგოროდში და სტანისლავჩიკში გაატარა ბავშვობა და ყრვობა მომავალმა შემოქმედმა.

პატარა მიხეილი იზრდებოდა განათლებული, ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარული, კეთილი აზრისა და განწყობილებების მქონე დედის, გლიკერია მაქსიმეს ასულის, დიდი გავლენის ქვეშ. დედამ აღუძრა მას ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი, სიყვარული „ყოველივე კეთილისა და მშვენიერისადმი“<sup>1</sup>.

მშობლიური ოჯახის „თბილი, გულითადი ურთიერთობის“ ატმოსფერომ პატარა ბავშვს სხვა ადამიანების მიმართ სულიერი სითბო და სიფაქიზე გამოუმუშავა. იგი ინტერესით აკვირდებოდა მის ირგვლივ მყოფ ადამიანებსა და გარემოს, მღელვარებით უსმენდა ბრმა კობზარე-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 8.

ბის ნაღვლიან სიმღერებს, მოხუცი კუპრიანის „ფიქრებში“ ცოცხლდებოდა ხალხის დიადი ძალა, მტრების მიერ ხუნდებში ჩაქედილი, და თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლისათვის ემზადებოდა. გულში ბოღმაჩასვეული ხალხის რისხვა, მისი ოცნებანი და სურვილები, რომლებიც ასე ნათლად აჩაახებოდნენ კობზარების მელოდიებში. მომავალი მწერლის პირველი მხატვრული სკოლა იყო. ხოლო თვით კუპრიანი, ყოფილი ყმა, ჯანყის თავი და კატორღელი, ხალხის ცოცხალი ისტორია იყო.

სწორედ აქ, უკრაინის შუაგულში, პოდოლიაში იხილა მან რეფორმამდელი პერიოდის გლეხის მძიმე ყოფა. გახდა მეფის მოხელეებისა და მდიდართა მიერ ღარიბთა შევიწროების მოწამე. ადრევე გაიგო მეფის ბელისუფლების ნაციონალური და სოციალური პოლიტიკის მხაგვრეული ხასიათი.

ხალხთან დაახლოებას, მისი კვნესისა და ვაების მიზნების გაგებას. ალბათ, ბევრად შეუწყო ხელი კოციუბინსკების ოჯახის მდგომარეობამ. ბელისუფლებამ ადრევე აითვალწუნა სიმართლისა და პატიოსნების მოყვარული მოხელე მიხეილ კოციუბინსკი და ეკონომიურად ისედაც ხელმოკლე ოჯახს წელის გამართვის საშუალებას არ აძლევდა, საარსებო საშუალებას უსპობდა.

ოფიციალური განათლება პატარა მიხეილმა ჯერ ბარის დაწყებით სკოლაში, ხოლო შემდეგ შარგოროდის სასულიერო სკოლაში (ბურსაში) მიიღო. მომავალი მწერალი ადრევე დაინტერესდა ლიტერატურით, იგი გატაცებით კითხულობდა. იმ ავტორებიდან, რომლებმაც „ღრმა შთაბეჭდილება“ მოახდინეს მწერალზე, კოციუბინსკი მარკო ვოვჩოკსა და ტარას შევჩენკოს ასახელებს. თავის ავტობიოგრაფიულ წერილებში იგი აღნიშნავს: „იმ ავტორთა შორის, რომელთაც ათობით ვკითხულობდი. ჩემზე ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს მარკო ვოვ-

ჩოკმა, ხოლო შემდეგ შევჩენკომ<sup>1</sup>. მხატვრულმა. პოლიტიკურმა და მეცნიერულმა ლიტერატურამ დიდი გავლენა მოახდინეს მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. როგორც თვითონ აღნიშნავს კოციუბინსკი, „...ცხოვრების მეცამეტე წელს იგი ათეისტი გახდა, ხოლო მეთოთხმეტეს — სოციალისტი“<sup>2</sup>.

ბურსას დამთავრების შემდეგ კოციუბინსკი სწავლის გაგრძელებას კომენეც-პოდოლსკის სემინარიაში ეცადა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოახერხა. ამ ქალაქში ყოფნის მოკლე პერიოდიც კი მნიშვნელოვანი გახდა მის ცხოვრებაში.

სოციალური სამართლიანობის დასამყარებელი გზების ძიების პროცესში კოციუბინსკი ეცნობა ჯერ უტოპიური, ხოლო შემდეგ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს. 1881 წელს იგი უახლოვდება პოდოლიეში მოქმედ ნაროდოვოლცებს. კამენეც-პოდოლსკის სემინარიის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა, რომელიც ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეებით იყო გატაცებული, საიდუმლო შეკრებებზე კითხულობდა აკრძალულ ლიტერატურას. მსჯელობდა რევოლუციონერ დემოკრატთა ნაწარმოებებზე, მღეროდა რევოლუციურ სიმღერებს, ოცნებობდა სოციალურ სამართლიანობაზე, ხალხთა თავისუფლებასა და ბედნიერებაზე, თვითმპყრობელობის დამხობასა და დემოკრატიული წესების დამყარებაზე. მიხეილ კოციუბინსკი ამ ადამიანებს დაუახლოვდა და მათი მღელვარე სხდომების მონაწილე გახდა.

1882 წელს კოციუბინსკი სოფელ სტანისლავჩიკში რეპეტიტორის ადგილს შოულობს და პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. იგი არ იშურებს ძალასა და ენერგიას და თავის მოწაფეებსა და ნაცნობ გლეხებს მონდომებით აცნობს უკრაინულ და რუსულ დემოკრატიულ ლიტერა-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 10.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11.



ტურას; მიუხედავად არაერთგზისი გაფრთხილებისა, ხალხში „მაგნე წიგნებს“ ავრცელებს.

ნაროდოვოლცების მიერ ალექსანდრე II მკვლელობის წელი რეაქციამ ებრაელი ხალხის დარბევით აღნიშნა. ჩვიდმეტი წლის მიხეილი „თვითდაცვის წრის“ ორგანიზაციაში იღებს მონაწილეობას. პოლიციამ დააპატიმრა წრის წევრები, მათ შორის კოციუბინსკი. „ჩვიდმეტი წლისას მე უკვე პოლიტიკური პროცესი მქონდა და მას შემდეგ დღევანდელ დღემდე ჟანდარმები არ მაკლებენ თავის თავაზიან მზრუნველობასო“<sup>1</sup> — იგონებდა უკვე სახელგანთქმული მწერალი.

მწერლის ახალგაზრდობის წლები დაძაბული შრომისა და ამავე დროს. მატერიალური ხელმოკლეობის წლებია. ლუკმაპურს მიხეილი თავდაპირველად სტანისლავ-ჩიკის, ვინიცასა და მის ახლო მდებარე სოფლებში რეპეტიტორობით შოულობდა. მაგრამ მისმა აქტიურმა მოღვაწეობამ და სიმართლის სიყვარულმა საფრთხე შეუქმნა არსებობის ამ სახსარსაც. პოლიციის დეპარტამენტი ექვის თვალით უყურებს ახალგაზრდა მასწავლებლის საქმიანობას. 1889 წელს „პოდოლიის გუბერნიის პოლიტიკურ მიმოხილვაში“ ჩნდება ჩანაწერი: „...პედაგოგიური მოღვაწეობა ისეთი პირებისა, როგორიცაა მოხელის შვილი მიხეილ კოციუბინსკი... როდი შეიძლება სასურველად მივიჩნიოთ“<sup>2</sup>.

ცოდნისა და სიმართლისადმი სწრაფვამ მიიყვანა იგი ვინიცაში არსებულ თვითგანვითარების საადუმლო წრეში, სადაც კითხულობდნენ და სწავლობდნენ ჩერნიშევსკისა და სხვათა აკრძალულ ნაწარმოებებს. გლებ უსპენსკის ნარკვევები, შჩედრინის სატირა, პანას მირნის მოთხრობები კოციუბინსკის იმ ისტორიულ პროცესებ-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 11.

ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი მოსკოვში (ცსიამ), ს. 43, ნ. 23, გვ. 41.

ზე მიუთითებდნენ. რომელიც თანამედროვე ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი.

კოციუბინსკის რევოლუციური განწყობილება მოსვენებას არ აძლევდა ჟანდარმერიას.

1883 წელს კოციუბინსკების სახლში პოლიციამ ჩხრეკა მოაწყო. ხოლო 1886 წელს პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებით მიხეილ კოციუბინსკიზე დააწესეს საიდუმლო თვალთვალი. მეფის ობრანკამ ასე შექმნა საგანგებო „საქმე მოხელის შვილზე მიხეილ მიხეილის ძე კოციუბინსკიზე“<sup>1</sup>.

უბედურება ადრევე ეწვია კოციუბინსკების ოჯახს. ცხრამეტი წლის ასაკში მიხეილმა მამა დაკარგა, დედა დაბრმავდა და მთელი ოჯახი მისი შემყურე გახდა. ასეთი მძიმე ოჯახური მდგომარეობისა და პოლიციური სისტემატური დევნის მიუხედავად მიხეილ კოციუბინსკი „ყოველთვის იყო დიდი ოპტიმისტი“ და „არასოდეს არ დაუკარგავა რწმენა ხალხისადმი. წყვილადზე და ბოროტებაზე ყოველივე ნათელის გამარჯვებისადმი“<sup>2</sup>.

მიხეილ კოციუბინსკი ცდილობდა ნათელი მომავლისადმი მტკიცე რწმენა ჩაენერგა ყველა უფლებაყრილი, დაჩაგრული ხალხისათვის. ბუგის მთისა და ვინიცის ფერდობები ხშირად იყვნენ მოწამენი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობათან მწერლის გულითადი საუბრებისა.

რაც უფრო ფართო აღიარება პოულობს მიხეილ კოციუბინსკი, მით უფრო ღიზიანდება პოლიცია. 1888 წელს კოციუბინსკი აირჩიეს ვინიცის საქალაქო დუმის ხმოსნად. ჟანდარმერიამ ამ სადომებზე მთელი ოთხი თვის განმავლობაში არ დაუშვა მწერალი, მუქარისა და პოლიციური დევნის მიუხედავად, მიხეილი მაინც გამოვიდა სახლმაზე ბატონი ხმოსნების კრიტიკითა და მამხილებლური სიტყვით. ჟანდარმერიამ ყოველი ღონე იხ-

<sup>1</sup> ვინიცის სახელმწიფო არქივი, ფ. 224, აღ. 2, ფურ. 18—19.

<sup>2</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 11.

ძარა. რათა კვლავ აღარ დაეშვა ასეთი გამოსდომა და, მიუაქვდავად იმისა, რომ კოციუბინსკი არჩეული იყო ხმოსნად 1898 წლამდე, მიაღწია იმას, რომ 1891 წლის ოქტომბრიდან იგი ფაქტიურად სსდომებში მონაწილეობის საშუალებას მოკლებული აღმოჩნდა.

აეე აღევნიდა პოლიცია და ჟანდარმერია მწერალს, მაგრამ ისიც არ ყრიდა ფარხმალს და ახალი პოზიციებიდან უტევდა ხელიუფლებას.

1891 წელს კოციუბინსკიმ ვინიცის რეალურ სასწავლებელში ჩააბარა გამოცდა და მიიღო სახალისო მასწავლებლის წოდება იმავე წელს იგი მიემგზავრება მასწავლებლად სოფელ ლოპატინციში. იქ მწერალი უახლოვდება გლეხობას, უამენს კობხარება, იწერს ხალხურ სიმღერებსა და ლეგენდებს და, თავის მსრივ, აცნობს გლეხებს „აკრძალულ ლიტერატურას“. ლოპატინციში დაწერა კოციუბინსკიმ მოთხრობები: „ხარტიია“, „ნახვის ხე“. „ჯვარდაუწერლად“.

1892 წლიდან 1897 წლამდე კოციუბინსკი მუშაობდა ფილოქსერას (ვაზის მავნებლის) წინააღმდეგ მებრძოლ ოდესის კომისიაში. იგი ფიქრობდა, რომ ამ კომისიის საქმიანობა „ყველას საკეთილდღეო“ იქნებოდა; მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მას ხალხისათვის არავითარი სიკეთე არ მოჰქონდა. კომისიის მოღვაწეობა გლეხობის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. კომისია ფილოქსერას მოსასპობი საშუალების ძიებით თავა არ იწუხებდა, იგი ფილოქსერათი დაავადებულ ვაზს ანადგურებდა და ამით საფუძველს უთხრიდა მშრომელი გლეხობის მეურნეობას. ამის თაობაზე შემთხვევით როდი წერდა კოციუბინსკი; „ფილოქსერისტი ხშირად მესახება ვაზის ერთ-ერთ პარაზიტადო“.

კოციუბინსკიმ თავი დაანება ფილოქსერას კომისიაში მუშაობას და 1897 წლის შემოდგომაზე გადასააღდა ჩერნიგოვში. იქ იგი სამსახურის დაწყებას ფიქრობდა,

მაგრამ გუბერნატორმა, როგორც „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო“ პირს, ამის უფლება არ მისცა. მწერალი იძულებული გახდა ბედი ჟიტომირში ეცადა. ამ ქალაქში მან ერთხანს გაზეთის „ვოლინ“ ქრონიკის განყოფილების რედაქტორად იმუშავა.

მწერალს რევოლუციური შეხედულებების ჩამოყალიბებაში დაეხმარა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ზოგი ნაწარმოების გაცნობა. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან კოციუბინსკის წერილებში ჩვენ ვნახულობთ ფაქტებს, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ იგი ამ დროისათვის უკვე იცნობდა მეცნიერული სოციალიზმის თეორიას. ბ. დ. გრინჩენკოსადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში (1896 წლის 19 მარტს) იგი ცხოველ ინტერესს იჩენს ლვოვში გამოცემული ბროშურით, რომელშიაც განხილული იყო „გალიციაში გლეხთა უბედური ეკონომიური მდგომარეობის მიზეზები (მარქსის თეორიის საფუძველზე)“<sup>1</sup>.

მარქსიზმისაკენ მწერლის შეხედულებათა შემდგომ ევოლუციას ხელი შეუწყო გაზეთ „ვოლინში“ მისმა მუშაობამ. პერიოდული პრესის მიმომხილველის მოვალეობა აიძულებდა მწერალს ყოველდღიურად ეკითხა ათობით გაზეთი. რომელთაგანაც იგი თავისთვის საინტერესო მასალას კრებდა და, მოხერხებულად იყენებდა რა ბურჟუაზიული პრესის ლეგალურ საშუალებებს, ეპოქის მრავალ აქტუალურ საკითხზე შესანიშნავ ნარკვევებსა და მიმოხილვითი ხასიათის სტატიებს წერდა. კოციუბინსკი ილაშქრებდა ხალხში შემორჩენილი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, ამხელდა მეფის რუსეთში განათლებისა და, კერძოდ, სკოლის საქმის ჩამორჩენილობას, აკრიტიკებდა თვითმპყრობელურ სისტემას, ილაშქრებდა ნახევრად კოლონიალური მონობის პოლიტიკის წინააღმდეგ და იცავ-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. VII, უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობა, 1930 წ., გვ. 75—76.



ტ. შეეჩენკო. ყაზახი მათხოვარი  
ბავშვები. 1853.



და არა მარტო უკრაინელების, არამედ „რუსეთის სხვა გერების“ ინტერესებს, მუშათა და საერთოდ მშრომელი ხალხის ინტერესებს.

1898 წელს კოციუბინსკი დაბრუნდა ჩერნიგოვში და დაიწყო მუშაობა საერობო საბჭოში, სადაც იგი მუშაობდა 12 წლის განმავლობაში.

ჩერნიგოვში მწერლის ცხოვრების პირველივე წლებში ჟანდარმერიამ ასე შეაფასა მისი პოლიტიკური „არაკეთილსაიმედოვნება“: „მეგობრობს და ნაცნობობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ საეკვო პიროვნებებთან. პიროვნება უთუოდ მავნებელია თავისი მთავრობის საწინააღმდეგო შეხედულებებით, მოითხოვს გაძლიერებულ ზედამხედველობას“<sup>1</sup>. ჩერნიგოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი წერდა, რომ კოციუბინსკი „მეკუთვნება იმ პირთა ჯგუფს, რომელიც როგორც ზნეობრივ, ისე მატერიალურ დახმარებას უწევს ჩერნიგოვის რევოლუციური წრეების აქტიურ მოღვაწეებს“<sup>2</sup>.

სიმათლისა და ჭეშმარიტების ძიებას მწერალი მუშათა კლასისაკენ მიჰყავდა. ამ დროისათვის ისინი დგებოდნენ საერთო-სახალხო ბრძოლის მეწინავეებად: ცხოვრებისეული მოვლენების ჭეშმარიტი ანალიზი, სიმათლის მოპოვების რეალური გზები მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომებში იყო მოცემული და დასახული. კოციუბინსკის ხალხოვნური ილუზიების გადალახვისა და მსხვერვის პროცესი თვით ცხოვრების გავლენით, მისი ძლიერი შეტევის შედეგად მიმდინარეობდა. ამ მსხვერვაში დიდი წვლილი მიუძღოდა მარქსისტულ ლიტერატურას. სწორედ მათი გავლენით მწერლის საზოგადოებ-

<sup>1</sup> ცსიამ, ფ. 3. დ., ს. 6378, ნ. 1, გვ. 72.

<sup>2</sup> იქვე, ს. 999, გვ. 1.

რივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუცია მარქსიზ-მისკენ მიემართებოდა<sup>1</sup>.

ხალხთან უშუალო კავშირმა, კობზარების სიმღერებმა, ზღაპრებმა და ლეგენდებმა ადრევე ალაგზნეს ბავშვის პოეტური ბუნება. უკვე 13 წლის ბიჭუნას მოთხრობა დაუწერია, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

სწავლას მოწყურებული მიხეილი ლიტერატურის კლასიკოსების, განსაკუთრებით კი მარკო ვოვჩოკისა და ტარას შევჩენკოს ნაწარმოებებს დაეწაფა. ხალხურმა სიბძნემ და მხატვრული სიტყვის ქურუმებმა ამოადგმევინეს ენა კოციუბინსკის და შემოქმედების ნარეკლიან ასპარეზზე გზა დაულოცეს. მათ შთაუბერეს სული ჭაბუკის მუხის პირველ პირმშობებს.

ხალხის სამსახურის, მისთვის თავგანწირვის იდეა, რაც კოციუბინსკის მთელი შემოქმედების სული და გული იქნება შემდეგში, ახალბედა მწერლის შემოქმედებაში, დიდი ხელოვნების და უპირატესად კი დიადი კობზარის ტარას შევჩენკოს იდეების გამარჯვებაზე ლაღადებს. ჩვენამდე მოღწეულ პირველივე ნაწარმოებში „ანდრეი სოლოვეიკო, ანუ სწავლა სინათლეა, ხოლო უსწავლელობა სიბნელე“ (1884 წელი) იგი ეპიგრაფად ტარას შევჩენკოს ცნობილ ლექსს ირჩევს:

---

<sup>1</sup> შენიშვნა: კოციუბინსკის პირად ბიბლიოთეკაში ინახებოდა იმ „წიგნების კატალოგი“, რომელიც კორესპონდენტებს უნდა დაგზავნოდა. სარეკომენდაციო სიაში შეტანილი იყო მარქსისა და ენგელსის შრომები: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, ვ. ი. ლენინის შრომები — „სოფლის ღარიბებს“, „კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები“ და სხვ.



არ ვიცი რატომ თქვენ სთქვიან, რომ არი  
ქობმახი ტყეში სამოთხე წყნარი.  
მეც ხომ იქ ძველად ვტანჯულვარ, ვწაველი...  
იქ დავაფრქვით მხურვალე ცრემლი,  
პოველი ცრემლი... და მე არ ვიცი  
თუ თვით ღმერთს დარჩა იმ ქობის გარეთ  
სხვა ბოროტება, სიამე ბილწი,  
მწვანე სამოთხეს რომ შეადარეთ.

(„დიდო პანებო, რომ მოგესმინათ“ —  
თარგ. დავით გაჩეჩილაძისა)

უკრაინის მომხიბლავი ბუნების ფონზე მკითხველის  
თვალწინ დაბეჩავებული ხალხის ტანჯული ცხოვრება გა-  
დაიშლება. „შორიდან სოფელი მზიარული ჩანს, — წერს  
ავტორი, — აი, სად არის სამოთხე“. იფიქრებს გამვლელი,  
მაგრამ ვინ იცის, რომ მწვანით აბიბინებულ ბაღმინდვრებს  
უკან იფარება „მრავალი მწარე ცრემლი“ და უბედურე-  
ბა. „ყოველ ქობში — საკუთარი ნაღველი, საკუთარი სიმ-  
წარეა“. — ასეთია ამ ნაწარმოების ლეიტმოტივი.

ცხოვრებისაგან დაჩაგრული ხარითონ შაკულა წელში  
გაუტეხია მძიმე ჭაპანს. სიმთვრალესა და ცოლშვილის  
ყოველდღიურ ცემა-ტყეპაში იკლავს იგი მოწოლილ ბოლ-  
ქას. მის მეუღლეს ულიანას თავისი უბედურების მიზე-  
ზად ობლად დარჩენილი ანდრეი გასაზრდელად სახლში  
მოყვანაც მიაჩნია. გაბოროტებულ ცოლ-ქმარის ხელში  
პატარა ბიჭიკო ჯოჯობეთურ ცხოვრებას გაივლის. ყვე-  
ლასაგან შევიწროებული ანდრეი პატიოსნურ გზას ასც-  
დება და ავკაცობას იწყებს.

სოფლიდან გაძევებულ სოლოვეიკოს ქალაქში ხელზე  
მოსამსახურედ ხალხოსანი ინტელიგენტი აიყვანს. მისი  
დახმარებით ანდრეი განათლებას იღებს და ხალხის სამ-  
სახურის ღრმა გრძნობით განიმსკველება. იგი ბრუნდება  
თავის სოფელში და იწყებს მასწავლებლობას: ფიქრობს  
გლეხობაში ცოდნის შეტანასა და მათ განათლებას, რად-

ვანაც მიაჩნია, რომ მათშია „ღიადი ძალა“, მათ შეუძლიათ ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ანდრეე სოლოვეიკოს სახით ავტორმა ტიპიური ხალხოსანი — კულტუროსანი დაგვიხატა, რომელსაც ხალხის ცხოვრების გარდაქმნა მხოლოდ განათლების გზით ესახება; იმ დროს მწერლისათვის ჯერ კიდევ უცხო იყო ამ გარდაქმნის რევოლუციური გზა.

„ნაროდნაია ვოლიას“ განადგურების შემდეგ ხალხოსნურ ინტელიგენციაში ძლიერდება რევოლუციური ბრძოლიდან ხალხში მშვიდობიანი, „განმანათლებლურ“ მოღვაწეობაზე გადასვლის ტენდენცია. მიხეილ კოციუბინსკი მართალია იცნობდა 50—70-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურას, მაგრამ კულტუროსანი ხალხოსნების მსგავსად მასაც მიაჩნდა, რომ განათლების და ცოდნის გზით, მშვიდობიანი პროპაგანდის გზით შესაძლებელია ხალხის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებების მოხდენაო.

ცხოვრების რეალისტურ ახახვასა და ხალხოსნურ შეხედულებათა შორის წინააღმდეგობანი აისახა სხვა ნაწარმოებებშიაც: მოთხრობაში „ბიძია და დეიდა“ (1886 წ.) ავტორი მწუხარებით აღნიშნავს, რომ სასამართლოც, ხელისუფლებაც და თვით ღმერთიც, რომლისაც ასე სწამს ხალხს, ბატონების მხარეზე დგას და მათ ინტერესებს იცავსო: „მომრიგებელი მოსამართლევ, ამბობენ, პანიაო. ისიც პანების მხარესაა, მათ უკერს მხარს“, ხოლო მღვდლები „ადამიანებს კი არ ასწავლიან, არამედ ატყუებენო“. ამგვარი ტანჯვისაგან ხალხის დახსნის იმედს კოციუბინსკი კვლავ ცოდნასა და განათლებაზე ამყარებს.

მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მესამედის სინამდვილე კი ამსხვრევდა ხალხოსნურ ილუზიებს და სოციალური უსამართლობის გადაწყვეტას სულ სხვა გზით მოითხოვდა. ცხოვრების ამ მკაცრმა სიმართლემ, მისი

მოვლენების უღმობელმა ლოგიკამ. რევოლუციური ლიტერატურის ნათელმა სიბრძნემ მწერალს მალე გაუფანტეს ხალხოსნური ბურუსი და ქვეშარიტების ძიების სწორ გზაზე დააყენეს.

ლოპატინცოში ყოფნის დროს. 1890-იან წლებში, მ. კოციუბინსკი ინტერესდება აბავეშო თემატიკით. იგი წერს აბავეშო მოთარობებს: „ბარიტია“ (1891 წ.), „ნაძვის ხე“ (1891 წ.) და სხვ. ამ ნაწარმოებებში მან პატარების მძიმე ყოფა დაგვიჩვენა. ავტორმა ოპტიკურად გადაგვიშალა ბავშვთა ფსიქოლოგია და მათი უმწიკვლო გრძნობები, კეთილი გული და საქმეები დაგვანახვა.

ბარიტიას მამა გარდაეცვალა. დედა ლოგინადაა ჩავარდნილი. მინდორში მოუშველი პური ფუჭდება. შიმშილი ემუქრება ქვრივის ოჯახს. რადგან მომკელი არავინ ჩანს. რვა წლის ბარიტია ნამვალს იღებს ხელში და თვითონ მიდის მოსავლის ასაღებად. მაგრამ ძლიერ უჭირს პატარას. სახლიდან ასე შორს იგი ხომ არასოდეს არ წასულა. მინდვრად მარტო დარჩენილს ეშინია და ათასი რამ ელანდება, მზადაა ყველაფერი მიატოვოს და გაიქცეს, მაგრამ ტუჩებს კბილებს აჭერს. ცრემლებს ყლაპავს და ნამვალს მაინც უსვამს პურს.

შრომისადმი სიყვარული, სულიერი სისპეტაკე, მშობლის პატივისცემა არის ბარიტიასათვის დამახასიათებელი. ამავე თვისებებს უნერგავს მოთხრობა თავის პატარა მკითხველებს.

„ნაძვის ხის“ პატარა გმირს ვასილკოს უჭირს თავისი ნაძვის ხის გამეტება გასაყიდად. „მის ცისფერ თვლებს ცრემლები მოაწვავ“, მაგრამ რა ექნა, მამას ხარაზთან დატოვებული დედის ფეხსაცმელი ხომ უნდა როგორმე გამოესყიდა.

სულ სხვაგვარად აეწყო „პატარა ცოდვილის“ ბედი. პატარა ღიმიტრიკი გავრილკას გავლენის ქვეშ მოჰყვა და ცუდ გზას დაადგა; ჯერ იყო და მათხოვრობა დაიწყო,

ხოლო შემდეგ მასავით ულუკმაპურო ბრმა მათხოვარს  
:ჩანთა მოპარა. მავრამ ნაწარმოების დასასრულს მაინც  
ჯანსაღი სული იმარჯვებს. დედის სიკვდილმა შეაჩერა მო-  
ლიბულ გზაზე დამდგარი დიმიტრიკი. „რა მომელის? —  
უტრიალებს თავში პატარას მოუსვენარი აზრები. —  
სად წავიდე? ვინ მაქმევს. ვინ ჩამაცმევს. უმაქნის ხეი-  
ბარს?... ვიმათხოვრო? არა... გავაკეთებ რამეს. ვიმუშა-  
ვებ, პურის ფულს ვიშოვნო. კეთილი ხალხი მომეხმარე-  
ბა...“ — ასე მთავრდება მოთხრობა.

ექსპლოატატორული სისტემის მბილებასთან ერთად  
ავტორი მკითხველებს ადამიანისადმი ღრმა რწმენას  
უნერგავს.

კოციუბინსკის საბავშვო მოთხრობებმა საზოგადოებ-  
რიობის ყურადღება მიიპყრო. შემდგომში (1898 წელს)  
უკრაინული ლიტერატურის გამოჩენილმა მოღვაწემ პა-  
ნას მირნიმ მხურვალე მადლობა გადაუხადა მწერალს  
„...იმ სიტყვით გამოუთქმელი მომაჯადოებელი წუთე-  
ბისათვის“, რომელიც მან „...მაღალმხატვრული, ნიჭიე-  
რად დაწერილი ნაწარმოებების“ კითხვის დროს განიცა-  
და<sup>1</sup>. მისი აზრით, კოციუბინსკის მოთხრობები „ქეშმარი-  
ტი ოქროა. ყოველივე ეს — თვით ცხოვრებაა ბელოვა-  
ნი-მხატვრის გაწაფული ხელით მცირე ჩარჩოში და-  
მუშავებული“<sup>2</sup>.

მოთხრობაში „ჯვარდაუწერლად“ (1892 წ.) უფრო  
ძლიერ ეღერს სოციალური პროტესტის მოტივი. ამ ნა-  
წარმოებს ბევრი აქვს საერთო მარკო ვოვჩოკის მოთხრო-  
ბასთან „ვაჭრის ქალიშვილი“ და კარპენკო-კარის დრამას-  
თან „უნიჭო“.

მ. კოციუბინსკი თავის მოთხრობაში გვიხატავს ხალხ-  
ში დაფარულ ძალებს, ენერგიასა და ბურჟუაზიულ-მემა-

<sup>1</sup> პანას შირნი, თხზ., ტ. 5; უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის  
გამომცემლობა. 1955 წ., გვ. 378.

მულერ სახელმწიფოში მათი ცხოვრების მძიმე პირობებს შორის არსებულ წინააღმდეგობას.

გაუხარელია მშრომელი გლეხობის ცხოვრება. ბავშვობიდანვე ებმებიან ისინი შრომის მძიმე უღელში და ბავშვობიდანვე გრძნობენ უსამართლობის სუსხს. ადრევე გაიგო ნაწარმოების ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა გნატმა, რომ „გლეხებისათვის დედამიწაზე არ არსებობს ბედნიერება“. ასევე გაიგეს ეს ნასტიამაც და ალექსანდრამაც. მათ იმედი აქვთ ხვალინდელი ბედნიერი დღისა, ყოველი მათგანის „გული უკეთესი ცხოვრებისაკენ მიისწრაფვის, იმედით ცოცხლობს“.

თავისთავად, გნატი, ალექსანდრა და ნასტია მორალურად წმინდა და ძლიერი ბუნების ადამიანები არიან. მაგრამ არაადამიანურმა ყოფამ და იმდროინდელი სოციალური ვითარებით შექმნილმა სიტუაციამ ააცდინა ისინი კეთილ გზას.

მართალი ცხოვრებისა და პატიოსანი ოჯახის შექმნის იმედი ჰქონდა გნატს. კიდევაც ესტუმრა მას ტკბილი სიყვარული, მაგრამ მოხუცმა იავდოხამ, ნასტიას დედამ, მათ ბედნიერებას გზა გადაუღობა. გნატს არ მიათხოვა ქალიშვილი. ღარიბი და ნასტია პეტრეს ძალით მისცა: მდიდარია და ოჯახისათვის ეს კარგიაო. გამწარებული გნატი ალექსანდრას ითხოვს ცოლად. მაგრამ უსიყვარულოდ შექმნილ ოჯახს კარგი დღე არ ელოდა. გნატი კვლავ იყურობოდა დაქვრივებული ნასტიასაკენ და გულის ვარამს ღვინოში იკლავდა. ამდენ წვალებას ვეღარც ალექსანდრამ გაუძლო და ოჯახიდან გაგდებული ბედს მიენდო. ალექსანდრა, ლამაზი და მზიარული, სიცოცხლეს შესტრფის, მაგრამ ხელმოცარული ლოთობასა და დროსტარებაში ფლანგავს მოწოლილ ენერგიას. ალექსანდრას ნასტიასთან (რომელიც გნატმა თავის სახლში მოიყვანა, როგორც ჭვარდაუწერელი მეუღლე) შეჯახებისას მიუხსნრებს გნატი და გაავეებული, ნაჯახით მოკლავს თავის კანონიერ

მეუღლეა. თუმცა ნასტიას „უყვარდა გნატი. ეცოდებოდა იგი, სტიროდა კიდეც მასზე... მაინც დარჩა“ სოფელში და მკვლელობისათვის ციმბირს გადასასლებულ გნატს, მისი თხოვნის მიუხედავად, თან მაინც არ გაჰყვა.

ასე დაამახინჯა სამი ადამიანის სიცოცხლე სოციალურმა უკუღმართობამ. ნაწარმოებში იმდენად ძლიერად არის ასახული არსებული ყოფის საწინააღმდეგო პროტესტი, რომ მეფის ცენზურამ მისი გამოქვეყნება აკრძალა.

გლეხის ცხოვრების ტრაგიკულ სურათებთან ერთად ავტორი სხვა ნაწარმოებში უბრალო მშრომელების უსაზღვრო კაცთმოყვარეობას გვიხატავს. მოთხრობაში „ხუთხლოტიანი“ ავტორი ღარიბ ხალხს ჰუმანურ ადამიანებად წარმოგვიდგენს. ბაბუა ხომა და მისი მეუღლე ხიმა სილატაკეში ცხოვრობენ, ტომარაში ერთი მუქა ფქვილი არ დარჩათ და სასესხებლადაც ხელს არავენ უმართავს, მაგრამ როგორც კი შეიტყობენ, რომ სხვა მხარეში ხალხი შიმშილით იხოცება და მათ გადასარჩენად ფულს აგროვებენო. ივიწყებენ თავიანთ შიმშილს ! და ქორწინების დღიდან ჩვარში გამოკრულ, შავი დღისათვის შენახულ ფულს უკანმოუხედავად შესწირავენ.

90-იანი წლების დამდეგისათვის მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში ძვრები შეინიშნება. მის ნაწარმოებებში ცოცხლდებიან გლებ უსპენსკისა და სალტიკოვ-შჩედრინის ტრადიციები. „ცეპოვიაზში“ მხილებულია გლეხობაში არსებული კლასობრივი ანტაგონიზმი. ამ მხრივ „ცეპოვიაზი“ მწერლის იდეური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

მოთხრობა დაიწერა პოდოლიის სოფლის მასალებზე: მასში ასახული მოვლენები იმ პერიოდის სინამდვილისათვის ტიპური იყო. ამ ნაწარმოებში წარმოდგენილია კონფლიქტი ორ ძმას — მღიღარ რომანსა და ღარიბ სემიონს შორის.

რომან ვორონის ბუნებაში ბავშვობიდანვე იბარტყა

ბოროტებამ და სიავკაცემ. იგი სკოლაში დადიოდა და სწავლობდა მხოლოდ იმისთვის, რომ „დიდი პანი“ გამხდარიყო. ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც დიდ სახლს აიშენებდა და ფანჯრიდან შეხედავდა ხოლმე „გლეხუჭებს“, რომლებიც ქუდმოხდილნი შორიდან მიესალმებოდნენ პანს...“. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ გლეხები სახლში არ შეეშვა, რადგან „ოთახებში“ მაშინ „გაუთლელი გლეხის“ სუნი დადგებოდა“.

რომანი ფიქრობს გამდიდრდეს უპატიოსნო გზით, გაიძვერობითა და მოტყუებით: „წავა ერთ ადგილს და ებრაელისაგან დუქანს იყიდის მთელი თავისი ავლადიდებით. — აწყობს გეგმებს რომანი, მაგრამ მალე ასწორებს დაშვებულ „შეცდომას“, — არა, უკეთესი იქნება თუ ის გაასულელებს ებრაელს, ეტყვის: „ფულისათვის ხეალ მოდი“, ხოლო როდესაც ის მოვა, რომანი ძაღლებს მიუსევს და ფულსაც არ მისცემს...“. ასეთი ფიქრები უტრიალებს რომანს თავში. ასე ემზადება იგი თავისი ბოროტი მოღვაწეობისათვის.

სულ სხვაა მისი ძმა სემიონი. სათნო და პატიოსანი ადამიანი. მშიერ მოხუცს რომ დაინახავს გზაზე პურს მიაწოდებს, შემდეგ თვითონვე დაირცხვენს, ტომარასაც მიაგდებს და გაიქცევა. სემიონიც ოცნებობს გამდიდრებაზე. მაგრამ „მას სურს გახდეს მდიდარი პანი, რათა ღარიბებს დაეხმაროს“.

არაფერი სპეტაკი არ არსებობს რომანისათვის. მისთვის ყველაფრის საზომი ფულია. მისი ძმა სემიონი სთხოვს კითხვა მასწავლეო, რომანი „ჯერ გაიცინებს... ხოლო ცოტა დაფიქრების შემდეგ, დათანხმდება“. „რას მომცემ, რომ გასწავლო“ — ეს იყო პირველი კითხვა, რომელიც მან ძმას მისცა. ერთი ხისაგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო, მათზე იყო ნათქვამი.

რომანი სოფლის მწერალი ხდება. „სულელი ხელიდან გაუშვებს — კვიციანი აიღებს“ — ასეთია სოფლის წურ-

ბელა რომანის დევიზი. იგი თავისი დევიზის განხორციელებისას არ ერიდება ბინძურ მაქინაციებს, მოქრთამებასა და სხვა ბოროტებას ოღონდ გამდიდრდეს და არაფრის წინაშე უკან არ დაიხვეს. რა გინდ ჭუჭყიანი საქმე არ იყოს. თავის გზაზე იგი არავის არ ინდობს. როდესაც ძმას ფული ასესა, გამცემლური გეგმა უკვე შემუშავებული ჰქონდა: „მე ფულს მოგცემ, მხოლოდ მუქთად კი არა...— ეუბნება იგი სემიონს,— ახლა ისეა ქვეყანაზე, რომ ბეწვიც არ არის მუქთად.... ახლა კომერციაა“. „კომერციის“ რეალურ არას მკითხველი შემდეგ გებულობს, როდესაც რომანი სემიონის მოწეულ პურს ცეცხლს გაუჩენს და დაწვავს, რათა ძმა გაალატაკოს და სასამართლოს გზით მისი მიწის ნაკვეთი ხელში ჩაიგდოს.

ასე გააშიშვლა კოციუბინსკიმ „მშვიდობიანი“ გლეხობის შიგნით მიმდინარე კლასობრივი ბრძოლა.

რომანის მსგავს ტიპებს თავისი ადგილი ჰქონდათ ივანე ფრანკოს მოთხრობებში. კარპენკო-კარისა და კროპივნიცკის დრამატურგიაში. მაგრამ მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში იგი სოფლის წურბელის პირველი კონკრეტული ტიპია. რომელიც თავის განვითარებაშია მოცემული. ანგარიშიანი ბავშვიდან გულქვა ბოროტ-მოქმედამდე— ასეთია მისი გზა „ცეპოვიაზში“.

კეთილშობილური გრძნობების ბავშვი სემიონი ასეთივედ დარჩა ცხოვრებაში. მას მწვავე სოციალური საკითხები აღელვებს: „რატომაა. რომ პანს თვალუწვდენელი მიწები აქვს“, ხოლო მას „ღმერთმა მიწის ნაფლეთიც კი არ მისცა“; „...რატომაა. რომ ერთს აქვს საჭმელი, ხოლო მეორენი შიმშილისაგან ტირიან?“. სემიონს ღრმად სწამს, რომ მიწა იმას უნდა ეკუთვნოდეს, „ვინც მიწას ამუშავებს“. ღარიბ ვორონს ოცნება შორს გაიტაცებს. იგი ფიქრობს იმ დროზე, როდესაც უმიწაწყლონი, „გალატაკებული, მშიერი... მთელი, სავსე მკერდით ამოიძახებენ: „ან სიკვდილი. ან მიწა“. მაგრამ მიწას არავინ იძლევა და სი-



კვდილიც არა ჩანს“. მაშინ „მშვიდი, იმედგაწყვეტილი, აღელვებული ბრბო, გამხეცებული ეძგერება მდიდრებს. მათ, ვიაც აუზომავი მიწა აქვთ და არც შიმშილი, არც სიცივე არ იციან. ყველაფერი ინგრევა, ხალხთა ზღვა სისხლი იღვრება...“.

მაგრამ პატრიარქალური სულისკვეთებით აღზრდილი სემიონი, რომელსაც ჭერ კაცის სისხლი არ დაეღვარა და რომლის გულშიაც ბოროტებას არ გაუვლია, თვითვე შეკრთება, თვითონვე შეეშინდება თავისი აზრებისა და რაღაც კომპრომისებზე მიდის, იგი შეეცდება მიწის ხელში ჩაგდების სხვა გზები გამონახოს და მუნიციპალიზაციის იდეის სახელით ცნობილ ფორმას მიადგება. „დე პანებს ჰქონდეთ ფული, ხოლო ჩვენ მიწა“ ასეთია მისი აბოლოო აზრი. ამ „პროექტით“ წარადგება იგი მეფის წინაშე. მაგრამ აქაც იმსხვრევა მისი ილუზიები. მეფის თბილი სიტყვის მაგივრად კანცელარიაში ბოქაულთან გამოძახებულ სემიონს მეფესთან ბარათის გაგზავნისათვის მუშტებით ყბებს გამოუნგრევევენ. „აბა კიდევ გაბედე ასეთი თხოვნის დაწერა, მე შენ, მე შენ შუაზე გაგხლეჩ-ო“ --- მიადახა კანცელარიიდან კინწისკვრით გამოგდებულ სემიონს ბოქაულმა.

„ეს იყო კვამლი, ბურუსი, რომელიც სინამდვილის დაბერვით გაიფანტა და მის გაქრობასთან ერთად სემიონს გონება უნათლდებოდა, ხოლო გულს კი უიმედობის ტვირთი აწვებოდა“. ასე სამუდამოდ ასამარებს ავტორი თავისი დადებითი გმირის სემიონ ვორონის ილუზიებს მეფის მოწყალებასა და სამართლიანობაზე.

ნაწარმოების დასასრულს მწერალი სემიონს კვლავ პირვანდელ მდგომარეობაში აბრუნებს. „სემიონი ისევ დაქირავებული მუშაა, ხნავს ბატონის მიწას, სხვის ხარებს მიერეკება“.

სოფლის წურბელასთან, უსამართლობასთან ბრძოლაში, სემიონ ვორონი დამარცხდა; მაგრამ ეს იმას არ ნიშ-

ნავდა. რომ იგი შეეგუა სოციალურ უსამართლობას. მან მხოლოდ არ იცოდა. თუ რა გზით შეიძლებოდა ბრძოლის წარმართვა. „როგორ?... ეხ. რომ ვიცოდე. მე მგონი. სასიკვდილოდ გავწირავდი თავს. მე. ალბათ. გამოვგლეჯდი. გამოვღრღნიდი მიწას. რადგანაც უმიწოდ ხალხს ცხოვრება არ შეუძლია...“.

მართალია, იმ დროისათვის კოციუბინსკის ნათლად და სწორად არ ჰქონდა წარმოდგენილი მომავალი ბრძოლების სურათი. მან ჯერ არ იცოდა. თუ რა როლს შეასრულებდა პროლეტარიატი ადამიანის მონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ამ ნაწარმოების მგზნებარე პროტესტს უკვე შეეძლო მკითხველთა აღგზნება სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

ამ მოთხრობით მწერალმა გაწყვიტა კავშირი ხალხობანურ ილუზიებთან. რომლის მიხედვითაც კლებური თემი სოციალიზმის ჩანასახი ფორმა იყო. და მონაწილეობა მიიღო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ამ ეპოპეისა. მწერალი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული მცდარი შეხედულებებისაგან. მას გლახობა ჯერ კიდევ მიაჩნდა მთავარ რევოლუციურ ძალად. ეს რთული გზა მას წინ ედო. 90—900 წლებს შუა იგი სწვა რთული საკითხის გადაწყვეტას ცდილობდა — ვისთან იყო. ლიბერალებთან თუ დემოკრატებთან.

„ეპოპეიაში“ კოციუბინსკიმ ერთგვარად დაასრულა ადრეული მოთხრობების ციკლი, რომლებიც ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგის პოდოლიელი გლახობის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების გაცნობა-შესწავლის საფუძველზე იყო შექმნილი.

1892 წელს პოლიციის მიერ მისი შევიწროვების შემდეგ მიხეილ კოციუბინსკი ოთხი წლის განმავლობაში მსახურობდა ჯერ ბესარაბიაში (ახლანდელი მოლდავეთი), ხოლო შემდეგ ყირიმის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ასალმა ადგილმა, ასალმა პირობებმა და ხალხმა თავისი ტრადიციითა და ცხოვრებაზე თავისი შეხედულებებით ბევრი რამ მოაცა უკრაინელ მწერალს. რომელიც სამსახურებრივ მდგომარეობას ლიტერატურული ნაწარმოების შექმნისათვის იყენებდა. შრომით გადაღლილი მ. კოციუბინსკი ბრუნდებოდა ჯედის სახლში. ვინიცაში და იქ ასხამდა სორცს მოლდავეთისა და ყირიმის ველებზე თუ ზღვის სანაპიროზე დაბადებულ იდეებს. იქ დაიწერა მოთხრობები ბეაარაბიელი გლეხების ცხოვრებიდან -- „ყველას საკეთილდღეოდ“ (1895 წ.). „პე-კოპტიორი“ (1896 წ.). „შავი მეფის ელჩი“ (1897 წ.) და სხვ.

ვინიცაში. პატარა სახლში დაიწერა აგრეთვე მწვავე პუბლიცისტური ზღაპარი „ხო“ (1894 წ.). რომელშიაც მკაცრად არის გაკრიტიკებული ლიბერალიზმი. ხო ძალზე ბებერი მოხუცი. შიშის სალხურ-ალეგორიული სახეა. იგი უძღური. უსუსური. მაგრამ მისი ყველას ეშინია. განსაკუთრებით კი — მაკარ ლიტკოს.

მაკარ ივანეს ძე ლიტკო „სავაებით ლოიალური მოხელეა“. უყვარს სიწყყნარე. სიმშვიდე, მაგრამ ისიც მოსწონს. როდესაც მას, „ცნობილ პატრიოტს“. უკრაინელ ლიბერალთაგან „ერთ-ერთ უხუცეს“ უწოდებენ. ნაწარმოების კონფლიქტს სწორედ ეს გაორება ჰქმნის.

ბურჟუაზიული ნაციონალისტის „საზოგადოებრივი“ და „პატრიოტული“ მოღვაწეობა სასაცილოა. იგი თანახმაა „მცირე საქმე“ გააკეთოს საზოგადოებისათვის. რა თქმა უნდა ფულით. ოღონდ ისიც ისე, უხმაუროდ. რომ არავინ არაფერი არ გაიგოს. მან ასი მანეთი გაიღო ერთი მწერლის ნაწარმოებების გამოსაცემად, და როდესაც გამოიკვია, რომ ამ ნაწარმოებებს არავინ არ ყიდულობს, საკუთარი ფულით შეიძინა ასიოდე ეგზემპლარი, „რათა ამ გზით დაემტკიცებინა. რომ იგი დემოკრატიული პრინციპების ერთგულია. და ხალხთან კავშირს არ წყვეტს“. მან ვიწრო წრეში „პატრიოტული“ სიტყვაც კი წარმოსთ-

ქვა მაგრამ შიშში მისდის სული ლიტკოს. იგი ხელისუფლებისა და პოლიციის თვალთ უყურებს ყველაფერს, ზომავს თავის მოქმედებასა და „ქველმოქმედებას“ და ყოველწუთიერად მზად არის ხალხს გამოეთიშოს. ბურჟუაზიული ნაციონალისტი ლიტკო ყველაზე უფრო თავის ტყავს უფრთხილდება და ამიტომაც იყო, რომ იგი ხალხს ჭერ დაპირდა უკრაინელი მწერლის დასაფლავებაზე გვირგვინის წაღებასა და სიტყვის წარმოთქმას, ხოლო შემდეგ თავი მოივადმყოფა და გამგზავრებაზე უარი თქვა. მიხეილ კოციუბინსკია ლიტკოს შინაგანი მონოლოგი ბრწყინვალე სატირული ოსტატობით აქვს გაკეთებული: „ეს... ეს... არულიად შეუძლებელია! ახლა ისეთი დროა, ისეთი მდგომარეობაა, რომ სულ უბრალოდ მოხვდები უკრაინოფილების, სეპარატისტების, პოლიტიკურად არასაიმედოთა კატეგორიაში. და რისი გულისათვის? მერე და, ჩვენ შორის რომ ვთქვათ, რად გვინდა ახლა ეს მანიფესტაციები, რისთვისაა საჭირო ასეთი ბრწყინვალე, გაზვიადებული დასაფლავება. გვირგვინებით, სიტყვებით. კომედიებით? გარდაცვლილი კაცი დავსაფლავოთ წყნარად, შემდეგ თავი მოვიყაროთ პატარა წრეში, მოვიგონოთ მიცვალებული, გავიხსენოთ ცრემლით („მთვრალი კაცის“, — ჩასჩურჩულა მაკარ ივანოვიჩს შინაგანმა ხმამ, მაგრამ მან ამას ყურადღება არ მიაქცია), ვინაღვლოთ, რომ ჩვენს საბრალო უკრაინას უბედო ბედი მის საუკეთესო შვილებს ართმევს, — და წყნარად გავიკრიფოთ სახლებში...“.

მიხეილ კოციუბინსკი სასტიკად ამათრახებს ასეთ ადამიანებს, ლიბერალ ხალხონებს, რომლებიც ცალი თვალთ ხალხს ელაქუცებიან, ხოლო მეორეთი პოლიციურ ხელისუფლებას შესცივინებენ, ხომ არაფერს ვაშავებთო. ნაწარმოებით „ხო“ მწერალმა უკრაინელ ლიბერალებს, ე. წ. „ხალხის მოყვარულებს“, სილა გააწნა და საზოგადოების წინაშე მათი მხნალი და ორპირი ბუნება გააშიშვლა.

მშიშარა და უგონო ლიბერალებს ნაწარმოებში უპირისპირდება გაბედული, მამაცი ახალგაზრდები, რომლებსაც სწამთ მომავლისა და ამიტომაც დაუინებით იბრძვიან თავიანთი აზრების ცხოვრებაში გატარებისათვის და იმარჯვებენ კიდეც.

მართალია, მწერლის ამ ნაწარმოებში და ამ პერიოდის შემოქმედებაში საერთოდ ე. წ. კულტუროსნულ, განმანათლებლურ იდეებს კიდეც აქვთ ადგილი, მაგრამ მ. კოციუბინსკის პროგრამა ლიბერალი ხალხოსნების „მცირე საქმეთა“ თეორიისაგან არა მარტო მკვეთრად განსხვავდება, არამედ ეწინააღმდეგება კიდეც. მწერალი მოითხოვს ხალხში განათლების შეტანას, აქებს და აღიძებს მოწინავე ახალგაზრდობის გაბედულებას მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

თავის პირველ სატირულ მოთხრობაში „ყველას საკეთილდღეოდ“ (1895 წ.) მიხეილ კოციუბინსკი კიდეც უფრო ანვითარებს ხალხოსნების გაშიშვლების თავის ტენდენციას. „ყველას საკეთილდღეოდ“ იმ პერიოდის მეტად მნიშვნელოვან ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. ამ მოთხრობაში იგი ხალხოსანთა „მცირე საქმეთა“ მავნე თეორიის უმაქნისობას ამხელს.

ინტელიგენტ ტიხოვიჩს თავის პირდაპირ მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნდა ხალხს დახმარებოდა. ამისათვის დაიწყო მან ფილოქსერის კომისიაში მუშაობა. იგი ფიქრობდა, რომ ვაზის მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლით, მისი მოსპობით ერთგვარად შეუწყობდა ხელს გლეხთა ჩამორჩენილი მეურნეობის განვითარებას და საბოლოოდ შეეშველებოდა კიდევაც მათ ფეხზე წამოდგომაში. ტიხოვიჩი თავდადებულად ეკიდება საქმეს. იგი ხომ იმ „ახალგაზრდებს“ ეკუთვნის, რომლებიც ზღაპარში „ხო“ ხალხთან არიან, ოცნებობენ, რომ მათ კეთილდღეობას შეწირონ კიდეც სიცოცხლე.

ტიხოვიჩი კომისიასთან ერთად მონდომებით ეძებს

ფილოქსერას და ანადგურებს მას, მაგრამ მალე რწმუნდება ამ საქმიანობის უსარგებლობაში. მეფის ხელისუფლებამ მართლა შექმნა ფილოქსერასთან საბრძოლველად კომისიები, მაგრამ მას სრულიადაც არ აფიქრებდა მოლდაველი გლეხობის ინტერესების დაცვა. ფილოქსერასთან ბრძოლა პრიმიტიული და ბარბაროსული მეთოდებით ხდებოდა. ასჩეხავდნენ და სწვავდნენ იმ ვენახს, სადაც ამ მავნებელს იღმოაჩენდნენ. ამით ისინი ანგრევდნენ, მიწასთან ასწორებდნენ გლეხთა მეურნეობას. რადგანაც მოლდაველების ძირითადი საარსებო წყარო იმ დროს ვენახი იყო. ტიხოვიჩი რწმუნდება, რომ მისი მუშაობა წყალში გადაყრილი საქმიანობაა. ამაში მას ზემფირ ნერონის ოჯახის ტრაგედია ეხმარება.

ზემფირ ნერონი და მისი ოჯახი ვენახის შემყურენი ზვალინდელ მადლარ სადილზე ფიქრობენ. ათააგვარი საოცნებო სურათი ისახება ლატაკი და ბეჩავი ხალხის წინაშე. მაგრამ ეს ოცნება ჩაუშნამა მათ ფილოქსერის კომისიის გამოჩენამ. „ექიმებმა“ მათ ვენახში ფილოქსერა აღმოაჩინეს და ვაზი აჩეხეს. დაწვეს. ზემფირის მეუღლემ მარიორამ ვერ გაუძლო ამ საშინელებას და გარდაიცვალა. ზემფირმა დაკარგა აულიერი წონასწორობა. ოჯახი დაინგრა, ახლო მომავალში მას შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა.

ნერონების ოჯახის ტრაგედიამ ტიხოვიჩი შეაძრწუნა, მას არ შეუძლია ცეცხლს თვალი მოსწყვიტოს: „ნედლი ვაზის შიშინში მას ესმოდა ჩივილი პატრონებისა. რომლებიც ცეცხლში კარგავდნენ არა მარტო პურს არაობისა. არამედ რაღაც უფრო მეტს. რომელიც არც გაიზომება და არც ფულით იყიდება. შავ ბოლში. რომელიც ცისაკენ მიიწევდა, როგორც სამსხვერპლოს ბოლი, მას მრავალი წლის, აწ დაღუპული შრომა... მრავალი მშვიერი დღეები. უძილო ღამეები. დაკარგული ოცნებანი ესახებოდა“.



ტ. შევჩენკო. სახელმწიფო მუზეუმი.  
1855 — 1856.





ტიხოვიჩმა ნათლად დაინახა, თუ როგორ ეჯავრებოდათ გლეხებს „ექიმი“ ფილოქსერისტები. იცოდა, რომ არა ერთმა და ორმა გლეხმა დაავლო ხელი თოფს და მოინდომა თავია მტრებთან გასწორება. მშრომელებს ეზარებათ მათი დამღუპველი „ექიმები“. მაგრამ რა ქნან, როგორ ებრძოლონ მათ: „მართალია, ექიმები პანები არიან, ხოლო პანები ყოველთვის გლეხების ხარჯზე ცხოვრობენ. სულელი გლეხები კი პანებისგან შეურაცყოფას ყოველთვის ითმენენ. როგორც ცხვრები, რომლებსაც კრეკენ და კვლავენ... მაგრამ კმარა. ზემფირი არ მოითმენს.. მოხდეს რაც მოსახდენია...“ — ამბობს ნაწარმოების მთავარი გმირი ზემფირ ნერონი.

მწერალი ვენასის გაჩანაგებისათვის ბრალს თვითმპყრობელურ ხელისუფლებას ადებს. „ხელისუფლებას, აღნიშნავს იგი, ბრძოლისათვის ფული ენანებოდა“. ხალხის ნაშრომი და ნაღვაწი კი არაა.

მ. კოციუბინსკიმ ტიხოვიჩი სულიერი კრიზისის მდგომარეობაში დატოვა. საფიქრებელი იყო, რომ ამის შემდეგ ადრინდელ ილუზიებთან კავშირი უთუოდ უნდა გაწყვეტილიყო. მოთხრობის ბოლო თავს ასეც ეწოდება „დასასრული თუ დასაწყისი?“ ალბათ, ხალხოსნური ილუზიების დამსხვრევის შემდეგ აქტიურ ბრძოლის დასაწყისს უნდა ველოდოთ... მწერალი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებდა.

მართალია, ზემფირისა და სხვა გლეხების პროტესტი ჯერ არაორგანიზებული. სტიქიური ხასიათის იყო. მაგრამ ის მმართველი კლასია, ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს კარგად გაიგეს მეფის მოხელეებმა: „მთელი მოთხრობა ძლიერ ტენდენციურად არის დაწერილი, და უბრალო გლეხია ხელში მოხვედრილს შეუძლია გაბოროტება და პირდაპირი წინააღმდეგობის გაწევა გამოიწვიოს ფილოქსერას გასანადგურებლად... წარმოებული მუშაობის დროს“, წერდა თავრიის ჟანდარმ-

თა სამმართველოს უფროსი. ცენზორმა გრაფმა გოლოვინმა აღნიშნა, რომ ამ ნაწარმოებს „მხოლოდ ზიზღი შეუძლია გამოიწვიოს ხელისუფლებისადმი“, ამიტომ მას „შეუძლებლად მიაჩნდა რუსეთში ბროშურის გავრცელება“.

1895 წელს მიხეილ კოციუბინსკი უკრაინის წარსულს გადახედავს, და ხალხური სიმღერებისა და თქმულებების საფუძველზე ქმნის ნაწარმოებს — „სიმღერების ფრთებზე“.

კოციუბინსკის მთელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო გულწრფელი სიყვარული ხალხისადმი, ყველა ერისადმი, მშრომელი ადამიანებისადმი და, ამავე დროს, შეუხელებელი ზიზღი ყველი ჯურის ბურჟუაზიისადმი. ეს განწყობილება გამოავლინა მწერალმა თათართა, მოლდაველთა და სხვა ერის ხალხთა ცხოვრებაზე შექმნილ ნაწარმოებებში.

მიხეილ კოციუბინსკი მოლდაველებსა და თათრებზე დაწერილ მოთხრობებში გვიხატავს პატრიარქალური ტრადიციების მსხვრევას, პიროვნების ძველი, ჩამორჩენილი შეხედულებიდან განთავისუფლებას („ქვაზე“, „კუდიანი“, „შითანის ქსელში“, „პე-კოპტიორი“, „მინარეთის ქვეშ“). მწერალი ამჩნევს ხალხთა ფენებში მიმდინარე სოციალურ პროცესებს. ასახავს რელიგიური ტყვეობისაგან თავის დასალწევად თათარ ქალთა ბრძოლას, სულთანის სტამბოლის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების მავნე მოქმედებას, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის — პანთურქიზმისა და პანსლავიზმის გავლენისაგან განთავისუფლებისათვის მშრომელი ხალხის ბრძოლას.

ჩამორჩენილი და გაუბედურებული გლეხებისა და სოფლის სურათებში აქა-იქ გამოკრთებიან ახალი ადამიანები, რომლებიც მათი დახმავებული რელიგიური შეხედულებებისა თუ პატრიარქალური ყოფის ბნელ ფონს რაღაც განსხვავებულს უმატებენ. მოთხრობაში „ადამიან-

ნურად“ კოციუბინსკი ბედისაგან დაწიხლულ ლატაკ გლენს გვიხატავს, რომელშიც გაიღვიძებს საკუთარი ღირსების გრძნობა, რომელიც ისწრაფვის ახალი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ, ცოდნისაკენ, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ არ იცის ნათელი ხვალისდელი დღის მოპოვების გზები, მისი ოცნება — იცხოვროს „აღამიანურად“, ოცნებადვე რჩება.

მიხეილ კოციუბინსკის იდეური და შემოქმედებითი ზრდა ხალხოსნების იდეური განადგურების წლებს დაემთხვა. 1890-იანი წლების დასასრულსა და 1900-იანი წლების დასაწყისს ანტიხალხოსნური თემა მწერლის შემოქმედებაში უფრო მძაფრსა და მწვავე ხასიათს იღებს.

ნაწარმოების „ყველას საკეთილდღეოდ“ მთავარი გმირი. დემოკრატიულად განწყობილი, ქეშმარიტად ჰუმანური იდეებისა და მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უნარის მქონე ტიხოვიჩი, მართალია. მარცხდება, მაგრამ ჩვენ კიდევ გვრჩება იმედი, რომ იგი კრიზისს მშვიდობიანად დააღწევს თავს. სრულიად სხვაგვარად არიან გააზრებულნი ხალხოსანი ეპიგონები მწერლის შემდგომი პერიოდის მოთხრობებში: „შავი მეფის ელჩი“ და „თოჯინა“.

„შავი მეფის ელჩის“ გმირი სოლონინა „ოქროს ახალგაზრდობის“ წარმომადგენელია. იგი მოდას გადაყოლილი, არისტოკრატიული მანერებისა და ბრწყინვალე მომავლის მქონე კაცი იყო. აი ეს პიროვნება აღმოჩნდა „სოფელში, სოფლის მეღუქნის“ როლში.

მწერალმა ასე შეუცვალა როლი ახალგაზრდა ვაჟკაცს. თუ „ანდრეი სოლოვეიკოსა“ და „ხოს“ გმირები „ხალხში“ მასწავლებლებად, ექიმებად მიდიოდნენ, სოლონინა ხელში ყველის საჭრელ ფართოპირიან დანას იკავებს და მეღუქნის გაქონილ წინსაფარს ირჩევს. ხალხოსანის ასეთი დაწვრილმანება ისტორიულად სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო.

მოთხრობა „თოჯინაც“ დეგრადირებული ხალხოსნუ-  
რი ინტელიგენციის მწვავე სატირაა. ნაწარმოების მთავა-  
რი გმირი რაისა ლევიცკაია ჯერ კიდევ სკოლის კედლე-  
ში გაიტაცა ხალხის სამსახურის იდეამ. კითხულობდა აკ-  
რძალულ ლიტერატურას, ემზადებოდა „ხალხში გაასვ-  
ლელად“. შემდეგ იგი ცამეტ წელს მასწავლებლობდა  
სოფლებში. მაგრამ „აუტანელი ხასიათის“. ეკლესიის ავ-  
ტორიტეტის უპატივცემულობის, გლეხებთან გადაკრუ-  
ლი საუბრებისა და „უფროსებთან“ და მღვდლებთან სის-  
ტემატური ბრძოლის გამო ლევიცკაია სოფლიდან გააძე-  
ვეს. იგი სხვა სოფელში მიემგზავრება მასწავლებლად.  
ახალ სამსახურში რაისა შეიცვლება. იგი ეგუება  
მღვდლის მიერ გლეხების შევიწროების ფაქტს და თვი-  
თონვე ხდება მისი გამგონე. კიდევ მეტი: ლევიცკაია  
უარყოფდა ღმერთს, ამ სოფელში კი იგი მღვდლის  
ყოველ ნაბიჯს ამართლებს და ბოლოს დაგვიანებული  
სიყვარული მის მონა-მორჩილადაც კი ხდის. მისი გრძნო-  
ბა რელიგიურ ექსტაზში გადაიზრდება.

„რაისა ბედს დამორჩილდა. იგი მორჩილად იტანდა  
მამაო ვასილის უხეშობას. მის დაცინებებს... იგი სიამოვნე-  
ბით მისცემდა მას თავისი გულის სისხლის უკანასკნელ  
წვეთს. მას რომ რაისა წიხლის კვრით გარეთ გამოეგდო,  
როგორც შემოხეტებული ძაღლი. იგი სიყვარულითა და  
მორჩილებით ემთხვეოდა ამ ფეხს“. ვონებადაბინდულ-  
მა რაისა ლევიცკაიამ ლოთი და ავყია ვასილი ხატად გა-  
ინადა. „იგი მუხლებზე დაჩოქილი თვალს არ აშორებდა  
მამა ვასილის პორტრეტს. ფიქრობდა ქრისტეზე... თავი-  
ნი გულის სიღრმიდან მასზე ლოცვანს აღავლენდა“.

აი სადამდე დაეცა „ხალხის“ სამსახურისათვის თავდა-  
დებული ქალი. როგორ სასტიკად დასაჯა ავტორმა ხალ-  
ხოსნურად განწყობილი ბურჟუაზიული კულტუროსანი,  
რომელმაც ხალხს უღალატა.

თუ მ. კოციუბინსკი ზღაპარში „ხო“ აკრიტიკებდა

მშიშარა „უკრაინოფილებს“. ხოლო მოთხრობაში „ყვე-  
ლან საკეთილდღეოდ“ ხალხოსნების „მცირე საქმეთა“  
უწაფუძვლობასა და უსიკოცხლობას ავლენდა. ნოველა-  
ში „თოჯინა“ მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა ბურჟუა-  
ზიული კულტუროსნები.

თავის დროს „თოჯინა“ ჩეხოვის ნაწარმოებს „საზი-  
დარზე“ შეადარეს, ხოლო ზღაპარში „ჩეხოვის სუნთქვა“  
ივრძნეს.

კოციუბინსკი თანამედროვეთა შორის ჰუმბარტ გმირს  
ექებდა. მწერალმა უკრაინელი ხალხის ისტორიულ წარ-  
სულში გადაიხედა. მოთხრობაში „ძვირ ფასად“ (1901 წ.)  
ოსტაპისა და სოლომიას მგზნებარე სიყვარულის ისტო-  
რიას ექსოვება ნაწარმოების ძირითადი თემა თავისუფ-  
ლებიან და ადამიანური ცხოვრებისათვის თავგანწირული  
ბრძოლა.

„კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებული უკრაინელი  
გლეხობა პანების უღელქვეშ ყრულ დრტვინავდა. იგი,  
ძალას დამორჩილებული, უღელს ეწეოდა, თუმცა ხანდა-  
ხან სიბრაზისაგან თვალეზი უსისხლიანდებოდა, და მან-  
შინ... რქებს“ აიშვერდა ხოლმე.

პანის კარზე მძიმე ცხოვრებამ, არაადამიანურმა ჩაგე-  
რამ და გლეხის თავმოყვარეობის დაწიხლვამ ბევრი უკრა-  
ინელი გააქცია ღუნანის იქითა მხარეს. ბევრმა მათგანმა  
თავისუფლებისათვის სიკოცხლე გასწირა. ოსტაპ მანდ-  
რიკა და სოლომიაც იქ ფიქრობდნენ ბედნიერების  
პოვნას.

მხატვრული სახეები ოსტაპისა და სოლომიასი, რომ-  
ლებმაც პანის უღელქვეშ გმინვას სიკვდილი არჩიეს, მი-  
ხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში ახალი სიტყვაა.  
განსაკუთრებით მიმზიდველია ლამაზი და ფაქიზი. სატრ-  
ფოს ერთგული მეგობარი სოლომიცა, რომელსაც ურყე-  
ვად აქვს გადაწყვეტილი, რადაც არ უნდა დაუჯდეს  
თავისუფლება მოიპოვოს. იგი ცხოვრების ყოველ გამოც-

დას გმირულად იტანა. ძვირად უჯდება მათ თავისუფლები-  
ბისაქენ სწრაფვა ოსტაპის გადასარჩენად თავგამეტე-  
ბულს დუნაის ცივი ტალღები ჩაიხუტებენ და აბობოქრე-  
ბულ სულს სამუდამო სიმშვიდეს მოუპოვებენ.

ოსტაპის, სოლომიასა და კატიგოროშეკის სახეებში მწე-  
რალმა უკრაინელი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სუ-  
ლი განასახიერა, მონობისა და ჩავკრისადმი ამ ხალხის  
შეურიგებლობა დაგვანახვა.

ამ ნაწარმოების ჩანაფიქრი საერთო რევოლუციური  
აღმავლობით იყო ნაკარნახევი. ქარიშხლის მოახლოების  
უამს უკრაინელი მწერალი თავისი ხალხის წინაშე ერის  
გმირულ ტრადიციებს აცოცხლებდა და თავისუფლებისა-  
ქენ უბრალო გლეხების სწრაფვაში, ბედნიერი ცხოვრე-  
ბისათვის მათ ბრძოლასა და ტანჯვაში თანამედროვე სა-  
ზოგადოებისათვის ცხოვრების, შრომის, მოღვაწეობის  
სიმბოლოებას ხედავდა. კოციუბინსკის ამ მოთხრობაში  
დასკეჟა თავისუფლებისა და ბედნიერების უძლეველ-  
მა, ქედუხრელმა ჰიმნმა და მთვლემარე ინტელიგენცია.  
თავჩაქინდრული გლეხი თუ მუშა გამოაფხიზლა, გაამხნე-  
ვა და საბრძოლველად ფეხზე წამოაყენა.

უკრაინელი მწერლის ეს მოთხრობა მისი მასწავლებ-  
ლისა და მეგობრის, დიდი პროლეტარული მწერლის  
მაქსიმ გორკის შემოქმედების საერთო სულს ეხმაურებო-  
და. განსაკუთრებით კი მისი ტონალობა თანხვედბოდა ნა-  
წარმოების „სიმღერა ქარიშხალაზე“ ტონალობას. საერ-  
თო-სახალხო ბრძოლის გარიყრაჟზე მიხეილ კოციუბი-  
ნსკის მოთხრობამ „ძვირ ფასად“ რევოლუციურად გან-  
წყობილი ადამიანების სულისკვეთება გამოხატა.

1900-იანი წლების დასაწყისში მიხეილ კოციუბინს-  
კის სახელი, როგორც გამოჩენილი მწერლისა, საკმაოდ  
ნაცნობი გახდა როგორც უკრაინელი, ისე რუსი მკითხვე-  
ლისათვის. ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა გამომუშა-  
ვებული წერის საკუთარი სტილი და მინიშნებული —

თემებისა და სიუჟეტების პორიზონტი. იგი მხოლოდ ისეთ მოვლენებზე წერდა, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობდა, რაღაც „საზოგადოებრივი ინტერესი ჰქონდა“. კოციუბინსკის პირველი ლიტერატურული ნაბიჯები მოთხრობების შექმნით აღინიშნა.

მწერალი სისტემატურად და ბეჯითად შრომობდა წერის სტილსა თუ ნაწარმოების იდეის დახვეწაზე. მისი მოთხრობების ენა დროთა განმავლობაში სულ უფრო ზუსტი და ტიპისა და მოვლენის ლაკონურად ამსახველი ხდებოდა. ასევე იძერწებოდა გმირთა ფსიქოლოგიის გადმოცემისა თუ მათ მოქმედებათა მოტივაციის ავტორისეული ოსტატობა. მწერალი ეწაფებოდა ხალხურ სიმღერებს, თქმულებებსა და ლეგენდებს, მისი შემოქმედებითი აღმაფრენის ამ წყაროს. „სიმღერის ხმები, რომლებიც ჩემს ყურს სწვდებოდნენ,—წერდა იგი.—ჩემ თვალთა წინ ფერებად ლაგდებოდნენ, გასაოცარი სიმკვეთრით მიხატავდნენ მთელ რიგ მხატვრულ სახეებს“. ყურადღებას ისიც იპყრობს, რომ მ. კოციუბინსკი პროზაულ ნაწარმოებებს თავისებურად ფერებში ხედავდა. ავტორი თავისი მოთხრობების ფორმის, თუ გნებავთ, ქანრის კოლორიტის უფრო მკვეთრად გამოსახატავად ფერწერულ განმარტებებს მიმართავდა. ასე გაჩნდა ნაწარმოების საერთო სათაურის ქვეშ წარწერა—ეტიუდი. ჩანახატი. აკვარელი.

ბუნება უკრაინელი მწერლის ახლო მეგობარი იყო. ფერთა გამაში წარმოაახულ პეიზაჟს ავტორი არაერთგზის ასრულებინებდა პირველი ვიოლინოს როლს.

1890-იანი და 1900-იანი წლების დამდევისათვის მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში რეალიზმი ახალ სიმაღლეებს სძლევა. მწერალი სინამდვილეს ასახავდა თავის განვითარებაში. გვისურათებდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ ძვრებს. გვიჩვენებდა იმ ახალს, რაც იბადებოდა ცხოვრებაში. ავტორი მოვლენათა მაღალმხატვრუ-

ლი ანალიზის საფუძველზე გვარწმუნებდა მომავალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის მებრძოლთა უძლეველობაში და მნიშვნელოვანი. აქტუალური პრობლემების დამუშავებისას პროტესტანტთა და რევოლუციონერთა ნათელ სახეებს წარმოგვიდგენდა.

მწერალი ამხელდა კონსერვატორობასა და პატრიარქალურ ჩამორჩენილობას, ამსხვრევდა ხალხოსან-კულტუროსანთა ილუზიებს.

უკრაინელი კლასიკოსების მარკო ვოვჩოკის, ტარას შევჩენკოს, პანას მირნისა და სხვათა მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისებითა და მოწინავე რუსი მწერლების გლებ უსპენსკის, სალტიკოვ-შჩედრინის, კოროლენკოს, ჩეხოვისა და მაქსიმ გორკის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით მიხეილ კოციუბინსკი დიდ შემოქმედებით წარმატებებს აღწევდა.

ლათაკ და ბეჩავ ადამიანთა ულიმლამო ცხოვრების ამსახველიდან მიხეილ კოციუბინსკი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მომღერლად გადაიქცა.

კოციუბინსკი დიდად იყო დაინტერესებული რუსული და უცხოური ლიტერატურითა და ხელოვნებით. ეცნობოდა გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებებს, ესწრებოდა სპექტაკლებს. თავის მხრივ იგი არ იშურებდა ძალღონეს ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

კოციუბინსკი ლიტერატურულ კათედრას, ლეგალურ კულტურულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პრესას, ყოველგვარ საშუალებებს იყენებდა თვითმპყრობელური წყობილების ბოროტების სამხილებლად და რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის, ბედნიერი ხვალისნდელი დღის მიმზიდველი სურათების დასახატავად.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა უკრაინელი და ქართველი ინტელიგენციის მეგობრობის დამადასტურებელი



კიდევ ერთი ნაბიჯი. რომლის ერთ-ერთი ინიციატორი მიხეილ კოციუბინსკი იყო.

როგორც ცნობლია. 1898 წელს საქართველოს საზოგადოებამ გადაწყვიტა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილის აღნიშვნა. შექმნეს კომიტეტიც. მაგრამ მეფის ხელისუფლება ილიას კარგი თვლით არ უყურებდა და მისი პოპულარობის უფრო გაზრდა არაფერად ეპიტნავენბოდა. ამიტომაც მან აკრძალა ამ ღონისძიების ჩატარება. საზოგადოებას მაინც განუზრახავს იუბილის არაოფიციალურ ვითარებაში მოწყობა. მაგრამ ისევ მთავრობის ჩარევის შედეგად არც ეს მოხერხებულა.

ამგვარი დევნის ვითარებაში ქართველ ხალხს ხმა მოაწვდინეს და გვერდში ამოუდგნენ უკრაინელი თანამოძმენი. ისინი ადრესს უვზავნიან ილია ჭავჭავაძეს. ადრესში ნათქვამი იყო:

„ხალხის წინაშე. რომელმაც მოიპოვა თავისუფლება და დაუოკებლად მიისწრაფვის უკეთესი ცხოვრებისაკენ თავსა ვხრით; ჩვენი ხალხი დამონებულია, მაგრამ მისი გული თავისუფლებისაკენ მოგვიწოდებს.

საქართველო. ეს მომაჯადოვებელი ქვეყანა, რომელიც სამოთხე შეიძლებოდა ყოფილიყო დედამიწაზე. ჩვენს უკრაინასთან ერთად იზიარებს უწყალო ბედს. ისეთივე უცხო რეჟიმი, ისეთივე ჩაგვრა ხალხის ცოცხალი გულისამისანი სული ჩვენი პოეტის შევჩენკოსი, დაჰფრენდა რა მშვენიერ საქართველოს. ასე გვიხატავდა თქვენს ქვეყანას პოემა „კაეკასში“:

მთების იქით მთები. შებურვილი ნისლით.  
მწუხარებით სავსე და მორწყული სისხლით.

ძველთაგანვე პრომეთოსს  
აქ არწივი სძიძგნის,  
გულს უკორტნის, მოთქრიალებს  
ნაკადული სისხლის.

ეწაფება და ვერ აშრობს  
სისხლის ცხოველ წყაროს,  
გული ისევ მიცოცხლდება,  
ძველებურად ხარობს.

ააუ ღიადი გული პრომეთეოსისა, რომელმაც მოიპოვა  
კაცობრიობისათვისა ღვთაებრივი ნაპერწკალი. არ უშინ-  
დება ველური ძალის სასჯელს. არაა საბოლოოდ დამსხვ-  
რეული, იგი ცოცხლდება პოეტი-პატრიოტების, ხალხის  
ბედნიერებისათვის მებრძოლთა გულში. რომელთაც ეკუ-  
თვნით თქვენ, დიდად პატივცემულ ბატონო!

რაც არ უნდა ქნას მტერმა, იგი მაინც ვერ შებოროკავს  
კაცის სიტყვას, რომ სიმართლეს ერთვის!

ამის დამადასტურებელია თქვენი ლიტერატურა. რო-  
მელიც რაც ხანი გადის უფრო და უფრო ვითარდება.

ამ ლიტერატურაში კი, არც თუ ისე დიდში რიცხობ-  
რივად, მაგრამ ძლიერში სულისკვეთებით ხალხისა, თქვე-  
ნი სახელი საპატიო ადგილს იკავებს.

თქვენი ღიღება კარგა ხანია გასცდა კავკასიის საზღვ-  
რებს; და ჩვენ, უკრაინელებს უკვე გვქონდა ბედნიერება  
უდიდესი სიამოვნებით წაგვეკითხა ზოგი თქვენი ნაწარ-  
მოები ჩვენს ენაზე. და ისინი ისევე მოგვხვდა გულს, რო-  
გორც თქვენი თანამემამულეების გულებს.

დღეს, როდესაც აფასებს რა თქვენს ხანგრძლივ შრო-  
მას მშობლიური ლიტერატურის ასპარეზზე, თქვენ გი-  
ლოცავთ თქვენი ხალხი, ჩვენ, შვილები იმ ხალხისა, რომე-  
ლიც ერთ ბედს იზიარებს თქვენთან ერთად. და როგორც  
თქვენ, ისე საკუთარ თავსაც უსურვებს განვითარებას,  
კუერთებთ ჩვენს ხმას იმ გუნდს, რომელიც თქვენ გიმ-  
ღერთ დიდებას. დიდება დიდ პოეტ-პატრიოტს. იცოცხ-  
ლეთ კიდევ მრავალ წელს თქვენი ხალხისა და კაცო-  
ბრიობის საკეთილდღეოდ. თქვენი შრომა — ეს ხალხის  
სულისკვეთების სიცოცხლისათვის ბრძოლაა, და ჩვენ  
დარწმუნებული ვართ, რომ ეს ბრძოლა არ მისცემს მას

დალუპვის საშუალებას. დასასრულს, ჩვენი პოეტის სიტყვებით ვიტყვი: „იბრძოლეთ გაიმარჯვებთ“.

ჩერნიგოვის მუსიკალურ-დრამატიული წრის სახელით მწერალი გამოჩენილ უკრაინელ კომპოზიტორ ნ. ვ. ლიხენკოს მისი მოღვაწეობის ოცდამეთხუთმეტე წლისთავზე უგზავნის მილოცვას.

კოციუბინსკი იყო საგუბერნიო-საარქივო კომისიის აქტიური წევრი და სულის ჩამდგმელიც კი. მან მისცა ამ კომისიის მუშაობას ჭეშმარიტად მეცნიერული და საზოგადოებრივად აქტუალური და საინტერესო მიმართულება. მისთვის შეადგინა მწერალმა ხალხური შემოქმედების, ბანდურისტებისა და ლირნიკების შესახებ მასალების შესაგროვებელი პროგრამა. მანვე შეკრაბა ახალი მასალები გლებ უსპენსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და სსვ.

უკრაინელი მწერლის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა კვლავ იპყრობს ეანდარმერიისა და გუბერნატორის ყურადღებას. პოლიციის დეპარტამენტში სასწრაფოდ იგზავნება საიდუმლო მოხსენებები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ საარქივო კომისიის სექციებში „...არის რაღაც საუბრები, კითხულობენ რეფერატებს, მაგრამ ყოველგვარი ზედამხედველობისა და კონტროლის გარეშე“. ხოლო რაც მთავარია ბიბლიოთეკა და საარქივო კომისია მათი ახლანდელი შემადგენლობით გახდნენ დანაშაულებრივი მოღვაწეობის კერა...“<sup>1</sup>. გუბერნატორმა ხვოსტოვმა მანამ არ მოისვენა. სანამ არ დაარბია კომისია, „გასწმინდა“ იგი „არასაიმედო“ პირებისაგან და თვითონ არ ჩაუდგა სათავეში მის მუშაობას.

1903 წლის სექტემბერში პოლტავაში გაიმართა ზეიმი ი. პ. კოტლიარევსკის ძეგლის გახსნის გამო. მოწინავე ინტელიგენციამ კოციუბინსკი ამ დღესასწაულზე დელეგატად წარგზავნა. აქ შეხვდა იგი პირველად ლესია უკ-

<sup>1</sup> ცსიამ, ფ. 3. დ., ს. 1840, გვ. 9. \*

რაინკას, ვასილ სტეფანიკს, პანას მირნისა და ვ. გ. კოროლენკოს.

კოციუბინსკის გულთბილი მიმოწერა ფრანკოსთან, ლესია უკრაინკასთან, სტეფანიკთან, პანას მირნიათან, კობილიანსკაიასთან, მარტოვიჩთან და სხვებთან ერთგვარად ცხადყოფს პროგრესულ მწერლებთან მის მჭიდრო კავშირსა და ახლო ურთიერთობას.

მწერალი თავყანას სცემდა პანას მირნის შემოქმედებას. მიაჩნდა თავის მასწავლებლად და „ჩვენი ლიტერატურის ძალად და მშვენებად“. კოციუბინსკი დიდად აფასებდა სტეფანიკის, მარტოვიჩისა და კობილიანსკაიას ნიჭსა და გემოვნებას და არაერთგზის აღნიშნავდა, რომ მათს შემოქმედებას უკრაინული ლიტერატურისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდაო.

კოციუბინსკი დაყინებით იბრძოდა უკრაინული ლიტერატურის მოწინავე, დემოკრატიული ძალების გასაერთიანებლად. რადგანაც მიაჩნდა, რომ ეს გაერთიანება მხოლოდ სიკეთეს თუ მოუტანდა უკრაინელ ხალხსა და ლიტერატურას. მწერალი აყალიბებს და ხელსაც უწყობს გამომცემლობასა და გამოცემებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ლიტერატურაში დემოკრატიული ტენდენციებისა და რეალისტური მეთოდის განვითარებასა და განმტკიცებას. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს აღმანახების „მუხის ფოთოლი“ (1903) და „ცხოვრების ნაკადიდან“ (1905) შექმნასა და რედაქტირებაში.

1899 წელს ლვოვში გამოდის კოციუბინსკის მოთხრობების პირველი კრებული — „შაითანის ბადეში“; რუსულ ეურნალში „ეიზნ“ ქვეყნდება მოთხრობის „ყველას საკეთილდღეოდ“ რუსული თარგმანი; იმავე წელს კიევში იბეჭდება მისი ნაწარმოებების კრებული „მოთხრობები და სხვა“. 1900 წელს ლვოვში გამოდის მწერლის მოთხრობების მეორე კრებული — „ადამიანურად“, ხოლო 1903 წელს მესამე, სათაურით — „ორთაბრძოლა“.

ახლოვდებოდა 1905 წელი. რუსეთის საზოგადოებრივი სხეული რაღაც საშინელია მოლოდინში აიბურძკვლა. ყველა რაღაცას მოელოდა. ყველა ემზადებოდა.

და აი დადგა უამი რევოლუციისა. ქვეყანა ცეცხლია ალში გაეხვია, ხალხის აზვირთებული ტალღა ცარიზმის ძველი ციხე-სიმაგრის კედლებს გამეტებით მიაწყდა. თავისუფლებისა და ადამიანური ცხოვრებისათვის აღიმალლა ხმა ხალხმა.

განუზომელია 1905 წლის რევოლუცია, მნიშვნელობა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუცია ქეშმარიტად სახალსო რევოლუცია იყო, რადგან „რუსეთის 1905-1907 წლების ბურჟუაზიული რევოლუცია. თუმცა მას არა ჰქონია ისეთი „ბრწყინვალე“ წარმატებანი, როგორც ხანდახან წილად ივდებოდა ხოლმე პორტუგალიისა და თურქეთის რევოლუციებს. მაინც. უეჭველია, „ნამდვილი ხალხური“ რევოლუცია იყო. ვინაიდან ხალხის მასა. მისი უმრავლესობა. საზოგადოების უღრმესი „ქვედაფენები“. ჩაკვრიოთა და ექსპლოატაციით გაარესილნი, დამოუკიდებლად დგებოდნენ ფეხზე. მათ რევოლუცია მთელ მსვლელობას დაასვეს ბეჭედი თავიანთი მოთხოვნებისა. თავიანთი ცდებისა — თავისებურად აეშენებინათ ახალი საზოგადოება ძველი საზოგადოების ნაცვლად. რომელსაც ისინი ანგრევდნენ“<sup>1</sup>. ვ. ი. ლენინი ამასთანავე იმ ცვლილებებსაც აღნიშნავდა. რომელიც რევოლუციამ ხალხთა შეგნებაში შეიტანა. „პირველმა რევოლუციამ (1905 წ.) ღრმად გათხარა ნიადაგი, აღმოფხვრა საუკუნეობრივი ცრურწმენანი. პოლიტიკური ცხოვრებისა და პოლიტიკუ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 25, გვ. 512—513.

რი ბრძოლისათვის გამოაღვიძა მილიონობით მუშები და ათეულ მილიონობით გლეხები. დაანახვა ერთმანეთს და მთელ მსოფლიოს რუსეთის საზოგადოების ყველა კლასი (და ყველა მთავარი პარტია), დაანახვა მათი ნამდვილი ბუნება, მათი ინტერესების ნამდვილი თანაფარდობა, მათი ძალები, მათი მოქმედების საშუალებანი, მათი უახლოესი და უშორესი მიზნები“<sup>1</sup>.

ლენინი საგანგებოდ მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსისა, იგი ბრძოლის საშუალებებით მაინც პროლეტარული იყო. პროლეტარიატი პირველ რუსულ რევოლუციაში წამყვან როლს ასრულებდა.

რუსეთი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი ხდებოდა. თვით რევოლუციის სპეციფიკა, 1900-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის თავისებურება, გვიხსნის იმ ღრმა ცვლილებებს, რომლებიც იმ პერიოდის ლიტერატურულ სამყაროში ხდებოდა.

დეკადენტობისა და სხვა იდეოლოგიური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცდება და ვაჟაკდება რეალისტური მიმართულება რუსულ და უკრაინულ ლიტერატურაში.

რევოლუციის პერიოდში ქალაქის ქუჩებსა თუ სოფლის მოედნებზე. გზაჯვარედინებზე თუ ბარაკადებზე სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებები ხდებოდა; ამ დროს მიხეილ კოციუბინსკი საერთო-სახალხო საქმეს ვერ განუდგებოდა. რევოლუციამ აამალა მასში მოქალაქის გრძნობა-მოვალეობა, უკრაინელმა მწერალმა და მოღვაწემ თავისი პროტესტის ხმა შეუერთა ათასობით ადამიანის გულისწყრომას.

1905 წლის 9 იანვარს ჩერნიგოვის საზოგადოებრივი

---

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 394.

ბიბლიოთეკის საერთო კრებაზე მიხეილ კოციუბინსკი გამოვიდა მოთხოვნით გაუქმდეს ცენზურა ყველა მხატვრულ ნაწარმოებზე, რომელ ენაზეც არ უნდა იყოს იგი დაწერილი. მწერალი თავის გამოსვლაში ყურადღებას განსაკუთრებით ცარიზმის მიერ კოლონიალურ ჩაგვრაში მოქცეულ ხალხთა ლიტერატურაზე ამახვილებდა. „თურუსულ ბეჭდვით აიტყვას ცენზურა მათრახებით სცემს, მალოროსიულს მორიელებით სდევნის“ — ამბობდა იგი.

კოციუბინსკის გამოსვლას ენერგიულად დაუჭირეს მხარი ჩერნიგოველმა სოციალ-დემოკრატებმა, ნ. ა. ჩერლიუენჩაევიჩმა და სხვებმა.

1905 წლის გაზაფხულზე კოციუბინსკი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საზღვარგარეთ მიემგზავრება. ექიმებთან კონსულტაციისა და მათი რჩევა-დარჩევების შესრულების შემდეგ იგი სამშობლოში ბრუნდება.

1905 წლის ოქტომბერში მწერალი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩერნიგოვის სათემო საბჭოს მოსამსახურეთა გაფიცვაში, რომლის ორგანიზატორიც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყო. ამ გაფიცვამ ისედაც შეშფოთებული ხელისუფლება სულ ააფორიქა. დაიწყეს ჩხრეკა, დაკითხვები, დამუქრებანი. ერთ-ერთ ბარათში კოციუბინსკი იხსენიებს, რომ „რაჰდენიშე დღის წინ კაზაკთა თოფების ლულების წინ მოგვიხდა დგომა და ლოდინი, როდის დავეცემოდით დახოცილები“<sup>1</sup>.

მწერალმა სწორად გაიგო მეფის მანიფესტი 1905 წლის 17 ოქტომბრისა, როგორც ხალხის მოტყუების ცდა. „სიტყვები სხვაა და საქმენი სხვაო“ — ასეთი შეფასება მისცა მან მეფის ტაქტიკას იმ დღეებში. კოციუბინსკიმ ამხილა მანიფესტის პროვოკაციული ხასიათი. „პროვ-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 185.

ნების კემშარიტი ხელშეუხებლობის უკვე იმდენი დამადასტურებელი საბუთი მოგვეცეს, წერდა იგი, — როდესაც მანიფესტის გამოცხადების დღეს ბავშვები ხიშტებზე წამოაგეს და ხმლებით აჩეხეს... რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანთა ახლანდელი დაპატიმრებანი მსოლოდ უკეთესად უკეთებენ ილუსტრირებას იმ... „თავისუფლებას“<sup>1</sup>.

მწერალმა ადვილად შენიშნა და სხვასაც მიუთითა იმ ფაქტზე, რომ სწორედ მანიფესტის ტყბილი სიტყვების შემდეგ გააძლიერა მეფის ხელისუფლებამ რეპრესიები, მშრომელი ხალხის დევნა. თავისუფალი აზრის გამოთქმის წინააღმდეგ ბრძოლა. „ჩვენთან ახლა ე. წ. „გაძლიერებული დაცვაა“. აღნიშნავდა იგი. ჩვენ თავმოყრის უფლებაც კი არა გვაქვს... შეუძლიათ ყოველი ჩვენთაგანის სასამართლოს გარეშე დაპატიმრება და 24 საათში გადააახლებდნენ... კალმია ერთი მოაპით შეუძლიათ ადგილის წართმევა. მათრახებით ანდა ხმლებით დასახიჩრება.

ჩვენ ახლა კანონგარეშე ვართ“<sup>2</sup>.

კოციუბინსკის კარგად ესმოდა, რომ ასეთ ვითარებაში მყოფ ხალხს ერთადერთი გზა ჰქონდა — საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება. სხვა გზით თვითმპყრობელობის დამხობა და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის დამყარება შეუძლებელი იყო. „ჩვენთან ყველგან ერთი აზრია გაბატონებული. — ატყობინებს იგი ვ. გ. გნატოუსს. — რომ. სანამ წყნარ და კულტურულ ცხოვრებას მივალწევდეთ, მოხდება საერთო აჯანყება, რომელიც მთელ ძველ პოლიტიკურ წყობილებას წალეკავს... ნაციონალურობის განუჩეველად ყველანი იკრებენ ძალას, რა-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. VII, უკრაინის სახელგამი, 1930 წ., გვ. 219—220.

<sup>2</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 190.





ტ. შუენიქო. ნოეობტროვსკის სიმაგრე  
ზღუდანი. 1856—1857.



თა საერთო მტერი დაამხონ“<sup>1</sup>. ამავე აზრს მწერალი სხვაგანაც მტკიცედ იმეორებს. მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების წინ კოციუბინსკი წერდა ივანე ფრანკოს: „ჩვენთან ყველანი იმედებს მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლო შექიდებაზე ამყარებენ, რომელშიაც ან დავილუპებით. ანდა ვავიმარჯვებთ. ბეც ოპტიმიზმს ადგილი არა აქვს. ახლა შეუძლებელია რაიმე შემოქმედებითი მუშაობა. ჩვენ... ვულკანზე ვცხოვრობთ. ანდა. უფრო უკეთესად. ჩვენ თვითონ ვართ ის ვულკანი, რომლის ხახაც ბრმა ხელი-უფლებას უნდა ნაფოტებით ამოავსოს და ამგვარად შეაჩეროს ამოხეთქვა“<sup>2</sup>.

1905—1907 წლებში ჩერნიგოვში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. როგორც კოციუბინსკის ბიოგრაფები ფიქრობენ, მწერალი იცნობდა ამ ორგანიზაციის წევრებს ნ. ჩერლიუნჩაქევიჩსა და ს. სუვოროვს (ბორისოვს). ეს უკანასკნელი 1906 წელს ბოლშევიკების მხარეზე იყო. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობია წევრებთან აეთი პირადი კონტაქტი და ახლო ურთიერთობა უთუო გავლენას ახდენდა მწერლის მსოფლმხედველობასა და მის საზოგადოებრივ პოზიციებზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამიტომაც იყო მწერლის ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი რწმენა ხალხის ნათელ მომავალზე ასე მტკიცე და ურყევი რეაქციის გამარჯვების შემდეგაც. სტოლიპინის რეაქციის მძვინვარების პერიოდში იგი ვაჟკაცური შემართებით ამხნევებდა ბრძოლით მოქანცულ მშრომელებს და ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენას უნერგავდა მათ. „იგი მოვა, ეს ახალი ცხოვრება, — ამბობდა მწერალი. — მოვა ახალი სიკეთე, მხოლოდ უნდა დავამსხვრიოთ უსამართლობის სალი კლდე და სინათლისაკენ გავიქრათ, ახალი ცხოვ-

1 მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 189.

2 იქვე, გვ. 122.

რებისაკენ, საკუთარი ძვლებითაც რომ მოგვიხდეს გზის მოფენა<sup>1</sup>. ასე ღრმად სჯეროდა კოციუბინსკის სიმართლის გამარჯვებისა.

## „FATA MORGANA“

ხალხთა გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეას მიხეილ კოციუბინსკიმ ფართო ტილო მიუძღვნა. მოთხრობა „Fata morgana“ უკრაინული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია 1905—1907 წლების რევოლუციაზე. იგი რვა წლის განმავლობაში იწერებოდა.

მოთხრობაში აისახა რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი დროის უკრაინის ცხოვრების სინამდვილე. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე პერიოდი, რომელმაც ხალხისა და ქვეყნის შემდგომ არსებობას გარკვეული გზა მიუჩინა.

მიხეილ კოციუბინსკი ნაწარმოების შექმნის დროს ჩერნიგოვის საგუბერნიო საერობო სამმართველოში მუშაობდა და საშუალება ჰქონდა საფუძვლიანად შეესწავლა უკრაინული სოფლებისა და გლეხების ეკონომიური მდგომარეობა. გააცნობოდა მღელვარების, გაფიცების, მემამულეთა მინდვრებისა და ფაბრიკა-ქარხნების გადარწის მასალებს.

1902 წლის გაზაფხულზე მძვინვარე ეკონომიური კრიზისით გადატაკებული ხარკოვის, პოლტავისა და სხვა გუბერნიების გლეხობა აუჯანყდა მემამულეებს, დაიწყო მათი ქონების დატაცება და მოინდომა მიწების დანაწილება. მეფის ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ დამსჯელი რაზმები გაგზავნა. უკრაინის ამ მღელვარებაზე წერდა ლენინი შრომაში „სოფლის ღარიბებს“.

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 48—49.

მოთხრობის პირველი ნაწილი აგვისაბავს უკრაინული სოფლისა და გლეხობის მდგომარეობასა და განწყობილებას რევოლუციის წინა პერიოდში. ავტორი რეალისტური მეთოდის მომარჯვებით კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოციალურ უსამართლობას ამსვლს.

მწერალმა სიუჟეტის საფუძვლად რეალური სინამდვილე აიღო; ეკონომიურმა კრიზისმა გააჩანაგა სოფლის მეურნეობა. დაიწყო შიმშილი. გლეხი იძულებული გახდა დაეტოვებია სახლი და სარჩო სხვაგან ეძებნა. მომრავლდნენ „ზარობიტჩანები“ სამუშაოს მაძიებელთა ლაშქარი გამწვრივდა სოფლის გზაზე.

„ხალხი გამწვრივდა გზაზე... მოდის ახალი ჯგუფი... კიდევ რიგი... მოდიან და მოდიან. მიემართებოან სადმე თავრიისაკენ ან ყუზბანისაკენ. ესეც შენი ოჯახის კაცები, პურის მკელები... საკუთარი მიწა ითხოვს ხელებს, მან კი აიკრა გუდა-ნაბდი და ჰაიდა...“<sup>1</sup>. შიმშილისაგან სახლიდან გამოქცეული და საშოვარზე წასული გლეხების ანეთ სურათს გვაძლევს მ. კოცუბინსკი ჯერ კიდევ ნაწარმოების შესავალშივე.

ლუკმაპურის საძიებლად გამოსული ხალხი ექსპლოატატორი მემამულისათვის ნამდვილი განძი იყო. მუშანქლის სიმრავლის გამო მემამულეებმა იხელიეს დრო და დასწიეს შრომის ანაზღაურების ფაჩი. გლეხები იძულებულნი იყვნენ მცირედით დაკმაყოფილებულიყვნენ, მაგრამ სამუშაოს პოვნაც ძნელი გახდა. ეს ფაქტიც ერთგვარად აისახა ნაწარმოებში. საშოვარზე წასული ერთერთი მთავარი გმირი პროკოპი სახლში „დაბრუნდა ხმა გავრცელდა — მას ბედმა არ გაუღიმაო. ჯერ სამუშაოზე ვერ მოეწყო — ხალხი საჭიროზე ბევრი გამოჩნდა, და ფასიც დაეცა; შემდეგ კახოვკაში ავად გახდა და ერთ თვეს იწვა, მერე თავრიისაკენ აიღო გეზი, ბოლო იქიდან

<sup>1</sup> მ. კოცუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 8.

შავი ზღვის სანაპიროზეც კი მოხვდა. დაბრუნდა ტან-საცმელშემოფლეთილი. ავადმყოფი და უფულოდ”<sup>1</sup>.

როგორც დასკვნითი აკორდი ისე ქლერს ნაწარმოების პირველი ნაწილის დასასრულს ხალხის უბედურების, შიმშილისა და სიღატაკის მაუწყებელი მწუხარე მოტივა: „პატარა ჩაშავებული მტირალა სარკმელი. იქიდან ზედავს ორივე — ანდრიაცა და მალანკაც. — ატალახებული. გადათელილი გზით როგორ მიემართება ხალხი საშოვარზე. მიდიან და მიდიან თავჩაქინდრულნი. გაწუწულები, როგორც ჯგუფს მოწყვეტილი ფეხმოტეხილი წეროები, როგორც შემოდგომის წვიმა. მიემართებიან და უჩინარდებიან ბნელით მოცულ უსასრულობაში...“<sup>2</sup>.

„*Fata morgana*“-ში ავტორმა გლეხთა განწყობილება აგვისახა. ყველა ოცნებობს ბედნიერ მომავალზე. მაგრამ ყველას თავისებურად წარმოუდგენია ხვალისდელი დღეც და ბედნიერებაც. ერთი (სოფლის პროლეტარი ანდრეი ვოლიკი) თავის იმედებს შაქრის ქარხნის აღდგენას უკავშირებს. მეორე (მისი მეუღლე მალანკა) მიწის დანაწილებაზე ოცნებობს და მასზე ამყარებს მთელ იმედებს. მესამე (დაქირავებული მუშა ხომა გუძი) მემამულეებზე შურისძიებას მათი კარნიდამოს გადაწვით ფიქრობს და ა. შ. ნაწარმოებში საერთო ის არის, რომ ყველა შფოთავს. ყველა ღელავს. ყველა რაღაცის მოლოდინშია. სოფლის გლეხობის მხატვრულ საბუნებო მოსალოდნელი ცვლილების გრძნობა ახასიათებს. ეს იყო მოახლოებული რევოლუციის წინათგრძნობა.

ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში „სოფლის ღარიბებს“ რევოლუციონერებს მოუწოდა ყოველდღიური პროპაგანდა გაეწიათ გლეხობაში და მოემზადებინათ ისინი სახალ-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თბზ., ტ. 2, გვ. 29.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 32.

სო მოძრაობაში ჩასაბმელად: „დაე ყოველმა შეგნებულმა მუშამ და გლეხმა შემოიკრიბოს თავის გარშემო ყველაზე გონიერი. საიმედო და გაბედული ამსანაგები. დაე ეცადოს აუხსნას მათ, თუ რა აურთ სოციალ-დემოკრატებს. რათა ყველამ გაიგოს, როგორი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ და რა უნდა მოვითხოვოთ. დაე შეგნებულმა სოციალ-დემოკრატებმა თანდათან, ფრთხილად, მაგრამ განუხრელად ასწავლონ გლეხებს თავისი მოძღვრება. მისცენ ხოლმე წასაკითხად სოციალ-დემოკრატიული წიგნაკები. განმარტონ ეს წიგნაკები საიმედო პირთა მცირე კრებაზე“<sup>1</sup>.

მიხეილ კოციუბინსკიმ თავის მოთხრობაში რეალისტურად ასახა სოფლად შექმნილი ასალი ვითარება. მწერალმა შენიშნა სოფლად მუშა-აგიტატორების გამოჩენა, დაინახა ახალგაზრდობის ახალი განწყობილებანი. არალეგალური პოლიტიკური ლიტერატურით მისი დაინტერესება, ასახა მოწინავე გლეხობაზე პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის გავლენა. ავტორს არც სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას შორის საბრძოლო კონტაქტის დამყარება გამორჩა მხედველობიდან.

ოდესიდან გამოსახლებული მუშა-სოციალისტი მარკო გუშჩა არის სოფლად ჩამოსული რევოლუციონერის ტიპი, რომელიც პირველად გამოჩნდა მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში და საერთოდ უკრაინულ ლიტერატურაში.

„Fata morgana“-ს პირველი ნაწილის დასასრული დაჩაგრული ხალხის გამოუვალი მდგომარეობისა და მოსალოდნელი ძვრების სიმბოლური სურათია:

„წვიმს. შემოდგომის ცივი ნისლი ჰაერში ბოლავს და სველ ნაწნავებს მიწაზე მიათრევს... მიცურავს ნაღველი,

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 531.

მიცურავს უიმედობა. და წყნარად ქვითინებს სევდა. სტირიან შიშველი ხეები, სტირიან ჩალის სახურავები, ცრემლებით პირს იბანს ღატაკი მიწა და არ იცის, როდის გაიღიმებს. ნაცრისფერი დღეები შავი ღამეებით იცვლება. სად არის ცა? სად არის მზე?..<sup>1</sup>.

ნაწარმოების პირველი ნაწილი მომავალი ბრძოლის მხოლოდ პროლოგია. აქ მომავალი ბრძოლის, კონფლიქტებისა და გმირების მხოლოდ კონტურებია მინიშნებული. მისი გმირები მომავალი ძვრებისა და ცვლილებების მოლოდინში ცხოვრობენ, შრომობენ და ემზადებიან. ნაწარმოების დასასრულის მინორული ელერადობის მიუხედავად, თვით მოთხრობაში მკითხველს თვალწინ იზრდება და კაჟდებიან ახალი ძალები, რომლებიც შესცვლიან სოფლის მონოტონურ ცხოვრებას.

„Fata morgana“-ს მეორე ნაწილზე მუშაობა მიხეილ კოციუბინსკიმ 1910 წლის მარტში დაამთავრა. თვით ცხოვრებამ დაადასტურა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის როლზე ლენინის შეხედულებათა სისწორე. რევოლუციის შემდგომმა რეაქციამ ვერ გასტეხა ხალხის ნებისყოფა, ვერ შეარყია გამარჯვებისადმი მისი რწმენა. იწყებოდა რევოლუციური აღმავლობის წლები, საზოგადოება ახალი შეტევით სათვის ემზადებოდა.

შვიდიოდე წლის ინტერვალი, რომელიც ნაწარმოების მეორე ნაწილის შექმნას აცილებს პირველ ნაწილს, ნაყოფიერი გამოდგა მწერლის მხატვრული ოსტატობის სრულყოფისა და იდეური გამოწრთობისათვის.

კოციუბინსკიმ მოთხრობის მეორე ნაწილში მიზნად

---

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 32.



დაისაბა 1905 წლის რევოლუციაში გლებთა მონაწილეობის სურათები გადმოეცა. ამის საშუალებას მას ცხოვრებისეული შთაბეჭდილებანი აძლევდნენ. მწერალმა თავისი თვალთ იხილა პროლეტარიატისა და მისი პარტიის მეთაურობით წარმართული მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სცენები, შეიგნო არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის რევოლუციური გზით დანგრევის გარდუვალობა. რეალურად გაიაზრა 1905 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა მნიშვნელობა.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო მწერლის შემოქმედებითი თუ იდეური ჩანაფიქრის გამდიდრებას. მ. კოციუბინა-კია კრიტიკული რეალიზმის მეთოდი ახალი და მნიშვნელოვანი თვითებებით აღიჭურვა. რევოლუციური მოვლენების ისტორიული პრესპექტიულობა და მისი დადებითი გმირების. რევოლუციონერი მებრძოლების მსატვრული სახის რომანტიკული გააზრება გახდა დამახასიათებელი მისი ამ პეროდის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

ამიტომ არის, რომ მოთხრობაში დიდ ადგილს იკავებენ მასობრივი ეპიზოდები — გლებთა თავყრილობანი, მღელვარება-გაფიცვები, მემამულეთა კარმიდამოს დარბევა თუ სხვა მომენტები! „ფართო ხედით“ არის წარმოდგენილი მიტინგები, დემონსტრაციები, სოფლად რევოლუციური პროპაგანდა, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით დატაკი გლებების ორგანიზება თუ სხვა სცენები.

უკრაინულ ლიტერატურაში პირველად მიხეილ კოციუბინსკიმ გვიჩვენა სოფლად მასობრივი რევოლუციური მოძრაობა.

მწერლის ასეთ იდეურ ზრდას ხელი შეუწყო არა მხოლოდ და არა იმდენად ცხოვრების მაგალითებმა, არამედ ამ მაგალითების გააზრებისა და განზოგადების გენიალურმა ნიმუშებმა — ვ. ი. ლენინის ნაშრომებმა. რომლებიც დაეხმარნენ მწერალს სოფლად მიმდინარე კლასობრივი ბრძოლების სწორად გაანალიზებაში, გა-

ფიცვის. როგორც პროლეტარიატისათვის დამახასიათებელი ბრძოლის ფორმის დანახვაში.

მოთხრობის მეორე ნაწილის კონსპექტში ავტორი თავის ყურადღებას მასობრივ სცენებზე ამახვილებს: „შემოდგომიდან. როგორც კი აიღეს პური, ხანძარი ყოველდღიური მოვლენა გახდა, იწვოდა პური, თივა, კალოს სახლები (არდგმულები), ეკონომიები. იზრდებოდა მღელვარე განწყობილება. ლაპარაკობდნენ მხოლოდ თავისუფლებაზე და მიწაზე. პროკიპი და კიდევ რამდენიმე კაცი სოფელში სულ უფრო მეტ პატივისცემას იპოვებდნენ, მათ უგონებდნენ. შემოდგომაზე მოვიდა მარკო. მუშებისა და რკინიგზელების გაფიცვებმა ასწიეს განწყობილება. სადაცაა რაღაც მოხდება. ხალხი ტყეში გროვდებოდა, მსჯელობდა, თუ რა უნდა გაეკეთებიათ მათ. საყოველთაო სიხარული. მთელი სოფელი ამოძრავდა“.

მიტინგისა თუ დემონსტრაციის მასობრივი სცენების დახატვის დროს ავტორი ადამიანების ახალ, მხიარულ, სადღესასწაულო განწყობილებასა და ახალი ადამიანების რევოლუციონერი მებრძოლების ხელმძღვანელ როლს განაზვავს, იგი საგანგებოდ აკეთებს აქცენტს ხალხთა ფსიქიკაში მომხდარ ცვლილებებზე — გამარჯვებისადმი მათ რწმენაზე და აგრეთვე ქეშმარიტ საბრძოლო განწყობილებაზე, ძმობისა და ერთობის სულისკვეთებით ყველას გამსჭვალვაზე.

მოთხრობაში გაშიშვლებული და ღრმად გაანალიზებულია კლასობრივი წინააღმდეგობანი სოფლად, ღარიბებსა და მდიდრებს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულებანი.

ნაწარმოების დასათაურებისას, „Fata morgana“, რაც ნიშნავს მირაჟს, ზმანებას, ავტორს სურდა მკითხველისათვის დაენახვებია, რომ სიღარიბესა და დაბეჩავებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს ოცნებად ჰქონდა ქცეული უბრალო, ადამიანური და, მაშასადამე, მათ-

თვის ბედხიერი ცხოვრების მოპოვება. მაგრამ მშრომელი მალანკა ეს ოცნება. მიწის საკუთარ ნაკვეთზე, სოფლის პროლეტარი ანდრეისა — ქარხნის ამუშავებაზე და მისით ოჯახის გამოკვებაზე, კაპიტალისტურ სინამდვილესთან შეჯახებისას ქრებოდნენ როგორც „ზმანება“. რევოლუციური აღმავლობის პერიოდში მალანკას მოახლოებული ეგონა ამ ოცნების განხორციელების უამი, როდესაც იგი როგორც „ზმანება“ მოეჩვენა მას და როგორ შეწუხდა, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც „გაპქრა იგი როგორც მოჩვენება“.

ექსპლოატატორების ხელში, თვითმპყრობელური, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების პირობებში ამ ოცნების აღსრულება, რეალურად განხორციელება შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ხალხის მთელი ენერჯის ამოქმედება. მისი გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა მობილიზაცია და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გალაშქრება, მონობის ციტადელის დამსხვრევა.

ავტორს ღრმად სწამს ხალხთა შემოქმედებითი ძალებისა. მისი რევოლუციური შემართებისა. იგი დარწმუნებულია რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბრძოლების ისტორიულ სამართლიანობაში და, მაშასადამე, ბნელეთის სამყაროს დამხობასა და თავისუფლების გამარჯვებაში. ამიტომაც ნაწარმოები რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული.

მიხეილ კოციუბინსკის, როგორც მხატვრის, გამარჯვება ისიცაა, რომ იგი კარგად აბერნებს მეორეხარისხოვანისაგან მთავარისა და დამატებითისაგან ძირითადი მოვლენების გამოკვეთასა და მათზე მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას. ნაწარმოებში ძირითადად ორი მთავარი ბანაკია გამოყოფილი, მათი სისტემატურად ერთმანეთისაღმი შეპირისპირებისა და შეჯახების გზით ავტორი ბანაკის წარმომადგენელთა დანასიათებისას მეტ სიმკვეთრეს აღწევს. მოთხრობის ჯერ კიდევ პირვანდელ

ჩანაწერებში მ. კოციუბინსკი მოქმედ გმირებს ორი ურთიერთგამომრიცხავი ნიშნების მიხედვით აჯგუფებს — „წითლებად“ და „შავებად“. „წითლების“. რევოლუციონერი ახალგაზრდობის, მხარეს არიან სოფლის ღარიბების პროგრესული წარმომადგენლები — მალანკა, ანდრეი ვოლიკი, ხომა გუძი. „შავების“ ჯგუფში შედიან მემამულეები, მოხუცი „პანიც“. ფაბრიკანტი ლიოლიოც. კულაკი ლუკიან პიდპარა, სკორობოვატკო და სხვანი. ისინი, ვინც ხალხის შრომით იძენდა ფულსა და ქონებას.

ამ ორ დიდ ბანაკს შორის არსებული წინააღმდეგობის გარდა ნაწარმოებში ნაჩვენებია კიდევ სხვა წინააღმდეგობანი. რომლებიც წარმოიშვებოდნენ გლეხობაა და მემამულეებს. მშრომელ გლეხობაა და სოფლის მდიდრებს შორის.

ნაწარმოების ცენტრალური გმირია მარკო გუშჩა. პირველ ნაწილში მასზე ჩვენ მხოლოდ სხვათა მეშვეობით ვიღებთ იგი მონაწილე იყო ოდესის გაფიცვებისა. იყო პოლიტიკური პატიმარი. მარკო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტიპური წარმომადგენელია.

მარკო გუშჩა ძლიერი ნებისყოფისა და ვაჟკაცური ხასიათის ადამიანია. „მას ადამიანებისათვის სიკეთე უნდა... ამისათვის, ო, რა ძლიერ უყვართ იგი ვაჟებსა და ქალიშვილებს...“.

მარკოს დაპატიმრების შემდეგ სოფელში დარჩენილმა წრემ მისი საქმე განაგრძო. ავრცელებდნენ ფურცლებსა და პროკლამაციებს. გუშჩას სიტყვა ხალხს კვლავ ახსოვდა. იგი ხალხთან ერთად არის და მისი ბედნიერებისათვის იბრძვის. გუშჩას სიმართლემ, მისი აზრების ჭეშმარიტებამ თავდაპირველად მისადმი უარყოფითად განწყობილი ადამიანებიც კი დაიმორჩილა. „ასეთ კაცს, ბატონო ჩემო, კისერში წავავლებდი ხელს და თოკზე გამოვკიდებდი... არ უნდა ბევრი ლაპარაკი“<sup>1</sup>—ამბობს ან-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 26.

დრეი ვოლიკი. მაგრამ მარკოზე შემდეგ მათაც ეცვლება შეხედულება. კულაკები ხომ მისი სახელის გაგონებასაც ვერ იტანდნენ.

როდესაც გუშჩა ციხიდან დაბრუნდა, მას მთელი მშრომელი გლეხობა მიემხრო, მათ შორის ანდრეი ვოლიკიც.

რევოლუციური ლიტერატურის გავლენით მ. კოციუბინსკიმ თავის ნაწარმოებში სოფლისა და ქალაქის მშრომელების კავშირიც ასახა. მარკო გუშჩას კავშირი აქვს ქალაქის რევოლუციონერ მუშებთან და რკინიგზელებთან. მათგან იღებს იგი არალეგალურ ლიტერატურასა და პროკლამაციებსაც. მათივე მოქმედებას უსწორებს იგი ნაბიჯებს. „სადგურზე ვიყავი. გაფიცვაა. უკვე მეორე დღეა მატარებელი არ დადის. მუშები შეიკრიბნენ და ბჭობენ... ჩვენც უნდა დავუძახოთ ხალხს“<sup>1</sup>. მიტინგზე შეკრებულ გლეხობას მარკო მემამულეების წინააღმდეგ მოუწოდებს: „მიწა ჩვენია, ძველთაგანვე ყოველი მუქა. ყოველი გოჭი ხომ მშრომელთა ოფლით არის მორწყული, მათი სისხლით არის გაპოხიერებული. ჩამოვართვათ მიწები. და მაშინ ყოველ მშრომელს თავისთვისაც და ბავშვებისთვისაც საკმაო პური ექნება“<sup>2</sup>. ეს გამოსვლა არა მარტო იმითაა საინტერესო, რომ გუშჩა გლეხობა კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისაკენ მოუწოდებს, არამედ იმითაც, რომ მარკოს სიტყვებში ამ მოქმედების რევოლუციური, მარქსისტული გააზრებაა მოცემული. თუ მ. კოციუბინსკის გმირი სემიონ ვორონი („ცეპოვიაზი“) ფიქრობდა „პანებს ფული. ხოლო ჩვენ მიწა“, ზღაპარი „ხოს“ გმირი მასწავლებელი გლეხობაში ურთიერთდაზმარების სალაროს აარსებს და მემამულისაგან „მიწის ყიდვაზე“ ლაპარაკობს, მოთხრობაში „Fata morgana“ მემამ-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 73.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 42.

მულეთა მიწის ძალით ხელში ჩაგდებაზეა საუბარი. მარკო გუშჩა მიწის ნაციონალიზაციის პროგრამას აყენებს, რომელსაც იმ პერიოდში იცავდა ბოლშევიკური პარტია და რომელიც ხალხის მარადიულ ოცნებას უკასუხებდა.

გუშჩამ კიდევ სხვა ნაბიჯში გამოხატა მწერლის იდეური თანახიარობა ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ პროგრამასთან. მემამულეებისათვის ჩამორთმეულ მიწებზე იგი საზოგადოებრივ მეურნეობას ქმნის. იგი ფიქრობს აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებასაც „დაე გლებებმაც ისწავლონ“ როგორ უნდა მეურნეობის წარმართვაო. მარკოს ეს პროგრამა თვით მწერლის იდეურ შეხედულებათა ევოლუციაზე მეტყველებდა.

მარკო გუშჩასთან არის დაკავშირებული გლებობის ბრძოლა თავისუფლებისა და მიწიანათვის. მათი შექილება მემამულეებთან და საბოლოო გამარჯვებაც. მარკო ძლიერი, ყველასაგან განსხვავებული პიროვნებაა. „იგი როგორც მშფოთვარე ნაკადი, ამოგლეჯდა ლოდებს, გამოანგრევდა ნაპირებს, ძირფესვიანად ამოთხრიდა ხეებს. მას გაუგონებდა ყველა“<sup>1</sup>.

მარკო გუშჩასა და საერთოდ სოფლად პროლეტარიატის როლის შეფასებასა და მხატვრულად ასახვაში მაქსიმ გორკის შემოქმედებითი გავლენა შეინიშნება. მარკო მოწინავე უკრაინული პროლეტარიატის წარმომადგენელია. გუშჩას უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები რევოლუციურ საქმიანობაში იყვნენ გაფიიკა და პროკიპ კანდიუბა.

გაფიიკას სახით ავტორმა სოფლელი გლები გოგონა, რევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმული ახალი ტიპი დაგვიხატა.

გაფიიკა მკითხველის თვალწინ იზრდება. გლები პროლეტარია ოჯახში დაბადებულმა გოგონამ აღრევე იწვნია

---

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 42.

სოციალური უსამართლობის სიმწარე. უღარდელი გოგონა მკაცრი თვითმპყრობელური — კაპიტალისტური სინამდვილის გავლენით თანდათანობით ცხოვრების საშინელებას ჩაუფიქრდება. შიმშილმა, სიტეტვლემ, მამის დასახიჩრებამ. მარკოს დაპატიმრებამ და, ამავე დროს, მისივე ნათელმა აზრებმა მასში რევოლუციისათვის მებრძოლი ქალიშვილი მოამზადეს. გუშჩას სიტყვები მის გულს სვდებოდა. გაფიიკა მათი გავლენით დარწმუნდა, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება, რომ საჭიროა თვითონ გაანძრიო ხელი და იბრძოლო ახალი ცხოვრებისათვის.

ნაწარმოების მეორე ნაწილში მარკოს დაპატიმრების შემდეგ ქალიშვილი მის საქმეს აგრძელებს — ავრცელებს პროკლამაციებს. ამოქარგავს წითელ დროშას. ერთი სიტყვით. რევოლუციური გამოსვლებისათვის ემზადება. გაფიიკა პოლიტიკურად გაიზარდა. იგი რევოლუციონერი პროპაგანდისტი, მებრძოლი ამხანაგი გახდა.

გაფიიკას, როგორც გორკის გმირებს — ნილოვანს. ვარიას, ელენკას, მარტო სიყვარული კი არა, თავის გმირთან რევოლუციური საქმიანობაც აკავშირებს.

გაფიიკა უკრაინული სოფლის ის ახალი ადამიანია, რომელიც მუშათა გამათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით ყალიბდება.

მ. კოციუბინსკიმ ამ ნაწარმოებში გვიჩვენა, თუ როგორ დაიწყო სოფლის პროლეტარიატის გაერთიანება რევოლუციის წინა პერიოდში, როგორ დაადგა ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლის გზას ღარიბი გლეხობა. ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი პროკიპ კანძიუბა ის ლატაკი გლეხია, რომელიც უყოყმანოდ ჩადგა რევოლუციონერთა რიგებში და ხალხის უანგარო სამსახურს შესწირა თავი. იგი მარკო გუშჩას ერთგული მეგობარი და იდეური თანამებრძოლია.

პროკიპის მსოფლმხედველობა არალეგალური ლიტე-

რატურის გავლენით ყალიბდება; შემდეგ კი იგი თვით  
ხდება რევოლუციური იდეების პროპაგანდისტი, ღარიბი  
გლებობა არალეგალურად პირველად მის სახლში შეიკრი-  
ბება, მან შესცვალა დაპატიმრებული მარკო, მასვე აქვს  
ქალაქის იატაკქვეშეთის ორგანიზაციასთან კავშირი,  
მოაქვს „ქალაქიდან წიგნები და ფურცლები“ და მათ  
ხალხში ავრცელებს.

პროკოპი ოცნებობს მშრომელი გლების თავისუფალ  
ცხოვრებაზე, როდესაც „ალარ იქნებიან არც ღარიბები,  
არც მდიდრები. მიწა ყველას არჩენს. ხალხი თვით გახ-  
დება თავისი ბედნიერების მკვდელი“. ამიტომაც მოუწო-  
დებს გლებობას: „აღსდევ. ხალხო, გაიწოდე ზელი  
სიმართლისავენ. თვითონ არ აიღებ, არავინ არ მოგ-  
ცემს“<sup>1</sup>.

პროკოპი უშიშარი. კეთილი და პატიოსანი ადამიანია.  
მას ღრმად აქვს შეგნებული პაუზისმგებლობა საზოგა-  
დობის წინაშე. სიკვდილით დასჯის წინაც კი იგი პირველ  
რიგში იმას იხსენებს. თუ ხალხის რამდენი კაპიკი ჩარჩა  
კიბეში და ანგარიშს აბარებს მას.

პროკოპ კანტოუბაში ავტორმა უკრაინელი გლებების  
საუკეთესო თვისებანი განასახიერა. იგი იაეთი ადამიანე-  
ბის წარმომადგენლად გამოგვიყვანა, რომლებიც რევო-  
ლუციურ ბრძოლებში შეგნებულად გაჰყვნენ მუშათა  
კლასს.

მიწის საკუთარ ნაკვეთზე ხალხის ოცნება მ. კოციუ-  
ბინსკიმ მაღანკა ვოლიკის სახითაც გამოხატა. რვა წლის  
გოგონას მამა გარდაეცვალა, თერთმეტისა კი სულ ობ-  
ლად დარჩა. მას შემდეგ ჩაესვენა მისი მზე. „წყნარი,  
მორჩილი ყველას უგონებდა და კუთხეში მიმალული სტი-  
როდა“. თავისი ბედი მან მასავით ღატაკ ანდრეი ვო-  
ლიკს დაუკავშირა. რომელსაც „ქოხიც კი არა ჰქონდა-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ. ტ. 2, გვ. 120.



არა თუ მიწა. სიღარიბე სიღარიბესთან მივიდა, და მათ-  
გან კი უბედურობა გაჩნდაო“.

მთელი სიცოცხლე მალანკამ საკუთარი მიწის ნაკვეთის  
მოპოვების ოცნებაში გაატარა. „ელირეებათ ჩემს ხელებს  
და დაამუშავებენ ჩემს ყაზაა, ჩემს ბაღაა, ჩემს ბაღა...“  
ამშვიდებს თავის თავს მალანკა, რადგანაც ჰგონია, რომ  
„ღაარიგებენ მიწას“. მაგრამ სინამდვილემ ფრთები შეუ-  
კვეცა მია ილუზიებს. მიუხედავად ამისა, მალანკას არ  
შეუძლია შეეგუოს იმედების ანუ გაცრუებას, მან ხომ  
მოინახა თავისი ვალი ღვთის წიხაშე, ეყოს ტანჯვა მას  
და მის ოჯახს, ქალიშვილი მაინც იყოს ბედნიერი. ამი-  
ტომაც ამ მიწის გულისათვის იგი ყველაფერზე წავიდო-  
და—„დარბევაზე, ხანძრის გაჩენაზე, იმაზე, რომ გაეგდოთ  
ბატონები. ასეთი თავგანწირვით იბრძვის და ოცნებობს  
მალანკა მიწის ნაკვეთზე. და მას ამია საფუძველიც აქვს.

მალანკას მეუღლე ანდრეი ვოლიკი ოჯახისა და საკუ-  
თარ ბედნიერებას სხვა მოვლენებს უკავშირებს. გლეხო-  
ბის ნაწილმა მიწის დამუშავებით ლუკმაპურის შოვნაზე  
ხელი აიღო, რწმენა დაკარგა. ანდრეი ანუ ბაღს ეკუთ-  
ვნოდა. მან იმედია თვალი ქარხანა მიაპყრო. „აი ქარხა-  
ნა — სხვა საქმეა. არც გვალვის. არც წვიმის არ ეშინია.  
სამუშაო სუფთა, მუდმივია...“ ფიქრობდა იგი,  
მაგრამ მალე გაიგო, რომ ფუჭი ოცნებებით იკვებავდა  
თავს. ქარხანაში დასახიჩრებული ანდრეი სამუშაოდან  
გამოაგდეს და მიადახეს: „ხეიბრებს არ ვლებულობთო“.  
მხოლოდ მაშინ შეიგნო ანდრეიმ კაპიტალისტური ექს-  
პლუატაციის სიმკაცრე, სხვაგვარად გაიგო ცხოვრება. თუ  
კი ადრე იგი გუშჩას ხეზე ჩამოკიდებით ემუქრობოდა,  
ახლა მისვდა მის სიმართლეს და მასზე მხოლოდ პატი-  
ვისცემით ლაპარაკობს. ანდრეი ვოლიკი საპროტესტოდ  
განწყობილი ბაღის მხარეს დგება და არყის სახდელი  
ქარხნის დარბევაშიაც კი იღებს მონაწილეობას.

ანდრეი ვოლიკის სახით მწერალმა სოფლის პროლეტარიატის ის ნაწილი დაგვანახვა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა შეგნებული და ორგანიზებული რევოლუციური ბრძოლის დონემდე, მისი გაბრძოლება ჯერ კიდევ სტიქიურია, არათანმიმდევრული ხასიათისაა.

აეთივე სტიქიური ჯანყის თავია მებატონის მწყემსი ხომა გუძი. მთელი სიცოცხლე მან პანის საქონელთან გაატარა. „ადამიანის მაგივრად საქონლის კუდებს ვხედავდი, ნეხვში ვიქექებოდი, ნეხვში მეძინა, ნეხვში ვკამდი, ნეხვშივე ჩავძაღლდები“ — ამბობდა გაბოროტებული გუძი. ამან გაამწარა იგი არა მხოლოდ თავის ბატონზე, არამედ ყველაზე „ვინც ადამიანის სისხლს წოვს“. იგი „ყველას დახოცავდა“, რომ შეძლებოდა. თავისი მდგომარეობიდან გამოსავალს ხომა გუძი მემამულეთა კარმიდამოს გადაწვაში ხედავს, „დასცხეთ! გადასწვით!“ — მოუწოდებს იგი ყველას და თვითონ პირველივე შესაძლებლობისთანავე თავისი ხელით გადასწევს მემამულის სახლსა და ქარხანას.

ხომა გუძი გადაურჩება კულაკების რისხვას და, უნდა ვიფიქროთ, მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ გააგრძელებს.

ნაწარმოების დადებითი გმირები ავტორს გამოყვანილი ჰყავს არა მარტო როგორც პირველი რუსული რევოლუციის მებრძოლები, არამედ როგორც მომავლის ადამიანები. ასეთი გმირების შექმნა მიხეილ კოციუბინსკისა და მთელი უკრაინული ლიტერატურის განვითარების ახალ ეტაპზე ლაპარაკობდა.

საშუალო გლეხისათვის დამახასიათებელი მერყეობა ავტორმა პანას კანძიუბას სახით დაგვიხატა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „სოფლის პროლეტარიატსა და გლეხურ ბურჟუაზიას შორის არის საშუალო



ტ. შევჩენკო. ხუნდებით დასჯა.  
სერიიდან „კუძლები შვილი“ 1856—1857.



გლებობის ფენა, რომლის მდგომარეობაში ამ ორივე ანტიპოდის თვისებები მოიპოვება“<sup>1</sup>.

სწორედ ასეთი თვისებებითაა აღჭურვილი პანასი. მას ეზიზღება მემამულე, სურს მისი მამულის გადაწვა, დანგრევა. როდესაც გლებებმა მემამულის წინააღმდეგ გაილაშქრეს. პანასი მათ რიგებში აღმოჩნდა, მაგრამ როგორც კი დამარცხდნენ, მაშინვე დაფრთხება და „ცოდვის“ გამოსყიდვას სისხლით ცდილობს, თავის ხელით ხოცავს იმ ადამიანებს. რომელთა გვერდითაც თვითონ იყო მემამულის სახლკარისა და ქარხნის დარბევის დროს.

რთული იყო საშუალო გლების ბუნება, რთული და ძნელად გასაგები. მას თვითონ ვერ გაეგო თავისი თავის, ვ. ი. ლენინი წერდა: „ყველგან, სადაც იწყება ბრძოლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, მესაკუთრეებსა და მუშებს შორის. საშუალო გლები შუაშია დამდგარი და არ იცის, საით წავიდეს“<sup>2</sup>.

ქეშმარიტად ასევე არ იცოდა პანასი კანძიუბამ თავისი გზისა. „საით წავიდე? აად ვეძებო სიმართლე?... ამბობდა იგი.

ასე ეხმაურებოდა პანასი კანძიუბას მხატვრული სახერვეოლუციამდელი საშუალო გლების ტიპის ლენინისეულ გააზრებას.

მიხეილ კოციუბინსკის რეალისტურად და ცნობრების ღრმა ცოდნით აქვს დაბატული სოფლის ბურჟუაზიის, გლებთა მყვლეფელების სახეები. ერთ-ერთი მათგანია პიდპარა. ლუკიან პიდპარა კულაკი, აქტიური კონტრრევოლუციური ძალა. მეფის ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენია. იგი სისხლს სწოვს გლებობას. მხოლოდ გამდიდრებაზე ფიქრობს და ყველას, ვინც რითიმე მაინც ემუქრება მის დოვლათს, ყელის გამოჭრით ემუქრება. პიდპარამ

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 269.

<sup>2</sup> იქვე, ტ. 6, გვ. 482.

იცის, რომ გლებთა მღელვარება კულაკების კარმიდამოსაც ემუქრება. ამიტომაც იგი თოფით ხელში დგას სადარაჯოზე და ღამეებს ათენებს მტრის მოლოდინში. პიღპარა მიწის ნაკვეთების დარიგების სასტიკი წინააღმდეგია. „იგი არაფერს არ მისცემს... ადგილზევე დავაკლავდი. როგორც ძაღს, ვინმეს რომ გაებედნა, ცოდვის ჩადენის არ შემეშინდებოდა“ — გადასწყვეტს პიღპარა.

ლუციან პიღპარას ეზიზღება მარკო გუშჩა და პროკოპ კანძიუბა, მათში იგი თავის ვერაგ მტრებს ხედავს.

პიღპარას მოქმედება სოფლად მიმდინარე კლასთა ბრძოლით არის გაპირობებული. როდესაც ხალხმა მემამულეთა კარმიდამოს ცეცხლის წაკიდება დაუწყო, პიღპარამ თოფი აიღო ხელში, მაგრამ რევოლუციური სიტუაციის გამძაფრებისას ტაქტიკა შესცვალა, ხალხთა მღელვარე გამოსვლების დროს, მემამულეების სახლ-კარისა და ქარხნის დარბევისას პიღპარა „თითქოს დაიკარგა“: „იგი სოფელში არავის დაუნახავს“, ხოლო როგორც კი გავრცელდა ხმა მეზობელ სოფელში დამსჯელი რაზმები არიანო, იგი ხელახლა წამოსწევს თავს. შეყრის ხალხს. ჩაუდგება სათავეში მასავით ბოროტსა და სისხლისმსმელ აკაკებს და ტყვიით უმასპინძლდება თავის მტრებს, სისხლში ახშობს ბრაზს, მან მოჰკლა სემიონ მაჟუგა, შემდეგ პროკოპ, კანძიუბას მოუსწრაფა სიცოცხლე და მარკო გუშჩასა და ხომა გუძის საძებრად ხალხი გაგზავნა.

ასეთივე ბინძურნი და ხალხის დაუძინებელი მტრები არიან მამასახლისი მაქსიმი და ლუციანის სიმამრი გავრილი.

ნაწარმოებში კულაკობის კრიტიკა ერთ და იმავე დროს ხალხოსნების მიმდევრების (რომლებიც გლებთა კლასობრივ დაყოფაზე თვალს ხუჭავდნენ) და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური „თეორიის“ (რომელიც

უკრაინელი ერის „არაბურჟუაზიულობას“ ქადაგებდა) კრიტიკა იყო.

სტალინის რეაქციის პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიულ-მემამულური წრის ბევრმა მწერალმა უარი სთქვა სინამდვილის რეალისტურ ასახვაზე და ლიბერალმა ხალხოსანმა მწერლებმა უკრაინის სოფლებში განხრა არ დაინახეს მიმდინარე სოციალური ძვრები, მიხეილ კოციუბინსკიმ უფრო ღრმად ჩაიხედა ცხოვრებაში და რეალიზმზე და ხალხურობაზე დაყრდნობით სოციალური თუ პოლიტიკური სინამდვილის ღრმა ანაღზი მოგვცა. მიამა კალამმა ოსტატურად გამოძებნა გამოსახვის მხატვრული ფორმები და იმდროინდელი ისტორიულ-ნაციონალური თუ სოციალური კოლორიტი წარმოგვიდგინა.

„მე მთლიანად ჩემს გმირებთან ვარ, მათი სიცოცხლით ვცოცხლობ. მათ სიმწარესა და სიხარულს ვიზიარებ. ვლავარაკობ მათი ენით და მათი ინტერესების ერთგული ვარ“<sup>1</sup> — წერდა კოციუბინსკი „Fata morgana-ს მეორე ნაწილზე მუშაობის დროს. ეს მართლაც ასე იყო. მოთხრობის გმირების, ხალხის, ეპოქის სუნთქვას მწერლია სუნთქვაც უერთდებოდა.

მწერალი ტიპიურ გმირებსა და ტიპიურ გარემოს ასახავდა. ასე იქცევა იგი, როდესაც პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდის გლებთა მოძრაობას გვიხატავს და პროლეტარიატზე, როგორც გლებთა რევოლუციურად წარმმართველ ძალაზე — მიგვიითიებს.

ნაწარმოები რევოლუციონერებზე კულაკების სისხლიანი შურისძიებით მთავრდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ავტორმა მოთხრობის გააზრებაში რევოლუციური გზიდან გადაუხვია. მოთხრობა ბოროტებაზე სიმართლის გამარჯვებისა და ნათელი მო-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკის წერილები ა. აპლაქსინასადმი, კიევი, მეცნ. აკად., 1938, გვ. 126.

მავლის ღრმა რწმენით არის გამსჭვალული, მას აშკარა ოპტიმისტური ჟღერა აქვს.

მიხეილ კოციუბინსკიმ შემოქმედებითად გამოიყენა კრიტიკული რეალიზმის მიღწევები და თავისი ნაწარმოებებით დაიწყო ახალი ეტაპი რეალიზმის განვითარებისა უკრაინულ ლიტერატურაში. რაც ლიტერატურაზე რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიურ გავლენაშიც გამოიხატა. რევოლუციონერი გმირების ფსიქოლოგიური პორტრეტებისა და სოფლად მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების მართლად ასახვაში, ნაწარმოების საერთო ოპტიმისტურ ხასიათში, რევოლუციური ჰუმანიზმის იდეების დაცვაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ხასიათი გამოვლინდა.

მოთხრობის მხატვრული აქსეაუარები ავტორის მაღალმხატვრულ ოსტატობაზე ლაპარაკობს.

მიხეილ კოციუბინსკი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატია. მწერლის ენა მოქნილი და მეტყველია. ყოველი პერსონაჟის მეტყველება, ექსტი, მიმიკა მხატვრული სახის შინაარსს. მის სოციალურ მდგომარეობას შეესაბამება. გმირის სოციალურ და ფსიქოლოგიურ არსს გვიხასიათებს.

ნაწარმოებში მრავალფეროვანი პეიზაჟი ხშირად აქვს წარმოდგენილი ავტორს. მათი საშუალებითაც არის გადმოცემული მოვლენის თუ გმირის ავტორისეული გაგება. გახაზულია ნაწარმოების იდეა. ასე მაგალითად, ნაღვლიანი, ამაღლვებელი შემოდგომის პეიზაჟის კლასიკური ნიმუშია პირველი ნაწილის დასასრული, რომლითაც ავტორს სოფლის ღარიბი გლეხობის გამოუვალი მდგომარეობის სიმბოლიური სურათის შექმნა სურს. ასევე, „შავი დუმილის“ ამსახველი პეიზაჟით მთავრდება მოთხრობის მეორე ნაწილი, ამ შემთხვევაში მწერალი სტოლიპინის შავბნელ რეაქციას გულისხმობს. ხალხთა აჯანყების,



მღელვარების ასანჯის დროს მ. კოციუბინსკი წითელ ფერებს უხვად იყენებს და სხვ.

გმირთა აზრებისა და განცდების გადმოსაცემად ავტორი დიდი ოსტატობით იყენებს შინაგან მონოლოგს (ასეთია მაგალითად, მალანკას მონოლოგი). მათი მოქმედებისა და განწყობილებების ასასახავად კი — დიალოგს (მაგალითად, ანდრეი ვოლიკისა და ხომე გუძის ხასიათებას გახსნის დროს).

მწერლის მიერ ნაწარმოებში გამოყენებული ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები ყურადღებას იპყრობენ ორიგინალურობითა და სიახლით.

1910 წლის 24 აგვისტოს ცენზორმა შჩეგლოვმა პეტერბურგს შემდეგი შინაარსის მოსსენება გაგზავნა: „განსახილველი მოთხრობა (მეორე ნაწილი) გვიხატავს გლახთა არეულობას 1905 წელს უკრაინულ სოფელში. მღელვარების (ბუნტის) წარუმატებლობა გლახთა შორის სოლიდარობის უქონლობითა და დაურაზმავობით არის ახსნილი... მემამულეთაგან მიწის წართმევის საშუალებად მითითებულია არა მხოლოდ ცეცხლის წაკიდება, არამედ მკვლელობაც. 461 გვ. დახატულია პერსპექტივა სოციალისტური სამოთხისა, „სადაც მდიდრები და ღარიბები არ იქნებიან“...“

„მოთხრობა გლახთა მასებს აღაგზნებს რუსეთში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დასამხობად. მე მიმაჩნია, რომ იგი... უნდა აიკრძალოს“<sup>1</sup>.

მეფის ცენზორმა სწორად შეაფასა ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. რევოლუციური მოძრაობის ეპოპეის შექმნით მიხეილ კოციუბინსკი თავადაც აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიის ბრძოლაში თვითმპყრობელური სისტემის წინააღმდეგ.

<sup>1</sup> უკრაინის სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 295, ს. 216, ფურ. 31.

1905 წლის შემდგომ გამეფებული რეაქციის პერიოდში მწერალი ბრძოლის ახალ ფორმებს ეძებს. მან იცის, რომ „შავი სიჩუმის“ დროს დაპატიმრებებითა და გადასახლებებით. მასობრივი დარბევებითა და აწიოკებით დამფრთხალ ბურჟუაზიულ-მემამულური ინტელიგენციის ნაწილში გაძლიერდა დაცემულობისა და კაპიტულიანტობის განწყობილებანი. რევოლუციის დროებითი თანამგზავრები იარაღს მალავენ და ხელისუფლების წინაშე მოსანანიებელი ფორთხვისათვის მუხლებს იწმენდენ.

„საზოგადოებრიობა დამფრთხალია, დაშინებულია. დაღლილია ზის გატეხილი ვარცლის წინ და აპათიურად, უიმედოდ შესცქერის მის წინ აღმართულ კედელს“<sup>1</sup>. ასე ახასიათებდა კოციუბინსკი შავრაზმელთა პარპაშის გავლენას საზოგადოებრიობის ზოგ ფენაზე.

მწერალი ყოველ ხერხსა და საშუალებას იყენებდა, რათა ხალხში არ განელებულიყო რევოლუციური ნალვერდალი.

როგორც ცნობილია, მიხეილ კოციუბინსკი ჩერნიგოვში ჩამოყალიბებულ საზოგადოებას „პროსვიტ“ ჩაუდგასათავეში. უკრაინაში შექმნილი ამ ლეგალური კულტუროსნული ორგანიზაციებია საქმიანობას წარმართავდნენ ლიბერალურ-ხალხოსნური ინტელიგენციის წარმომადგენელნი. რომლებიც უმთავრესად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციებზე იდგნენ. გარდა ამისა, საზოგადოებას კონტროლს უწევდნენ და თავის „მზრუნველობას“ არ აკლებდნენ გუბერნატორები და პოლიციის დეპარტამენტი. ასეთ ვითარებაში მოუხდა მწერალს „პროსვიტის“ საზოგადოების თავმჯდომარეობა.

კოციუბინსკის ხელმძღვანელობით ჩერნიგოვის „პროსვიტ“ სხვა გზას დაადგა. მწერალმა საზოგადოების თავმჯდომარის პოსტი რევოლუციური იდეების ლეგალური

<sup>1</sup> ნ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 209.

პროპაგანდისათვის გამოიყენა. იგი მართავს საჯარო ლექციებს, კითხულობს მოხსენებებს. რომლებშიაც კვლავ აქსოვს რევოლუციურ იდეებს. 1908 წელა კოციუბინსკიმ „პროსვიტის“ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ივანე ფრანკოს შესახებ.

თავის გამოსვლაში მწერალმა ამნილა გალიციის კაპიტალისტური სინამდვილე, რომელიც ასე მაღალმხატვრულად იყო ასახული დიდი კამენიარის ნაწარმოებებში. კოციუბინსკი ივანე ფრანკოს აფასებდა როგორც „მწერალსა და მებრძოლს, რომელიც არ მალავს თავის სიმპათიებსა და ანტიპათიებს“. კოციუბინსკი რევოლუციონერდემოკრატთა ესთეტიკური პოზიციებიდან აჩვენებდა მსმენელებს ფრანკოს შემოქმედების ჰუმანიტური ხალხურობისა და რეალიზმის არსს. რომელიც თავისუფლები-აა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ხალხთა ინტერესებსა და მისწრაფებებს ასახავდა.

როგორც კოციუბინსკის ბიოგრაფები აღნიშნავენ. ივანე ფრანკოს ნოვატორობას კოციუბინსკი შრომისა და კაპიტალის ბრძოლის პრობლემის დაყენებაა და ასახვაში ხედავდა. ამასთან დაკავშირებით კოციუბინსკი თავის მოხსენებაში დასავლეთ უკრაინაში კაპიტალის შეჭრისა და შრომაზე მისი გაბატონების შესანიშნავ ანალიზს იძლევა. იგი კაპიტალისტსა და დაჭირებულ მუშას შორის არსებულ ანტაგონიზმს თანამედროვეობის ძირითად კონფლიქტად მიიჩნევს. მწერალი ხედავს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ინტერესების საერთო საფუძველს, იცის, რომ კაპიტალისტური საზოგადოების სოციალურ წინააღმდეგობათა მორიგება შეუძლებელია და ამიტომაც ადამიანის სოციალური და პოლიტიკური განთავისუფლების ერთადერთ საშუალებად არსებული სისტემის წინააღმდეგ შეურიგებელი. ულმობელი ბრძოლა მი-აჩნია.

რეფერატის მებრძოლი რევოლუციური ხასიათი

ფრანკოს მხატვრული შემოქმედების ფაქიზ ანალიზთან არის შეხამებული.

მოხსენების შინაარსი თვით კოციუბინსკის იდეური და მხატვრული კრედაა. ამიტომაცაა, რომ რეფერატის დასასრულს, ივანე ფრანკოს ნაწარმოების მოშველიებით, მიხეილ კოციუბინსკი ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს და ბედნიერი ცხოვრების მოპოვების რწმენას უნერგავს.

კოციუბინსკი ფიქრობდა რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის „პროსვიტის“ ტრიბუნის გამოყენებას; მაგრამ ხელისუფლების საწინააღმდეგო, ანტიბურჟუაზიული შინაარსის ლექციების ჩატარება მალე აუკრძალეს პოლიტიკურად „არაკეთილსაიმედო“ მწერალს. პოლიციის დეპარტამენტს გაეგზავნა მოხსენება: „ჩერნიგოვში ჩამოყალიბებული „პროსვიტის“ უკრაინული საზოგადოება... დამტკიცებული იყო გუბერნიის კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით; მაგრამ საზოგადოების გახსნისთანავე მას სათავეში ჩაუდგნენ... დანაშაულებრივ მოღვაწეობაში შემჩნეული ან მხილებულნი პირნი, რის გამოც „პროსვიტის“ საქმიანობა რევოლუციური მიზნების მისაღწევად წარიმართა“<sup>1</sup>. პოლიციის დეპარტამენტი მალე დარწმუნდა, რომ ჩერნიგოვის ეს საზოგადოება ხელისუფლებისათვის 'აშიში ორგანიზაცია ხდებოდა. „აგენტურის მონაცემების მიხედვით, — ნათქვამია ერთ-ერთ პოლიციურ დოკუმენტში, — საზოგადოების მთავარი ყურადღება მიპყრობილია მოსწავლეთა და ახალგაზრდა თაობის გარეგოლუციონერებისაკენ საბოლოო მიზნით — მოამზადონ შეიარაღებული აჯანყება არსებული სახელმწიფო წყობილების დასამხობად“<sup>2</sup>.

ასეთი გზით წარმართა ჩერნიგოვის „პროსვიტის“ საქ-

<sup>1</sup> ჩერნიგოვის სახელმწიფო არქივი, ფ. 2, ს. 42.

<sup>2</sup> იქვე, 147.

მიანობა მიხეილ კოციუბინსკიმ. მაგრამ საფიქრებელი იყო, რომ ხელისუფლება ამ მდგომარეობას დიდხანს ვერ შეეგუებოდა. ეს ააეც იყო.

განაგრძობდა და ავითარებდა რა რუსი და უკრაინელი რევოლუციონერი-დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, შევჩენკოსა და სხვათა ტრადიციებს, მიხეილ კოციუბინსკიმ გადაჭრით გაილაშქრა ჩერნიგოვის ათასი წლისთავისადმი მიძღვნილი XIV არქეოლოგიური ყრილობის ირგვლივ შექმნილ „უკრაპატრიოტული“ ხმაურის წინააღმდეგ. ყრილობა შავრაზმელთა ლიდერის ა. სავენკოს ინიციატივით იყო მოწვეული და ამიტომაც სრულიად კანონზომიერად მონარქისტული და შოვინისტური გამოსვლების ტრიბუნად გადაიქცა.

კოციუბინსკი ყოველთვის ენერგიულად იბრძოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლენათა წინააღმდეგ; ამჯერადაც არ უღალატნია თავისი პოზიციებისათვის. მან ყრილობა „ღორობის“ ეპიტეტით შეამკო. მისი აზრით, „ამ ნახევრადხულიგნურმა ყრილობამ მეცნიერების ნაცვლად შავრაზმული ტლაპო ამოანთხია“. მწერალმა მკაცრად გააკრიტიკა „საძაგელი“, „საზიზღარი“, „ვაიმეცნიერთა“ ყრილობა.

ჩერნიგოვის გუბერნატორმა ეს მდგომარეობაც გამოიყენა და მიხეილ კოციუბინსკი, მისი მეუღლე ვერა იუსტინიანეს ასული დეიში და ზოგი მისი თანამოაზრეც გარიცხა „პროსვიტის“ შემადგენლობიდან. ასე მოაცილეს საზოგადოების ხელმძღვანელობას მიხეილ კოციუბინსკი, ხოლო „პროსვიტი“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ გზაზე დააყენეს.

რეაქციამ თავისი კვალი ლიტერატურასაც დაამჩნია. კვლავ ამოტივტივდნენ ბურჟუაზიული ბანაკის მწერლები, რომელთა შემოქმედებაშიაც გაბატონებული იყო ამო-

რალიზმი. მისტიკური განწყობილებანი, ზემგრძნობიარობა და სხვ.

მიხეილ კოციუბინსკის ამ დეკადენტ მწერალთა წინააღმდეგ ბრძოლაც უხდებოდა. რენეგატ ვინიჩენკოს ერთ „მოდურ“ რომანზე მწერალმა ასე დააწერა: „ღორობაა“, ხოლო „მოდერნისტი“ ფილიანსკის ლექსები ასე შეაფასა: „.....სულ ყველაფერი ბნელი. ამღვრეული, ქაოტურია... გაცილებით იოლია გადაიარო სულ ახლახანს გადახნული ველი,... ვიდრე გადალახო ამ წიგნის (ფ. ი. ლიანსკის „ლირიკა“) ლექსთა ქვიშის გორაკებიანი თეთრი უდაბნო“. რეცენზიის მახვილმა სარკაზმმა დეკადენტთა ბანაკში მრისხანე მღელვარება გამოიწვია. ნაციონალისტური შინაარსის ჟურნალები კოციუბინსკისათვის უცხო იყო. იგი აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესის ორგანოებს: „გრომადსკაია დუმკა“, „რიდნი კრაი“. „შერშენ“ და სხვ. და წერდა — „ჩემი გემოვნებით ყველაფერი ეს უფერული, უინტერესო. შეზღუდულებათა ფართო პორიზონტებს მოკლებულია... ცხედრებს გვანანო“. უკრაინელი ნაციონალისტები არაერთგზის ცდილობდნენ ჩაებათ მიხეილ კოციუბინსკი ნაციონალისტური გაზეთის „რადა“ რედკოლეგიის მუშაობაში. სთავაზობდნენ მაღალ ხელფასსა და „კარგ“ პირობებს. მწერალმა აღშფოთებით უარყო მათი წინადადება და კვლავაც განაგრძო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების მხილება.

## დ ი დ ე ბ ა ს ი ც ო ც ხ ლ ე ს

1905 წლის რევოლუციამ მ. კოციუბინსკის იდეური და შემოქმედებითი ძალების აღმავლობა გამოიწვია. „Fata morgana“-ს მეორე ნაწილის გარდა შედარებით მცირე დროის განმავლობაში მან მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შექმნა. რომლებშიაც რევოლუციური ბრძოლის პათოსი აისახა. მწერალი აკრიტიკებდა თვითმპყრო-

ბელურ სისტემას, კონტრევოლუციონერებს, ლიბერალებსა და ყოველგვარი ჭურის რენეგატებს.

1905-1907 წლების რევოლუციამ მეფის ხელისუფლების დამხობა ვერ შესძლო. რევოლუცია რეაქციამ შესცვალა. ბურჟუაზიული ინტელიგენცია რენეგატობის ქაობში ჩაეფლო. დეკრადირება შეემჩნა ბურჟუაზიულ ლიტერატურასა და ხელოვნებას.

მიხეილ კოციუბინსკის სიღიადე, როგორც რევოლუციონერი მწერლისა, ია არის, რომ მას ერთი წუთითაც არ უღალატნია წმინდა იდეებიანათვის და მთელი თავისი მხატვრული შემოქმედება კვლავ ხალხის სამსახურში. ხალხის ინტერესების დაცვისა და პროპაგანდის სამსახურში ჩააყენა.

ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიული ლიბერალების კონტრევოლუციურ არსსზე მრავალგზის მიუთითებდა საზოგადოებრიობას. თავის შრომებში: „მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა“ და „კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები“ პროლეტარიატის ბელადი ბოლომდე ამხელდა რენეგატობის საქმიანობის რეაქციულ არსს. რადგანაც მიაჩნდა, რომ „...რუსეთში შეუძლებელია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება ისე, თუ გლეხობა არ განთავისუფლდება ლიბერალების პოლიტიკური ჰეგემონიისაგან“<sup>1</sup>. ორივე ზემოხსენებულ შრომას მ. კოციუბინსკი კარგად იცნობდა.

რევოლუციის პერიოდის კოციუბინსკის პირველი ნაწარმოებია „სიცილი“ (1906 წ.). რომლის იდეურ ჩანაფიქრს საფუძვლად ლიბერალიზმის მხილება უდევს. მოთხრობის გმირი ადვოკატი ჩუბინსკი ლიბერალი ინტელიგენტის ტიპიური განსახიერებაა. მას უყვარს მყვირალა და ეფექტური, მაგრამ ფუყე ფრაზები, რომლებიც

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 205.

ნამდვილი მეშხანური სახის დაფარვაში ეხმარება მას. მი-  
სი სიტყვა სხვაა და საქმე კი სხვა. იგი კრებებზე და თავ-  
ყრილობებზე მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდა, „რა-  
ღაც ცხელი ტალღა სცემდა მას სახეში. სუნთქვასთან ერ-  
თად მკერდში იჭრებოდა. სიტყვები ამოფრინდებოდნენ  
ხოლმე მკერდიდან. როგორც მტაცებელი ფრინველები,  
მამაცურად და მოხდენილად“. ხოლო, როდესაც შავრაზმე-  
ლები ყველა საექვო პიროვნებას დასდევდნენ და ანად-  
გურებდნენ, ჩუბინსკი შიშმა შეიპყრო, „სამარცხვინო, სა-  
ზიზღარმა შიშმა... გავაქცე? საით?“. დამფრთხალი ფიქ-  
რობდა იგი.

მათ მოსამსახურე ქალს ვარვარას კარგად არ ესმოდა  
შავრაზმელთა დარბევების რეალური არსი. მას ეგონა,  
რომ დადგა დრო. როდესაც ყველა ბატონს თავისი უნდა  
მიეზღოსო, შეშინებული ბატონების დანახვისას  
ხარხარი აუტყდება. „კმარა! იბატონეთ და კმარა ხა-  
ხა-ხა! ეღირსა ხალხს...“ მოსამსახურია ამ ხარხარში ბა-  
ტონებისადმი ხალხის საუკუნეობრივი ზიზღი გამოიხატა.

მშიშარა ადვოკატის სახით მწერალმა საცინლად აიგ-  
დო რევოლუციის შემთხვევითი თანამგზავრი, უხერხემ-  
ლო, მოლაყბე ინტელიგენტი, მყვირალა ლიბერალი;  
ამავე დროს, იმ ხრამზე მიგვითითა, რომელიც ხალხსა და  
ბატონებს შორის არსებობდა, მიგვითითა იმ კავშირზე,  
რომელიც მოლაყბე ლიბერალებსა და მთელ ექსპლუატა-  
ტორულ სისტემას შორის არსებობდა.

ვ. ი. ლენინი ერთგან, ამხელდა რა ლიბერალთა ფარი-  
სევლურ გამოსვლებსა და მათ ასეთსავე საქმიანობას,  
წერდა: „არ შეიძლება ამის გამო არ გავიხსენოთ შჩედ-  
რინის მიერ ასე მოსწრებულად აწერილი ისტორია რუ-  
სი ლიბერალის ევოლუციისა. ეს ლიბერალი იწყებს იმით,  
რომ ხელისუფალთ რეფორმებს სთხოვს „შეძლებისა-  
მებრ“; განარგძობს იმით, რომ იხვეწება — „ცოტა რაჲ



მაინც გვიბოძეო“. სოლო ამთავრებს მუდმივი და ურყევი პოზიციით „საძაგლობასთან შეფარდებით“<sup>1</sup>.

სწორედ ასეთ ლიბერალებს ამათრახებდა კოციუბინსკი და ამით კი საერთო-სახალხო საქმესაც აკეთებდა.

ხალხთა შორის ნაციონალური შუღლის გაღვივება მეფის ხელისუფლების საყვარელი პოლიტიკა იყო. ამ გზითაც ცდილობდა იგი რევოლუციურ მოძრაობაში შინაგანი წინააღმდეგობის გამოწვევას და მისი ძალების შესუსტებას. ეროვნული შუღლის გამოწვევის ერთ-ერთი მეთოდი იყო ებრაელი ხალხის დარბევის მოწყობა.

მეფის ხელისუფლების ეს პოლიტიკა მწერალმა ამხილა ნაწარმოებში „ის მოღის“ (1906 წ.).

ამ ნოველაში მ. კოციუბინსკი გვიხატავს დარბევის საშინელ სურათს. „ათასობით ფეხი ურტყამდა მიწას, ათასობით ტანი არხევდა ჰაერს.. ბლადნენ ბასები და ცეკვავდნენ. როგორც შეშლილები, ზარები, დიდები, საშუალონი, პატარები იწყებოდა ღარიბ ებრაელთა დარბევა. ღარიბებისა, რადგან „მდიდარმა ვაჭრებმა დილიდანვე დაიწყეს იმ ადგილიდან გაქცევა“. „მე ვხედავ მხეცებს... ყველგან მხეცებია... მათ თვალეში ცეცხლია. ხოლო კბილებზე სისხლი... ადამიანის.. წითელი... მათ გულში კი მგლური სიხარბე... მათ თავიანთი ღმერთი მოაქვთ. მარგილზე კი, რომელიც მათ უჭირავთ, სისხლია... ჩემი საბრალო შვილების სისხლი“ — მოსთქვამს უსინათლო მოხუცი ქალი ესთერკა და „თავისი სხეულით ცდილობს ააცილოს ხალხს ეს უბედურება“, შეაჩეროს ამ საშინელი ბრბოს „ჯვაროსნული ლაშქრობა“<sup>2</sup>.

ხალხთა მეგობრობის მქადაგებელი მწერალი თავის ნაწარმოებში ამხელდა მეფის შავრაზმულ პოლიტიკას. მ. კოციუბინსკი წერდა: „რომ ყველანი, განურჩევ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 304.

<sup>2</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 149.

ლად ეროვნებისა, იკრებენ ძალებს, რათა საერთო მტერი დაამხონო“.

მ. კოციუბინსკი პროპაგანდას უწევს რუსული რევოლუციის დაუმარცხებლობის იდეას. მისი დადებითი გმირები თვითმპყრობელობის, მემამულეების, მეფის მოხელეების, პოლიციელების. ყველას წინააღმდეგნი არიან, ვინც ხალხს თავისუფლად სუნთქვისა და ცხოვრების უფლებას ართმევს.

რევოლუციური ჰეროიკა არის ნაწარმოების „უცნობი“ თემა. მისმა გმირმა თავიდანვე იცის, რომ სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებენ, მაგრამ მაინც ჰკლავს მეფის ერთ-ერთ სატრაპს ხალხის საქმის ერთგულებამ გადააწყვეტინა მას ამ ნაბიჯის გადადგმა და ის არც წუხს ამაზე. „დედავ, ნუ სტირი! შენი შვილი სიკვდილს თავაწეული და წმინდა გულით შეეგებება. მის გულში ხომ უმიზეზოდ დაღვრილი სისხლი შედედდა, მის გულში ხომ შეერთდა ხალხის ცრემლები და ხალხის რისხვამ იფეთქა...“, ამბობს უცნობი გმირი და კვლავ დაბეჭითებით გვიმეორებს — „მე მივდივარ, გული არ მწყდება ანე იყო საჭირო“<sup>1</sup>.

უცნობის სახით მწერალმა ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა მტკიცე ხასიათი და თავგანწირულობა დაგვიხატა.

რევოლუციის უძლეველობის იდეით არის გამსჭვალული აგრეთვე ნოველა „Persona grata“ (1907).

ამ ნაწარმოებში კოციუბინსკი ამხელს ცარიზმს, რომელიც რევოლუციონერებს სიცოცხლეს უსწრაფებს. ავტორმა მთელი თვითმპყრობელური სისტემა ასახა როგორც კაცთმოძულეობასა და ძალმომრეობაზე დაფუძნებული ჩაგვრის სისტემა. ციხის ჯალათი ლაზარიდან მო-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 154.

კიდებული თვით მეფემდე სისხლისმღვრელები და მოძალადეები არიან. მწერალი ჯალათი-მეფის ასეთ განზოგადებულ სურათს გვიხატავს: „ის იტყვის: მოჰკალი და დგამენ სახრჩობელას. მოჰყავთ ადამიანი, ჟანდარმი ლაზარს მიაკითხავს, ლაზარი კი კისერზე მარყუქს აცვამს“<sup>1</sup>.

მწერალი თვითმპყრობელური სისტემის დამხობისაკენ მოგვიწოდებს. თვით ლაზარი ოცნებობს იმ დროზე, როდესაც შესძლებს „მის“. მეფის, თოკზე ჩამოკიდებას. „შენ ბოროტება ხარ?“ — და ბაც-ბაც ლოყებში. „შენ ხარ სიმწარე? შენ ხარ უსამართლობა?“—და ისევე — ბაც-ბაც!... „შენ ღერი სისხლს?“ შემდეგ იგი ჩამოახრჩობდა მას“<sup>2</sup>.

ჯალათებსა და ბოროტ ადამიანებს მწერალი მამაც რევოლუციონერ გოგონას უპირისპირებს. ამ გოგონაში თითქოს უსუსურმა, თავისუფლებას წარბეჭეულად შესწირა სიცოცხლე. ავტორი სიყვარულით გვიხატავს ქალიშვილის პორტრეტს და მრისხანე, მრავლისმეტყველი ფერებით გვისურათებს სიკვდილით დასჯის სცენას.

დამსჯელი ღონისძიებანი და პოლიციური დევნა, შავრახმული დარბევანი და რეაქციისათვის დამახასიათებელი სხვა ღონისძიებანი მწერალთან მხოლოდ მხატვრულ ასახვას როდი პოულობს; მ. კოციუბინსკი ამ ფაქტების გადმოცემისას მათ სრულიად ნათელ ავტორისეულ შეფასებას იძლევა და მასში იგი მთელი ხალხის სახელით ბრალს სდებს რეაქციას, რეაქციულ ხელისუფლებას, სისტემას.

მიხეილ კოციუბინსკი გვევლინება, როგორც ჭეშმარიტად „სახალხო რევოლუციის“ მწერალი, რომელიც მის უძლეველობაზე და სიდიადეზე საშინელი რეაქციის პერი-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ.: ტ. 2, გვ. 177.

<sup>2</sup> იქვე.

ოდშიაც ლაპარაკობდა და შეუდრეკელად უცხადებდა  
ომს მეფის ხელისუფლებას.

1907 წელს დაიბეჭდა კოციუბინსკის მოთხრობა „გზა-  
ში“. ამ ნაწარმოებმა უკრაინული ნაციონალისტური პრე-  
სის გააფთრება გამოიწვია. მოთხრობის ძირითადი შინა-  
არსი იყო რევოლუციური რწმენისა და მოვალეობის,  
სახალხო საქმის უძლეველობა და მეორე მხრივ, ბურ-  
ჟუაზიული იდეოლოგიის, პიროვნების კულტისა და  
„ცხოველური ყოფის“ აპოლოგიის მხილება.

ნაწარმოების მთავარი გმირია რევოლუციონერი კი-  
რილო. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მან ხალ-  
ხის საქმეს უძღვნა. მძიმე და ხიფათით აღსავსე იყო ამ  
ახალგაზრდია ცხოვრება. ყოველ წამს ბეწვზე ეკიდა მისი  
სიცოცხლე, მაგრამ ხალხის ნათელი იდეების გულწათ-  
ვის იგი მზად იყო სიცოცხლე გაეწირა. ორგანიზაციის ჩა-  
ვარდნის შემდეგ კირილო ერთხანს სწყვეტა აქტიურ  
ბრძოლას და თითქოს მერყეობს კიდევაც — განაგრძოს  
თუ არა კვლავინდებურად თავისი გზა რევოლუციონე-  
რისა. არჩევანის გაკეთებაში მას ყოფილ პარტიულ  
ამხანაგებთან, ივანესა და მარიასთან შეხვედრა და-  
ეხმარება.

ივანე ყოფილი რევოლუციონერია. კრებებსა და შეხ-  
ვედრებზე იგი რიხიანად გამოდიოდა და ბრძოლისაკენ  
მოუწოდებდა. ეს იყო ადრე. ახლა კი იგი დგებოდა „ოდ-  
ნავ შესიებული თვალის უპეებით. გაფითრებული სახით,  
გაბურღული თმებით და დიდხანს და მადიანად ამთქნა-  
რებდა“. „ამხანაგი მარია“ კი მეურნეობამ და დიასახ-  
ლისობამ გაიტაცა. იგი ახლა თავისი იდეალებით გაშკა  
„ძროხის ბრწყინვალე ცურებსა“ და კუროს გენიალოგიას  
ულოლიავენს. მარიამ და ივანემ დაივიწყეს რევოლუცი-  
ური იდეალება, ხალხის ბრძოლა ახლა მათთვის „ახალი  
ამბავია“. რომელსაც „ბორშჩის ჭამის დროს პირველსა  
და მეორე კოვზს შუა“ იგებდნენ ხოლმე. „რვა კაცი ჩა-



ტ. შევჩენკო. შიკრ უტყვებით დასკვა.  
სერიიდან „უძღვები“ 1856 — 1857.



მოახრჩვეს. სამს სიკვდილი მიუსაჯეს. ყველანი ახალგაზრ-  
დები არიან.... ხელასლა მიაჭმევდნენ ბორშის. ხოლო ანტ-  
რაქტში შეიტყობდნენ, რომ სოფლებში ხალხს ხოცავენ,  
როგორც გნოლქათმებს<sup>1</sup>.

მიხეილ კოციუბინსკიმ კარგად შენიშნა, რომ „ბრძო-  
ლიდან გაქცევას“ რენეგატებისა და მეშჩანების გარკვეუ-  
ლი ინტერესის გაღვიძებაც მოსდევს დეკადენტური ლი-  
ტერატურისადმი. მარიასა და ივანეს საოცრად მოსწონთ  
ამ სტილის ნაწარმოებები.

ძველ ამხანაგებთან შესვედრისა და საუბრის შემდეგ  
კირილოსათვის არჩევანი აღარ არსებობს. იგი გადაჭრით  
უბრუნდება რევოლუციურ მოღვაწეობას და კავშირს  
წყვეტს რენეგატებთან.

თავისი ნოველით მიხეილ კოციუბინსკი რევოლუციუ-  
რი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარე-  
ბოდა იატაკქვეშეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციასა და  
პარტიულ პრესას. ნოველას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა  
იმიტომაც, რომ იგი რეაქციის პერიოდში გამოქვეყნდა.  
როცა ასე მომრავლდა „ბრძოლის ველიდან გაქცეულთა“  
რიგები.

მოთხრობის „გზაზე“ ბუნებრივი გაგრძელებაა ნა-  
წარმოები „Intermezzo“. მოთხრობა პირველ პირობა  
დაწერილი და ლირიკულ ეტრედს წარმოადგენს.

ლირიკული გმირი საზოგადო მოღვაწე და მწერალია,  
რომელიც კირილოს მსგავსად დაიღალა ყოველდღიური  
ბრძოლით და დასასვენებლად სოფელს, ველ-მინდვრებს  
მიაშურა. იგი ტკბება ჩიტების ჟღერტულითა და მზის  
ბრწყინვალეობით. ნებევრობს ფართო ველების სიმწვანი-  
თა და სიჩუმით.

ლირიკული გმირის განცდებს მიეძღვნა მთელი ნაწარ-  
მოები. აქ არ არის არავითარი რთული მოქმედება, სა-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 190.

ზოგადოებრივი კონფლიქტები, რაც ხალხთა მასობრივ გამოსვლებსა თუ დემონსტრაციებში გამოიხატება. აქ არის ლირიკული გმირი თავის თავთან დატოვებული, რომელსაც საზოგადოებრივი სინიდისი, რომელიც, თურმე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, როგორც მისი ჩრდილი, თან დაჰყვება.

ამ ლირიკულ-ფსიქოლოგიური ეტიუდის ლეიტმოტივი ხდება ნამდვილი ადამიანისათვის საზოგადოებისაგან გამორიყვის შეუძლებლობა. „მწვანე სივრცეებში“ ჩაფლული მწერალი ვერ ივიწყებს განვლილ გზას, გუშინდელი მისი ნამდვილი შრომითი დღე და სინამდვილე გაარღვევს სიმარტოვის ზღუდეს და კვლავ დაეუფლება მის სულსა და სხეულს. ლირიკული გმირი, რომელიც ეძებდა კიდევ ასეთ მომენტს, გლახს შეხვედბა. უსმენს მის საუბარს ხალხის ტანჯვასა და ვაებაზე. თითქოს სიცოცხლით ივსებაო, კვლავ გრძნობს მკლავში ძალას, მოწოლილ ბოლმასა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილს, „ნაგავთან ერთად მათ გადაყრასაც, ვინც ანაგვიანებს“<sup>1</sup>.

გლახთან შეხვედრით დამთავრდა *intermezzo*, შესვენება ცხოვრების ორ პერიოდს შორის. „სთქვი, სთქვი, — ეუბნება იგი გლახს, — გაავარვარე რისხვით ცის გუმბათი. დაბურე იგი შენი სიმწარის ღრუბლებით, რომ გაიქვლივოს და მეხმა დასქექოს, გააცოცხლე ცა და დედამიწა. ჩააქრე მზე და ცაში ახალი აანთე. ილაპარაკე, ილაპარაკე“<sup>2</sup>. პატიოსან მოქალაქესა და მხატვარს გულმა კვლავ საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ. ხალხისაკენ გაუწია. მ. კოციუბინსკი ბოლომდე ინარჩუნებს ლირიკულ ტონს და დასკვნით აკორდს იღებს: „მივდივარ ხალხთან.

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 195.

<sup>2</sup> იქვე.



სული მზად არის, ლარები დაჭიმულია. აწყობილია. უკვე ეღერს...“.

მწერლის ლირიკული აღსარება ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. იგი მოქმედებისაყენ, საზოგადოებრივი საქმისაყენ მოგვიწოდებს და ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოებრივ როლზე ლაღადებს.

ამ ნოველაში კოციუბინსკი მკვეთრად ილაშქრებდა ხელოვნების დამოუკიდებლობის, განმარტოებისა და ასკეტობის ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ. „Intermezzo“ მაღალმხატვრული ნაწარმოებია. იგი გამოსატვის თავისებური ფორმითაც გამოირჩევა.

ნოველა „Intermezzo“, ისევე როგორც მოთხრობები: „როგორ ვიმგზავრეთ კრინიცაში“ (1908 წ.) და „რა წერია ცხოვრების წიგნში“ (1910 წ.), რეაქციის პერიოდის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელშიაც ხალხთა გაღატაკებისა და უბედურების, უსამართლობისა და ბოროტების რეალისტური სურათებია დახატული. მ. კოციუბინსკი თავის მხატვრულ ქმნილებებში ხალხისადმი სამსახურის იღეას, მოქალაქეობრივი შეგნებულობისა და ღირსების იღეას კვლავ წინა პლანზე წამოსწევა.

\* \* \*

მიხეილ კოციუბინსკი მკვეთრად ემიჯნებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინის დეკადენტ მწერალთა დაჯგუფებებს, ამხელდა მათი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ანტიხალხური ხასიათს და თავის ყურადღებას ქეშმარიტად ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლ ადამიანებს მიაპყრობდა. უკრაინელი და რუსი სახალხო მწერლები კოციუბინსკის აღტაცებას იწვევდნენ. „გიხარია, — წერდა იგი გნატიუკს, — როდესაც კითხულობ სტეფანიკს, კობილიანსკაიას, მარტოვიჩს“, განცვიფრებული ვარ „ნა“

1 მ. კოციუბინსკი, თხზ. 3, გვ. 176.

თელი პიროვნების“, ივანე ფრანკოს „გონებითა და ნიჭით“<sup>1</sup>.

ვლადიმერ კოროლენკოს ნაწარმოებებს იგი „საოცრად გასაგებსა და დიადი მხატვრის მიერ საოცრად მართლად ასახულ ცხოვრების წიგნებად“<sup>2</sup> თვლიდა.

ჯერ კიდევ 80-90-იან წლებში მიხეილ კოციუბინსკის ბარათებში ჩვენ ვხვდებით გამოჩენილი რუსი მწერლების, განსაკუთრებით კი გლებ უსპენსკის აღფრთოვანებულ შეფასებას. სალტიკოვ-შჩედრინს მწერალი დიდ პატივს სცემდა და მისი შემოქმედების სატირულ სახეებსა და გამოთქმებს ხშირად იყენებდა ხოლმე. რუსული ლიტერატურა მას ყოველთვის მიაჩნდა ხალხის სამსახურის დიად მაგალითად. უკრაინული ლიტერატურის მძლე განვითარება მას რუსულ ლიტერატურასთან შემოქმედებითი კავშირის გარეშე შეუძლებლადაც კი მიაჩნდა. კოციუბინსკიმ 1898 წელს გაზეთ „ვოლინში“ გადაბეჭდა ანონიმური სტატია, რომელშიაც ნათქვამი იყო, „ორი მონათესავე კულტურის თანაარსებობა ჩვენ ორი ერთიმეორეს შემავსებელი ხალხების კულტურული ზრდის მძლავრ პირობად გვესახებაო“.

მოდმე რუსი ხალხისადმი ორმა სიმპათიებზე მიგვიითებებს უკრაინელი მწერლის ბარათი რუსი მთარგმნელი პოეტის ი. ა. ბელოუსოვისადმი, რომელმაც მოძმე ხალხს „ფაქიზად და სიყვარულით მიართვა საჩუქრად უკრაინელი გენიოსის ტ. გ. შევჩენკოს დიადი სიტყვა“.

სრულიად განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო მაქსიმ გორკისადმი მწერლის სიმპათიები. უკვე 1903—1907 წლებში კოციუბინსკის ყურადღება „აზრთა მეუფემ“ მიიპყრო. კოციუბინსკი ბეჭითად ადევნებდა თვალს გორკის შემოქმედებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას და

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 187.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 112.

მას ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ავტორიტეტად სთვლიდა. 1903 წელს მან თავისი მოთხრობების კრებული გორკის, ჩეხოვსა და კოროლენკოს გაუგზავნა.

რეაქციის პერიოდში, როდესაც ლიბერალური ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ცხოველ რევოლუციურ საქმიანობას და ჩრდილს შეაფარა თავი, კოციუბინსკისა და, საერთოდ, პროგრესული მწერლებისათვის, მაქსიმ გორკი ხალხის ინტერესების, მუშათა და გლეხთა ოცნებისა და სურვილების გამომხატველი მწერალი და მოქალაქე იყო.

მაქსიმ გორკისა და მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში საერთო იდეურ-თემატურმა პოზიციებმა უკრაინელ მწერალს გაუღვივეს რევოლუციური საზოგადოებრიობის „აზრთა მეუფის“ ნახვის სურვილი.

1909 წლის გაზაფხულზე ძლივძლივობით მოვროვილი თანხით ავადმყოფი კოციუბინსკი იტალიაში, კუნძულ კაპრისაქენ გაემგზავრა. პოლიტიკური ემიგრანტი მაქსიმ გორკი იმჟამად იქ ცხოვრობდა და მნატვრულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა.

1909 წლის 2 ივნისს კუნძულ კაპრზე შეხვდნენ ისინი ერთმანეთს და მაშინვე დაასლოვდნენ. კოციუბინსკი შემდეგში ასე იგონებდა ამ შეხვედრას: „მე ხელგაშლით მიმიღეს. იგი მე მიცნობს ლიტერატურის მეშვეობით, და თურმე, მაფასებს“<sup>1</sup>. ხოლო გორკის ოჯახის ერთ-ერთი წევრი ი. ა. ჟელიაბუჟსკი შენიშნავდა: „როგორც კი მიხეილ მიხეილის ძემ სთქვა, თუ ვინ იყო იგი, გორკი სწრაფად მივიდა მასთან, გაიღიმა და მხურვალედ დიდხანს ართმევდა ხელს, თან ამბობდა: „რა კარგია! რა შესანიშნავია!“ შემდეგ უეცრად უფრო მიუახლოვდა და მიხეილ მიხეილის ძეს მოეხვია. აღელვებულმა კოციუ-

---

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, წერილები ა. ი. აპლაქინასადმი, კიევი, უკრ. მეცნ. აკადემია, 1938 წ., გვ. 111.

ბინსკიმ გაიღიმა, უცხად გახდა გასაგები, რომ თუმცა ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, — ორივეს უყვარს ერთიმეორე და ღრმა პატივს სცემენ ურთიერთს!<sup>1</sup>.

კოციუბინსკისა და გორკის შორის მალე გაიბა მეგობრული და შემოქმედებითი თანამშრომლობის ძაფები. „ჩვენ დავმეგობრდით უცხო მხარეში. — წერდა იგი ა. ი. აპლაქინას, — ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს. ბევრს ვსაუბრობთ ჩვენთვის ახლობელ ლიტერატურულ თემებზე“<sup>2</sup>.

მეგობრებისა და ნათესაეებისადმი კაპრიდან გამოგზავნილ სხვა მრავალ წერილში უკრაინელი მწერალი მადლიერების გრძნობით იგონებს იმ გულითად შეხვედრას, იმ სიბოხს, რომელიც მან მაქსიმ გორკის სახლში იგრძნო.

მაქსიმ გორკიც ასეთივე სიხარულს განიცდიდა კოციუბინსკისთან შეხვედრის გამო. „ჩვენი ურთიერთობა, — იგონებდა მ. გორკი, — გაცნობის პირველივე დღეებიდან უაღრესად მეგობრული და მტკიცე გახდა. ერთმანეთს ვუკითხავდით ჩვენს ნამუშევრებს და ორივენი ძალზე გულწრფელად ვეუბნებოდით ერთიმეორეს, თუ თვითეული ჩვენთაგანი რას ფიქრობდა მეორის ნამუშევარზე. თუ ვიტყოდით „გავლენაზე“, იგი, ალბათ, ორმხრივი იყო“<sup>3</sup>.

ამ ორი მწერლის მეგობრობა არ იყო შემთხვევითი მოვლენა. იდეური გზების ძიებაში უკრაინელი მწერალი მიიყვანა გორკისთან, რომელმაც ჯერ კიდევ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში უდიდესი მხა-

<sup>1</sup> „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1946 წლის 22 აგვისტო.

<sup>2</sup> მ. კოციუბინსკი, წერილები ი. აპლაქინასადმი, კიევი, 1938 წ., გვ. 115.

<sup>3</sup> „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1934 წ., გვ. 20.

ტვრული ძალით განასახიერა მშრომელი ხალხის რევოლუციური მისწრაფებანი. სწორედ გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში იპოვა კოციუბინსკიმ თავის შეხედულებათა და სწრაფვათა განხორციელება. პროლეტარიატის დიდი მწერალი კოციუბინსკის მეგობარი და მასწავლებელი, ხოლო მისი შემოქმედება კი უკრაინელი მწერლის ნაწარმოებთა მხატვრულობის ეტალონი ხდება.

მიხეილ კოციუბინსკისა და მაქსიმ გორკის მეგობრობა უკრაინული და რუსული ლიტერატურის ისტორიაში კიდევ ერთი ნათელი მოვლენაა.

მაქსიმ გორკის ნაწარმოებები კოციუბინსკის „რუსი ბელეტრისტების სკოლად“, რეალისტური ხელოვნების დიდ მიღწევად მიაჩნდა. „დიდ ნაწარმოებებს“ უწოდებდა იგი „ქალაქ ოკუროვს“, ხოლო „ვასა ჟელეზნოვას“ — „ღრმა, ძლიერ და ორიგინალურ ნაწარმოებს“, რომლის წაკითხვის დროს „გინდა სთქვა: გმადლობთ ხელოვნებისათვის!“<sup>1</sup>.

გორკის „იტალიური ზღაპრები“, კოციუბინსკის აზრით. „შესანიშნავი, მზიური წიგნია“ და „იშვიათი სიამოვნებით“ იკითხება.

გორკი მორალური მხარდაჭერისა და მისი ნაწარმოებების მაღალი შეფასების გარდა, მიხეილ კოციუბინსკის ყოველმხრივ უწყობდა ხელს რუს მკითხველთა ფართო საზოგადოებაში ავტორიტეტის მოპოვებაში. გორკის ინიციატივით უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები იბეჭდებოდა გამომცემლობა „ზნანიეში“. 1911 წლისათვის ამ გამომცემლობაში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა კოციუბინსკის მოთხრობების ორი ტომი. ბოლშევიკურმა გაზეთმა „ზვეზდამ“ მაღალი შეფასება მისცა ამ ნაწარმოებებს; პირველი ტომის გამოცემას ასევე მიესალმა მაქსიმ გორ-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 3, გვ. 349.

კიც. „თქვენი წიგნი დიდის სიამოვნებით, სულიერი კმაყოფილებით წავიკითხეო“<sup>1</sup> — ატყობინებდა იგი ავტორს.

ასეთი მეგობრული დამოკიდებულებითა და. ამავე დროს, დიდი მწერლის თბილი სიტყვებით გამხნევებული კოციუბინსკი მადლიერების გრძნობით პასუხობდა გორკის: „თქვენი ბარათით მე ძალზე გამამხნევეთ, გამახარეთ, თუ წიგნი თქვენ მოგწონთ, მაშასადამე, ღირს წერა. თქვენ მე გამიგებთ. თქვენთვისაც კი, ასეთი დიდი მხატვრისათვის, ნაცნობია საკუთარი თავით უკმაყოფილების გრძნობა. ჩემში იგი ძალზე განვითარებულია. დიდად გმადლობთ“<sup>2</sup>.

კოციუბინსკი უაღრესად თავმდაბალი მწერალი იყო. მაშინაც კი, როდესაც იგი ლიტერატურული დაოსტატების მწვერვალზე იმყოფებოდა, არ კარგავდა ზომიერების გრძნობას და თავის თავს ყოველთვის დიდ მოთხოვნებს უყენებდა. საკუთარი ნაწარმოებებით უკმაყოფილობის გრძნობა მას ყოველთვის აწუხებდა. ეს შენიშნა მაქსიმ გორკიმაც: „იგი არასოდეს არ ზოგავდა თავის ფიზიკურ ძალებს, — იგონებდა გორკი, — თავის პოეტურ ნიჭსაც იგი უაღრესად მკაცრად ექცეოდა. თავის თავს ზედმეტად მკაცრ მოთხოვნილებებს უყენებდა“.

მიზეილ კოციუბინსკის მხატვრულ და იდეურ მომწიფებასთან ერთად იზრდებოდა მისი მნიშვნელობა და პოპულარობაც. მტკიცდებოდა და ვითარდებოდა გორკისა და კოციუბინსკის იდეური და შემოქმედებითი კავშირი.

რეაქციის პერიოდში მეფის ხელისუფლებამ გააძლიერა თავისი საქმიანობა ნაციონალური შუღლის გამოწვევისა და სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის მტრობის დასათესად. სწორედ ამ პერიოდში განსაკუთრებით მტკიცე და ურყევი ხდება რუსი და უკრაინელი მწერლების,

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, ტ. 3, გვ. 350.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 351.

გორკისა და კოციუბინსკის მეგობრობა. ამას აღნიშნავდა იმდროინდელი ლიტერატურული საზოგადოებრიობა, ამას ამბობდა გორკი, ამაზე ლაღადებდა კოციუბინსკიც: „მე ძალზე დავუახლოვდი გორკის, — წერდა იგი ერთგან, თითქმის ყოველდღე ვნახულობთ ერთმანეთს; როცა მე შემაჯვრიანდება, იგი მომიკითხავს, ვსეირნობთ, ერთად ვსხედვართ და უსასრულოდ ვსაუბრობთ ლიტერატურულ თემებზე. ხანდახან ის თავის ახალ ნაწარმოებებს მიკითხავს, ანდა თვის გეგმებზე, მომავალ შრომებზე მომიტხრობს“<sup>1</sup>.

მაქსიმ გორკისთან ურთიერთობამ დიდი გავლენა მოახდინა კოციუბინსკიზე. მისმა იდეურმა პოზიციებმა, მხატვრულმა კრედიტმა და მოქალაქეობრივმა ნამდვილმა შეგნებამ ახალი პერსპექტივები დაუსახეს უკრაინელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. მისი შემოქმედება თავისი რევოლუციური ჰუმანიზმით, შეუწელებელი ზიზღით ყოველგვარი ექსპლუატაციისადმი ეხმაურება პროლეტარიატის ლიტერატურული ბელადის შემოქმედებას.

კოციუბინსკი სამგზის იყო კუნძულ კაპრზე. 1910 წელს კაპრზე გატარებულმა პერიოდმა ღრმა კვალი დატოვა მწერლის შემოქმედებით ცხოვრებაში, ხოლო გორკის ბინაზე გატარებულმა 1911—1912 წლების ზამთარმა ეს ორი მწერალი შემოქმედებითად კიდევ უფრო დააახლოვა.

1912 წლის რევოლუციის აღმავლობის ტალღამ ქვეყანა კვლავ შეაქანა. მწერალთა საზოგადოებრიობა, ისევე როგორც ხალხთა სხვა ფენებმა, კვლავ დაინახეს რეაქციის შავი ღრუბლით დაფარული ცის სისხლისფრად აწითლებული კიდურები — ქარიშხლის მომასწავებელი ნიშანი. მიხეილ კოციუბინსკის პალიტრაზე გამუქდა წითელი ფერი და მან უფრო ოპტიმისტუ-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, ტ. 3, გვ. 251.

რი ქლერადობა მიიღო. როგორც მაქსიმ გორკი აღნიშნავდა, მწერალს „გმირული განწყობილებანი ექმნებოდა“.

მაქსიმ გორკისთან ურთიერთობამ და რევოლუციური ლიტერატურის სისტემატურმა კითხვამ დიდად განაპირობეს მიხეილ კოციუბინსკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ შემოქმედებითი პოზიციები.

1912 წლის 13 თებერვალს კოციუბინსკი მეუღლისადმი მიწერილ ბარათში „რუსული ზღაპრების“ წაკითხვით გამოწვეულ აღფრთოვანებას უზიარებს მას, ხოლო ერთი თვის შემდეგ გორკის „მეექვსე ზღაპრის“ თემაზე წერს ნოველას „ცხენები არ არიან დამნაშავენი“. რა თქმა უნდა, კოციუბინსკიმ ფოტოგრაფიულად როდი გადაიღო გორკის თემა. მწერალმა ნოველაში მძაფრი სატირა შექმნა უკრაინელ ლიბერალებზე.

ნაწარმოების გმირს მემამულე არკადი მალინას „წითელს“ უწოდებენ მისი „თავისუფლებისმოყვარე“ სიტყვებისა და აზრებისათვის. იგი ამაყობს კიდეც ამით. მაგრამ მისი, „ხალხის მეგობრის“ კუთხარტი სახე მაშინ გამოჩნდება, როდესაც სიტყვებიდან ხალხი საქმეზე გადადის. გლეხები, მალინას სიტყვით გამხნეებულნი, მოითხოვენ მიეცეთ მიწა. მალინა მძიმე მდგომარეობაში ვარდება. მას არ უნდა ლიბერალის ნიღაბის ჩამოხსნა, მაგრამ არც მიწის მიცემა უნდა. იგი გადასწყვეტს ბოლომდე შეინარჩუნოს ლიბერალის პოზა და მამული კი გლეხებს არ დაუთმოს.

მალინა ხალხში ლაპარაკობს, რომ „მიწა იმათ უნდა ეკუთვნოდეთ, ვინც მას ამუშავებსო“ და „დროა, ბატონკაცობას დავემშვიდობოთო“. თვითონ კი ფიქრობს, „თუ მოვლენ, ვესვრი...“ გლეხები მივლენ და, დარწმუნებულნი მის სიმპათიებში ხალხისადმი, მშვიდობიანად სთხოვენ მიწის დათმობას. მალინა აქაც თავის სიმალეზეა. გლეხებს იგი ამშვიდებს და ეუბნება, რომ რა თქმა უნდა იგი მათ მიწას მისცემს, თავისთვის . მხოლოდ „პატარა



კვალს ხახვისა და კროკეტისათვის“ დაიტოვებს. თვითონ კი სიბრაზე ახრჩობს. მისი აზრით, გლეხებს სხვა მემამულეებმა უნდა დაუთმონ მიწა, მაგრამ არა მალინამ. ეს, მისი ფიქრით, გლეხების მხრით უმადურობაა. ოჯახი შემფოთებულია. მალინას არ უნდა თვითონ გამოიძახოს კაზაკები. აქაც განაგრძობს იგი კუკუმალობანას თამაშს, გაახელებს თავის შვილს და დამსჯელ რაზმს მას გამოაძახებინებს. მალინა კვლავ თვალთმაქცობს და თუმცა მას სიამოვნებს კაზაკების გამოჩენა. მაინც საყვედურობს ცოლშვილს — როგორ გაბედეთ მათი გამოაძახებო. საბოლოოდ იგი მაინც იტოვებს კაზაკებს „უწყინარი“ საბაბით: „ცხენები არ არიან დამნაშავენი, ისინი დაილაღნენ, რა მოხდება, რომ ღამით საჯინბოს გვერდით დავაბათო“.

ნაწარმოებში ნათლად არის გამოკვეთილი წინააღმდეგობა „წითელი“ მალინას „ხალხისმოყვარულ“ ლამაზ ფრაზებსა და მის საქმეებს შორის. ერთი ხელით იგი გლეხს ეფერებოდა, ხოლო მეორეთი თოფს იმარჯვებდა მის მოსაკლავად. მწერალი აფრთხილებს ხალხს, რომ რა ლამაზი სიტყვებიც არ უნდა თქვას მემამულემ, იგი მაინც მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტერიაო.

1912 წელს არის აგრეთვე დაწერილი ნოველა „საჩუქარი დღეობაზე“. მ. კოციუბინსკი ამ ნაწარმოებში კვლავ უბრუნდება ჯალათის ცხოვრების თემას და ზედამხედველი ზაიჩიკის სახით მეფის ხელისუფლების დამქაშებს გვიხატავს. ზაიჩიკმა დიდი ფიქრის შემდეგ თავისი შვილისათვის დღეობაზე მისართმევ საჩუქარს მიაგნო. იგი გადასწყვეტს თავისი შვილი დასჯის, ჩამოხჩობის სურათით დაატკბოს. ასეთი „საჩუქრის“ მოგონებას ჭეშმარიტად გაყინული გული და სისხლიანი ხელები სჭირდებოდა.

ნოველაში ეპიზოდური როლი აქვს რევოლუციონერ ქალიშვილს, რომელიც საბრძოლველაზე აპყავთ, მაგრამ იგი ისე ძლიერად და შემოქმედებითი ცეცხლით არის დახა-

ტული, რომ მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მწერლის „გმირულმა განწყობილებამ“ გამოსატულება კპოვა ნოველაში „სიზმარი“ (1911 წ.). ნაწარმოები უხამსობისა და მეშხანობის წინააღმდეგ არის მიმართული.

პროვინციული ქალაქის ყოველდღიურმა უღიმღამო ცხოვრებამ უმოძრაობის ქაობში ჩაითრია ანტონი და მისი მეუღლე მარტა. მეშხანური ყოფის რეალისტური სურათები მოთხრობაში უაღრესად სატირულ ტონშია წარმოდგენილი. „ყოველდღე ერთიდაიგივე“, მოხელეების უფერული სახეები, ტალახის გუბე, რომელშიაც მთელი ქალაქის ანარეკლია თავისი მძიმე ტაძრით, სასამართლოს ყვითელი კედლებით... სახლშიაც ერთი და იგივე სურათი მეორდება—მელანქოლიური მეუღლე თავისი თეთრი, როგორც გაყინული ქონი<sup>1</sup>, ფეხებით, ფუყე, მეშხანური ყოფით... არავითარი ინტერესი აღარა აქვს ასეთი ხალხის ცხოვრებას ამ ქვეყანაზე, მაგრამ ხდება საოცრება.

ანტონს აღარ უნდა შეეგუოს ამ მეშხანურ ყოფას. ლემის სიცოცხლეს. სიზმარიც, რომელსაც იგი ნახავს, ამ გადაწყვეტილების სისწორეში არწმუნებს. სიზმარი ანტონს ახსენებს მშვენიერ „ცოცხალ სიცოცხლეს“, მწვანეში ჩაფლულ ზღაპრულ ზღვის სანაპიროს. ასეთ ფონზე მას მოევლინება რევოლუციონერი ქალიშვილი. „იგი, მგონი, კავკასიიდან იყო, — იგონებს ანტონი, —ყოველ შემთხვევაში მე გავიგე, რომ რევოლუციის დროს იგი ჯარისკაცების წინააღმდეგ იბრძოდა. მთებში უსაფრდებოდა... დაულალავად... სიკვდილისადმი გულგრილი. ღამე ტივებით გადასცურავდა ხოლმე მტკვარს, თავისიანებისათვის ვაზნები რომ ეშოვნა. იგი კაზაკებმა

1 მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 263.

დასკრეს. მან გახსნა სასელო და ნაიარევი მანახვა; მე კი მის წინ დავიჩოქე და თავი დავხარე“<sup>2</sup>.

„სიზმრის“ კომპოზიციაში მშვენიერი რევოლუციონერი ქალის შეყვანამ პროვინციელი მასწავლებლის ანტონის მყუდროება საბოლოოდ დაარღვია. რომანტიკული გმირი ქალი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი, თავისი დროის ქეშმარიტი გმირია.

ნოველა „სიზმარი“ ოქტომბრის რევოლუციანდელი უკრაინული ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარმოებია, რომელშიაც მწერალი არა მარტო ამხელს მეშჩანური ყოფის სიღამპლეს, არამედ მოგვიწოდებს დავაფასოთ სიცოცხლე, გვიყვარდეს მშვენიერება და სილამაზე, ნუ გავაბინძურებთ მას უხეირო წვრილმანებით და ნუ გადავაქცევთ მას ნაგვის ყუთად. მითუმეტეს, თუ ამ მშვენიერებად, როგორც ეს ნაწარმოებშია გაგებული, რევოლუციურ მოღვაწეობას წარმოვიდგენთ.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს მიხეილ კოციუბინსკის თვალში ხედებოდა გაბატონებული კლასის მდიდარი წარმომადგენლების თავაშვებული ცხოვრება აგარაკებზე. ფულს დახარბებული, უგემოვნო, უეთიკო და მიზანთროპი ბურჟუები მწერლის დამსახურებულ ზიზლს იწვევდნენ.

ამერიკელ და ინგლისელ ექსპლუატატორებზე წერს იგი თავის მხატვრულა თუ ეპისტოლარულ ნაწარმოებებში. „ყველგან უამრავი ძვირფასი ოტელია, სადაც ატარებენ ზამთარს ამერიკელები, გერმანიის იმპერატორი და სხვა „სალახანები“<sup>1</sup>—წერს იგი ერთ-ერთ ბარათში, ხოლო ნოველაში „სიზმარი“ ინგლისელი ტურისტის სატირულ სურათს გვიხატავს. „მე ვხედავდი კარგად ნაცნობ სურათს... თეთრშარვლიანი შავი სმოკინგი უხმოდ, მეთო-

<sup>1</sup> მ. კოციუბინსკი, თხზ., ტ. 2, გვ. 176.

დურად კრის სისხლიან ხორცს“. მწერალი სხვაგან ამგვარ ბურჟუაზ ბებერ ვირს აღარებს.

ამავე დროს კი მიხეილ კოციუბინსკი მთელ რიგ ნოველებში („სიზმარი“, „დიდება სიცოცხლეს“, „კუნძულზე“) სითბოთი და სიყვარულით აღსავსე სტრიქონებს მიუძღვნის იტალიელ მშრომელებს.

გორკისა და კოციუბინსკის შორის იდეური და შემოქმედებითი ინტერესების თანხვედრა და შერწყმა ამავე პერიოდის სხვა ნაწარმოებებშიც შეიძლება შეინიშნოს. გორკის „იტალიური ზღაპრების“ შემდეგ კოციუბინსკი ხალხურ შემოქმედებას მიაკითხავს, უბრალო ადამიანების გრძნობათა და აზრთა პოეტიზაციას მიმართავს. კარპატებში შეკრებილი მასალების საფუძველზე იგი ქმნის ნაწარმოებს „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილები“, რომლის ძირითად პრობლემასაც ადამიანის ნათელი ცხოვრებისათვის ბრძოლა წარმოადგენს.

მოთხრობის გმირები, გლეხები ივანე და მარიჩკა ბავშვობისას. სანამ ცხოვრების მუხანათობას გამოსცდიდნენ, ბედნიერები იყვნენ. მკაცრმა სოციალურმა სინამდვილემ მათ ნათელ ოცნებებს ფრთები შეაკვეცა და ქედოც მოახრევირა. ივანე იძულებული გახდა მარიჩკას დაშორებოდა და საშოვარზე წასულიყო. შვიდ წელს კარდაკარ დაეხეტებოდა და თავაუღებლივ შრომობდა ივანე უნგრეთში, მერვე წელს სახლში მიბრუნდა. მაგრამ მარიჩკა ცოცხალი აღარ დახვდა. ივანე ცოლად ირთავს პალანგეს. მაგრამ უსაყვარულოდ შექმნილ ოჯახს მისთვის ბედნიერება არ მოაქვს. ივანე დარღობს ფუჭად დაღუპულ ცხოვრების წლებზე და თავგზააბნეული „ბოროტ სულებთან“ ბრძოლაში თავადაც იღუპება.

ნაწარმოებში ანახულია გუცულების ზნე-ჩვეულებანი, მათი ყოფა-ცხოვრების რეალისტური სურათები, რომლებშიაც ხშირად ხალხური ფანტასტიკა არის გადაქსოვილი. მოთხრობა რომანტიკულ სტილშია შესრულებული.

ბული. გმირთა მეტყველებას გუცულების დიალექტის კვალი ამჩნევია.

„დავიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ სიცოცხლის, კეთილი ადამიანისა და ბუნების დიდი ჰიმნია. მსგავსი განწყობილებანია ასახული მწერლის მიერ შექმნილ სხვა მოთხრობაში, რომლის სათაურიც. თავის მხრივ, მეტყველებს ნაწარმოების შინაარსზე. „დიდება სიცოცხლეს“ ასე ეწოდება მ. კოციუბინსკის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაწარმოებს.

1910 წლიდან მოკიდებული მწერალმა რამდენჯერმე იმოგზაურა გუცულების სოფლებში, სადაც ახალი ნაწარმოებებისათვის კრებდა მასალებს. კრივორივნოში ყოველწლიურად ჩადიოდნენ უკრაინელი მწერლები. თავის დროს ამ სოფლის სტუმრები იყვნენ ივანე ფრანკო, ლესია უკრაინკა, ვასილ სტეფანიკი, ვლადიმერ გნატიუკი და სხვა. კრივორივნოში კოციუბინსკის მოგზაურობა მწერლის შემოქმედებითი სალაროს გამდიდრების, ახალი შთაბეჭდილებებით ავსების გარდა უკრაინული ლიტერატურის დემოკრატიული ძალების შემჭიდროებასაც ისახავდა მიზნად.

მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი და ჭეშმარიტი მოქალაქე მიხეილ კოციუბინსკი უკრაინული ლიტერატურის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა. იგი ბეჯითად ადევნებდა თვალს ახალგაზრდა ლიტერატორთა შემოქმედებით მოღვაწეობასა და ზრდას, ზრუნავდა მათზე და ხალხის სამსახურისათვის აწრთობდა მათ მუშასა და ნებისყოფას. მწერალმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდა ლიტერატორები და ჯერ „შაბათობებზე“, ხოლო შემდეგ „ორშაბათობებზე“ ესაუბრებოდა მათ ლიტერატურისა და ცხოვრების საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. ამ „შაბათობებს“ ესწრებოდა მაშინ დამწყები პოეტი პავლო ტიჩინა, რომელშიაც კოციუბინსკიმ

ნიქიერი შემოქმედი დაინახა და მზრუნველი ხელით დააყენა კიდევ შემოქმედების სწორ გზაზე.

1911—1913 წლებში ბოლშევიკების პარტია სხვა პრობლემებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა ნაციონალურ საკითხს. ვ. ი. ლენინის შრომები „კადეტები და ნაციონალისტები“, „ნაციონალ-ლიბერალები“ და სხვანი ბოლშევიკური პარტიისათვის ნაციონალურ საკითხში საპროგრამო ნაწარმოებნი იყვნენ. ლიტერატურულ ფრონტზე მაქსიმ გორკი ხშირად გამოდიოდა სტატიებით ნაციონალურ საკითხზე. იგი კოციუბინსკის ყურადღებასაც ამახვილებდა ნაციონალ-შოვინისტების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე. მიხეილ კოციუბინსკი სავსებით იზიარებდა პროლეტარული მწერლობის მამამთავრის ამ შეხედულებებს და თვითონაც აქტიურად იბრძოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ტიპის მწერლობის წინააღმდეგ.

1912 წელს გორკიმ კოციუბინსკის გაუზიარა თავისი გეგმები. რომლებიც პეტერბურგში „სქელტანიანი“ ჟურნალის შექმნისა და მის ფურცლებზე ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მხილებას ითვალისწინებდნენ მაქსიმ გორკის წინადადებით კოციუბინსკი ამ ჟურნალში მონაწილეობის მისაღებად უკრაინელ კადრს ეძებს. ამ მიზნით იგი ვ. გნატიუკის გამოყენებასაც ფიქრობს და სთავაზობს კიდევ სტატიის დაწერას მოწინავე უკრაინული ლიტერატურის მიღწევებზე. მაგრამ კოციუბინსკი მხოლოდ რუს მკითხველებზე როდი ფიქრობს. მას უნდა, რომ უკრაინელებისათვისაც დაიწეროს ისეთი წერილი, რომელშიაც სწორი პოზიციებიდან და ღრმად იქნება გაშუქებული ნაციონალური საკითხი. იგი გორკის მიმართავს თხოვნით, გამოსთქვას თავისი აზრი გაზეთის „უკრაინაკაია ჟიზნი“-ის ფურცლებზე. გორკი თანხმდება და წერს კიდევაც სტატიას სათაურით—„რუსულ ინტელიგენციაზე და ნაციონალურ საკითხზე“.



Ե. Պոստոլով.  
1853—1857







ტ. შვეტიცხეაძე. მ. ს. შვეტიცხეაძის  
პორტრეტი. 1858.



მიხეილ კოციუბინსკისა და მაქსიმ გორკის მეგობრობა თვითმპყრობელური რუსეთის სოციალური და პოლიტიკური წყობის წინააღმდეგ რუსი და უკრაინელი ხალხის უბრძოლეს საფუძველს დაეყრდნო და ერთგვარად მოწინავე რუსული და უკრაინული ლიტერატურის მჭიდრო კავშირის გამოსატულებაც იყო. მაგრამ ორი მწერლის ეს ურთიერთობა, სამწუხაროდ, ფიზიკურად ხანმოკლე აღმოჩნდა.

1912 წლისათვის კოციუბინსკი ავადმყოფობამ ლოგინად ჩააგდო. 1913 წლის 25 აპრილს დიდი მწერალი გარდაიცვალა.

უკრაინელ ხალხთან ერთად მთელი რუსეთის სხვა ხალხებმაც მძიმედ განიცადეს ეს დანაკარგი. გაზეთებში იბეჭდებოდა ნეკროლოგები, რომლებშიაც უკრაინელი მწერლისადმი თავიანთი ხალხის ღრმა სიმპათიები იყო გაშოხატული. მაქსიმ გორკიმ კაპრიდან გამოავაზვნა დეპეშა. „დიდი ადამიანი დაკარგა უკრაინამ. — დიდხანს და კარგად ემახსოვრება მას მწერლის კეთილი შრომა“ — წერდა იგი.

კოციუბინსკის საფლავზე მრავალი წითელლენტიანი გვირგვინი იდო. ერთ-ერთ მათგანზე მაქსიმ გორკის დეპეშიდან ამოღებული სიტყვები იყო წარწერილი: „ადამიანი მოკვდავია, ხალხი უკვდავია“.

სხვებთან ერთად საქართველოს მშრომელებიც, ქართველი ინტელიგენცია „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი ნეკროლოგითაც დასტიროდა უკრაინელი ხალხის საუკეთესო შვილის დაკარგვას.

ქართველ საზოგადოებრიობას თავისი გულთბილი დამოკიდებულება მიხეილ კოციუბინსკისადმი შემდეგშიც არ განელებია. ჯერ „სახალხო ფურცელში“, ხოლო შემდეგ მის „სურათებიან დამატებაში“ ერთიმეორეს მიღვენებით ქვეყნდება უკრაინელი მწერლის ნაწარმოებების — „მოქანცულობა“, „მარტო ვარ“ და „ღრუბლები“ თარგ-

მანები, შესრულებული ჟურნალისტ სანდრო გრძელიშვილისა (სანგანიძე) და მისი მეუღლის, პედაგოგ ელენე ციციშვილის („ობოლი სული“) მიერ. აღსანიშნავია, რომ კოციუბინსკის ეს ლექსები პროზად ძლიერ მოსწონდა მაქსიმ გორკის.

უაღრესად სიმბოლური იყო მიხეილ კოციუბინსკის უკანასკნელი ნაწარმოები „კუნძულზე“. როგორც მაქსიმ გორკი ამბობდა „სიცოცხლის გამარჯვებას სიკვდილზე, ქმედითისას ინერტულზე“ ლაღადებს ნოველა, რომელსაც იგი უკვე მძიმე ავადმყოფობით სარეცელს მიჯაჭვული წერდა.

სამშობლოს სითბოსა და სიტკბოს მოკლებული, მზრუნველ ხელებსა და თვალებს დაშორებული. იმედსა და საყრდენს — თანამოაზრეებსა და მეგობრებს. თავის ფუძესა და ზალხს მოცილებული და სიცოცხლესთან ბრძოლაში დამარცხებული მწერალი შორეული იტალიის მივარდნილ კუნძულზე უკანასკნელ ღონეს იკრებდა და ცხოვრების წიგნის ბოლო ფურცელს შლიდა — ესალმებოდა ამომავალ მზესა და მოლურჯო ზღვას. სორკლიან ვაზებსა და ცეცხლოვან ყვავილებს, ბრინჯაოსფერ სახეებსა და დაკოჟრულ ხელებს... ეგებებოდა სიცოცხლეს.

მწერალი გრძნობდა „ფორმათა უწყვეტი ცვლის პოეზიას“<sup>1</sup>, და გამოძერწა კიდევაც იგი სამხრეთის ყვავილის აგავის სახით. რომელიც მზის ამოსვლას ეგებება. აგავი ქვის ჯავშანს გაანგრევს, მაღალ, საღ კლდეზე ამოვა და „ჰყვავის, რათა მოკვდეს, და კვდება, რათა იცოცხლოს“.

მწერალი მიესალმა „მზის ამოსვლას“, ბუნდოვან მომავალს და თავისი გედის სიმღერა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას მიუძღვნა:

„დილით, როდესაც სარკმელს გამოვალე. მე ყოველ-

<sup>1</sup> მ. გორკი, თხზ., ტ. 14, გვ. 108.

თვის ვხედავ აყვავებულ აგავენს. დგანან აშოლტილნი და მალაღნი, ტანზე სიკვდილის გვირგვინით. და შორეულ ზღვას ესალმებიან:

„Ave, mare, morituri te salutant!“...

„გამარჯვება. ზღვაო. სასიკვდილოდ განწირულნი შენ მოგესალმებიან!...“

ასეთივე მარადიული სიტყვებზე ეწერა მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებას. ასეთი უკვდავია უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები.

ქეშმარიტი ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ ხალხის საკეთილდღეოდ გაწეულს მიხეილ კოციუბინსკას შრომასა და ღვაწლს.





მ ი კ თ ჯ ა

ბ ა ჟ ა ნ ი









ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის მებრძოლ-  
თა შორის, საბჭოთა კავშირის მოწინავე შემოქმედთა შო-  
რის სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით მოიხსენიება  
სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, საბჭოთა კავ-  
შირის ორდენების კავალერი მიკოლა ბაჟანი.

გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა შე-  
მოქმედებითი და იდეური ბრძოლის შინაგანი წინააღმ-  
დეგობით აღსავსე გზა განვლო.

\* \*

მიკოლა (ნიკოლოზ) პლატონის ძე ბაჟანი დაიბადა  
1904 წლის 9 ოქტომბერს, ქალაქ კამენეც-პოდოლსკში,  
სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1918 წლამდე პოეტი  
უმანის გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ კოოპერა-  
ციულ ტექნიკუმში, რომელიც 1921 წელს დაამთავრა.  
მ. ბაჟანმა სწავლა კიევის კოოპერაციულ ინსტიტუტში  
განაგრძო, მაგრამ მალე თავი დაანება მას და ლიტერატუ-  
რულ საქმიანობას მოჰკიდა ხელი.

მიკოლა ბაჟანის პირველი ლექსები კიევის გაზეთ  
„ბოლშევიკში“ დაიბეჭდა, ხოლო 1926 წელს ხარკოვში  
გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული — „მე-  
ჩვიდმეტე პატრული“.

კრებულის თემატიკა სამოქალაქო ომთან იყო დაკავ-  
შირებული. პოეტისათვის ჯერ ყველაფერი როდი იყო ნა-  
თელი, მსოფლმხედველობაც არ ჰქონდა ჩამოყალიბებუ-  
ლი, მაგრამ მისი მგზნებარე გული რევოლუციურ ქარი-  
შხალს ხალისით ეგებებოდა, სმენა კი სულ ადვილად არ-

ჩვედა დიადი ბრძოლების მრისხანე მუსიკას: ტყვიების ზუზუნს. ყალზე დამდგარ ცაენების კიანა, ხმლების ზრიალსა და ლამის პატრულის ფეხის ხმას...

კრებული იხსნება ლექსით „მებრძოლის სიმღერა“, სადაც პოეტი მამაცობას, გმირობასა და რევოლუციის საქმის ერთგულებას უმღერის.

კრებულში დაბეჭდილია „აირწინალი“. ამ ნაწარმოებში პოეტი მთელი პოლკის დაღუპვის ტრაგიკულ სურათს გვიხატავს. კომკავშირის სახელობის მეხუთე პოლკი შეტევაზე უნდა გადასულიყო. მაგრამ გაიგეს, რომ მტერი მათ ქიმიური კონტრშეტევით უპასუხებდა. პოლკში სამიათასი კაცი იყო, აირწინალი კი მხოლოდ ათას კაცს ჰქონდა. მათ გადაწყვიტეს, თუნდაც სიკვდილის ფასად, მტრის შემოტევა შეეჩერებინათ.

ეს ბალადა თბრობის ლაკონიურობით, მოქმედების დინამიურობით, რევოლუციური საქმისადმი ერთგულებით ნ. ტიხონოვის ბალადებს „პერეკოპსა“ და „სიმღერას ჯარისკაცზე“ ენათესავება.

მიკოლა ბაქანის პირველი ლექსი სოციალისტური რევოლუციის.. სამოქალაქო ომის პეროიკის პათოსით არის გამსჭვალული და საბჭოთა წყობილების განმტკიცებისაკენ მოგვიწოდებს.

პოეტის პირველსავე ნაწარმოებებში გამოიკვეთა ქალაქური თემატიკა და ლექსის ეპიური წყობა. მისი პოეტური სტილი შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდებოდა. უბრალო, მართალ პოეტურ სიტყვას, რომლისთვისაც უცხო იყო ორნამენტულობა, ხანდახან ექსტატური დვარკნილი სიტყვა და ფორმა სცვლიდა. ამიტომაც იყო, რომ მიკოლა ბაქანმა სანამ სოციალისტური რეალიზმის გამოჩენილი პოეტი გახდებოდა, გამოსცადა გამარჯვების სიტკბოცა და დამარცხების სიმწარეც.

ამ პერიოდში გამოქვეყნებული ლექსის „სონეტის“ მთავარი აზრი ასეთი იყო: სამოქალაქო ომის ხანძრის

ჩაქრობასთან ერთად რომანტიკული ალიც ჩაქრა, დადგა ჩვეულებრივი, უფერული ცხოვრება. ცხოვრებისეული მოვლენების ასეთივე არასწორი შეფასება მოგვცა პოეტმა ლექსში „მეჩვიდმეტე პატრულის მებრძოლი“. მისი მთავარი გმირი ანტონ სედიხი არ იყო დადებითი გმირის ტიპური პორტრეტი. ყოფილი ქურდი და ბანდიტი ანტონი რევოლუციონერებს მიეკედლა, მაგრამ მისი წარსული გამოაშკარავდა, მაშინ ანტონი თვითნებურად გადაადგმბს ღიანდაგიდან მტრის მატარებელს და თვითონაც დაიღუპება.

პესიმისტურმა განწყობილებამ უფრო მკვეთრად იჩინა თავი ლირიკულ კრებულში „მოჩუქურთმებული ჩრდილი“ (1927 წ.), განსაკუთრებით კი ქალაქის თემასთან დაკავშირებულ ლექსებში, სადაც იგი დარდობს, რომ ძლიერ გვიან გაჩნდა ამ ქვეყანაზე და დიად. გმირულ წარსულს ვეღარ მოესწრო.

„მოჩუქურთმებული ჩრდილის“ ისტორიულ თემატიკაზე აგებულ სონეტებში ასმიანდა შორეული წარსული, მაგრამ იგი უფრო ტკბილ სიზმრებს მოგვაგონებს, ვიდრე ობიექტურ სინამდვილეს. იცვლება პოეტური მეტყველების სტილიც. ახლა „მოჩუქურთმებულ ჩრდილში“ კლასიციზტური მოტივები აჟღერდა, დინამიკურმა. მაიაკოვსისებურმა ლექსმა ადგილი დაუთმო აკადემიზმს.

უკრაინულ ლიტერატურაში იმ პერიოდში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. რომელიც ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი იყო. ახალგაზრდა ბაჟანი, რომელსაც პოეტური ხმა რევოლუციურმა პეროიკამ შესძინა, „ვაპლიტეს“ („თავისუფალი აკადემია პროლეტარული კულტურისა“) დროებითი გავლენის ქვეშ მოექცა.

მიუხედავად ამისა, მიკოლა ბაჟანი, როგორც თავისი ხალხის ქვეშარიტი შვილი. ვერ ჰგუობს უცხო სამოსელს

და იმ ვითარებაშიაც კი თავის გმირს, უბრალო და მამაც ადამიანს ეძებს. პოეტის ფესვები იმდენად ღრმად იყო გამდგარი მშობლიურ ხალხში, იმდენად ძლიერი იყო მისი ლტოლვა დიადი, ქეშმარიტად რომანტიკული და გმირულისადმი, რომ დღეს თუ ხვალ იგი უსათუოდ უნდა მისუღიყო თანამედროვეობასთან.

ბაქანის შემოქმედებაში მალე შეიმჩნა მობრუნება სოციალისტური მშენებლობის აქტუალური თემატიკისადმი, შემოქმედებითი თვითკრიტიკის ტენდენციები. ერთგვარად „მხატვრული მანიფესტის“ სასიათს ატარებენ ამ პერიოდში გამოქვეყნებული მისი ლექსები: „ლამის რეისი“ (1927 წ.), „ჩემს მეგობარს“, „გზა“ (1927 წ.) „ჰომანის ლამე“ (1929 წ.)... პოეტის აზრი დაუნდობლად ებრძვის ძველ, ჩამორჩენილ შეხედულებებს ცხოვრებასა და ხელოვნებაზე. ცდილობს მისტიკური წინაღობების გადნაგრევას და გზას თანამედროვეობისაკენ იკვალავს. მისი მთელი გამოცდილება, ხელოვანის უნარი, განახლებული გრძნობანი ერთი ნებისყოფით გაერთიანებული იწროებიდან ფართო და სწორ გზაზე ლამობს გამოვარდნას. რევოლუცია თვით პოეტის შემოქმედებაში იწყება.

მოვლენათა და საგანთა ახლებურად შეფასებას ბაქანი ხელოვნებიდან. ხელოვნების რაობისა და ხელოვნების როლის ახლებური გააზრებიდან იწყებს. მართალია, წიგნიერი რომანტიკის სტილიზებული სახეები კვლავ იპყრობენ ბაქანის ყურადღებას, მაგრამ იგი მაინც სინათლისაკენ ეწევა თავის მუზას, იგი გრძნობს, რომ ხელოვანმა, თუკი მას სურს, „მამაც ადამიანთა ქარმა“ დაბეროს იაღქნებს, ხომალდი მყუდრო და ბნელი ყურეებისაკენ, ქაობებისაკენ კი არ უნდა მიმართოს, არამედ ცხოვრების ტალღებზე უნდა შეაყუროს.

„ჰომანის ლამეში“ კვლავ მოჩანს უცხო, მახინჯი ესთეტიკის გავლენა, მაგრამ აქაც პოემა ზოგადი დასკვნებისაკენ ისწრაფვის: ვერავითარი ოცნება და ფანტაზია

ვერ იხსნის სელოვანს, ვერ გააბედნიერებს მას, თუ მისი ცხოვრება და შემოქმედება ერთიანი არ არის, თუ იგი ორ სამყაროში ცხოვრობს.

ჭეშმარიტი აზრების გამოძერწვა, მისი მიღწევა ძველის ნგრევითა და უარყოფით ხდება. პოეტი ანგრევდა ყველა იმ შენობას, რომელიც მას რეალური სამყაროს დანახვას უშლიდა, ანგრევდა იმ ხილებს. რომელიც მას ვაპლიტობასთან, რეაქციულ რომანტიზმთან. გაორებულიობის იდეებთან აკავშირებდა. თანდათანობით უფრო ნათელი ხდება ახალი სამყაროს კონტურები. უფრო მტკიცედ დგება შემოქმედი სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე. მაგრამ სანამ საბოლოოდ გაშლიდა ფრთებს პოეტის ფანტაზია, საჭირო იყო სულიერი დუალიზმის დაძლევა. მისთვის ომის გამოცხადება.

„გულთა საუბარი“ (1928 წ.) პოეტის მკაცრი განწმენდის ასპარეზია. მშფოთვარე ღამით ერთმანეთს ხვდებიან პოეტი და აჩრდილი დოსტოევსკის რომანებიდან. ჭუჭყიან კიბეებზე იწყებენ ისინი კამათს. აჩრდილის ზურგს უკან სამიკიტნო, ქრისტიანობის ყალბი მორალი. ეკლესია, პოლიციელები და ძველი სამყაროს სხვა ატრიბუტები დგანან. აჩრდილს უნდა კვლავ გაცოცხლდეს, ახალ ცხოვრებაში წილი დაიდოს, გახდეს თანამედროვეობის ორეული. სული ხდება ამ ბრძოლის ასპარეზი. ძველმა და ახალმა შეუტეეს ერთიმეორეს და ჩვენ უკვე ნათლად ვხედავთ ახლის გამარჯვების პერსპექტივებს.

მართალია, პოემა ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი „ვაპლიტობის“ გავლენისაგან, მაგრამ მასში უკვე იწმინდებოდა ახალი ცხოვრების მომღერლის სმა.

მიკოლა ბაჟანს რომ მისტიკისა და რეაქციული რომანტიკის დროშის ქვეშ ევლო, მაშინ იგი ვერ შეძლებდა საბჭოთა მკითხველის სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურებას. იგი ვერ შეძლებდა ჭეშმარიტად მაღალი პოეტური ნაწარმოებების შექმნას. ბაჟანის

რაციონალიზმმა, მის პოეზიაში გონებრივი ელემენტების სიჭარბემ და ბოლოს სოციალისტურმა სინამდვილემ შესაძლებლობა მისცეს პოეტს ადრეული შეცდომებისაგან განთავისუფლებულიყო და სწორი გზა აერჩია. ბაქანმა შეიგნო, რომ ხელოვნების ძალა ცხოვრების სინამდვილის ასახვაში, ხალხის სიმართლის ასახვაში, სოციალიზმის მშენებელი ადამიანების ასახვაში მდგომარეობს და იგიც ჭერ ფრთხილად. მაგრამ შემდეგ მტკიცედ დაადგა ამ გზას.

ამ მხრივ დამახასიათებელია ბაქანის პოემა-ტრილოგია „შენობანი“ (1929 წ.). პოემის პირველ ნაწილში დახატულია გოთური სტილის ტაძარი, შუასაუკუნეების პერიოდის მოქანდაკის ნახელავი. კათოლიკური ტაძარი ბაქანისათვის საშინელი სულიერი მონობის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის სიმბოლოა.

მეორე ნაწილში — „ჭიშკარი“ — პოეტი გამყიდველი მაზეპას მსგავსი ფეოდალების მიერ აგებულ არქიტექტურულ ნაგებობას — ჭიშკარს გვიხატავს და ეს ძეგლიც ბაქანისათვის სოციალური უკუღმართობის, სულიერი სიბნელის სიმბოლოა.

პოეტი თუმცა ბუნდოვნად, მაგრამ მაინც აკრიტიკებს ეკლესიასა და ფეოდალებს, მათ მჩაგვრელობას და ამით გაკვირით უკრაინულ ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმსაც კენწლავს.

ამ პოემის მესამე ნაწილი თანამედროვეობისადმი მიძღვნილი. აქაც იგი არქიტექტურის შესახებ მსჯელობს. პოეტი ხაზს უსვამს მშენებლობის ახალ ხასიათს. მას მოსწონს მანქანა, რომელსაც თავისუფალი შრომისმოყვარე ადამიანი მართავს. ნაწარმოებში შრომის ოპტიმისტური სიმფონია მოისმის:

სკედენ რკინის და სპილენძის ღერებს,  
მკლავები ახვევს კუნთების ღვედებს,  
ვით საუკუნე ამღერებული



დედამიწაზე მოდის გეგუნებს,  
ამ ძველ მიწაზე შემოგვეგუნენეს,  
ამშენებლობის მარადი ქღერა.

(თარგმ. მიქელ პატარძისა)

მაქსიმ რილსკის მსგავსად. რომელმაც „მუსკულატურის სიმფონიას“ უმღერა, ბაყანმა „რკინის კლავიატურა“ ააზმიანა. თუმცა მშენებლობის პროცესი ექსპრესიულ, რამდენადმე აბსტრაგირებულ სახეებშია მოცემული, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად მიკოლა ბაყანის პოემაში „შენობანი“ აქლერდა სოციალისტური მშენებლობის შემოქმედებითი პათოსი.

1930-იან წლებში მიკოლა ბაყანი ძირითადად პოემებს წერს. ამ დროს არის დაწერილი „ჰამლეტის სიკვდილი“ (1932 წ.), „ვნებათა ტრილოგია“ (1933 წ.), „მებალე“ (1934 წ.), სამი პოემა კიროვზე, გაერთიანებული ერთი სათაურით „უკვდავება“ (1935—1937 წწ.), პოემები: „მამა და შვილები“ (1938 წ.), „დედა“ (1939 წ.) და სხვ. ამათგან პირველი სამი უგმირო პოემაა.

სულ სხვა ხასიათის არის ამ მხრივ პოემები კიროვზე. აქ მთავარი თვით გმირის ბიოგრაფია, მისი ცხოვრებას რეალური და ლეგენდარული გზის ასახვაა.

ბაყანის ამ პოემებში რეალისტურად არის დახატული პიროვნებათა სახეები თუ ისტორიული მოვლენები, აგრეთვე ჩანს სხვალინდელი დღის პერსპექტივაც.

პოემა „ჰამლეტის სიკვდილი“ რთული ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია. რომელიც პოემის „გულთა საუბარი“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. ამ პოემაში გრძელდება პოლემიკა გაორებულ სუბიექტთან, ინტელიგენტთან. რომელიც ჭერ კიდევ არსებობდა ჩვენს მაშინდელ სინამდვილეში.

მაგრამ, თუ „გულთა საუბარში“ ბაყანი მკაცრად აკრიტიკებდა და უარყოფდა ძველს, რეაქციულს. ამ ახალ ნა-

წარმოებში იგი აღრმავებს თავის კრიტიკას და ცდილობს კლასობრივ ურთიერთობათა და მიმდინარე პროცესების ანალიზი მოგვეცეს.

სრულიად მარტივი და გასაგებია მკითხველისათვის ბაჟანის საუბარი სპილოს ძვლის კოშკზე. ეს ხომ ანდრე ჟიდის ლოზუნგი იყო.

როდესაც მიკოლა ბაჟანი „ჰამლეტის სიკვდილს“ წერდა, ყველასათვის ნათელი როდი იყო კავშირი პოემაში არეკლილი ანდრე ჟიდის ტიპის ადამიანთა და ფაშისტური პარტიის მოღვაწეთა შორის. დასავლეთევროპელ პოლიტიკოსებსა და ლიტერატორებს მოსწონდათ კიდევ სპილოს ძვლის კოშკებში ჩაკეტილ ჰამლეტთა ცხოვრება და მათი აზრები. ყოველ შემთხვევაში. ისინი პატიოსან და კეთილშობილ ინტელიგენტებად მიაჩნდათ. მიკოლა ბაჟანი გაცილებით უფრო შორსმხედველი აღმოჩნდა.

ბაჟანი ნათლად გვიხატავს „ჰამლეტების“ რეაქციულობასა და ბოროტებასაც, იგი პირდაპირ აცხადებს. რომ ასეთ დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში განუდგე საზოგადოებრივ საქმიანობას და აზრს. ნიშნავს რეალურად დაეხმარო ბოროტებას, რეაქციის ძალებს.

ლანდი რომანტიკის!

გაორება!

და ორეული!

გაორებულთა სულთა შფოთვა და ხუტიალი!

აჲ რომანტიზმის, ნისლი, უცხო და შორეული

ჩისთვისდა ყორღეს, როგორც რამე მძორი ტიალი.

ხომ ნათელია:

იანუსი ორპირიანი

შხოლოდ წარსულში იყურება. დაუმალავად

და შეიცვალა ქიმიური შემადგენლობა

კაცთმოყვარების ციურ მანანამ.

(თარგმ. თ. ჯანგულაშვილისა)

X X საუკუნის ალექსეი კარამაზოვი. როგორც გორკის. ისე ბაქანის ძველი მტერი. დახეტიალობს ევროპაში და „გულებს კაწრავს შავი კლანკებით“. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დაქირავებული კაცისმკვლევები და თვით იესო ქრისტე იმათ სამსახურში დგებიან, ვინც მსოფლიოს ახალი ომის საშინელებით ემუქრება.

პოემა დაიწერა 1932 წელს გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომამდე და საოცარი ის არის, რომ მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა პოეტის წინასწარმეტყველება.

მიკოლა ბაქანს მოვლენების სწორად გაანალიზებაში დაეხმარა მაქსიმ გორკის სტატია „ვისთან ხართ თქვენ. კულტურის ოსტატებო?“. 1932 წლის 23 აპრილის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“ და, რაც მთავარია, ლენინური სიმართლე.

კაცობიერად და კაცობაც

ჩვენი ბრძოლების

ღიად ლენინურ სიმართლეში არის და გვიკრძა.

ლენინური სიმართლე დაეხმარა მწერალს განეკვირვებინა, როგორ გამოიყენებდნენ დაცემულობის თეორიას ფაშისტები თავიანთი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელების დროს.

მიკოლა ბაქანი თავის პოემაში ხელოვნებისა და ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ პრინციპს აყენებს. ამიერიდან ლიტერატურის პარტიულობა პოეტის შემოქმედების განუყრელ თვისებად იქცევა. ამიტომ სრულიადაც არ არის შემთხვევითი. რომ სწორედ ამ ნაწარმოებებში იგრძნობა ყველაზე მეტად სოციალისტური რევოლუციის მომღერლის ვლადიმერ მაიაკოვსკის გავლენა. მართალია. ეს გავლენა ადრე სხვა ნაწარმოებებშიაც შეინიშნებოდა, მაგრამ მაშინ იგი ლექსის ტექნიკას უფრო

შეეხებოდა და ასე მთლიან. ფართო ხასიათს არ ატარებდა.

პოემები „ვნებათა ტრილოგია“ (1933 წ.) და „მებაღე“ (1934 წ.) პოეტის შემოქმედებაში შემდგომი წინსვლის დადასტურებაა.

„ვნებათა ტრილოგიაში“ ავტორი კიცხავს ძველ სამყაროს და აწმყოსა და მომავალს უმღერის:

ო, გული ყრმაა, ახალ სწრაფვით  
და ცოდნით სავსე.

და აი, სახლში,

სიხარული შემოდის მასთან,

ადგება გულიც.

და სიცოცხლის ფესვადგმულ მარცვალს,

თავის სიმღერას —

მყობადსა და ხალხს შესთავაზებს.

მ. ბაქანის პოემათა შორის „უკვდავება“. რომელიც მგზნებარე ტრიბუნის ს. მ. კიროვისადმი არის მიძღვნილი. მაღალმსატვრულობით გამოირჩევა.

პოემა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ თავს „დროშა“ ეწოდება. აქ გადმოცემულია ახალგაზრდობისას კიროვის რევოლუციური მოღვაწეობა ციმბირში. ტომსკში კიროვის მეთაურობით იმართება დემონსტრაცია მთავრობის წინააღმდეგ. დემონსტრანტებს თავს ესხმის პოლიცია და კაზაკები. კიროვის მეგობარი — მედროშე კონონოვი იღუპება. სიკვდილის წინ იგი უბეში მალავს დროშას. კიროვი ახერხებს ხელიდან დაუსხლტეს პოლიციას. ღამით ჩუმად მიაკითხავს თავის მეგობარს. წითელ დროშას იგი მის მკერდზე დაკეცილს ნახავს.

პოემის მეორე ნაწილში „ღამე ბრძოლის წინ“ ასახულია ბაქოში კიროვის ყოფნის პერიოდი, ხოლო მესამე ნაწილი „ღღე“ მოგვითხრობს მის ცხოვრება-მოღვაწეობაზე ლენინგრადში.

მიუხედავად სიუჟეტის ფრაგმენტული ხასიათისა, სა-



ტ. შვეჩენკო. ავტოპორტრეტი.  
1860.



მივე პოემა სერგეი მირონის ძე კიროვის მთლიან და ნათელ პორტრეტს გვიხატავს.

ამ ნაწარმოებში ბაჟანმა გვიჩვენა მთავარი მოქმედი გმირის რევოლუციური სულსკვეთება. მისი ფიქრები და ოცნებები. ნებისყოფა და მიზანსწრაფვა.

ცხოვრებამ. სოციალისტურმა სინამდვილემ შესაძლებლობა მისცა პოეტს ახლებურად გადაეწყვიტა სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემა. პოემის პირველივე თავში ახმიანდა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმღერა. იგი გაფართოვდა და გაღრმავდა მეორე თავში. სოლო მესამეში სიცოცხლისა და თავისუფლების დასრულებული ჰიმნის სახე მიიღო.

პოემის გმირის ცხოვრება და მოღვაწეობა კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან იყო გადაჯაჭვული. ნაწარმოებში დიდი ადგილი დაეთმო კომუნისტური პარტიის თემას. საზი გაესვა მის წარმმართველ ძალას. ს. მ. კიროვი ნაწარმოებში ნაჩვენებია მასებთან კავშირში და მათი მეთაურის როლში.

„უკვდავება“ დიდი ეპიური ნაწარმოებია. ლირიკულობა და ემოციური საწყისი პოეტს ახალ საფეხურზე აჰყავს. პოემას რთული კომპოზიცია და დაძაბული სიუჟეტი აქვს.

ამ დროისათვის ბაჟანი მხატვრული გამოსახვის ახალი გზების, ფორმებისა და ხერხების ძიების პროცესშია. ახალ შინაარსს ახალი ფორმა სჭირდება. აღარ ვარგა ძველი ჩარჩოები. დაბინდული თუ ბნელი სახეები. იდეისა და მიზნის სიცხადე. ისეთი ადამიანის დახატვა. როგორც მუშათა კლასისა და პარტიის შვილი კიროვი იყო. ავტორისაგან მოითხოვდა პოეტური სახეების ასეთსავე სიცხადესა და გამოკვეთილობას. პოეტი ეძებს ახალ და ზუსტ ფორმებს. ნათელი აზრების გამოხატვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც გასაგები იქნებოდა მშრომელთა ფართო მასებისათვის.

1935—1941 წლები მიკოლა ბაქანის პოეტური ნიჭის შემდგომი გაფურჩქვნის პერიოდია. ამ დროს არის შექმნილი პოემები „მამა და შვილები“ (1938 წ.), „დედა“ (1939 წ.). ლირიკული ლექსების ციკლები „ლექსები საქართველოზე“, „უზბეკური ლექსები“, „ბორისლავული მოთხრობები“ და სხვ. ყველა ამ ნაწარმოებში ბაქანი გვევლინება საბჭოთა პატრიოტიზმის მგზნებარე მომღერლად. ხალხთა მეგობრობის მეხოტბედ. იხვეწება პოეტის ოსტატობა. მიკოლა ბაქანის ლექსს უკვე ეძლევა ფოლადის სიმტკიცე და ელვარება. პლასტიკურობა და სიფაქიზე.

1939 წელი მიკოლა ბაქანისათვის მნიშვნელოვანი იყო. ამ წელს სხვა გამოჩენილ საბჭოთა მწერლებთან ერთად იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. ამავე წელს შევიდა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში, უკრაინელი ხალხის სახელით მიესალმა პარტიის XVIII ყრილობას.

როდესაც პიტლერული გერმანია თავს დაესხა საბჭოთა ქვეყანას, მიკოლა ბაქანმა ომის პირველივე დღიდან საბჭოთა ოფიცრის მაზარა ჩაიცვა.

პოეტმა მთელი თავისი გამოცდილება და ოსტატობა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარა. ომისადმი მიძღვნილ თავის ერთ-ერთ პირველ ლექსში — „ფიცი“, იგი წყევლა-კრულვას უთვლის ფაშისტ დამპყრობლებს და საბჭოთა ხალხს სამშობლოს დასაცავად მოუწოდებს.

ერთი არის ჩვენი ფიცი, ჩვენი ნება,  
და მამულმაც ერთი აზრი შთაგვაგონა:  
უკრაინა არასოდეს არ იქნება  
გერმანელი ბატონების ყმა და მონა!

(თარგმ. ხ. ბერულავასი)



სამამულო ომის პერიოდში მიკოლა ბაჟანმა ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის სახელოვანი გზა განვლო. მისი კალამი ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ მიძარბული ბასრი იარაღი იყო.

მიკოლა ბაჟანმა მრავალი ლექსი უძღვნა სამამულო ომის თემას. მათგან ცნობილია 1943 წელს გამოცემული ლექსთა კრებული, რომელიც საბჭოთა ხალხის გულში აღვივებდა ზიზლის გრძნობას გერმანელი დამპყრობლებისადმი და აკაეებდა მის ნებისყოფას. სწორედ ამ პერიოდში იჩინა თავი მის პოეზიაში პუბლიცისტურმა ელემენტებმა.

პოეტი თვითონ მონაწილეობს ბრძოლის ქარცეცხლში, თავისი თვალთ ხედავს მეზობლთა გმირობას, თავგანწირვას და გრძნობს მათ უსაზღვრო სიყვარულს დედასამშობლოსადმი. მან იცის, რომ შემოქმედის ვალია ასახოს ეს გმირობა და უმღეროს მის უკვდავებას. იგი ქმნის მონუმენტურ ნაწარმოებებს: „დროშა სიშტზე“, „შენი შვილი“, „ეპიზოდი“.

1942 წელს მიკოლა ბაჟანმა დაწერა პოემა „დანიელ გალიცკი“.

პოეტმა შეისწავლა XIII საუკუნის სამხედრო ხელოვნება, მათიანეები, შექმნა შორეული წინაპრის მხატვრული სახე და თანამედროვეობის სამსახურში ჩააყენა იგი. პოემაში 1235 წელს ქალაქ დროგიჩინთან დანიელ გალიცკის მეზობლების მიერ გერმანელი რაინდების განადგურების ამბავი არის მოთხრობილი. ნაწარმოები გამოირჩევა მკაცრი სიმარტივით, ლაკონიურობით, ისტორიული სინამდვილისადმი ერთგულებითა და, ამავე დროს, თანამედროვეობასთან ცხოველი კავშირით.

სამამულო ომი ბაჟანის ლექსებში შეიქრა ყუმბარების ზათქით, ტყვიების ზუზუნით, მუხლუხების ღრქიალით, ხანძრებითა და მხრჩოლავი კვამლით. ომის თავზარდამცემ საშინელებას წინ აღუდგა და უშიშრად დაუ-

პირისპირდა საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება.

ომის პირველივე დღეებიდან პოეტი თავის მწერალ ამსანაგებთან ერთად ფრონტზე იმყოფება. იგი იყო პოლიტმუშაკი, გაზეთის „ზა რადიანსკუ უკრაინუ“ რედაქტორი, სამხედრო კორესპონდენტი. მებრძოლვებთან და მშრომელ ხალხთან უშუალო კონტაქტმა, სამამულო ომმა კარგად დაანახვა პოეტს ხალხთა ინტერნაციონალიზმის დიადი ძალა, კომუნისტური იდეალების უძლეველობა.

ომის პერიოდის ბაჟანის ბოლო ნაწარმოებებს განეკუთვნება ლექსების ციკლი „კიევის ეტიუდები“. იგი მიეძღვნა გერმანელი ოკუპანტებისაგან კიევის განთავისუფლებას და ქალაქისა და ქვეყნის აღდგენითი სამუშაოების პირველ ნაბიჯებს.

1943 წლის 6 ნოემბერს ბაჟანი საბჭოთა არმიის ნაწილებთან ერთად შევიდა განთავისუფლებულ კიევში. პოეტის თვალწინ გადაიშალა ხალხის ტრაგიკული ეპოპეის მძიმე სურათი—ყუმბარებით გადათხრილი ქუჩები, დანგრეული სახლები, კედლებგამონგრეული ქარხნების მიწები... პოეტი შავი კვამლით დაბინდულ ქუჩებში მიაბიჯებს, ჩერდება უნივერსიტეტის დანგრეულ შენობასთან, საჯარო ბიბლიოთეკის შენობასთან, სადაც „წიგნები, როგორც ჩიტები... მიმწვარი ფრთებით ძლივსღა ფეთქავენ“. გადარუჯული ხეივნებით, გადათხრილი გზებით იგი თავს წაადგება სიკვდილის სევს — კაცთმოძულე გერმანელების მიერ ათეული ათასობით უდანაშაულოდ მოსპობილი ადამიანების სახალსო სასაფლაოს.

„კიევის ეტიუდებში“ მკაფიოდ გამოვლინდა სოციალისტური რეალიზმის ნიშან-თვისებები—ცხოვრების ფაქტების რეალისტური ასახვა და ცხოვრების გარდაქმნის, პერსპექტიული განვითარების განჭვრეტა. დანგრეულ ქუჩებსა და სახლებს შორის, აჩეხილ და ნახანძრალ ხეივნებსა და ბაღებს შორის პოეტი უკვე არჩევს მშვენიერ

და რეალურ სილუეტებს — ნათელსა და სწორ პროსპექტებს. ზვიადსა და მიმზიდველ სასახლეებს, ბრწყვიალა შადრევნებს, თვალწარმტაც ხეივნებსა და ბალებს.

„კიევის ეტიუდების“ ციკლის ერთ-ერთ ლექსში „მშენებელი“ პოეტი ომგადახდილი საბჭოთა ჯარისკაცის მთავარ თვისებას — მომავლის ღრმა რწმენას, ნანგრევებად ქცეული სამშობლოს აღდგენის პათოსს ასახავს. პავლო ტიჩინას ლექსთან „ვიცოცხლოთ, ვიმრომოთ და გავიზარდოთ“ ერთად მიკოლა ბაჟანის ლექსი „მშენებელი“ თანამედროვე პოეტებს გზას უკაფავდა ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის თემისაკენ.

ბაჟანი 1943—1949 წლებში მუშაობდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჯერ სასკომსაბჭოს თავმჯდომარის, ხოლო შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

მიკოლა ბაჟანი მთელი ამ ხნის განმავლობაში ხალხთა მეგობრობის დიად საქმეს ერთგულად ემსახურებოდა როგორც პოეტური ნაწარმოებებით. ისე თავისი მოხსენებებით, სტატიებითა თუ თარგმანებით.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ბაჟანი იყო გენერალურ ასამბლეაზე წარგზავნილი საბჭოთა უკრაინის დელეგაციის წევრი. უცხოეთში ყოფნის დროს პოეტმა ჯერ 1946 წელს, ხოლო მეორედ 1947 წელს მონახულა ინგლისი.

ამ მოგზაურობის შემდეგ შეიქმნა ახალი ლექსების ციკლი „ინგლისური შთაბეჭდილებანი“. ამ ნაწარმოებებში მშვიდობისათვის ბრძოლის იდეა ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკულ მხილებასა და კაპიტალისტური ინგლისის ცხოვრების სატირულ ასახვასთან არის შერწყმული.

ახალი თემები პოეტისაგან აზრის მხატვრულად წარმოსახვის ახალ ხერხებსა და საშუალებებს მოითხოვდა. მწერალმა ერთხელ კიდევ გადასინჯა თავისი პოეტური

სალარო და ლექსის ფოლადის ახალ შენადნობს მიაკვლია. ლირიკულის, პუბლიცისტურისა და სატირულის ორგანულმა ნაერთმა ბაჟანის ლექსს ახალი ჟღერადობა მისცა. ასე შეიქმნა ომის გამჩაღებელთა სატირული და მამხილებლური პორტრეტები, ასე აისახა ინგლისის მშრომელი ხალხის ცხოვრების სურათები.

ციკლში სულ თერთმეტი ლექსია და ყოველ მათგანს სიუჟეტი აქვს; ზოგი მათგანი პოემას ან ბალადას მოგვაგონებს. მთელი ციკლი კი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თანამედროვე ინგლისის ცხოვრებაზე. ინგლისური სინამდვილის გაცნობისას პოეტი სოციალისტური რეალიზმის მეთოდით იყო აღჭურვილი და ამიტომაც არ გაძნელებია ორი ინგლისის, ერთი მხრივ, ლორდების, საქმონებისა და ბანკირების, ხოლო მეორე მხრივ, მშრომელების, კეთილი ნების ადამიანების ინგლისის დანახვა.

ციკლი იწყება ომის დღეების გახსენებით. პოეტი გაჰყურებს ლამაზს, ინგლისის სანაპიროებს. მან იცის, რომ ეს ნისლიანი სანაპიროები დამპყრობელთა ჩექმებით არ გადაითელა მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელების მთელი ძალა ვოლგამ შთანქვა. „ბრიტანეთო, გასსოვს ეს შენ?“ — ეკითხება პოეტი ინგლისს.

ლექსების ეს ციკლი, მისი მრისხანე სტრიქონები ბურჟუაზიული ინგლისისადრეა მიძღვნილი. პოეტი გვიხატავს ლონდონის პეიზაჟს:

კვლავ ფრინველების ჩრდილები დანანაობენ ტბაზე,  
ნელა მიაპობს თოლია ცივ და ნისლიან სივრცეს.  
ხან ფრთებით სერავს თითქოსდა ფერმკრთალ ღრუბელთა  
ხაზებს,

ხან სიმწვანეში კვამლივით აკიაფდება ისევ.

ბინდდება. ხეებს გადაღმა გადაკიმული გზებით,  
პარკს უკაცრიელს ირგვლივ რომ შემორტყმიან რკალად,

მიფრინავს მიწას გაკრული, შვე მანქანათა წყება, —  
მიშიშინებენ ასფალტზე და უცებ ბინდი მალავთ.

(„შემოღამება ჰაიდ-პარკში“ — თარგმ. გ. ხუხაშვილისა)

„შემხუთავი“ ნისლი ქულებად იხვევა და ლონდონის ქუჩებსა და პარკებში „მიედინება წყნარად“. პოეტი რეალისტურად ასახავს უსახლკარო ღარიბი ადამიანების განწირულ მდგომარეობას. ძუნწად, მაგრამ ზუსტი შედარებებითა და სხვა მხატვრული ხერხებით ნათლად წარმოგვისახავს ასეთი ადამიანების ტრაგიკულ ხვედრს.

მას მისდევს ლანდი მეორე. ბედი აწვალებს კრული,  
დაოსებული, სნეული ბინდში გზას ძლივსღა აგნებს:  
მასაც სერთუყის ქვეშ უცემს დარდით შექმული გული  
და მიდის თავჩაქინდრული, მოკუმული აქვს ბაგე.

ვით აღმრიცხველზე რიცხვები, ლანდს კვლავ მოჰყვება  
ლანდი,

გაივლის ერთი, მეორე. ჩრდილი იცვლება ჩრდილით.  
ერთმანეთისთვის უცხონი ღღეს ამთავრებენ დარდით,  
ფრთხილად მიდიან ლონდონის ეს უსახურნი შვილნი.

სახლში მიდიან კლერკები, თითქოს იცავენ ადათს,  
როცა კეტავენ კანტორებს და ყველგან შუქი ჰქრება.  
და ჰაიდ-პარკში შიმშილზე უსიტყვო პარადს მართავს  
უიმედო და უბედურ ადამიანთა წყება.

პოეტი გვიხსნის ცხოვრების ამ უკანონობას და გვეუბნება. რომ ინგლისში გაბატონდა დოლარის ღმერთი, ბიზნესის ღმერთი, რომელიც ამშევსა და ალატაკებს მშრომელ მოსახლეობას და მთელს ინგლისს კი ორმოცდამეცხრე შტატად გადაქცევით ემუქრება.

მშრომელი ინგლისისა და მისი დემოკრატიული ტრადიციების ამსახველ ლექსებში მკითხველმა დაინახა საშუალო ინგლისელის შეგნების გაღვიძება („ბიგ ბენის“ ალეგორია). უმუშევარი, მოტყუებული ბრიტანეთი („ჯა-

რისკაცული ბალადა“), მშრომელი ბრიტანეთი („შეხვედ-  
რა შეფილდში“).

პოეტმა ბურჟუაზიული სამყაროს სიღამპლე და გახრ-  
წნილება გააშიშვლა ლექსებში: „შოტლანდიის გზაზე“  
და „ჯარისკაცული ბალადა“.

სახელმძღვანელო ომგადახდილ მეომარს ტომ ატკინსს  
ლონდონი ზეიმით ეგებება.

ლონდონი გვხვდება, ტომი,  
შენს სადიდებლად, ტომი,  
სიტყვებს მოჰყვება სიტყვები, გრიალი გააქვს ორკესტრს.

(„ჯარისკაცული ბალადა“ — თარგმ. გ. ხუხაშვილისა)

ატკინსის სადიდებლად „დასწერეს მთელი ტომი“.  
ჯარისკაცმა მკერდში ჩაიკრა ცრემლმორეული ცოლშვი-  
ლი, მაგრამ მათ სასიხარულო ამბავი ვერ დაახვედრეს  
ომიდან შინ მობრუნებულ ვაჟკაცს: „სახლი აღარ გვაქვს“,  
ეუბნება ცოლი, ახლა სხვასთან ვართ შეკედლებული, კე-  
თილმა ხალხმა შეგვიფარაო.

ტომს მაინც არ უტყდება გული, მას არ ეშინია გვა-  
ლინდელი დღის. სჯერა, რომ

მომცემენ სამუშაოს და  
სახლს დავამშვენებ შრომით.

ბევრი იწვალა ტომიმ, მაგრამ „მინისტრმა — ლეიბო-  
რისტმა“, წესიერი სიტყვაც ვერ გაიმეტა მისთვის.

— ჰე, უსახლკარო ტომი,  
შენ, მაწანწალა ტომო,  
თავს ნუ აბეზრებ ყველას, თუნდ წაუღიხარ ეშმაკს!

ერეკებიან მინისტრის სახლიდან ტომის. ასე კარდაჯარ  
დაეხეტებოდა იგი, სანამ ციხეში არ ამოაყოფინეს  
თავი.

ასე ამტკიცებს უძველეს  
ტრადიციების მკველი,  
რომ ლეიბორისტს, წესრიგში  
ქვეყნად არა ჰყავს ტოლი.  
მ.ს. რაღას ეტყვის ტომი?  
ვინდა მოუსმენს ტომის?  
უნდა უსმინონ მინისტრს, — „სოციალისტია“ ძველი!

ასეთი სატირული სურათი დაგვიხატა ავტორმა იმედ-  
გაცრუებული ჯარისკაცისა და მატყუარა ლეიბორისტუ-  
ლი ინგლისისა.

ბაჟანი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ხე-  
ლოვნებისა და ლიტერატურის სვედრზე კაპიტალისტურ  
სამყაროში. ამ თემას მიუძღვნა მან ლექსები „სტრატ-  
ფორდში ეივონაზე“ და „ბერნსის გახსენება“.

შექსპირის სამშობლოში დიდი ხანია „დადუმდა ამაყი  
გედი“. ინგლისელი მწერლის ნათელმა აზრებმა აქ ვერ  
ვაიხარეს. მათ ქემშარიტი აღიარება და ახალი სიცოცხლე  
საბჭოების ქვეყანაში. ამ „თუმცა შორეულ“. მაგრამ  
„არა უცხო ხალხში“ მოიპოვეს.

სწორედ საბჭოეთში, სოციალიზმის ქვეყანაში გან-  
ხორციელდა შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის  
ოცნება:

— მაგრამ მე მჯერა: დადგება ეამი  
და გაზაფხული კარზე მოდგება.  
მოჰყვება იგი მშვენიერ ამინდას.  
გადაიშლება მწვანე ფოთლებად.  
სიღარიბე და მონობა მაშინ  
ლაიფცლებათ ქვეყნებს. მხარეებს.  
ამოუდგება ხალხი ხალხს მხარში  
და ყველგან ძმურად გაიხარებენ.

(„ბერნსის გახსენება“ — თარგმ. გ. ხუხაშვილისა)

ლექსებს ლონდონელი ტომი ატკინის ცხოვრებაზე,  
რომელიც ლეიბორისტულმა ხელისუფლებამ მოატყუა.  
შექსპირისა და ბერნსის ნათელ ხსოვნაზე. ციკლის ერთ-

ერთი იდეის გახსნამდე მივყევართ წარსულის დიდმა ტრადიციებმა, მაღალმა კულტურამ და მიღწევებმა დატოვეს ძველი, კაპიტალისტური სამყარო და საბჭოთა ქვეყანაში დაისადგურეს, იმ ქვეყანაში, სადაც ბერსის ოცნების „თავისუფლების ხემ“ იხარა.

ხეზე თუ რკინაზე ამოკვეთილი შავი წარწერა „Private“, რომლის უკანაც ჩაჩქანში ჩამჯდარი, ძველი, ფეოდალურ ციხე-კოშკზე გადმომდგარი მემამულის ან თანამედროვე, მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილი კაპიტალისტი მესაკუთრის სილუეტები მოჩანს, წინ გადაელობა დიდი ბრიტანეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხებს პროგრესისა და განვითარების გზაზე და სასტიკად უბრძანებს — „შესდექ!“ მაგრამ მოწინავე ინგლისელებმა, მსოფლიოს ხალხებმა უკვე საკმაოდ იწვნიეს ომით თუ ჩაგვრით გამოწვეული უბედურების სიმწარე და უნდა ვიფიქროთ, მშვიდობისა თუ თავისუფლებისათვის ბრძოლაში მათ ვერაფერი ველარ დაახვეინებს უკან.

მშვიდობისათვის ბრძოლის თემა საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი თემაა. მას უმღერა კ. სიმონოვმა წიგნში „მეგობრები და მტრები“. მირზო ტურსუნ-ზადემ „ინდურ ბალადაში“, ნ. ტიხონოვმა ლექსების ციკლში „ორი ნაკადი“... მშვიდობიანი ცხოვრების ამ მრავალხმიან ჰიმნს მიკოლა ბაქანმაც შეუერთა თავისი ხმა.

ბაქანის ლექსებს შემართული პუბლიცისტურობა ახასიათებს. კომუნისტური იდეალებისადმი, სამშობლოს მართალი საქმეებისადმი ღრმა რწმენამ განაპირობა პოეტის სიმტკიცე და პირდაპირობა, კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგობათა ასეთი სწორი შეფასება. მაიაკოვსკის მსგავსად, უკრაინელი მწერალიც გრძნობდა, რომ იგი უცხოეთს დიდი საბჭოეთის წარგზავნილი იყო. მაგრამ ოციანი წლების შემდეგ სამყარო გამოიცვალა.



მრავალი რამ შეიცვალა ჩვენს ქვეყანაშიც. საბჭოთა საღსმა დაამარცხა ფაშიზმი, გაიზარდა სოციალისტური ქვეყნების ძლიერება. ამიტომაც შეძლო ბაჟანმა გამოეყენებინა მაიაკოვსკის ტრადიციები და ახლებურად გაეაზრებინა, განეზოგადებინა საზღვარგარეთ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. კაპიტალიზმის ხრწნის პროცესი მას შემდეგ, რაც იგი მაიაკოვსკიმ იხილა, უფრო გამძაფრდა. ხოლო ჩვენს სურვილებს კი ხორცი შეესხა. ამიტომაცაა, რომ პოეტმა აზრობრივი აქცენტი განზრახ საბჭოურ სინამდვილეზე გადაიტანა — თავის ლექსებში გახაზა სოციალისტური ქვეყნის ძლიერება, ომიდან მისი გამარჯვებული გამოსვლის მნიშვნელობა, მისი განვითარება.

კაპიტალიზმის კრიზისი ღრმავდება, ხოლო სოციალისტური სამყარო. კომუნისტური მოძრაობა ძლიერდება და ვითარდება. კომუნიზმის საყოველთაო გამარჯვების უამი ახლოვდება. ამ რწმენის ნათელი ილუსტრაციაა უცხოეთის შთაბეჭდილებების გამო დაწერილი ყოველი ქეშმარიტი საბჭოთა შემოქმედის ნაწარმოები.

„ინგლისური შთაბეჭდილებანი“ მიკოლა ბაჟანის კიდევ ერთი გამარჯვებაა. მის ლექსებში ბევრი კარგი პოეტური მიგნება, ორიგინალური სახეები და თავისებურად გააზრებული თემებია.

1949 წელს ბაჟანმა პავლო ტიჩინთან ერთად შექმნა უკრაინის სსრ სახელმწიფო ჰიმნი.

ბაჟანის დიდი დამსახურება ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში იმითაც აღინიშნა, რომ იგი 1952 წელს აირჩიეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 1953 წელს უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1954 წელს მესამეჯერ იქნა არჩეული საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ბაჟანი არჩეული იყო აგრეთვე უკრაინის

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1952 წლისათვის მიკოლა ბაქანმა გამოსცა ლექსთა ახალი კრებული „სპასკის კოშკთან“. ამ ციკლში პოეტმა რუსი და უკრაინელი ხალხების ტრადიციულ მეგობრობას უმღერა. კრემლი, როგორც ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმბოლო, დიდ სანია ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში. სწორედ ეს სიმბოლოა ბაქანის ლექსთა ციკლის ცენტრში.

პოეტი ღრმა რეიდს აკეთებს ისტორიაში და ცდილობს საბჭოთა ხალხების მარად შემაკავშირებელი ძაფების მხატვრულ წარმოსახვას, გვიჩვენებს რუსეთთან. მოსკოვთან, მშობლიურ კრემლთან და სპასკის კოშკთან უკრაინელი ხალხის მეგობრობისა და ძმობის ისტორიულ გზებს.

უცხოეთის აგრესიასთან, შემოსეულ თათრებთან. თვითმპყრობელობასთან თუ ბატონყმურ წყობილებასთან ბრძოლაში. რევოლუციის ქარცეცხლში თუ კომუნისტური მშენებლობის ხარაჩოებზე მტკიცდებოდა და ვითარდებოდა ორი ხალხის, უკრაინელი და რუსი ხალხის დიადი მეგობრობა. ასეა გახსნილი და კრემლის მხატვრულ სახეში სიმბოლურად გარდატეხილი ეს იდეა.

შორეულ ისტორიულ წარსულს პოეტი თანამედროვეის თვალთ გაჰყურებს. იგი არ ერევა ისტორიულ პროცესებში, არ ახვევს მას თავის აზრებს და ძველი მეგობრობის ფესვებს მკითხველთან ერთად კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაავლებს თვალს.

ლექსი „მალემსრბოლი“ მკითხველს უკრაინელი ხალხის ისტორიის ერთ ეპიზოდს ახსენებს. ბოგდან ხმელნიცკის მიერ კიევიდან მოსკოვს გაგზავნილი კაზაკის გზა ძნელი და ხიფათიანი იყო. იგი გაივლის ეროვნული დაღატის. პოლონელი მაგნატების მიერ აგებული სახრ-

ჩობელების, თათართა ურდოებთან მრავალწლიანი ბრძოლის გზით.

მაღემსრბოლი მიიჩქარის კრემლისაკენ „ექესი წელია, სამშობლო სახრჩობელაზე ჰკილია!“. მასეში გაბმულ კაზაკს რუსი მებრძოლის მამაცობა დაიხსნის სიკვდილისა და სირცხვილისაგან.

მეხუთე დილა თენდება,  
წყალგალმა კრემლი კიაფობს.  
ერთ ცხენზე ამხედრებული  
ორი ძმა ტრამალს მიაპობს.

(თარგმ. მ. ლებანიძისა)

ძმადშეფიცული მსედრები „მაცხოვრის ჭიშკარს მიადგნენ“. ასე სიმბოლურად მთავრდება ლექსი.

საუკუნეთა სიღრმიდან დღევანდელობამდე თანდათანობით მოვყავართ პოეტს და ასევე თანდათანობით, მაგრამ ბეჯითად ანვითარებს იგი მეგობრობისა და ერთგულების თემას. მოვლენის ზოგადი ხასიათის ჩვენებას ბაჟანი მოვლენათა დაკონკრეტებითაც ახერხებს. ასე იქცევა იგი. როდესაც ლექსში „შეხვედრა ჭიშკართან“ ლაპარაკობს კრემლის კარიბჭესთან ტარას შევჩენკოსა და რუსი მეამბოხე მუშის შესაძლო შესვედრაზე. ლექსში „პირველი დღე“ პოეტი პეტერბურგიდან საბჭოთა მთავრობის მოსკოვს გადასვლაზე, ხოლო „შემოდგომის ერთ დილაში“ კი საბჭოთა კავშირთან დასავლეთ უკრაინის შემოერთების დიდ ისტორიულ ფაქტზე მოგვითხრობს. „გამარჯვების პარადი“ სამამულო ომში დიად გამარჯვებებსა და კრემლის მოედანზე გამართულ პარადს აგვისახავს. ლექსში „ლენინის მთაზე“ მოსკოვის ლირიკული სურათია დახატული, პოეტს ალაფრთოვანებს ლენინის მთაზე მეცნიერების სასახლის მშენებლების შრომითი გამირობა.

ლექსების ციკლში „სპასკის კოშკთან“ პოეტმა ახალ გამარჯვებას მიაღწია. თუმცა ბაჟანის ზოგი ლექსი ერთ-

გვარად გაჭიანურებულია, მათში შეინიშნება ზოგადი დეკლარაცია, ინფორმაცია ამძიმებს მხატვრულ სახეს, პუბლიცისტიკა — მხატვრულ აზრს. მაინც რეალისტური კონკრეტულობა და სახეთა გამოკვეთილობა ბაყანის ლექსების ამ ციკლის არსებითი დამახასიათებელი თვისება არის.

მიკოლა ბაყანის ბოლო პერიოდის შემოქმედება, მისი ლექსთა ციკლი „მიცკევიჩი ოდესაში“ თუ სხვა ნაწარმოებები განათებულია ღრმა ჰუმანისტური იდეალებით. პოეტი უმღერის ადამიანის ვაჟკაცობასა და გამირობას ბრძოლასა და შრომაში. ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის უანგარო საქმიანობაში. მას ღრმად სწამს, რომ ადამიანის ბედნიერება მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი და სისხლსავსე, როდესაც იგი კომუნიზმის სხივებითაა განათებული.

ეს ბედნიერება ბაყანს ვერ წარმოუდგენია ეროვნულ ჩარჩოებში ჩაკეტილი. ინტერნაციონალური თემა ბაყანის პირველივე ლექსების თემაა. ოცდაათიან წლებში ჩნდება „მოგზაურობათა“ ქართული და უზბეკური ციკლები. „ჩუფუთ-კალელი ბიჭუნა“. ლექსები შოთა რუსთველზე, ვაჟა-ფშაველაზე, შექსპირზე, ბერნსზე, მიცკევიჩზე.

მიკოლა ბაყანი კარგად იცნობს ქართველ ერსა და ქართულ კულტურას, მის გამირობულ წარსულსა და ბედნიერ დღევანდელობას, მის შესანიშნავ ადამიანებსა და ბუნებას. მიკოლა ბაყანმა, პირველმა უკრაინულ კლასიკურ პოეზიაში, ასე გაბედულად და ღრმად შეაცურა პოეტური ნავი ქართული ლექსის ზღვაში და აიტაცა ქართული თემა. სიტყვის ჯადოქარმა. მისი ქართველი თანამოკალმის თქმისა არ იყოს, „ბრინჯაოსებური ნაჭედობის“ სტრიქონებში აანშიანა თავისი სიყვარული ამ მადლიანი კუთხისა და ხალხისადმი. „თმოგვის გზა“, „ნანგრევები ქუთაისში“, „ვაჟა-ფშაველას საფლავზე“ და სხვანი ჭეშ-

მარიტად უკრაინული პოეზიის შედეგებია, ისინი ღრმა, ემოციურნი და დიდი შინაგანი ექსპრესიის შემცველი ლექსებია, რომლებშიაც ახლებურად აელვარდა პოეტური აზრი.

ინტერნაციონალური მეგობრობის საერთო იდეის სამსახურში ჩააყენა ბაჟანმა მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. არასოდეს დასრულებული არ იქნება მიკოლა ბაჟანის პორტრეტი მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის გაუთვალისწინებლად.

პოეტმა უკრაინულ ენაზე გადათარგმნა ქართული პოეტური აზრის მშვენიება შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს თარგმანი, გამოჩენილი უკრაინელი ლირიკოსის, მაქსიმ რილსკის აღიარებით, „არის უკრაინული პოეტური კულტურის მიღწევა, მისი გამარჯვება“.

ბაჟანმა ბრწყინვალედ გადათარგმნა ქართველი კლასიკოსების ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ლექსები. დავით გურამიშვილის ცხოვრებამ და მოღვაწეობამ თვალი მოსტაცა მიკოლას. ამიტომაც ასე მიმზიდველად ახმიანდა უკრაინულად „დავითიანი“.

მიკოლა ბაჟანმა თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიასაც შეახო თავისი მადლიანი კალამი. მან მრავალი საბჭოთა პოეტის ლექსი აამეტყველა უკრაინულ ენაზე, მათ შორის ვალაკტიონის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მაშაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ს. შანშიაშვილისა და სხვათა ნაწარმოებები.

მიკოლა ბაჟანის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოვიდა 1939 წელს ქართული საბჭოთა პოეზიის ანალოგია. მასვე ეკუთვნის მრავალი წერილი საქართველოს კულტურის საკითხებზე, მისივე სიტყვა წაუძღვა წინ არაერთი ქართველი ავტორის უკრაინაში დაბეჭდილ წიგნს.

მიკოლა ბაჟანი მრავალჯერ ყოფილა საქართველოში,

ფენით მოუვლია მისი მთა და ბარი. ვასცნობია მის ხალხსა და კულტურის ძეგლებს, მოხიბლულა და დამტკბარა მათი ხილვით, შთაგონებულა მათი სიდიადითა და უბრალოებით, აგზნებულა მათი მეგობრობის სითბოთი. მას კარგად იცნობენ საქართველოს მშრომელები, პატივს სცემენ და ახსოვთ მისი შრომა და საქმიანობა. უყვართ მისი ლექსები.

უაღრესად მნიშვნელოვანია მიკოლა ბაქანის წვლილი ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ისტორიაში. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი, გამოსატავდა რა მთელი ქართველი ხალხის გრძნობას, მწერლის დაბადებიდან ორმოცდამეათე წლისთავზე გაგზავნილ თავის მისალმებაში წერდა: „დიდია თქვენი დამსახურება საბჭოთა ლიტერატურაში, ჩვენთვის კი, ქართველებისათვის განსაკუთრებით ძვირფასია თქვენი ბრწყინვალე თარგმანები რუსთაველისა, გურამიშვილისა, ბარათაშვილისა, აკაკი წერეთლისა და ქართველი საბჭოთა პოეტებისა.

ძვირფასო მიკოლა პლატონის ძევ! ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თქვენს თავდადებულ. შთაგონებულ შრომას უკრაინელი და ქართველი ხალხების კულტურული დაახლოების საქმეში გულწრფელად გისურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს“.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეები წლიდან წლამდე მტკიცდებოდა და ვითარდებოდა მიკოლა ბაქანის შემოქმედებაში. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ახალი ურთიერთობის ასპექტშია გადაწყვეტილი მიცკევიჩის მხატვრული სახე. დროთა განმავლობაში მეგობრობის ხიდეები უფრო მრავლდება და შორსაც სწვდება. პოეტის სარდინიული და სიცილიური ლექსები (1959—1960 წწ.), რომლებიც ამ ქვეყნებში მისი მოგზაურობის შედეგად შეიქმნა, უცხოეთის ქვეყნებთან საბჭოთა სახელმწიფოს კავშირის თემას ანვითარებს. მზო-

ლოდ პროლეტარულმა ინტერნაციონალიზმმა, რომელსაც პოეტი თავის „ყველაზე დიდ შენაქენად“ თვლის. მისცა ძალა შემოქმედს ასე ვაუკაცურად აეხმიანებია ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის სიმღერა.

მიკოლა ბაქანი კვლავაც აგრძელებს ამ დიდ ტრადიციას და კვლავაც მრავალგზის მოისმენენ ხალხები შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის, მეგობრობისა და ძმობის ბაქანისეულ ჰიმნს.







## შინაარსი

ტარას შევჩენკო	5
მარკო ვოვჩოკი	149
მისეილ კოციუბინსკი	167
მიკოლა ბაეანი	261



Отар Акакиевич Баканидзе

ОЧЕРКИ УКРАИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси — 1965

რედაქტორი ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე  
მხატვარი გ. თვაური

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XII-64 წ.  
ქალაქის ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი თაბახი 20,5,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,04  
ფასი 1 მან. და 50 კაპ.

შეკვეთა 2057

უე 00226

ტირაჟი 1000

---

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჯავახიშვილის  
პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета, Тбилиси,  
пр. И. Чавчавадзе, 1.